ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსკანი

4

1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გემი „დალანდი“

გამომაღვიძა ღამის ალმა, ნელმა და ქურდმა,
ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,
როგორც ნარცისი თავის ლანდზე შეყვარებული;
ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი,
ქვეყნად მთვარეულ ზამბახებში შეფარებული.

გემით „დალანდი“ მივდიოდი სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა;
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?

გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

322
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

4

აპრილი
1984
თბილისი
სსრ კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასსრ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო გელეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატბაძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გაფრი ქოსონელიძე
მაკა ჯოხაძე

შინაარსი

3. ჩვენი უპირველესი საზრუნავი

კოეზია და პროზა

5. ეთერ სახვაძე — ლექსები
7. თამაზ ბიბილეური — შვილი ხმისა და ტორფლასათვის. რომანი. გაგრძელება
52. გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები
56. რევაზ მიშველაძე — ნოველები
78. გურამ კლდიაშვილი — ლექსები
79. გურამ ოდიშარია — ლექსები
82. ზურაბ ნარმანია — ლექსები
84. ჯემალ დავლიანიძე — შემოგბრუნება. რომანი. დასაწყისი
104. ნუგზარ კოზერიძე — ლექსები
105. რევაზ დანელია — ლექსები

ახალი თარგმანები

107. მიჩაი ბაბიჩი — ლექსები. თარგმნა ნოდარ გურეშიძემ.
110. ირეტი მაგენი — პატარა ხალხი. თარგმნა რევაზ ინანიშვილმა

კუბლიცისტიკა

112. აბულფაზ კასიმოვი — თაუფანი ვცეთ კურს

წერილები

117. ხულხან ქორდანია — შემეცნების ლირიკოსი
124. როლანდ ბერიძე — აკაკი გაფრელია — ქართული ლექსის მკვლევარი
131. ავთანდილ ნიკოლეიშვილი — ხიდი რომანისა
142. თამაზ ვასაძე — ლირიკული გმირი და ურბანისტული მსოფლგანცდა
148. აკაკი ხინთიბიძე — იაკობ შემოქმედელი
155. ჯანსუღ ღვინჯილია — ლირსება და ნაკლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი უპირველესი საზრუნავი

ახალგაზრდობა წინსვლის, პროგრესის, შემოქმედებითი ძიებების, მუდამ სიახლის წყურვილით აღსავსე ასაკია. „ყოველი დღე უნდა იყოს სიახლე“-ო, მოგვიწოდებდა ჩვენი დიდი წინაპარი, და ახალგაზრდობის გარდა სხვა ვინ იქნება უფრო მგზნებარე მებაირახტრე სიახლისა, წინსვლისა, დაუშრეტელი ენერგიის გამოვლენისა და შემოქმედებითი აქტივობისა? ვინ აღნუსხავს, რამდენი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ახალგაზრდობამ ჩვენი ქვეყნის შრომითა და ბრძოლით ალსავსე ისტორიაში! ახალგაზრდობას, კომკავშირს ყოველთვის ძირსდაუზრელად მოჰქონდა ის ძვირფასი დროშა. იგი გამოიწვრთო, შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო, მემკვიდრეობით შეითვისა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ლენინური წესი.

ძვირფასია ჩვენთვის ეს მემკვიდრეობითობა. არ არსებობს ჩვენი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც ახალგაზრდობა თავის მხურვალე მონაწილეობას არ ღებულობდეს, სადაც იგი მხალში არ ედგას უფროს თაობას. მატერიალური და სულიერი არასოდეს განუცალკევებია ერთმანეთისაგან პარტიასა და ხელისუფლებას. ეკონომიკურ წარმატებათა გვერდით ყოველთვის ღირსეული ადგილი ეჭირა სულიერი ცხოვრების სფეროს, რადგან ახალი ადამიანის დაბადების მაუწყებელი სწორედ მისი სულიერი მხარეა, მისი მსოფლმხედველობრივი და იდეური სრულყოფის მიღწევაა უმთავრესი მიზანი ჩვენი სოციალისტური წყობილებისა და ამ რთული, ამ უმთავრესი მიზნის მიღწევის გზაზე ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მწერლობას, მხატვრულ სიტყვას, ჩვენს პროზას, პოეზიას თუ დრამატურგიას.

ჩვენი ლიტერატურა ყოველთვის აქტიურად იჭრებოდა ცხოვრების შუაგულში, ყოველთვის ეხებოდა და აშუქებდა მტკივნეულ, სადღეისო პრობლემებს. ასე იყო წინათ და ასეა დღესაც. ამასვე გვასწავლის ჩვენი, ქართული კლასიკური ლიტერატურის გამოცდილებაც. ბობოქარი და დაუმცხრალი თერგის გაუხუნარი პოეტური ხატი სამარადისოდ უანდერძა ქართულ მწერლობას ილია ჭავჭავაძემ და ამ მეტაფორაში დღეს სხვა არა ილანდება რა, თუ არა ჩვენი აქტიური პოზიცია, ჩვენი უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრების აქტუალური პრობლემებისადმი, იმ მტკივნეული და გადასაჭრელი საკითხებისადმი, რაც დღესდღეობით ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენი ცხოვრების წესს და რომელთა დაძლევა და მოგვარება ქართული მწერლობის წმინდათაწმიდა მოქალაქეობრივი ვალია.

ამ მოქალაქეობრივი ვალის მამულიშვილური შეგნება არასოდეს დაუკარგავს ქართულ მწერლობას. მისი დიდი წვლილი ღირსეულად დააფასა პარტიამ და ხელისუფლებამ, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ხოლო რაც შეეხება ქართული ახალგაზრდული მწერლობის სადღეისო მდგომარეობას, რაც შეეხება იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას, რასაც მასზე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ყურადღების ატმოსფეროში ქართულ ლიტერატურულ ახალთაობას არასოდეს უცხოვრია. გამორჩეული იყო ამ მხრივ წლევანდელი

წელი. ჯერ იყო და კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა ახალგაზრდა შემოქმედთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელმაც თავი მოუყარა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა შემოქმედთა ნიჭიერ წარმომადგენლებს. შემდეგ ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებო შეხვედრა მოუწყო შემოქმედებით ახალგაზრდობას. ამ შეხვედრებისას ყურადღების ცენტრში იყო არამარტო ახალგაზრდების შემოქმედების შედგომი დაოსტატების საკითხები, არამედ ის ცხოვრებისეული პრობლემებიც, რომლებიც ჯერ კიდევ გადასაჭრელი აქვს ჩვენს ნიჭიერ მომავალ თაობას, და რომლის გადასაწყვეტადაც აქტიურ ღონისძიებებს ატარებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა.

შემდეგ ამას მოჰყვა ბაკურიანის ტრადიციული სემინარი, რომელმაც თავი მოუყარა შემოქმედების ყველა დარგის ახალგაზრდა წარმომადგენლებს. გულახდილ, საქმიან საუბრებში ნათლად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, ჩვენი ახალგაზრდობის მუშაობის უმთავრეს მიმართულებად რომ უნდა იქცეს, გამოიკვეთა ის უმთავრესი პათოსი, რომელიც უნდა მსჭვალავდეს ახალგაზრდა შემოქმედთა, კერძოდ, მწერალთა ყოველ მხატვრულ ქმნილებას: წრფელი, მართალი დამოკიდებულება ჩვენი სინამდვილისადმი, ბრძოლა ისეთი ლიტერატურის შესაქმნელად, რომელიც ალმაფლებს ადამიანს, უნერგავს ხვალინდელი დღის რწმენას, აღვივებს ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის გრძნობას, პირუთვნელად დაგვანახვებს ჩვენი ცხოვრების იმ უარყოფით, ნეგატიურ მხარეებს, რომელთა აღმოფხვრაც ერთობლივი ვალია ყველა საბჭოთა მოქალაქისა, მწერალი იქნება იგი, პარტიული ხელმძღვანელი თუ უბრალო რიგითი მუშა.

ამ ფართო ღონისძიებათა ფონზე ნათლად გამოიკვეთა, რომ ქართულ მწერლობას საიმედო, ნიჭიერი ახალთაობა შემოემატა, რომ მათი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია უეჭველია, რომ მათს ნაწერებში უდავოდ ჩანს მაღალი გემოვნება და პროფესიონალიზმი და ამასთანავე ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ თვითდამშვიდებისა და ქმაყოფილების არც საფუძველი და არც უფლება არა გვაქვს, გამოჩნდა ისიც, რომ ახალგაზრდა შემოქმედებს ცხოვრებასთან მეტი სიახლოვე მართებთ, რომ მწერლის ვიწრო კაბინეტიდან დანახული სინამდვილე ხშირად მოკლებულია სიცოცხლეს, დამაჯერებლობას, და თუ გვინდა, რომ მკითხველმა ბოლომდის ირწმუნოს და დაიჯეროს ჩვენი სიტყვა, უფრო ახლოდან უნდა მივაყურადოთ მის გულისცემას, უფრო ახლოს უნდა მივიდეთ მწყემსთან და მევენახესთან, მეჩაიესთან და მაღაროელთან, მქსოველთან და მასწავლებელთან, ინტელიგენტთან და უბრალო მუშასთან.

ახალგაზრდული მწერლობის ყველა პრობლემა უმთავრესად ჩვენს ჟურნალში იყრის თავს. „ცისკარი" კვლავაც ერთგულია თავისი ტრადიციებისა — ავლენდეს და ფართოდ უთმობდეს თავის ფურცლებს ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს. ახალგაზრდა, ცხადია, ახალბედას არ ნიშნავს და თუმცა ძნელია ყველა დამწყები მწერლის მომავალი გზების განსაზღვრა, მაინც მიგვაჩნია, რომ ჩვენი ჟურნალის პუბლიკაციები დიდი მწერლობის საგზურია. დაე, წარმატებით ევლოს ყველა ჩვენს ავტორს ამ ძნელ და საპატიო გზაზე!

ეთერ სახვაძე

ისე ღონივრად
და გრიალით მოვარდა თქეში,
ქროლაში ახლავს
იმოდენა ცეცხლი და ბრწყინვა,
იმხელა სწრაფვა,
სიხარული,
შუქი თუ ეშხი,
მეტად ძნელია დაჯერება,
რომ არის წვიმა.
ვუმზერ და ვნანობ:
დიდფოთოლა არ ვარ ლეღვისხე,
არ ვარ ვენახი,
არც მინდორი, წვიმაში მდგარი,
და რომ
პატარა ხის ტოტობა მაინც მაღირსა,
გავვარდებოდი შინიდან გარეთ...

უშენობა

ქარის წყალობით
გაზაფხული უმატებს ბრიალს,
ზეცამდე ადის
ლურჯ-წითელი ფერების ბრელო...
შენი სახლი
და დაბრაწული მარნის წინკარი
რა ახლო იდგა ორღობესთან
გუშინწინდლამდი,
როცა ყიჟინით აქ დარბოდნენ
შენი ბალღები,
მაგრამ ახლა კი
სიჩუმეა და სინაღვლენი...
და უხმო სახლი
თავის მზით და თავის ჩეროთი
ჰგავს ეზოს შიგნით გადატანილს,
გზისაგან შორვით...
აი რა სახით წარმომიდგა
აქ უშენობა —
ჩამატებულა ახალ სივრცედ
სივრცეებს შორის.

ზიზი

ყინვამ გააქვავა ყოველივე,
ტკაცატკუცით ტყვრება ხეები,
მთლად ლოლუებში ზის ყვავილები...
ნეტავ თუ კიდევ იტყვევენ
ჩვენი ტყეები?
ნეტავ თუ ველნი მშვენიერნი
გადარჩებიან?
იგაზაფხულებს კვლავ გაზაფხული?
გაიხარებენ ნერგოვანნი ახალნორჩები,
თუ გადახმება ეს ბაღები და
გაფხავდება?
და ეს ზამთარი პირისაგან მიწისა აღგვის
სიმწვანის ნასახს,
ამოაშთობს მას სამუდამოდ?
და გაზაფხულის თვეების ადგილს
დაიჭერს შმაგი, რუხი უდაბნო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელვარეა შეღამება ახლა,
ელვარეა გათენება,
ჩართულია გაზაფხულის ხაზი,
და იმ ხაზის გადეენებით,
ის თავისკენ მიიზიდავს ყოველს —
შიშველია სადენები.

უცხო წრედი გაზაფხულის ალხის
დამუხტულა და ნაპერწკლებს გვაყრის,
და თბილისის პარალელის გასწვრივ
მთელ განედზე დედამიწას ერტყმის...
არავითარ საზღვრითა თუ კედლით
არ შედგება გაზაფხულის ეტლი,
სულ პირდაპირ,
სულ პირდაპირ გასწევს
და კაცთაგან დამიჯნული მიწა
გადიბმება მწვანე ოქრომკედით...

ურიცხვი გემით,
აფრით თუ ალმით
დის თვალუწვდენი მდინარე ქამის...
ამ მორევიდან რომ გამიყვანა
და ეს დღე ცალკე რომ ამიყვავა,
მომცა დღეკანდელ ყველა ფერადით,
სხვა დღეებს ზედაც არ შევხედავდი...
თუნდ შემიმცირონ იგი იმდენად,
რომ ქოლგასავით მხოლოდ ვიჩრდილო,
ოღონდ უქრობად ისევ იდღეოს
და შენი სახე გამომიჩინოს.

გზა

წავალ და
ერთი ხმით დაიკლებს ქვეყნის გუგუნი
და ერთ სიჩუმეს შეიმატებს სკნელი
უკუნი.
ჩემს აქ მოსვლამდე
უსაზღვრობა ჩემს ფერხთით თრთოდა,
როცა მოვედი,
გზა დამითმო, გაიყო ორად,
ხოლო როდესაც დავასრულებ
სიცოცხლეს ჩემსას,
ვიცი, შემდგება
და უსაზღვრო ტკივილით შემძრავს...

ეზოში უტურფესი ცეცხლი მიყვავდება,
ვამატებ შეშას და შევხარი შემოდგეს,
დავრეცხე ტილოები,
სუფრები, ყავრები,
ზედადგარზე
ორფუთიანი თუჯი შემოვდგი.
ვადუღებ ფელამუშს,
ციცხვს ვურეკ ძირზე,
ნიავი მიშლის —
თვალებს მწარე კვამლით მიქოლავს —
მაინც მიხარია,
რადგან ვიქმ იმას და ისე,
ოდესღაც დედაჩემი რომ იქმოდა.
გული განთებულია სიდიადით...
მე ამ ყოველს
ღვთისმსახურებას შევუდარებ,
ეკლესიას შევუდარებ,
დედაჩემი რომ დადიოდა,
პირჯვარს ვიწერ
და ტკბილისკვერის დასხმას შევუდგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ბიბილური

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

რომანი

ერეკლე ბექაურის შვილმა იმ ღამეს პირველად შეიგრძნო ჯადოსნური ძალა შეთხზული ცხოვრებისა, სადაც მოდიოდა ხელოვნური წვიმა, ქუხდა ხელოვნური ქუხილი და ამოდიოდა მუყაოს მთვარე, რომელსაც ერთი პატარა პროჟექტორით ანათებდნენ. ბიჭმა ჯერ არ იცოდა, რომ ამიერიდან თვითონაც მხოლოდ ამგვარი შეთხზული ცხოვრებით იცხოვრებდა, რომ ეს შეთხზული ცხოვრება თანდათანობით გადავიდოდა ქაღალდის თეთრ ფურცელზე და ყველაფერი თვითონ ბიჭის ნება იქნებოდა: წვიმას მხოლოდ მაშინ მოიყვანდა, როცა სურდა და მთვარეც მხოლოდ მაშინ ამოვიდოდა ქედის გადაღმიდან, როცა ბიჭის ყველაფრის განმგებელი ნება ამის უფლებას მისცემდა. არასოდეს ულაპარაკია დედასთან ამგვარ შეთხზულ ცხოვრებაზე. არც მოხეტიალე თეატრს გაჰყოლია. არც იდუმალი სურვილით, როცა მთელ ქვეყანას ეძინა, დაუტოვებია თავისი სახლ-კარი, მაგრამ თქმას აზრი არ ჰქონდა. დედა ისედაც ყველაფერს ხვდებოდა და შიშით ელოდა იმ დაკონკილ კაცს, რომელიც თავისი შეღებილი ტუჩებით გაიცინებდა, ხელოვნურ მელოტ თავზე ხელს გადაისვამდა და ეტყოდა:

— უნდა წავიყვანო...

და ვიდრე ის ჯამბაზი მართლა ამოვიდოდა, ბიჭი ხარბად კითხულობდა წიგნებს, ათევდა ღამეებს, თეთრ ფურცლებზე კი მისი ნება მბრძანებლობდა: მისი ნებით წვიმდა, ქუხდა, ამოდიოდა მთვარე, დიდდებოდა მდინარე, ჰყვაოდა პირიმზე და ჭიკჭიკებდნენ მერცლები. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ბიჭმა სკოლა არ დაამთავრა და ის სიტყვები არ თქვა, რისიც ქალს ყველაზე მეტად ეშინოდა, მაგრამ რის თქმასაც გულში აგერ უკვე ერთი ხანობაა, სიამაყით ელოდა:

— უნდა წავიდე, დედი...

დედამ საგზალი გაამზადა. ტანსაცმელი დარეცხა და დაიუთოვა. ყველაფერი დიდ კალათში ფრთხილად ჩაიწყო და ბიჭის წინ გაჩერდა.

— აბა შენ იცი.

ბიჭმა აკოცა. კალათი აიღო და წავიდა.

ერთი თვის მერე ბიჭი დაბრუნდა:

— მიმიღეს! — დაიძახა ჭიშკრიდან.

გარსოს დედას გაეცინა.

— რა იქნები? — იკითხა ქალმა.

— რა ვიცი, ალბათ წიგნებს დავწერ.

გარსოს დედა ბედნიერი იყო.

— ჩემზე არაფერი დასწერო, ბიჭო...

ბედნიერების იმ წუთში აისვეტა ქალის წინ ის დაკონკილი, წითელცხვირა,

---

დასაწყისი იხ. ცისკარი № 2 და № 3.

მელოტი ჯამბაზი, დახეული ფეტრის შლაპა მოიხადა, ქალს მდაბლად დაუკრა თავი, მერე გადაიხარხარა და თქვა:

— რას იზამ, ასეთია თეატრი...

— მეხი შენც დაგეცეს, — სიცილით უთხრა ქალმა.

ამიერიდან იმ „სხვა ცხოვრებას“ თუ შეთხზული ცხოვრებას ამ სასაცილო კაცის იერი ჰქონდა. ის ცხოვრება ქაღალდზე ითხზებოდა, ბიჭის თვალებში იკითხებოდა და ქალი იტანჯებოდა, რომ ამ უცხო სამყაროში შესვლა ეკრძალებოდა და გინდაც შესულიყო, ვერაფერს გაიგებდა, გზას ვერ გაიკვლევდა, კვლავ მარტო დარჩებოდა. ის უცხო და შეთხზული სამყაროო, რისკენაც ბიჭი ცახცახითა და ვნებიანი თრთოლვით მიიწევდა, ის თეთრი ფურცელი, რომელსაც ღამღამობით იდუმალი შუქი დაჰკრავდა და ქალისათვის გაუგებარი სიტყვებითა და აზრებით ივსებოდა, ქალს აშინებდა. ამ შიშის გამო გაურბოდა ფურცლებს და ათასში ერთხელ თუ გადახედავდა შორიდან, ჩურჩულითა და იდუმალი, გამომცდელი მზერით. მარტო ერთხელ დაარღვია ეს მორიდება და, როგორც ყოველთვის, ახლაც სანანური გაუხდა. ასე მოსდიოდა მუდამ, როცა საკუთარ ჩვევას თუ საკუთარ თავს უღალატებდა, როცა უნებურად იმას ჩაიდენდა, რასაც კარგა ხანი შიშით გაურბოდა. ეს იყო შუაღამისას: ბიჭს თავისი ფურცლები მცირე ხნით მიეტოვებინა და გარეთ გასულიყო. ძილა ბეჭაური რაღაცამ გააღვიძა და ლოგინიდან წამოადგო. უთხრა, ადექი, ხელში აიღე ის ფურცელი, რომელთანაც ბიჭი ღამეს ათევს და ბოლოს და ბოლოს გაიგე, რა წერია ზედო. ქალი მართლა ადგა, ფრთხილად შეეჭვრიტა ბიჭის ოთახში და მაშინვე დარწმუნდა, რომ იმ ვიღაცამ, ვინც გააღვიძა და ადგომა უბრძანა, უკვე იცოდა, ბიჭი რომ გარეთ გასულიყო და სინათლის ქვეშ მოფენილი თეთრი ფურცლები მარტო დაერჩინა. ქალი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ფურცლებს, თითქოს დიდ რამ დანაშაულს სჩადისო, მიიხედ-მოიხედა და ერთი ფურცელი აიღო. ქალს ხელი უცახცახებდა და ფურცელიც შემოდგომის ფოთოლივით თრთოლა... ასეულებიც თრთოლნენ, ერთმანეთში ირეოდნენ და სიტყვებად ვერა და ვეღარ ლაგდებოდნენ. სწორედ ამ დროს შემოვიდა ბიჭი და დედის დანახვაზე კართან გაოცებული შედგა. ქალი დანაშაულზე წასწრებულივით გაშეშდა და ფურცელი ხელიდან გაუვარდა. ბიჭს გაეცინა, ფურცელი აიღო და დედას შეხედა. არაფერი უთქვამს, დედამ კი მის თვალებში ვედრება წაიკითხა: ნუ ახლეს ხელს, ეს ჩემი საკუთარი ფურცლებიაო...

ქალს შერცხვა, ოთახის კარი მიიხურა და ტახტზე მიწვა. მთელი ღამე ფიქრში გაატარა და დილაადრიანად ბიჭს ისე დაადგა თავზე, თითქოს პატიებას თხოვდა. ბიჭი მიუხვდა და გაუცინა. ეს უბრალო სიცილი იყო, მაგრამ ქალს მთელი ტვირთი ერთბაშად ჩამოხსნა. ქალმა, ისე რომ თავადაც ვერ მიხვდა, ერთხელ და სამუდამოდ აღიარა შვილის უფლება, ზოგი რამ აქვეყნად თავისთვისაც ჰქონოდა დაფარული.

კიდევ რა იყო? კიდევ ის იყო, რასაც ქალის ფიქრში წინასწარ ერთხელაც არ გაუჭაჭანებია, ან რისიც ქალს ისე ეშინოდა, რომ ფიქრიც ვერ გაებედა. მაშინ ჰირველად ამოვიდნენ ქალაქიდან გოგო-ბიჭები, შვილის ამხანაგები და გარსოს დედამ იფიქრა, რომ მის ჭერქვეშაც მოვიდა დღესასწაული. ორი ბიჭი და სამი გოგო იყო. ერთი გოგო კენტად დარჩენილიყო და ქალი იმის ფიქრში იყო, რომელია ის ერთი, ვისაც გულში უნდა მეშინოდეს და ვისაც ჩემს აშენებას თუ დაქცევას დააკისრებს განგებაო. მაგრამ „ის ერთი“ თითქოს არ ჩანდა. სამივენი ერთნაირად იქცეოდნენ, ერთნაირად იცინოდნენ და ერთმანეთისაკენ ეხვეოდნენ. ქალი ტაბლასთან არ დამჯდარა, მარტო მაშინ შეევიდოდა, თუ სუფრას რაიმეს მიამატებდა ან შემთვრალი ბიჭები დაუძახებდნენ, თქვენი საღღეგრძელო გვინდა შეევსეთ და ერთი წუთით შემობრძანდეთო. ბიჭები უქებდნენ დედობას, ქმრის ერთგულე-

ბას, ყველაფერს, რაც კი ქვეყნად არსებობდა და ყველაფერი, რასაც ამბობდნენ, ისე გულით სჯეროდათ, რომ ქალი სიცილს ვერ იკავებდა და ენადგაკრეფილ ბიჭებს ქოჩრებზე ალერსით უსვამდა ხელს. გოგოები იცინოდნენ. მერე ბიჭებთან ერთად მღეროდნენ. იქნებ სვამდნენ კიდევაც, ღმერთმა შეარგოთ! გარსოს დედას გაეგონა, რომ ახლანდელები სვამდნენ კიდევაც და, ღმერთო, შეგცოდე, პაპიროსსაც ეწეოდნენ, მაგრამ ამისი არც დაჯერება სურდა და არც საკუთარი თვალით დანახვა. ის კი, რასაც მართლა ვერ დაიჯერებდა, მაშინ მოხდა, როცა ქალს ყველანი უკვე დაწოლილი ეგონა, როცა ბოსელი და ბაკი ჩამოიარა, ყველაფერი დააბინავა და იფიქრა, დილამდე ცოტაღა დარჩა, მეც თვალს მოვატყუებო:

კაკლის ჩრდილიდან ჩურჩული მოესმა.

გოგო და ბიჭი ერთმანეთს კოცნიდნენ.

ხო, ეს ამ ქალის ბიჭი იყო, გარსეკანი, ამ ქალის ბიჭი კოცნიდა გოგოს...

ქალისთვის ეს იმდენად დიდი ამბავი იყო, რომ მაშინვე თავის თავს ჰკითხა, ახლა რაღა ვქნაო. მაგრამ რა უნდა ექნა, ან რატომ უნდა ექნა რამე, ოდნავადაც არ იცოდა. „დამინახეს“, — გაიფიქრა და მაშინვე მოესმა, როგორ აჭრიალდა აივანი, როგორ გაიღო კარი და კაკლის ჩრდილს შეფარებული შინ მალულად როგორ შევიდნენ. ქალმა პირჯვარი გადაიწერა, თავადაც ფრთხილად გამოვიდა და ვარსკვლავებს შეხედა. მაგრამ პასუხს ვერავინ გასცემდა, ვერც ეს ღამე და ვერც შორეული ვარსკვლავები. ან რა იყო სასპასუხო? მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო და რისიც ამ ქალს ისე ეშინოდა, ფიქრშიც კი ვერ წარმოედგინა. რა ვქნა, რა გახარებულიეთთა ვარო, — საკუთარი თავი დატუქსა. მერე კი ყველაფერი გააიოლა: ან გახარებული რად უნდა ვიყო, ან რისი უნდა მეშინოდესო. და ახლა მარტო იმისიღა ეშინოდა, როგორ დადგება დილა და რა პირით შემომხედავს ის გოგო. წუხელ რომ კაკლის ჩრდილში ბიჭს ეხუტებოდაო. ეცოდებოდა გოგო, ეცოდებოდა ბიჭიც და ნატროობდა, ნეტავ ან ეს ღამე გაგრძელდეს დიდხანს, ან დილაადრიან ისე გაიპარონ გოგო-ბიჭები; მე ვერაფერი გავიგოო.

გარსოს დედა შეშინებული ელოდა გათენებას. მზე ამოვიდა და ყველაფერი უბრალო და გასაგები გახდა: ხო, ღამემ იცის ხოლმე ყველაფრის გაზვიადება... გოგო-ბიჭები ადგნენ, პირზე წყალი შეისხეს, ერთმანეთი გაწუწეს, გაიცინეს და სუფრას შემოუსხდნენ, წუხელ არაფერი მომხდარა... და გარსოს დედას შეეშინდა კიდეც, იქნებ მართლა არაფერი მომხდარა და მე, ყველაფრისაგან დაშინებულს და ყველაფრის გამზვიადებელს, მომეჩვენაო. ამის პასუხს შვილის სახეზედაც ეძებდა და თუმცა შვილსაც უდარდელი სახე ჰქონდა, ხუმრობდა და იცინოდა, დედამ მის სახეზე ამოიკითხა:

— მოხდა...

●

— მეც უნდა წავიდე...

გარსოს დედამ პირჯვარი გადაისახა.

მაშინვე ქალის ფეხებთან ძაღლი გაჩნდა. ძაღლს უკვე შეეგრძნო მთელი ამბის იდუმალება და დედაკაცს მიჩერებული, ბრძანებას ელოდა. დედაკაცს კი კარგა ხანია გადაეწყვიტა, რომ ძაღლის წაყვანა არა და არ იქნებოდა, რაღა ძაღლი და რაღა მამალი, რომელსაც ღამეში, სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეეძლო მთელი ქვეყნიერებისთვის ეუწყებინა, აქა ვართ და მოგვხედეთო. გარსოს დედა კი უნდა დამალულიყო, როგორც ქურდს შეეფერება, თავისი საკუთარი ხარები ისე გაეყვანა საკუთარი ეზოდან, რომ კაციშვილს არ დაენახა, გადაეტარებინა სოფელი, ეველო შარა-შარა, გადასუ-

ლიყო ტყის ბილიკზე და დაბურულებში ეტარებინა, ვიდრე არ გამოჩნდებოდა ის ცას მიკრული ჩალაური, სადაც ცოცქალა ეგულებოდა და სადაც ამ ნაპარავ ხარებს გადამალავდა. ძაღლიც არ იყო სანდო, ძაღლსაც სჯირდა ის კუდაბზიკობა, რაც მამალს, რის გამოც ერთი დღეც ვერ გაძლებდა, რომ ყეფა არ აეტეხა და ამით პატრონისთვის არ ეთქვა, ნუ გეშინია, ჩემისთანა ვაჟკაცის გვერდით არაფერი გაგიჭირდებაო. ძილა ბექაური კი, რაც თავისი ხარები ბოსლიდან გამოიყვანა, ქურდი იყო და ისე უნდა ევლო ეს ამოდენა გზა, როგორც ქურდს შეეფერებოდა: მალულად, ყოველი ჩქამის მიყურადებით, ტყე-ტყე და ჩრდილ-ჩრდილ, სხვათა თვალის მოუკვრელად, რათა არც ნაკვალევი დარჩენილიყო და არც ამბის წამღები შემოჰყოლოდა გზაზე.

გზა ძნელი იყო, მაგრამ რაღაც იმგვარი იდუმალებით სავსე, იმგვარად უჩვეულო, რომ ქალს თითქოს მთელი სევდა გადაჰყარა და მარტო ბოლომდე გასვლის, ამბის ბოლომდე მიყვანის ჯიბრიღა დაუტოვა. ამბავი კი, ან ავად, ან კარგად, იქ, შორეულ ჩალაურში უნდა დასრულებულიყო. დასასრული არც ამ ქალისთვის იყო ცნობილი და ეს ამბავს უფრო მეტი ბურუსით მოსავდა. არა, ამ ამბავში ეს პირღია ძაღლი არ გამოდგებოდა. სხვაგან სადაც გინდათ, ოღონდ ამ გზაზე არა. ამ გზაზე მეგზურებად მხოლოდ ის ვარსკვლავები თუ გამოდგებოდნენ, რომელნიც ყველაფერს ხედავდნენ, მაგრამ არაფერს იტყოდნენ, ან თუ იტყოდნენ, მილიარდ წელთა მერე, თუ ამ პატარა ცთომილი დედამიწის ამბავი იმათ საუფლოში სალაპარაკო გახდებოდა. ძაღლმა იგრძნო ქალის ცივი მზერა და მოსაფერებლად თითი გაუწოდა, მაგრამ მოფერების ნაცვლად ქალის მკაცრი ჩურჩული მოესმა:

— წადი, ადი საჩეხში!..

ძაღლმა ყურებს არ დაუჯერა, გაუგონარი ამბავი ხდებოდა. შუაღამისას გამოვიდა ქალი, ბოსლიდან ხარები გამოიყვანა, — ეს მთვლემარე და ყურრებ-ჩამოყრილი ბოსელა და ოდესმე ოთხს ხუთჯინი გადაჰკიდა, ოცდათინ ბილი შალი მოიხურა, ეტყობა, შორ გზაზე მიდის და ამას კი ეუბნება, ადი საჩეხში და ხმა არ ამოიღოო. არ დაუჯერა ყურებს და არც საჩეხში ასული, ვიდრე უფრო მკაცრი და, ეტყობა, საბოლოო სიტყვა არ გაიგონა:

— ადი-მეთქი!

მაშინ მიბრუნდა ძაღლი, ლასლასით წავიდა და ბნელ საჩეხში მოიკუნტა. არა, ახლა ნამდვილად აღარსად წაიყვანდნენ...

ქალმა ვარსკვლავებს შეხედა:

— ღმერთო, გადმოგვხედე მოწყალე თვალით...

ხარებს სახრე გადაჰკრა, წავედითო, და ჰიშკარი გადაატარა.

მერე ისევ მობრუნდა, ჰიშკარი გადაკეტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

მაშინ კი წამოხტა ძაღლი, საჩეხის სამი საფეხური ჩაირბინა, ჰიშკრისკენ წავიდა, იქვე ჩამოჯდა და წასულებს თვალი გააყოლა. მაგრამ ბნელში აღარაფერი ჩანდა. ისმოდა მხოლოდ პატრონის ფეხის ხმა და ბოსელასა და ლაღას თქარათქური. წყენა უცემ გაქრა. ძაღლმა თავი კვლავ აქაურობის ბატონ-პატრონად იგრძნო. ამგვარმა დაფასებამ სიამაყე მოჰგვარა და თავი ვალდებულად ჩათვალა პატრონისათვის ეუწყებინა, რომ ყველაფერი კარგად გაიგო, ყველაფერს მიხვდა და ყოველივე ისე იქნებოდა, როგორც პატრონს სურდა. ძაღლმა დაიყეფა, მაგრამ ხმა არავინ გასცა, ის კი ისევ იდგა და კარგა ხანს უსმენდა მიმავალთა ფეხის ხმას, რომელიც ნელ-ნელა, უფრო და უფრო შორეული ხდებოდა, ვიდრე სულ არ მიწყდა და სიჩუმე არ ჩამოვარდა.

გარსოს დედამ ოროლბე ჩაიარა და ხარები გზის პირას გაიჩერა.

მიიხედ-მოიხედა. გზაზე არც არავინ ჩანდა, არც ხმა ისმოდა არავისი.

— ვისა აქვს ჩემი ჯავრიო, — იფიქრა ქალმა და ხარები მშვიდად გაიყვანა გზაზე.

ბოსელა თავჩაქინდრული მიდიოდა. ლაა ბნელ გზას გასაცქეროდა და თან ცალი თვალით გვერდზე იყურებოდა, მომდევს თუ არა ბოსელაო. დედაკაცს ხელში სახრე ეჭირა და ხარებს ფეხდაფეხ მისდევდა.

იმ ვარსკვლავებიდან, საიდანაც ჩვენს ცოთმილს, დედამიწას უმზერდნენ, ორი ხარისა და ერთი დედაკაცის ნაცვლად, გზად მიმავალი დიდი შავი გორგალი ჩანდა. გორგალი ხან დაიძვრებოდა, ხან ისევ შეჩერდებოდა, რათა სოფლიდან აღძრული ჩქამისთვის მიეგდო ყური და გზა ისე გაეგრძელებინა. ჩქამი კი ათასში ერთხელ თუ ისმოდა. ჯერ ძაღლმა დაიყეფა და დედაკაცმა იცნო თავისი ძაღლი: „აბა თუ ხმა ჩაიწყვეტოს...“ მერე ვიღაც ცხენოსანმა გაიარა ზემო უბანში და დედაკაცს პირველად მაშინ შეეშინდა, პირველად მაშინ გადახვია ხარებს ხელი და ძიძვიანებისკენ გადაუხვია. ძიძვიანებში მეტრავმა გაისირიალა, მაგრამ ამ წუთში ქალს მისი სულაც არ ეშინოდა. დედაკაცი მთელი არსებით ცხენის ფლოქვების თქარათქურს უსმენდა, ვიდრე ხმა სულ არ მიწყდა და დედაკაცმაც სახეზე ჩამოღვრილი ოფლი შავი თავშლით არ ჩამოიწმინდა. ნიკა იქნებოდა, მეტყუვე, — თავი დაიმშვიდა და ხარები ძიძვიანებიდან ისევ შარაზე გადმოიყვანა. ახლა ისევ ურთი შავი გორგალი მიგორავდა ბნელ გზაზე, ყრუ ნაბიჯით და სვენებსვენებით. ცოტა ქვემოთ, სახლიდან ბალღის ტირილის ხმა გამოვიდა, მაგრამ ძალა სეკაური არც გაჩერებულა, არც შეშინებულა. ბალღის ტირილი საამოდ ჩაესმოდა და თუ გაჩერდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდხანს ეგდო ყური და საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ ამ ცისქვეშეთში მარტოდმარტო კი არ დარჩენილა, გარშემო ქვეყანა იყო, ხალხი, ჯამაათი და სულაც იქვე, ღობის გადაღმა ბალღიც კი ტიროდა. ბალღის ტირილს ქალის ხმა მოჰყვა: გოგო, მაყვალ! ეტყობა, მაყვალას ღრმა ძილით ეძინა და არაფერი ესმოდა. ქალი კვლავ იძახდა: მაყვალ, არ გეკუჭრება, შე ცეცხლმოკიდებულო, მოკვდა ბალღი ტირილით!.. მაყვალამაც გაიღვიძა... ეტყობა, მაყვალა დაჯდა აკვანთან, არწევდა აკვანს და ღამის სიჩუმეში ყრუდ ისმოდა მისი ხმა: ნანა, ნანანა... ბალღი ისევ ტიროდა და გარსოს დედაც ისე მხნედ მიდიოდა გზაზე, თითქოს ეს ტირილი ბალღისა ჩალაურამდე გააცილებდა. ბოლოს ბალღი გაჩუმდა. ქალიც გაჩუმდა და გზაზე ფრთხილი ფეხის ხმაღა ისმოდა. კვლავ მიგორავდა შავი გორგალი და თან დაძაბული უსმენდა სამყაროდან წამოსულ ხმებს. ვარსკვლავი ჩავარდა. ვიღაცა მოკვდება! — გაიფიქრა დედაკაცმა, თუმცა, მისი ფიქრით, ამ შუადამისას მთელ ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ ეძინა. ნეტავი მთვარე რა დროს ამოვა? ხო, გათენებისას, ნამლევა მთვარე. წყაროს ჩხრიალი მოისმა და ქალი მიხვდა, საცაა სოფელს გავცდებითო. წყაროსთან მივიდა, ხარებიც დაარწყუეა, თავადაც დალია. ეს ყველაფერი ხელად მოხდა და გორგალი ისევ ბნელ გზაზე აგორდა. აჰა, სოფელსაც გავცდით... ქალს თან გაეხარდა, თან გული დასწყდა. ამის იქით მაინც სხვა სამყაროო იწყებოდა. აქ ყველაფერი შეეძლო, აქ გარსოს დედა იყო, მთელი სოფელი იცნობდა. ამის იქით კი მარტო დედაკაცი იყო, რომელსაც ხარები გამოურეკია, თავი დაუღერია და, ვინ იცის, სად მიდის, რა ზარახვა უდევს გულში, საიდან მოჰყავს ეს ხარები ან საით მიჰყავს... ღმერთო, გადმოგვხედე მოწყალე თვალითო... ქალმა ისევ იქით აიხედა, სადაც ღმერთი უნდა ყოფილიყო, თუ მართალია იყო. და თუ მართალა უმზერდა საიდანმე ამ ბნელ გზაზე აგორებულ შავ გორგალს, უმზერდა და თანაც ყველაფერი წინასწარ იცოდა, სად წამოეწეოდნენ ამ თავნება, თავად ღმერთების წინააღმდეგ ამხედრებულ დედაკაცს, რომელ გზაზე სტაცებდნენ ხელს მის ნაქურდალ ხარებს (ხო, სა-

---

თამაზ ბიგილური

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

ხელი ნამდვილად ამგვარი დაერქმეოდა) და ეტყოდნენ: შენ ქურდი ხარ, დედაკაცო! მაშინ დედაკაცს შიშით ენა ჩაუვარდებოდა, და მაინც, რაკი თავად მტკიცედ სჯეროდა, რომ ქურდი არ იყო, გამშრალი და გაფიფრებული, ოფლის ღვარში გაცურებული, იტყოდა: არა, არა ვარ ქურდი. მაგრამ ეს მერე იქნებოდა, თუ ამგვარად ხედავდა ღმერთი ქალის გზის დასასრულს. ამ წუთში კი მხოლოდ სიბნელე იყო, დედაკაცისთვის სასურველი სიბნელე და შორს დარჩენილი სოფელი, საიდანაც აღარც ჩქამი ისმოდა, აღარც ცხენის ფლოქვების თქარუნი და აღარც ტირილი იმ ბალღისა, დედაკაცს რომ არასდროს აღარ დაავიწყდებოდა.

იქვე ჩქამი გაისმა. ზედ დედაკაცის ცხვირწინ ვიღაცის ორი თვალი ალაპლაპდა.

დედაკაცი ხარებს ამოეფარა:

— მეხი შენც დაგეცეს!

სიბნელეში ვიღაცა ქშინავდა:

— რისი შეგეშინდა, კაცი ვარ, განა ეშმაკი?

— ეშმაკი ხარ, მაშ რა ჯირი ხარ...

— ლადო ვარ... აი, ისა... ჭუპრიას რო ეძახიან.

— მეხი შენც დაგეცეს... გული კი გამიხეთქე... საიდან გამოტყვრი?

— ჩემ გზას ვინ გიიგებს, ხან სადა ვარ და ხან სად...

გარსოს დედის წინ ტანმორჩილი, მობუზული ჭუპრია იდგა. თავზე ბოხოხი ეხურა. ქამარში სახრე გაეჩარა და ვერავინ იტყოდა, ვის უფრო შეშინებოდა, ამ კაცის დამნახავ დედაკაცს თუ თავად კაცს, რომელიც რაღაცას ლუღლუღებდა.

ჭუპრია ერთი გოჯი იყო. ლადო კი დაერქმია ნათლიას, მაგრამ მთელ ამ არემარეში ლადოს არავინ იცნობდა, მეღორე ჭუპრია კი ყველასათვის იყო ცნობილი. ცხოვრებაც ასე, ორად ჰქონდა გაყოფილი ლადოს და ჭუპრიას: როცა ფხიზელი იყო, ლადო ერქვა, როცა დათვრებოდა, ჭუპრია ხდებოდა. დათრობა კი გვარიანი იცოდა. ზედიზედ წაბამდა... სულ ერთი იყო, რაც დალევდა, გინდ დვინო ყოფილიყო, გინდ არაყი, გინდ ორივე ერთად. ... კი მალე დაელია, ... არ გასწყრომოდა და არ გამოფხიზლებულიყო. ასე გრძელდებოდა მთელი თვე. თვის ბოლოს ჭუპრიას ძმები იტყოდნენ (ორი ძმა ჰყავდა, ორივე მოსული ვაჟკაცი), ეყო ამ ჩვენს ჭუპრიას რაც დალია, ახლა ლადოდ ვაქცეოთო... გამხდარსა და დალეულს, ძონძივით მიგდებულ ჭუპრიას ხელსა სტაცებდნენ, კარგა მაგრად დაზღილნენ და მერე თავლაში შეაგდებდნენ. ის ღამე და მეორე დღე ჭუპრიას გადაბმულად ეძინა. დღის ბოლოს მორცხვად იტყოდა, რამე მაჯამეთო. მიუტანდნენ! ლუკმას შეჭამდა, სულს მოითქვამდა და ისევ ძილს გააგრძელებდა. მეორე დილით კი სახლიდან ლადო გამოვიდოდა, იღლიაში სახრეს ამოიჩრიდა, სოფელს ჩამოუვლიდა, ღორებს ტყეში გაირეკავდა და მთელი თვე რასა ჭამდა და რასა სვამდა, აღარავინ იცოდა. გადასხვაფერებული ლადო სოფელში ისე ჩაივლიდა, იმისი ხმის გამგონეველი არავინ იყო. ქვემოდან ისე ცოდვიანად შემოგხედავდა, გამარჯობასაც ძლივს ეტყოდა, არ შევაწუხოო. თვითონაც არავისი შეწუხება არ უნდოდა, თავისი ერთი ბეწო ადგილი ჰყოფნიდა და მუდამ იმის ფიქრში იყო, თვალში არავის შევეფეთო, სხვისი ადგილი არ დავიჭიროო. ასე გაივლიდა თვეც და ერთ მშვენიერ დღეს ჭუპრიაც დასჭექდა: აბა მანდ დამიდექითო! (ამ დროს უკვე სამი ჭიქა ჰქონდა დალეული). მე თქვენ ის ხო არა გგონივართო! თუ ბიჭები ხართ, გარეთ გამოდითო! მერე ცოტას კიდევ გადაპკრავდა და თავიდან ბოლომდე უვლიდა სოფელს: სასადილოში შეივლიდა და მოქეიფეებს გულს გაუწვრილებდა, თუ განთებულ აივანს მოჰკრავდა თვალს, იფიქრებდა, ქეიფი აქვთო, ეწყინებოდა, უჩიმოდ რათა ქეიფობენო და ოჯახის კარს პირდაპირ, დაუკაკუნებლად მიაწვებოდა. ასეთ დროს ძალლებიც კი ღარ უყეფდნენ ჭუპრიას.

ჭუპრია კაცი აღარ იყო, იმისი აღარავის ეშინოდა. სოფლის გზაზე ბარბაცით ჩამოვლიდა და თან ხმამაღლა იძახდა: თქვენი დედა კი!.. მაგრამ არავის არაფერი სწყენდა და ჭუპრიასაც სხვა რა დარჩენოდა, ისევ სასმელს ეძებდა... ამგვარი იყო ჭუპრია, ამგვარი იდგა ამ შუაღამისას გარსოს დედის წინ, — ამაყი და მაინც მოკუნტული, მთვრალი და მაინც ფხიზელი, რადგან, ამდენი ვთქვით და მთავარი მაინც ვერა: გარსოს დედა ერთი იყო იმ ორიოდეთაგან, რომელთაც ჭუპრია ფხიზელიც სცემდა პატივს და მთვრალიც.

— მეკითხები, სად იყავიო... რავი სად ვიყავი.

— რა ჩემი საქმეა, როდის გეკითხები...

ჭუპრია იდგა და სიბნელეში კვლავ კვესივით ანათებდნენ მისი თვალები. გარსოს დედა გრძნობდა კაცის მზერას და იმასაც კარგად ხედავდა, როგორ გადადიოდა ეს მზერა დედაკაციდან ხარებზე და ხარებიდან დედაკაცზე. ჭუპრიას არ უკითხავს, საით გაგიწევიაო. ვერ გამიბეგა — გაიფიქრა დედაკაცმა, — ან რაში უნდა ამისი გაგებაო... ჭუპრიას ორი თვალი კი მაინც ანათებდა და უსიამოვნოდ ჩხვლეტდა დედაკაცს, ვიდრე ჭუპრია ერთბაშად არ გამოცოცხლდა და ის არ იკითხა, რასაც დედაკაცი ელოდა კიდეც და რამაც წყენა ან ეჭვი კი არა, სიხარული მოჰგვარა:

— მაგ ხურჯინში რა გაქ?

დედაკაცს გაეცინა.

— საგზალი...

— არაყი არ გექნება?..

— როგორ არა...

ჭუპრია ერთბაშად გადიდდა.

— მაიტა, დამალევინე!

— რატომაც არ დაგალევინებ?

ჭუპრიამ ყურებს არ დაუჯერა.

გარსოს დედა ლაღასკენ მიბრუნდა, ხურჯინი ამოქექა, დიდხანს აფათურა ხელი და ეს დრო ჭუპრიასათვის დაუსრულებლად გაგრძელდა. ბოლოს მიაგნო და არყის ბოთლი ამოიღო.

ჭუპრია გაგიჟდა, დედაკაცს ხელში ეცა და ბოთლი ისე გამოსტაცა, [illegible] ქოს შეეშინდა, ისევ ხურჯინში არ [illegible] დოსო. რაკი ბოთლი თავისად [illegible] ლა, ერთბაშად შერცხვა, გულზე [illegible] ტა და თავი ჩაქინდრა.

დედაკაცმა გაამხნევა:

— ნუ გრცხვენია.

ჭუპრია ისევ თავჩაქინდრული იდგა და ბოთლს ეფერებოდა.

— მოსავი, კაცო! ღმერთმა შეგარგოს!

ჭუპრია გათამამდა.

— შემერგება კიდეც, რატომაც არ შემერგება? ახლა, ამას დავლევ თუ არა, ვითომც ვყოფილვარ, ვითომც არა! ვიყავი და აღარა ვარ! ძონძივით მივეგდები და აღარაფერი მემახსოვრება...

დედაკაცმა მოხედა და თვალი დააშტერა.

ჭუპრიამ ბოთლი მოიყუდა და მოსვა. მერე ღრმად ამოიხვნეშა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებსო, ის ვიღაცა ვერ დაინახა, მაგრამ ბოთლი მაინც მუქარით ასწია და დაიჩექა:

— განა არ ვიცი? მე ყველაფერი ვიცი! მერე რა, რო დაბალი ვარ! ჭუპრიაც იმიტომ დამიძახეს... რათა სვამო! შენ რა იცი, რა არი დალევა...

— ამისთანა რა არი?

ჭუპრია ისევ აენთო.

— გინდა, გითხრა რა არი? აი, ახლა მე დავლიე, არა? შენ კი წამოგიღალნია ეგ ხარები და გადამალავს უპირებ...

დედაკაცი გაშრა! ცის ჩამოქცევას უფრო ელოდა, ვიდრე იმას, რაც ჭუპრიამ პირში მიახალა. თავადაც ვერ მიხვდა, რა მოხდა, ჭუპრიას ეცა, საყელოში ხელი ჩაავლო და თვალებში ჩახედა:

— აქვე ჩაგაძაღლებ, იცოდე...

ისე დასცქეროდა ზემოდან, ვიდრე ჭუპრია სულ არ ჩაიღვენთა და ვიდრე დედაკაცს მიწიდან წამოსულივით არ შემოესმა კაცის ჩურჩული:

— ეგ როგორ იფიქრე, დედაკაცო...

დედაკაცმა ხელი გაუშვა.

თამაზ გიგილური
ᲨᲕᲘᲓᲘ ᲮᲔᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲝᲠᲝᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჭუპრია იქვე, მის ფეხებთან ჩაჯდა და თავი ჩაქინდრა.

— ეგ რამ გაფიქრებინა, დედაკაცო...

— რა ვიცი, ვეღარავის ენდობი...

ხარები ბალახს ძოვდნენ. ვარსკვლავები ქვემოთ დაშვებულიყვნენ. ღამე თითქოს წასულიყო და მაინც იქვე იდგა. საღღაც, შორს ძაღლი ყეფდა, ბალაში მდინარე ხმაურობდა.

— აღე, ჭუპრიავ, შინ წადი.

დედაკაცმა სახრე აიღო.

ჭუპრიამ ქვემოდან ამოხედა:

— აბა, არაყი რათა გთხოვე თუ იცი?

დედაკაცს გაეცინა:

— დალევა გინდოდა და იმიტომ.

— დათრობა მინდოდა!

— სულ ერთი არ არი?

— სულ ერთი რათ არი? დავთვერი და აღარაფერი მახსოვს. აღარც შენ გამახსენდები, აღარც შენი ხარები. აქ ვიყავი და აქ არა ვყოფილვარ. ვითომ ეს ქვა გდებული, ვითომ მე... აი, მიყურე, მეც ქვა ვარ... მორჩა და გათავდა!

ამის თქმაზე ჭუპრია დიდ ლოდთან მიწვა, ლოდზე თავი მიდო და თვითონაც თითქოს ქვად იქცა. დედაკაცი თავზე დაადგა, გაუწყრა, რა არ უთხრა, რა არ დაიფიცა, მაგრამ ქვად ქცეული ჭუპრია ფეხზე ვეღარ წამოაყენა.

დედაკაცმა ხარებს ანიშნა, მივდივართო და გზას დაადგა.

სიბნელიდან ჭუპრიას ხმა მოისმა:

— ბექაურის რძალო!

— რა იყო?

— ეგ არყის ბოთლი დამირჩინე...

დედაკაცმა ხურჯინში ხელი ჩაყო, არყის ბოთლი ისევ ამოიღო, შეანჯღარია და ბალახზე მიაგდო.

— აჰა!

ჭუპრია გამოიქცა, ბოთლს ხელი სტაცა და მაშინვე მოიყუდა. ყაპყაპით სვამდა და დედაკაცი იცინოდა.

ბოლოს ბოთლი გამოიცალა, ჭუპრიამ იქვე, ბალახზე მიაგდო და მშვიდად თქვა:

— ახლა კი მართლა ქვა ვარ... ახლა კი მართლა აღარაფერი მახსოვს. დედაჩემს დავიფიცებ, იმ ცხონებულს.

ჭუპრია ლოდს ჩაეხუტა და მეტი აღარაფერი უთქვამს.

ავჩქარდეთ, თენდებაო, — გაიფიქრა ქალმა და ხარებს წამოეწია.

ის ვარსკვლავები, წამოსვლისას რომ ზედ თავზე დასცქეროდნენ, დასალიერისკენ წასულიყვნენ.

●

დედაკაცს გამოეღვიძა. ჯერ ვერ მიხვდა, სად იყო. შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა. მაშინვე ყველაფერი გაახსენდა. თავზე ხარები დასდგომოდნენ და თვალს არ აშორებდნენ. ხო, ის ადგილია, კარგა ხანს რომ ეძებდა, სწორედ მაშინ, ცისკრის ვარსკვლავი რომ გამოჩნდა და იფიქრა აქ, ამ გზის გადაღმა, ბუჩქების ძირში ბალახზე მივწვები და თვალს მოვატყუებო. ლაღა და ბოსელა იქვე თავთან დაიყენა და ხმამაღლა უთხრა, არსად წახვიდეთ, აქ იდექით და თვალი არ მომშოროთო. ეკრე თვალმიშტერებულნი იდგნენ ორივენი და ბალახის წიწკნა მაშინღა დაიწყეს, როცა დედაკაცი წამოდგა, კაბა ჩამოიბერტყა, თავშალი მოიხვია და ცას გახედა. ცა ლურჯად მოწმენდილიყო. მზე ახლად იყო ქედს გადმოცილებული და დედაკაცი მიხვდა, რომ ბევრი ვერაფერი სძინებია. ღმერთსა მადლი, თვალი მაინც მოვატყუე, ახლა მთელი დღე მართლა მხნედ ვიქნები და გზა ვერაფერს დამაკლებსო... ხარებს მოეფერა, ხურჯინი ისევ გადაკიკიდა, პურის ნატეხი ამოიღო და თან გზას დაადგა, თან ჭამა დაიწყო. იქვე, გზის პირას, წყარო ჩხრიალებდა. ჯერ ხარები დაარწყუა, მერე თვითონაც დალია წყალი, სახეზე შეისხა ერთი პეშვი და ეამა. მთელი ღამის დაღლილობა და შიში ჩამოირეცხა. აბა, წავიდეთო, — ხმამაღლა თქვა და კვლავ გზას დაადგნენ. ლაღა წინ მიდიოდა, ბოსელა, როგორც სხვა დროს, ახლაც ცოტაზე ჩამორჩებოდა. დედაკაცი კუდში მისდევდა თავის ხარებს და აღარაფერს ფიქრობდა იმის გარდა, რომ სოფელი უკვე ძალზე

შორს დარჩენილიყო. ახლა ერთ სხვა სოფელსაც გადაივლიდა, და ვიდრე გზა უფრო ზევით აუხვევდა და ტყიანებში შეეჭიოდა, სამხრობაც წამოვიდოდა. რაკი დღე იდგა და მზე ანათებდა, ის იდუმალი შიშიც აღარ ჰქონდა, რაც ღამით სიბნელესავით ეხვია გარს, მაგრამ დღისით სხვა შიში მოერია, ადამიანთა შიში, გზად გამოსულთა შიში, ამათგან ერთი მაინც თუ გამოდგებოდა მდევარი, დედაკაცის ქურდობაცა და გაპარვაც ერთბაშად წყალში ჩაიყრებოდა. ქურდისა მხოლოდ სახელი დარჩებოდა, ხარებს კი სამუდამოდ დაკარგავდა, თუმცა გარსოს დედამ კარგად იცოდა, რომ ამ ხარებს ცოცხალი თავით არავის დაანებებდა. დედაკაცი მიხვდა, რომ ეს „მდევრის შიში“ წუხანდელი ღამის იდუმალ შიშზე უარესი ჩანდა და თავის თავს უთხრა, სხვა რამეზე ვიფიქრებ, იმგვარ რამეზე, რაც დღეკანდელ დღეს, ჩემს გაქცევას და ამ დაწყევლილ ხარებს გადამავიწყებსო. ის „იმგვარი რამე“ დიდხანს ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. დედაკაცი ჯიუტად ეპოტინება ათასგვარ ამბავს. ხან ქმრის აჩრდილს უხმობს, ხან ბიჭს ეძახის. იგონებს და თხზავს ყველაფერს, რაც შიშს გადაჰყრის, რაც მხოლოდ ღიმილს მოჰვგრის და დაავიწყებს ამ მცხუნვარე მზეს, ამ მტვრიან შარას, ამ სოფელს, შორს რომ მოჩანს და ქალს შიშს უფრო უთამეცებს, რადგან იქ, სოფელში, ადამიანები არიან, რადგან სოფელი ჭრელია და შეიძლება უკვე იმასღა უცდის, როდის გამოჩნდება შორეულ გზაზე დიდი სამი შავი წერტილი — გარსოს დედა და მისი ორი ხარი. ხალხი კი ერთმანეთს უხმობს, ეზო ეზოს გასძახის, სახლი —სახლს, ქოფაკები გზაზე გამოსულან. ბორკილები მზად არის და იქვე, გზის პირას, ბალახზე ყრია. ქალს გამოჩენისთანავე კი მთელი სოფელი ერთბაშად აყაყანდება, თითს ქალისკენ გამოიშვერს: გამოჩნდა, ეს ქალი ყოფილა! ვინ ქალიო? ხარები რო მოუპარავს, ის ქალიო! ვის მოჰპარა, აღარ იტყვითო? საკუთარ სახლსაო! საკუთარი ხარები მოიპარაო? ეს რაღა ქურდობაა, ამისთანა არც არაფერი გვინახავს, არც, არაფერი გვსმენიაო... გარსოს დედა კი თავს ჩაღუნავს, ხარებს უფრო მიეკვრება, ურჩევნია, მიწა გაუსკდეს და თან ჩაიტანოს, ვიდრე ამოდენა ხალხს შუა გაიაროს... და ეს ტანჯვა გრძელდება დიდხანს, ვიდრე მთელი ეს სოფელი შუა გზაზე არ გაატარებს, ვიდრე ბოლომდე არ გაიყვანს, რათა ზედ ბოლო კაცის წინ შეიჩეროს და მკაცრად უთხრას:

— შენა ხარ გარსოს დედა?!

მაგრამ, ნაცვლად ამისა, სოფელი ერთბაშად ისევ ქრება, სოფელი ჯერ ისევ შორსაა და გარსოს დედას არავინ ეკითხება, ვინ არის და სად მიდის. ჯერ მხოლოდ შორიდან ისმის ცხენის ფეხის ხმა და დედაკაცი, როგორც წუხელ, დაძაბული უსმენს, ხარებს სახრეს გადაჰკრავს და გზიდან ბუჩქარში გადაუხვევს. ხარებს ჰგონიათ, რომ ისევნებენ და ბუჩქებს მიღმა მოდებული გადახრუკულ ბალახს ხარბად წიწკნიან. გარსოს დედა, როგორც ქურდს შეპფერის, ბუჩქებს უკან იმალება და შეშინებული უცდის, როდის გამოჩნდება ცხენოსანი, როდის ჩაივლის გზაზე (თუ ჩაივლის), როდის გაუჩინარდება (თუ არ გაჩერდა და ძებნა არ დაუწყო) და როდის გამოვა კვლავ გზაზე, რათა ისევ გაგრძელდეს მტანჯველი შიში, ვიდრე კვლავ სხვა ვინმე არ გამოჩნდება და დედაკაციც არ იფიქრებს, რომ მორჩა, ახლა კი მართლა ყველაფერი დასრულდა და მართლა მდევარი წამოეწია. ცხენის ფეხის ხმა უფრო და უფრო ცხადად ისმის და ცხენიც უკვე ცხადად ჩანს: ქლოშინით მოჰქრის და ზედ გადამჯდარი მხედარიც იმას ჰგავს, ვისაც მართლა ეჩქარება, ვინც ვიღაცას მოსდევს, ან იქ, გზის დასასრულს ელოდება ვიღაცა. ღმერთო, მხედარი არა ყოფილა! მხედარი ბიჭია, თხუთმეტიოდე წლის ლურჯპერანგა ბიჭი, ფეხშიშველი, თმაჩამოშლილი და უბელო ცხენზე ლაღად გადამჯდარი! გარ-

---

თამაზ გიგინლური
ვეიდი ხვისა და ტიროლასათვის

სოს დედას რეცხვენია, რომ დაიმალა, ბუჩქებს გადაღმა მართლა ქურდივით გაუჩინარდა და ნანობს, რომ გზაზე არა დგას, ბიჭს პირისპირ არა ხვდება და არ ეუბნება, შენი დანახვა ისე გამეხარდა, როგორც ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგისაო. ამისი თქმა კი არ შეეძლება, ამას ქალი მაშინაც ვერ ეტყოდა, გზაზე რომ მართლა მდგარიყო და ჯაბუკ მხედარს მართლა მის წინ ჩაექროლა. ამგვარ რამეს არასოდეს ამბობენ, ამგვარ რამეს მხოლოდ ფიქრობენ და გარსოს დედაც მარტო იმას დასჯერდა, რომ კვლავ გზაზე გამოვიდა, შუა შარაზე გაჩერდა და დიდხანს გასცქეროდა უბელო ცხენზე გადამჯდარ ლურჯპერანგა, ფეხშიშველა ბიჭს, ვიდრე ბიჭი სულ არ დაპატარავდა, ვიდრე პერანგის ხასხასა ლურჯი ფერი შავ წერტილად არ იქცა, ბოლოს კი სულ არ გაუჩინარდა და ცხენის ფლოქვების ხმაც არ მიწყდა.

დედაკაცი ისევ გამხნევდა, შიში ისევ გადაიყარა და აღარც ის შორეული სოფელი მოეჩვენა გზაზე გამოშლილ აყაყანებულ ბრბოდ, როგორადაც წეღან, ფიქრში წარმოესახა. მაინც ისევ ჩემ ბიჭზე ვიფიქრებო, და ჯერ ის სცადა, თავის ბიჭსა და ამ ბიჭს შორის, ცისფერი პერანგით რომ გაიფრიალა, რაღაც ძაფი გაება. ეს უნდა ყოფილიყო რაიმე საამოს გახსენება, რაც ცხენთან, გალაღებულ ბიჭთან და სწორედ ცისფერთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ესეც ვერ შეძლო. ამის ნაცვლად კვლავ შიში წამოტივტივდა და ბიჭის მოგონებაც შიშის ბურუსში გაეხვია.

სოფელი კი დედაკაცს ისევ წინ ედო, ხალხით სავსე და აღბათ ცნობის წადილით ატანილი. დედაკაცმა კვლავ შეებით ამოისუნთქა, როცა სოფლის შორიახლოს სხვა გზაც დაინახა, გვერდზე რომ უხვევდა, ტყისპირებში მიდიოდა და მერე ისევ დიდ გზას უერთდებოდა. მეც ეს მინდაო, გაიფიქრა და გადახვევა ვეღარ მოასწრო, შორიდან დოლისა და გარმონის ხმა მოესმა. დოლ-გარმონის და მანქანის ხმა ერთმანეთში აირია და მანქანამაც ბარბაცით გადმოირბინა მოსახვევიდან. ქალმა ხარებს სასრე დადაკრა, ისევ ბუჩქების ეზეი გადაეფარა და იქვე გაჩერდა. მანქანაც გაჩერდა, მტვრით გადაღებული, ტალახში ამოთხვრილი, ფერდაკარგული და დაუყლეტელი. ორივე კარი ერთად გაიღო. ჯერ მედოლე და მეგარმონე გადმოვიდნენ, მერე სამი ბიჭი. ერთს ჭიპამდე ჩაეხსნა პერანგი, ორნი სულ უპერანგოდ იყვნენ და შავად გადმოვარდნილ ფაშვებზე შავი ჯაგარი ემოსათ. წვერგაუპარსავებსა და დაუბანლებს სახეზე და გულ-მკერდზე ხვიფი სდიოდათ. მანქანა ზედ შუა გზაზე გაეხიდათ და მის გარშემო ისე უვლიდნენ დავლურს, თითქოს შუაში თეთრად შემოსილი პატარძალი ეყენათ. დედაკაცი გაშტერებული იდგა და უცქერდა: მთვრალიე ბევრი ენახა, ფხიზელიც, მაგრამ ამისთანა — ჯერ არაფერი... ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი და ტანი, ან სიმღერა გივარგოდეთ, ან ცეკვა-თამაშიო... და ის იყო, გზაზე უნდა გადაეყვანა ხარები, რომ ახლა სხვა მანქანა გამოჩნდა, დიდი სატვირთო მანქანა. კაბინაში კაცი იჯდა, ძარაზე ქალები ისხდნენ. ფერმაში მიედინებიანო, — გაიფიქრა ძილა ბექაურმა და ისევ ბუჩქებს ამოეფარა. მოცეკვავეებს თითქოს არც დაუნახავთ ის დიდი მანქანა, ცეკვა განაგრძეს, თან ერთმანეთს მუცლებით ეჯახებოდნენ, თან მედოლესა და მეგარმონეს დასჭყიოდნენ.

სატვირთოს შოფერი მანქანას აყვირებდა. კაცმა კაბინიდან თავი გამოყო და იმანაც ყვირილი დაიწყო. კაცის ხმაზე ქალებიც აყაყანდნენ, მაგრამ მოცეკვავეებს ყურში არაფრის შეშვება არ უნდოდათ, ვიდრე კაცი არ გადმოვიდა და მედოლეს ხელი არ ჩაავლო. მედოლეს დოლი ხელიდან გაუვარდა. მეგარმონე შეჩერდა. მოცეკვავეებმა ჯერ ისევ განაგრძეს როკვა. ბოლოს ისინიც შეჩერდნენ. მერე სუყველანი ერთმანეთს დაერივნენ. ქალებმა წოოკობა ატეხეს და ფიწლებით გადმოკვივდნენ. ბიჭები დაშოშმინდნენ და, თით-

ქოს არაფერი მომხდარაო, ცეკვა ისევ განახლდა. მტვრიანი, დაშეპეტილი მანქანა ისევ შუა გზაზე იდგა გახიდული. დიდი მანქანის პატრონი კი კაბინაში იჯდა და გამაყრუებელ სიგნალს აძლევდა.

დიდ მანქანას უკან სხვა, პატარა, ცისფერი მანქანა მოადგა. ცისფერი მანქანიდან მსუქანი, თეთრპერანგა ინტელიგენტი გადმოვიდა. მოცეკვავეები შემოეხვივნენ და ახლა მის გარშემო დაიწყეს ბრუნვა. ყველაფერი ერთმანეთში აირია: ღოლის ბრაგუნი, გარმონის წრიპინი, სიცხე, მტვერი, პირში გაჩრილი დანა, ტაში, ყვირილი, ფეხქვეშ აზელილი ქვიშის ჩხრიალი, გაღლეტილი სიცილი, მტვერსა და ბუღში ამოგანგლული ქაოსი, სადაც მხოლოდ თავგასულობა მეფობდა, თავგასულობის წინ კი ღიმილგაციებული შიში თრთოდა.

ამ მტვერსა და ბუღში მოტორტმანე შიშის წილ გარსოს დედამ ერთ წამში დაკარგა საკუთარი შიში და გაიფიქრა:

ქვეყანა გაგიჟებულაო...

მაშინ შერცხვა გარსოს დედას თავისი შიშისა, წუხანდელი შიშისაც, როცა ყველაფერი იდუმალების ბნელში იყო გახვეული და დღევანდელი, მზეზე დამწვარი შიშისაც, როცა სოფელი ქალის წინ ხახადაღებული ვეშაპივით ჩანდა. და ისე, თითქოს ვერც ვერავის ამჩნევს და ხედავსო, დედაკაცმა ხარეს სახე გადაჰკრა, გზაზე გადმოიყვანა და პირდაპირ მოცეკვავეებისკენ წავიდა. ეს მზეზე გახუნებული, ქერეჭდამწვარი დედაკაცი თავისი ხარებით ამ ქაოსში უცხო ქვეყნიდან თუ სხვა სამყაროდან წამოსულივით გამოჩნდა და მის წინ ერთბაშად ყველა გახევდა, ღოლ-გარმონის ხმა შეწყდა, გახვითქული მოცეკვავეები ბალახზე მიწვნენ.

სხვა? სხვა რა მოხდა იმ ღღეს მნიშვნელოვანი? ან კი იყო რამე მნიშვნელოვანი, რაც ამ დედაკაცს ერთ-ორ ღღეს მაინც დამახსოვრდებოდა და სხვა დროსაც თქმენებდა: აი, მაშინ, მავან და მავან დროს, იმ შუადღისას, სოფლის მტვრიან გზაზეო? არაფერი მომხდარა! მარტო სოფელს რომ გასცდა, ვიღაც გოგო-ბიჭები დაინახა, ერთიანი ლაზე შეყენებულ რაღაც მანქანასა [illegible] რებდნენ და თან ერთმანეთს უყვიროდნენ. ალბათ სურათებს იღებენო — გაიფიქრა დედაკაცმა და ხარები უფრო ააჩქარა. ის იყო, გოგო-ბიჭებსაც გასცდა, რომ ერთი გამხდარი ბიჭი წამოეწია, წინ გადაუდგა და უთხრა: დედი, მობრუნდი შენი ხარებით და ერთხელაც გამოიარეო. დედაკაცს გაუკვირდა, ჩემი გამოვლა რად უნდათო და ხარებს შეუძახა, გზა გააგრძელეთო. ბიჭი არ ეშვებოდა, კინოს ვიღებთ და თუ შენი ხარებით ერთხელაც არ გაიარე, აქვე თავებს დავიხოცავთო. მაგრამ დედაკაცს აღარაფრის თავი არა ჰქონდა და, ბიჭს რომ გაშორდა, მარტო ესღა გაიფიქრა:

ქვეყანა გართობაზე გადასულაო.

●

ღამე ზედ ტყის პირას წამოეწია და ყველაფერი ერთბაშად კვლავ იდუმალმა შიშმა მოიცვა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ვარსკვლავებით ისევ მოიჭედა ცა და გარსოს დედამ გაიფიქრა, ისევ ამათ ანაბარა დავრჩიო. გაახსენდა ის მოცეკვავე ბიჭები, ის ხალხი, ბიჭებს რომ შიშით შესცქეროდა და, მთელი ის ამბავი, რამაც ღილას ასე გააბრაზა, სასაცილოდ და პაწაწკინტლად მოეჩვენა. დიდი ამბავი სულ სხვა რამ იყო: ეს ერთი დედაკაცი, მარტოდმარტო, ამ ბნელ ღამეში, მთელი ქვეყნიერების პირისპირ იდგა! ტყეში ჩქამიც არ ისმოდა და ყველაფერი ისე მიყუჩებულიყო, თითქოს საგანგებოდ ამ დედაკაცისათვის გამზადებული სიჩუმე კარგა ხანია მხოლოდ მას ელოდა. არარაობის და მიუსაფრობის სიჩუმე! წყალი მაინც იყოს სადმე, რომ იმას მივუგდო ყურიო, — გაიფიქრა ქალმა და სმენად იქცა. არც წყლის ხმა ისმოდა

თამაზ გიგილური
ᲨᲕᲘᲓᲘ ᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲠᲛᲝᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საიდანშე. გარსოს დედა ბევრჯერ ყოფილა ტყეში თუ სათიბში, მაგრამ ამგვარი მიუსაფრობისა და მარტოობის შიში არასოდეს მორევია. ის სულ სხვა მარტოობა იყო, როცა იცოდა, რომ ტყეში ან სათიბში შემოაღამდა და საცაა სოფელში ჩავიდოდა, როცა იცნობდა ყველა ხესა და ყველა ბილიკს, როცა შეეძლო ხმამაღლა ელაპარაკა ამ ხარებთან ან იმგვარი ღიღინი დაეწყო, რითაც ღამეს აფრთხობენ ხოლმე, ღამე კი მართლაც ფრთხება. ეს კი სხვა ღამე იყო და იმგვარი, ღიღინი რომ ვერ დააფრთხობდა. მაშინ დედაკაცი ჩადგა თავის ხარებს შორის და მათ თბილ კისრებს ხელები გადახვია. და როცა მოეჩვენა, რომ ეს ხარებიც ღამის წინაშე შემკრთალნი ირთოდნენ, ერთბაშად ხმამაღლა ფიქრი თუ ხმამაღლა თქმა მოუნდა ყველაფრისა, რაც კი გუშინდელ საღამოს აქეთ იფიქრა და გამოსცადა. დედაკაცი ამ წუთში, ამ ვარსკვლავებით მოჭედილი უსაზღვრო სამყაროს წინაშე, ამ ხარებთან ერთად, სრულიად მარტო იყო და ქვეყნიერებაზე მისი აქ ყოფნა არავინ იცოდა. ამ წუთში რომ აქვე გამქრალიყო, ვერავინ იტყოდა, სად გაქრა ის დედაკაცი, ვინც ამა და ამ სოფელში ცხოვრობდა, ჰქონდა სახელი და გვარი, იყო ქვრივი მავანისა და მავანისა, აღირიცხებოდა სოფლის საკომლო დავთარში, სოფელი კი, თავის მხრივ, რაიონის სოფელთა სიაში, რაიონი, თავის მხრივ, ქვეყნის სიაში, ქვეყანას კი დედამიწაზე დიდი ადგილი ეჭირა... ხო, ამ დედამიწის შვილი უკვალოდ გაქრებოდა, რადგან გაბედა და ის გააკეთა, რისი გაკეთებაც ეკრძალებოდა, რადგან სულ ერთი ნაბიჯით გადაუხვია იმ გზიდან, რა გზითაც ხალხი და ჯამაათი ვიდოდა. და ის იყო, შეშინებულს, დაქანცულს და ძალაწართმეულ დედაკაცს ყვირილი უნდა დაეწყო, მთელი ქვეყნიერებისთვის ეხმო, ყველასათვის გაეგებინებინა, რომ ის, გარსოს დედა, ანუ დედაკაცი, რომელმაც ამა და ამ სოფლიდან საკუთარ ეზოში ხარები მოიპარა და ტყეს მისცა თავი, აქა დგას, შეშინებული, ნირწამხდარი და დამარცხებული, რომ ამის ნაცვლად, ისე, რომ თვითონაც გაოცდა, სულ სხვა რამ დაიძახა:

— არ გაიხარე ჩემი ცოდვით, აკი მაინც გაუხარლად გადაიარე! თუ შავეთში აპირებდი წასვლას, რაღად დიდე ჩემი ცოდვა, რათ გამიხუნე ქალობა!

ამის თქმაზე იქვე, ხარების ფეხებთან ჩაჯდა, მიწას დაემხო და ტირილი დაიწყო.

ამბის მთხზველი ამბობს, რომ დედაკაცის წყეველს, რომელიც სულაც არ იყო წყეველა, ვარსკვლავები უსმენდნენ და რომ იმ წუთში მზის მეზობელი გალაქტიკის ერთ პაწაწკინტელა პლანეტაზეც რაღაც მსგავსი ამბავი ხდებოდა; რომ იქვე, სადაც დედაკაცი თავის გახუნებულ ქალობას ტიროდა, ჩასაფრებულმა მგლების ხროვამ გადაიფიქრა ამ ტყეს შეხიზნული დედაკაცის ხარებზე თავდასხმა, ხეს შემოხვეულმა წყეულმა კი ქვევით, ხრამისკენ გასცურა; რომ ჩიტებმა გაიღვიძეს და ხეებზე შეიშმუშნენ, დათვები ბუნაგიდან გამოვიდნენ, შვლებმა და ირემებმა ერთმანეთს გადასძახეს, ყველამ კი ერთმანეთში გაბა ჩურჩული:

— ამ ქალმა ქმარი დაწყეველა, ახლა კი ზის და ტირის...

მაგრამ ყველაფერი, რასაც ამბის მთხზველი ამბობს, მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ერთი დედაკაცის ეს მოგზაურობა რაღაც სიდიადის სამოსელში გახვიოს, უბრალო ქალი, უბრალო ხარები და ჩვეულებრივი ღამე დაბურული ტყის მისტიკური ბურუსით წარმოგვიდგინოს. ამბის მთხზველმა იცის, რომ არც სიდიადე, არც მისტიკა ჩვენს დროში, როცა ყველაფერი ხელისგულზე ძევს და ყველაფერი ისედაც ნათელია, დიდ პატივში არ არის, პატივში კი არა, უხეირო გემოვნების დასტურადაც ითვლება. საწყალი ამბის მთხზველი! მას კი გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ჩვენი დროის ადამიანებმა, ატომის გახლეჩამ, მთვარიზე გაფრენამ და სხვა ამგვარმა, რითაც დღეს

მთელი კაცობრიობა თავს იწონებს, ადამიანს ყველაფრის ცოდნის ილუზია დროებით შეუქმნა. პირველი აღტკინება გაივლის და ადამიანი ერთბაშად კვლავ მიხვდება, რომ ამოდენა ამოჩენების მიუხედავად, ამ უკიდეგანო სამყაროს შესახებ ძალზე პაწაწკინტელა ცოდნა ჰქონია, რომ სამყარო მარ-თლაც ისევ სავსეა იდუმალებით და მიუწვდომლობით; რომ მომავალ საუკუ-ნეთა ადამიანი, თუ დედამიწამ კიდევ გასძლო, აუცილებლად უდიდესი მის-ტიკოსი იქნება. ყველაფერი აირია, — ფიქრობდა ამბის მთხზველი, — დედა-მიწაზე საკუთარი საქმეები ვერ მოვა-წესრიგეთ, დადგა დრო — კვლავ ცას შევხედოთ; იმ ცას, რომელიც, რაც კი ვარსებობთ, მას მერე თვალმოუშორებ-ლად გვიმზერს. იქნებ სხვისი თვალისა მაინც შეგვრცხვეს...—ამის გაფიქრება-ზე ამბის გულუბრყვილო მთხზველს უკვე თავდავიწყებით სჯეროდა: ოცდა-მეერთე საუკუნე კვლავ „ცის საუკუ-ნე“ იქნება. კვლავ დაიწერება ლექსები ვარსკვლავებზე, კვლავ გვეყვარება, რომ ამაზე დიდი რამ სამყაროში არ არსებ-ობს. ამაზე და ათასგვარ სხვა რაღაც-აზე ფიქრობდა შეთხზული ამბის ავ-ტორი თუ ამბის მთხზველი, ვიდრე ის ღამე გაივლიდა, ვიდრე გარსოს დედა ღამის იდუმალ შიშს კვლავ არ სძლევ-და, თავის ხარებს მხნედ არ გადაჰკრავდა სახრეს და ძალზე პირობითი სიუჟეტის ლოგიკით იქ არ მივიდოდა, სადაც აუ-ცილებლად უნდა მისულიყო და სადაც ადრე მისულები უკვე ელოდნენ. ეს იყო მდინარისპირი, ადგილი, სადაც ამ-ბის მთხზველმა „მდინარის პირას გაგ-რული სურათი“ ნახა: ლოდზე ჩამომ-ჯდარი შვიდთა თემი.

ორნი — პირქუში ებრია, მეხუთე ტყიდან გამოსული თხელ კაბაში გახ-ვეული გოგო უკვე მოსულან. მესამე გარსოს დედა უნდა იყოს და აჰა, ისიც მოდის. მოდის ისე, თითქოს ეს ორნი კარგა ხანია ელოდნენ და თავადაც აუცილებლად უნდა მოსულიყო. მოდის და მოჰყავს თავისი ხარები — ლაღა და ბოსელა. ხარებს იქვე, მდინარის პირას, ბალახზე მიუშვებს და კაცსა და გო-გოს მორიდებით უახლოვდება.

— შუადღე მშვიდობისა...

კაცი თავს უსიტყვოდ დახრის.

გოგო უღიმის.

გარსოს დედა მდინარის პირას ჩაი-მუხლებს და ხმას არ იღებს.

— ეს წყალი ხვალ დილამდე არ ჩაივ-ლის, — ამბობს გოგო.

— მთაში წვიმებდა... — ჩაილაპარა-კებს ებრია მახაური.

დედაკაცი ჩურჩულებს:

— ჩალაურში ხო არ მიდიხართ?

ბერიკაცი თავს უქნევს.

გოგოს უხარია:

— მეც ჩალაურში მივდივარ.

— ყველანი ჩალაურში მივდენილ-ვართ, — ჩურჩულებს დედაკაცი და თავის ხარებს გასცქერის.

და თითქოს უცებ ჯიფარამ დაიძახაო, ტყისპირიდან წვრილი ხმა გამოხტება:

— გამარჯობათ, ხალხნო!

სამივენი ტყისკენ იხედებიან.

მდინარისკენ ერთი კაჭკაჭივით დედა-ბერი მოცუხცუხებს.

თავი მეოთხე

მოწვევა

კაჭკაჭი დედაბრის გამოჩენით თითქოს კომედია დაიწყო. მდინარისპირა ჭალაში მოხეტიალე თეატრი მოსულა, ერთი დიდი, ჭრელხალიჩაგადაფარებული ურმით, წინათ რომ ჩარდახიან ურემს ეძახდნენ. ხალიჩაზე აცაბაცა ასოებით გამოუყვანიათ: „კაჭკაჭი დედაკაცის, მისი ქმრის— მიხასი და სხვათა ამბავი...“ ის ჭრელი ურემი დიდი ნეკერჩხლის

თამაზ ბიბილური
შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

ქვეშ გაუჩერებიათ, ერთი ხანობა რაღაც მზადებაში ყოფილან, მერე წნელით ჩამოკიდებულ თოხზე წნელზეც მობმული ქვა სამჯერ ჩამოუკრავთ (ვითომდა, მესამე ზარი დაირეკაო) და წარმოდგენაც დაწყებულა.

კაჭაჭი დედაკაცი თავის ამბებსა ჰყვება და არავინ უწყის, ამ ამბებში რომელია ტყუილი, რომელი— მართალი... არავინ იცის, ნამდვილად მომხდარშიც კი რა ჩაუმატა და რა გამოაკლო. იკაკანოს რამდენიც უნდა! ერთი ღობემძვრალა დედაბრის ნათქვამისა, რაც უნდა სიმართლე გვიოხრას ან სულაც ცილი დაგვწამოს, ამოდენა ხალხს, რასაც საზოგადოებას ვეძახით, არ უნდა გვეშინოდეს. ძალა ჩვენს მხარეზეა! ამიტომ, ბატონებო და ქალბატონებო, მშვიდად დაიკავეთ თქვენი ადგილები... ეს ტყე და მდინარე დეკორაცია იქნება. ღვთით, თუ მზეც გამოვიდა, პროჟექტორების მაგვარობას გაგვიწევს. თქვენ, ახალგაზრდავ, თუ სადმე მზიარული ან სეედანი მუსიკა დაგვჭირდება, ეგ მაგნტოფონი მოგვაშველეთ. საღღა ნახავთ ახლა ორკესტრს, თეატრშიც ხომ მაგნიტოფონს იშველიებენ და, მაღლობა ღმერთს, აღარც ფარდა გვჭირდება, თეატრმა ფარდაც უარყო!

●

სანამ ქმარი ცოცხალი იყო, მე, სწორედ მოგახსენოთ, ბედნიერი ქალი ვიყავი, ქალს თუ ქმარი თავზე აღგას, იმის ბედს ძალი ვეღარ დაჰყეფს. ქმარი ყველაფერია! ჩემ მიხაზე მოგახსენებთ, სანამ ის იყო-მეთქი. მერე... მერე თუნდაც ცხრა შვილი დაგდიოდეს, მაინც მარტოა ხარ, ქმრის ადგილზე ვერავინ დაგიდგება, ერთი ალთას მიდის, მეორე— ბალთას, სიტყვით ყველანი შენთან არიან, აბა, დედი, ნუცასთან რა დაგრჩენია, დღე და მოსწრება სულ უკუღმართს ეძახდი, ახლა გაგისკდა სიყვარულის გუდაო, ჩემთან წამოდი, ცივ ნიავს არ მოგაკარებთ მე და ჩემი ქმარი, დაგსვამთ და მარტო გიყურებთო... წახვალ, ერთი დღე რა არი, ერთი წუთითაც არ დაგსვამენ, ეს სახლიო, ეს კარიო, ეს ვენახიო... ორი დღეც არ იქნება გასული, რო ვეფხო გადმოვა, ვითომც არაფერია (ამ დროს ნუცასთან ვარ, იმასაც ეკუბინ ... ტაციებული), დაჯდება, აქეთ-იქით იყურება, აბა თუ ქათამი დაალანო, აბა თუ ქვეკრს მოხადონო, აბა თუ ცეცხლი დაანთონო... რო ვერაფერს დაინახავს, სიტყვას გადაგვიკრავს, გაკეთებული ღვინო არ დამალეკვინონო, თორე აქ ფეხის დამდგმელი აღარა ვარო, ხო იცით, ჩემი მოტყუება არ იქნებაო. ჩემი ნუცა ამ დროს ბიბლიოთეკაში წასული, სიძე— ამანაზონში. ქათამსაც დავუკლავ, გუშინდელ ლობიოსაც გამოვუღებ მაცივარია თუ რაღაცა ჯანდაბა, იქიდან, ნიორსაც დავუნაყავ, რა ვქნა-მეთქი, ვეტყვი, ღვინოზე კი ნურას უკაცრავად, ჩემი დაყენებული რომ იყოს, დავუფიცავდი, სხვისას კი ვერ დავუფიცავ-მეთქი... დაისხამს! ჯერ ჭიქას გახედავს, მერე აჯანჯღარებს, მერე ფრთხილად მიიტანს ტუჩებთან. ვეჩხუბები, მიდი, გაუბედე, განა მოგალვავს-მეთქი! მომკლავს, მა რაო? ჩემ ჭკუას ეგღა უნდაო? ბოლოს გაუბედავს და გადაადუტრუტხებს, ფუიო! მაშ შენი სიძე კაციაო? კარგი, სხვასა ჰკლავს, თავს მაინც რათ იკლავსო, რას ჰპყოლია ამ ფულის გიჟეს, რა გაუჭირდაო? ერთორ ჭიქას მაინც დალევს, იგრე არ იქნება, აბა, სადღეგრძელო ხო უნდა თქვას! და ვიდრე ქალი და სიძე მობრუნდებიან, ვიდრე ჩემი ქალი ძმას ეტყვის, რა დროს ჩამოხველ ავტობუსიდან, რატო ვერ დაგინახეო, სიძე კი თავის ცხენივით კბილებს გადმოჰყრის და კარებიდანვე დაუძახებს, უკვე დაიწყეო (ღვინის სმაზე ანიშნებს), ჩუმად მეტყვის: ნეტა აქ რა დაგრჩენია, ვერა ხედავ, მთელი სახლი შენ ანაბარა დაურჩენიათ, ამათ გოჯ ბალღებს შენ მოუვლიო? (ენაცვალოთ ბებო, რას მიშლიან, ორი სკოლაშია წასული და საცაა მოვლენ, ერთმა მთხოვა, ვახტიოს ვენახში გავყვებიო და გადაიკარგა). ხო, იმას ვამბობდი... კარებიდანვე დაუძახებს, უკვე დაიწყეო? დავიწყე თორე, ესეც ის არი, მე რო მიდგას ქვეკრშიო. მაშ თუ არ მოგწონს, თქვენსა წავი-

დეთო! წავიდეთ და წავიდეთ, რა პატარძალივით მაშინებო?... სადა ჰყოფილხარო? აბანოშიო! სარარაოდ გაიხეხე, სტუმრები ხო არ მოგდიანო? ეგრე შეხუმრებულები არიან. მერე დაჯდებიან და თან სვამენ, თან რას არ ეუბნებიან ერთმანეთს... სიძე-ცოლისაძმა არიან, ვიცით, ერთმანეთს არ აწყენინებენ და ვიხოცებით სიცილით. შუაღამე რო წამოვა, ვეფხო იტყვის: მეყოფა, რაცა ვსვი მეყავე წყლები, ახლა კი წავალო. ვეხვეწებით, ვეხვეწებით, ქვა და კლდეა! სულ ეგეთი იყო... ვითომც არ ესმის... სიძე ეუბნება, დარჩი და ხო გაქეიფე, ახლა მეზობლიანთ თამარასაც გადმოგიყვანო, ლოგინში ჩაგიწვენო, ხალხო... ახლა ამაზე ვიხოცებით სიცილით. თამარა გაუთხოვარია, კარგუნახავი და ამ დროს ტკბილ ძილშია წასული... სულ უძილობას კი უჩივის, უძილობასა და თავის ტკივილს, ესა მტკივაო, ისა მტკივაო, წამლების ყუთში იქექება, აფთიაქარს ემეტრის... რას ვამბობდი? ხო, გამახსენდა! ვეხვეწებით, არ დარჩება, დაიხურავს ქუდსა და წავა. ჩემი ნუცა წუხს, შუაღამეა, ამოდენა გზაზე არაფერს გადეკიდოს, აღარც ავტობუსი იქნება, აღარც მანქანაო. ბოლოს ჩემი სიძე ერთხელაც მიაძახებს, ვეფხო, ფრთხილად იყავი, სადმე ხელი არ გტაცონო და ნელ-ნელა ჩავწუნარდებით... უკვე შუაღამეა, ყველას გვეძინება, მაგრამ ხან ერთი ვიტყვით, ხან მეორე, ის როგორ იყო, ის რა თქვაო? და ისევ ვიცინით, ვიცინით, ვკვდებით სიცილით. მერე მართლა დაგვეძინება.

თავი ხო არ შეგაწყინეთ? არა, დავიჯერო? მეჯავრება, ბევრი ლაპარაკი რო იციან ხოლმე...

ვეფხოსთანა ვარ და ახლა ტარიელა გადმოგა. შუადღეა! განა არ ვიცი, განგებ იშოვნა ეს დრო. ლეიბის მატყული მაქ გაფენილი და ჯოხითა ვწეწავ. ხუთი წელიწადია არ დაუწეწიათ. ჩემი რძალი დამწეწო? დილით ადგება, სარკის წინ მოიროვება, ჯერ წინიდან ჩაახელებს ტანსა, მერე კურტუმოდან. ტუჩებზე იმ რაღაც წითელს გაიგლესავს, წამწამებს ქვემოთ ქუთუთოებსაც ამაიღამებს. ხმა არა ვცემ, თავში ქვაც უხლია, მოდაიო, ეგ მოდას უღალატებს? მაგან ფიქრი და დაანელა ჩემი ვეფხო, თორე ვეფხეი იყო. იქნებ გაგონილიცა გაქვთ, ის ვეფხო, არხზე რო მუშაობს... მსუქანო? ახლა გასუქდა, თორე განა ეგეთი იყო? კოხტა რო არა ყოფილიყო, ჩემი მოპრუწული რძალი (სკოლის დირექტორია), იმას გამოჰყვებოდა? რას ვამბობდი? ტარიელაზე ვლაპარაკობდი და ვეფხოს გადავწვდი! გადმოვა... ისიც მიიხედ-მოიხედავს და დარიგებულივით იტყვის... ეგრე ერთმანეთს როგორა ჰგვანან? არკი უნდა მიკვირდეს, ერთი კაცისები არ არიან? ერთი მუცლით არ ვატარე? მიიხედ-მოიხედავს და იტყვის: აბა, დედი, აქ რა გინდა, რძალს შენთვის არა სკალია და შვილსა. ეშმაკივით მარტოკა ხარ. ერთი ტელევიზორი ედგათ და ისიც გაჰფუჭეზიათ. სანამ მაგას ქალაქში წაიღებენ და გააკეთებენ, სული ამოგძვრება, წამო ჩვენსა, მე შენ გეტყვი, ამასავით არი ჩემი ცოლი და არ უყვარხარ... ენა აქ, ენაა — დათიფლული... წამო ჩემთანაო, დაჯექ ბუხართან, მარნის საჩეზში ბუხარიც გავაკეთეთ, თუ გინდა ზემოთ ადი, „ტუმბოჩკაში“ გაგიშლით ლოგინს, იყავ და გვიყურეო. ხო, სულ საყურებლად მოვიცლი-მეთქი... რატომაც არაო? იმ, ბალღ ვიღამ ურეცხოს ჩვრები, აკვანში რო ყავეთ ჩაკრული-მეთქი! გამრეცხავს ვიშოვითო... ილაპარაკებს, ილაპარაკებს და ვეფხოც გამოჩნდება. გადაეხვევიან ძმები ერთმანეთს. თაობითვე უყვარდათ! ვეფხო ეტყვის, შენი საკადრისი ღვინო სადა მაქ, მაგრამ ცუდს არც მე ვწუურავო. არაო, რას ამბობო, ხო იცი, რა დროაო, მანქანაზე ვზიავრო. წვეთი რა არი, წვეთს ვერ ჩავუშვებ პირშიო. მილიცია შენ რას გეტყვის, შენგან არ მიაქვს ღვინოო? ისიც გაუმეორებს, ხო იცი, რა დროა, დადიან და ამოწმებენო. შენ რა შეგეტყობა, პირში არ ჩაგსუნამენო...

თამაზ ბიბილური
ვიდი ხმისა და ტორროლასათვის

ილაპარაკებენ, იხუმრებენ და ბოლოს ტარიელა თვალით მანიშნებს. მატყლი უკვე მზითა მაქ და ის მანქანაც ჩემ გასაგონად ახსენა. რა ვქნა, მიყვარს რბილად რომ ჩავჯდები, ფანჯარას გავაღებ, თავს გამოვყოფ და სოფელ-ქვეყანას დავენახები. მიაქროლებს ტარიელა, მივდივართ და თან გული სიამოვნებითა ფართხალებს, თან ვიწყევლები, განა მოგეცლებიან, გეთაყვათ! დგანან ამ შუა შარაზე და ვითომც არაფერიო, ვითომც შენ გაგიკლია და ვითომც ბუზს გაუქროლია. თვალი შეაჩვიეს და იმიტომ, ზოგს ორ-ორი უყენია ლეფეებქვეშ! გავიხედავ და ეს ჩვენებიანთ ფეფო არ გადმმდგარა გზაზე? ხელში წკეპლა უპირავს და ბალღებს ეჩხუბება. თავს უფრო გადავყოფ, დამინახოს-მეთქი, მაგრამ რაღა ბრმა და რაღა ფეფო, თუ ყურში არ ჰასქახე, ქალო, დამინახეო, ზედაც არ შემოგხედავს. მეც ვიწყევლები, მეხი შენც დაგეცეს, გამოგხედა, მე ვიცოდი, იქნება ჩაგსვამდი კიდეც-მეთქი, ჩემი არ იყოს, შენც გიყვარს გაკლა-გამოკლა-მეთქი (კარგი შატაბუტა ქალი იყო). ფეფოც კარგა შორს არი უკვე და ახლა ჩემი მარგალიტას მამამთილი, შაქრო მოდის ვირის „ტაჭკაში“ გაჯგიმული, ხელში სადავე უპირავს, თავი ზემოთ აღიერია. მეხი შენც დაგეცეს და შენ ვირსაც, შაქრო-მეთქი, ვეძახი! ვის ეყურება? ეტყობა, რაც უნდა დაუძახონ, უკან არ მოიხედავს. ვიცინი და ვიწყევლები, ვიცინი და ვიწყევლები. ბოლოს შინ მივდივართ ტარიელასთან...

მისულები არა ვართ, რომ მარგალიტა გადმოვა. აკი ვერ დაგვინახა ვირზე გადამჯდარმა მამამთილმა! დაიწყებს, აქეთურია, იქითურია... წნევა როგორი გაქვ, იმ რაღაცას დამახვევს მკლავზე და რეზინის ბურთს აქსუტუნებს. მერე ამოიოხრებს, ტარიელასა და ამ რძალს (ღვთისნიერი რძალი მყავს, რა ვქნა, ცუდს ვერ ვიტყვი, წყენით უწყენინებია, მეც მიწყენინებია, გეთაყვათ, მაგრამ ცუდს მაინც ვერ ვიტყვი) გადახედავს და რუსულად ეტყვის: „სტოგოსემდისიატ“. ამდენი რუსული აღარ ვიცი? ვითომც და ასოთხმოციო და ახლა მე მომიბრუნდება. ასე როგორ იქნება, დედი, წნევასთან ხუმრობა არ შეიძლება, თავს უნდა გაუფრთხილდეთ, ეხლავე წაგიყვან და ჩაგაწვენო. ჩაწვენა თუ დაჯირდება, ჩვენ ვერ ჩავაწვენთო? წამოენთება ჩემი რძალი (არა, რაც მართალია, მართალია, ბედნიერი ქალი ვარ) და ცოტა ჩხუბიც მოუვათ. რძალი ეტყვის მულს, შენ რო რამე არ დამაბრალო, არ იქნებაო! მული ეტყვის, შენ ხო არ გაბრალებ, ჯერ ახლა მოვიდა, თუ დაბრალებაა, ვეფხოს-უნდა დაბრალდესო და არიან ეგრე გადაბრალ-გადმობრალებაში, ვიდრე მე არ წამოვდგები (ჩემი ეშინიათ!) და არ დავიძახებ, ამა, გაჩუმდით-მეთქი! წინათ რატო არ იყო ეს წნევა-მეთქი! ვიტყოდით, ცოტა უქეიფოდა ვარო, მიეწვებოდით ტახტზე და თავის ტკივილიც გადაგვალიდა და მუცლის გვრემაც-მეთქი! ახლა რო ყველაფერს რაღაცა დაარქვით და სულ წამლებით დადიხართ-მეთქი! დავაშშმინებ, დავაწყნარებ, ისინიც ჩამოსხდებიან და ერთმანეთს დაუტკბებიან: განა არ ვიცი, როგორი რძალიცა ხარო. განა მე კი არ ვიცი... ამ დროს ცეცხლთანა ვტრიალებ და სიმინდებსა ვწვავ. სიმინდებს რო მოვრჩები, ნაკვერჩხლებზე მწვადი უნდა შეეწვა. შამფურებზე კარგა ხანია ავადგე და მარილიც მოვაყარე... ჩემი ქალი მარგალიტა მაინც წამოიწევს, ღამდება, ქმარ-შვილი მელოდებაო. რას ამბობ, ქალო, ვერა ხედავ, უკვე ვმლიო, რძალი ეტყვის. წამოხტება და მართლა დაიწყებს სუფრის გაშლას. ჩემი ქალი, ვიცი იმისი ამბავი, გაინაზება, აქაოდა, ახლა სუფრიდანა ვარ ამდგარი, არ იციო, ყველაფერი მწყენს და ღორის ხორცსაც ვერიდებიო, ისაო, ესაო და ბოლოს მაინც ყველისა და პურის მეტს თითს არაფერს დაადებს. წავა! ჩემი რძალი ერთორ სიტყვას იტყვის, ისეთს კი არაფერს, გულს არ დამწყვეტს, აკი გითხარით, კარგი ქალია-მეთქი და ამასობაში სუფრასაც ავალაგებ. ნეტა რას ალაგებ, ბალღები დაგვიწყდაო? იტყვის ჩემი რძალი და ამისი თქმაა და ორი მგელი-

ვით ბიჭიც შემოვარდება (ის, აკვანში როა ჩაკრული, გოგოა, ენაცვალოთ ბებრ), ჯერ დამსხდრებიც არ იქნებიან, ერთი ერთ ბარკალს სტაცებს ხელსა, მეორე — მეორეს. თან ერთმანეთს ეჩხუბებიან, თან იღმურძლებიან. კარგა რო გამოძღებიან, მაშინღა ეტყვით დედა, მაშ ბებოს არ უნდა მიესალმით, ბიჭოო? აი, მაშინ კი დაიძახებენ, ბებოს გაუმარჯოსო და ისევ გარეთ გაცვივდებიან.

მეორე დღეს მარგალიტა მაინც წამიყვანს...

იმათ სახლში სულ სიჩუმეა. რა ვქნა, მე თავმკვდარი და არ მიყვარს შინ რო ყაყანი არ ისმის. ეს ჩემი მარგალიტა სულ მაჯას ითვლის, ქმარი არი და გაზეთიდან თავს ვერ აალებინებს. სკოლაში რას ასწავლის, ისიც არ ვიცი. ერთხელ ვუთხარი, აბა ერთი ხმა გამეცი, რა დაგიშავე-მეთქი. რა უნდა დამიშავო, კარგი დედაკაცი ხარ და ძალიანაც მიყვარხარო... რათ უნდა ვეჯავრებოდე? ცოტა ამაგი მაქ? ის ერთი ბიჭი, სულ რო ავათ იყო, მე არ გავუზარდე? იწვა ლოგინში გადაფიფრებული და პირში არაფერს იღებდა. ყველას რო გავიგულებდი, ავდგებოდი, სუფთა წითელ ღვინოს გამოვიტანდი ჩაის ჭიქითა, ღვინოში შოთ პურს ჩავუწებები (ჩვენში ბოღლოწოს ვეძახთ) და ნეტა გენახთ, რა ინდაურივით ყლაბავდა ბალღი. მოვიდოდა ჩემი ქალი და იტყოდა, არ ვიცი, ამ ბავშვს რა აცოცხლებს, ამის დარდი ალბათ მომკლავსო. მე კი ვიცოდი, რა აცოცხლებდა! რა მათქმევინებდა, რას ამბობთ? ჩემი ქალი კივილით ქვეყნიერებას აიკლებდა, იმ ბოღლოწოსაც წაართმევდა და მართლა მოკლავდა. აბა ახლა ნახეთ, ცუდი ბიჭი დადგა? გოგოები ერთმანეთსა გლეჯავდნენ ხელიდან. ჩვიდმეტი წლისაც არ იყო, რო დაკორწილდა! ახლა მეორე ცოლი ჰყავ! არც პირველი იყო ურიგო, მაგრამ მეორე ირჩია! რა ვიცი, რატომ? ბედია... იღბალია... პირველისა დედა არ მოსწონდა! არ იცით, ახლანდელების ამბავი? მე რო მაგას მივყოლოდი... ჩემი დედამთილის გულისთვის ჩემი მიხა რო დამეწუნებინა... რას ამბობთ? მაინც ბედია ყველაფერი... ჩემ შვილიშვილს ვერ გავამტყუნებ. ახლა ქალაქშია, სამართლე უნდა გამოვიდეს. რა გაცინებთ? შეიძლება ხუთ ცოლსაც გაეყარო, მაგრამ სხვისი სამართალი მაინც კარგად გაარჩიო. ცხოვრება დიდია...

რას ვამბობდი? გამახსენდა! ერთი საღამოც არი და ტელეფონის ზარი აწკარუნდა, რომელი ხართო? თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით-მეთქი! რათ უნდა ვუთხრა, ვინცა ვარ, იქნება ვინ ოხერია... ერთი ხანობა ჩაჩუმდება, მერე ხითხითს დაიწყებს, თან ეიღაცას (ალბათ თავის პირგახეულ ცოლსა) ეჩურჩულება, ახლო მოიწი, რაღაცას გაგაგონებო. უკვე ვიცი, ეს ჩემი გოგიაა, ის არსაქნელი! ჩემ გოგიას ვეძახი, დისწულია ჩემი. ისიცა და უშოც, უშანგა, ორივენი დისწულები არიან. საწყალმა ჩემმა დამ დიდი ხანი ვერ იცოცხლა. რაღაც ჯანდაბა როა, ისა სჯირდა. ჩემმა სიძემ ერთი წელიწადიც ვერ იგლოვა და ამ ობოლ ბალღებს დედინაცვალი დაუსვა, გოგიასა და უშოს... დედინაცვალი და რა ავი! ეგრე არ უნდა-მეთქი, მიხას ვუთხარი, წამოვიყვანოთ ის ბალღები-მეთქი! წამოვიყვანოთ, მაშ რაო? თქვენა გგონიათ, ჩემმა სიძემ იუკადრისა? კარგიო, ჩემო ცოლისდავო, აბა შენებურად ვინ მოუვლისო, წაიყვა, უარს რათ ვიტყვიო? უარს რაზე იტყოდა! წამოვიყვანე და დავზარდე. ენაცვალოთ დეიდა, ღღესაც დედას მეძახიან! თუ შვილებში ვარჩევდე, ღმერთმა იმათი მამის კვალზე მატაროს. ღმერთი მაღალია, დიდი ხანი არც ის აცოცხლა, ის უბედური, კოლექტივის მანქანაში იჯდა, გადაბრუნდა ის მანქანა და ორმოცი კაცი აქეთ-იქით მოფანტა. ღმერთი არ არიო... როგორ არ არი? ორმოცი კაციდან მარტო ის მოკვდა. იმის დღე უშოს და გოგიას შეემატოთ! ხო, ახლა გოგია იჯღინება ტელეფონში, ის არსაქნელი ხმას იცვლის და მიხრწნილის ხმით მეუბნება:

პელო ხარ, დედაკაცო? ვითომდა ჩემი მიხაა, ჩემი საწყალი მიხა, ახლა რო საფლავში წევს და ძვლებიც არ არის იმისი. მეც ვითომ ვერ ვიცანი, ხო, მე ვარ, პელო ვარ, მიხა ხარ, შე უბედურო-მეთქი? ხო, მიხა ვარო, ვეღარ მიცანიო? საიქიოდან გირეკავ, უშენოდ ვერ გავძელი, იქნებ ხვალ საღამოს სადმე შეეხვდეთო! მაინც სადა-მეთქი? აი, იქაო, წარაფების გადასწვრივ, პირველად სადაც გაკოცეო (ყველაფერი ჩემი ენის ბრალია, რო შეიყრებიან ყველანი, ჩავჯდები და ვლაქლაქებ! აბა ისა თქვაო, აბა ესაო, აბა როდის გაკოცა, როდის გიჩქმეტაო. ამ ჩქმეტაზე სხვა დროს ვეტყვით... ბევრი რო აღარ გელაპარაკოთ, ლაპარაკი სხვისიც მეჯავრება)... მე ვეღარ ვითმენ, სიცილითა ვკვდები. ისიც სიცილითა კვდება, ალბათ ჩემი პირგახეული რძალიცა კისკისებს... აქედან მარგალიტა გამოჩნდება, ჩემი სიძეც, ჰა და ჰა, გაზეთიდან თავს აიღებს და ამ სიცილსა და სიამტკბილობაში ვეუბნები: წარაფების გადასწვრივ შენი სიდედრი დაახვედრემეთქი. გოგი ხარხარებს, ხარხარებს, ლამის ტელეფონი გაიბზაროს, იქიდან, კარგად მესმის, ცოლი ეკითხება, რა გითხრაო? გოგიამ არ იცის, რა უთხრას და ხარხარს უფრო უმატებს. მერე დაცხრება და მეტყვის, წარაფებში კი არა, მარგალიტას უთხარი, ემაგ წამლებით ნუ გვყეპავს, ხვალ საღამოსთვის გამოგვალი და უნდა წამოგიყვანო. ჩემ მარგალიტას სწყინს... მე არცა მწყინს, არც მიხარია, როგორ არა, ღვთის წინაშე, ამ ჩაჩუმებულ სახლს მაინც ღრიალა გოგია და პირგახეული რძალი მირჩევნია. მერე ამ სიხარულს სხვა ფიქრი მიშხამებს: ვითომ მძახალი იქ დამხვდეს? დამხვდეს და იმისთანა შუბლი დავისვა, იმავე დღესვე შინისკენ გარბოდეს. მერე რა, რო მხიარული ქალი ვარ, შუბლის შეკვრა მეც ვიცი! ის არ იყო, თავის ქალს რო უთხრა, ამისი ნიფხვების სარეცხად გამოგგზავნე აქაო? ჩუმად უთხრა! მაგრამ დღემდე გველის ნაკბენივით მახსოვს. არ ვაპატიებ! წნევა კი არა, გულღონებაც რო მჭირდეს, იმაზე აღრე არ მოვკვდები! იმის ქელეხში პურები მე უნდა დავაცხო, მერე დაჯდე და იგრე გულამომჯდარმა ვიჭირო, მთელმა სოფელმა ბანი მიგიხრაო. მოკინარი ქალიაო... თუ დამჭირდა, ავიცა ვარ!

გოგია მართლა გადმოდის და ახლა გოგიაანთსა მივდივართ. დიდი გზა არ არი, ავტობუსით ერთ-ორ სოფელს გადაივლი და იქა ხარ! ავტობუსი გაეკიდილიც რო იყოს, მაინც დამიძახებენ, აქეთ მობრძანდი და ჩამოჯექეო. მიცნობენ... იქნებ გაგვაკინოსო. მეც დავჯდები და ხმას არ ამოვიღებ. ბოლოს ვეღარ მოვითმენ, გულკეთილი ქალი ვარ, გული რათ უნდა დავწყვეტო, პირს გავაღებ და იცინიან. განა რამეს ვამბობ იმისთანას, მაინც იცინიან. ხალხს ამბავი არ იცით? ოღონდ ერთი სალოკი თითი დაანახვე და იმ წუთას ღრეჭას დაიწყებენ. გაამაყებული გოგია ვიღაცას ელაპარაკება. მესმის, კარგად მეყურება, ესაო დედაჩემიაო... რა ცქვიტათ არი, ვერა ხედავო? მაგას რა მოჰკლავს, არ გესმით, რა დღეშიაო! ამ ყოფაში ვართ და გოგია დამიძახებს, ძაან გაგიტკბა აქ ჯდომა, ადე, მოვედითო. მეც ავდგები, მივიხედ-მოვიხედაგ, ყველას თავს დავუქნევ, კეთილ მგზავრობას ვუსურვებ და ჩავალ. მივდივართ, გვცივა და საცაა გოგიას სახლიც გამოჩნდება. დეიდა ენაცვალოს, ორსართულიანი სახლი აიშენა, დაბლა-მაღლა, როგორც ვიტყვით ხოლმე, ორი ოთახი და მარანი დაბლა, თავისი საჩეხით, ოთხი მაღლა! გოგია ჭიშკართან გაჩერდება და ღიდის ამბით დაიძახებს: აბა, გამოდით, ბებო მოვიდაო! შინ არავინა ჩანს, კინოში გაკრეფილან. სინათლე მაინც ანთია და გული რაღაც რეჩხს მიზამს, ერთი პირობა ვიტყვი, მოდი, ისევ უკან გავბრუნდები-მეთქი, მაგრამ, რას ამბობთ, გოგიას გულს როგორ დავწყვეტ. ვითომც არაფერი, ვითომც ვერაფერს მივხვდი-მეთქი და სახლისკენ წავალ. აი, სწორედ მაშინ გამოვა ის მიწადასაყრელი, ჩემი მძახალი, გოგიას სიდედრი, ვითომც ის სიტყვები

არც ეთქვას (მაშინ, ჩემი ნიფხავი რო აუგად ახსენა), გამიღიმებს და მეტყვის: — გამარჯობა, მძახალო!

გაგიმარჯოს-მეთქი, ვეტყვი მეცა და გული რომ ბოლომდე გავუხეთქო, ერთი კარგადაც გადავკოცნი. რამდენი ხანია, აღარ დაგიხედნია ჩვენთვისაო, რასა იქმო, როგორა ხარო... ძალიანაც კარგად-მეთქი. რა ვიციო, წნევები აქ, ისა აქ, ესა აქო... ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და ტანი (ამას გუნებაში ვამბობ), არაფერიც არა მაქ-მეთქი. მერე მოდგება და კრუსუნებს, მე კი ვერა ვარ კარგათო, ეს ბალღებიც ნამდვილი ტყიდან გამოვარდნილები არიან, არაფერი ესმით, ლამის თავზე დამამხონ აქაურობაო, წელიცა მტკივაო, მენჯებიცო, მუხლშიც ვეღარ ვიხრებიო... ხო გიწია ჩემმა ცოდვამა-მეთქი. გულში ფფიქრობ და საათნეში უკვე შოთების ცხობას ვიწყებ (საქელეხე შოთებისა), თან ჩემ გოგიას ვეკითხები, რამდენ კაცზე მოვზოლო, რამდენი გაყავთ დაპატიჟებული-მეთქი... ერთი სამასამდე იქნებაო... თუ გინდა ხუთასი იყოს-მეთქი და ვაცხობ და ვაცხობ, ვაცხობ და ვაცხობ... ეეს, გასაკინებლად ვამბობ, თორე რა დამიშავა მართლა და მართლა, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, ყველანი იქ არა ვართ წამსვლელები? მაინც ჩემზე ერთი-ორი დღით ადრე მოკვდეს, ამდენი პურები ვინ დააცხოს, გეთაყვათ...

მეოთხე დღეს უკვე უშოსთანა ვარ, ჩემ უშანგასთან, იმ ჩემ ნამოლარა დისწულთან. მეგარმონეა! მთელ ჩვენ არეგარეში ქორწილი არ იქნება, იმას რომ არ დაუძახონ. ზოგმა რო იცის, დათვრება და გაგიჟდება, განა უშოც ეგრეა? რაც ბეერსა სვამს, უფრო მეტს იცინის, თუ მთვრალია, ხო ყველაფერზე იცინის. მივალ, გადამეხვევა, ცოლი ცალკე გაიბადრება (აი, მართლა ვინ არი ღვთისნიერი რძალი, პანკისიდან ჩამოვიყვანეთ), ახლა მოყვრებს არ იკითხავთ? წვერჩოშვებულები რო ჩამოვლენ ხოლმე, მე შენ გეტყვი და, ვაგლახათ რამე არა თქვან (მთის ხალხზე ცუდი არავინ მითხრას!). ბალღებსაც დაუძახებენ, მოდით ჩქარა, ბებოა ჩამოსულიო და გადმოოგდებიან ღვინიანებ-ღიპიგადმოგდებული, დაუბანელი და დაუვარცხნელი ბალღები, ერთი გოგო და სამი ბიჭი. რძალი მიხვდება, რომ რაღაცა არ მესიამოვნა და მეტყვის, დამიჯერე, დედამთილო, ერთი საათიც არ იქნება, რაც სუყველას ჩამოვბანე პირიო. აბა ახლა ბებო ჩამოჰბანს და ნახეთ, თუ კიდევ დაითხვარონ-მეთქი... გავახურებ ღუმელსა, გავაცხელებ წყალსა, გავიხედავ და რძალს უკვე ხორცი არ დაუკეპნია? ახლა ცომსა ზელავს და პირზე ღიმილი არა შორდება. იცის, მიყვარს იმისი ღიმილი, ერთხელ ვუთხარი კიდეც... ბიჭსაც ვუთხარი, უშოს და იმანაც, როგორც იცის ხოლმე, თურმე ცოლს უთხრა, რაკი ჰყვარებია, შენც ადექი და სულ უღიმე და უღიმეო. ჯერ ბალღები დაბანილიც არა მყავს, რძალი უკვე ხინკლებს ახვევს. მერე რა ხინკალი იცის, რა კოხტები, რა დახატულები, შეუმა დაგეწინება. მაგრამ სხვა რა გზაა, შეუუმლობაც არ იქნება. საჩქმოდ გაკეთდა, მე რომ მოველ, იმიტომ... ღვინოსაც დავიდგამთ, ბალღებსაც შემოვისხამთ და ვიწყებთ ხინკლობას. ვართ ერთ ყოფაში, ვლაპარაკობთ ნუცაზე, ვეფხოზე, ტარიელაზე, მარგალიტაზე, გოგიაზე, ეგრე და იმ თანმიმდევრობით, როგორც ამოველ, როგორც ეს გზა ამოვიარე. მერე მივიხედავთ და ისევ არ მოუთხვრიათ ტუჩპირი ბალღებსა? აბა მაშინ ვიცინით თუ ვიცინით... ისინიც იცინიან, მეზობელიც დაიძახებს, რა ყოფაში ხართ, ხალხნო, რა ამბავიაო? რძალი ეტყვის უშოს, შემოიყვა, ხინკალი იმდენია, თუ გინდა მთელ უბანს ეყოფაო. უშო გიეთა, მეტიც ხო არ უნდა, გადადგება საჩეხში და დაიძახებს, ხალხნო, მეზობლებო, გადმოდით, ხინკალი არ გინდათ, იმდენია, ყველას გეყოფათო! მეზობლებმა იციან იმისი მხიარული ხასიათი და ჯერ

ხმას არა სცემენ. უშო დგას და ყვირის: გადმოდით, რისი გერიდებათ, მაინც გადასაყრელიაო! მაშინ ჯერ ერთი შეეხმიანება, მერე მეორე, მერე მესამე და რიგრიგობით შემოლაგდებიან, წინდიან ფეხებს კარებთან დაიხდიან, ჩამოსხდებიან და, ღმერთო მაღალო, მაშინღა მივხვდები, რათ დაუძახა უშომ ამოდენა ხალხსა. მაშინ მივა, დედა ენაცვალოს, აიღებს თავის გარმონსა, ჩიხოლს შემოხსნის, ტახტზე დიდის ამბით ჩამოჯდება, გარმონს აატირებს და იმ სიმღერას დაიწყებს, მე რომ მოყვარს: „დედითი, დედადი... საყვარელო ჩემო დედიიი...", მაშინ კი გულში რაღაცა ტკივილი დამეცის ხოლმე და ჯერ ჩემი უბედური და გამახსენდება, მერე მიხა. თვალზე ცრემლსაც მოვიწმინდავ, წამოვდგები და მეორე ოთახში გავალ. უშო, ვითომ ვერაფერს მიხვდაო, სიმღერას დაასრულებს. გამოვა და გამომყვება. აბა, დედო, ვინ შენა და ცრემლიო? განა სულ რო ვიცინი, იმიტომმეთქი? აბა გულშიც ჩამოიხედეთმეთქი! (ამ დროს, ღვთის წინაშე, ცოტა გადაკრულშიცა ვარ). შენზე ბედნიერი ქალი ვინ არიო, ექვსი შვილის დედა ხარ, თუ ჩვენც შვილებთა გვთვლიო. ახლა გული ამაზე ამომიჯდება, როდის გამოგარჩიეთ შვილებში, თქვე წყეულებო-მეთქი? მერეო? შვილიშვილებს ხო ვეღარცა სთვლიო? ხო-მეთქი, ეგრეა-მეთქი, ბედნიერი ვარ-მეთქი, მაგრამ ცრემლები მაინც ღაპაღუპით ჩამომდის, მეც არ მინდა და მაინც ჩამომდის. იმ წუთში ჩემი პატარა სახლი მენატრება, ჩაბნელებული და გამოკეტილი, ჩემი მიხას სახლი (არავის დავანგრევინე, ეგრე უნდა დარჩეს-მეთქი, აქ ვიცოცხლე, აქ დაგზარდეთ და აქვე უნდა მოკვდეთმეთქი). მენატრება ჩემი მოქოხმახებული კარ-მიდამო, ჩემი მონაგარი და ჩუმად ვამბობ, შინ წამოყვანეთ-მეთქი. აბაო, ახლაო, ამ შუაღამისას, ხალხი რას იტყვისო... ხალხს თქვენზე ცუდს როგორ ვთქმევინებ-მეთქი... მაშინ დილაზეო, ადრიანათაო, რა დროსაც შენ ისურვებ და რა დროსაც გვიბრძანებო... შემოდის რძალი და ისიცა ტირის, რამე ხომ არ გეწყინა, დედამთილო, მე თავმკვდარმა რამე ხო არა ვთქვი ისეთი, გული ხომ არ დაგწყვეტეთ... არა-მეთქი, ნეტა შენნაირები სხვებიც იყვნენ-მეთქი... განა არა, ხვდება ვის ბოსტანშიც ვისვრი კენჭებს, ისევ იმ ღვთაებრივ ღიმილს მაჩვენებს და მეც მეღიმება, გულში ვფიქრობ, მეგარმონე რომ არა ყოფილიყო, ამ გოგოს უშოს ვინ მისცემდა-მეთქი... მაგრამ ხმამაღლა ხო არ ვიტყვი, მარტო მეღიმება და ვიმიზეზება, გადაკრულში ვარ და მთვრალის ცრემლები იყო-მეთქი... ეგრე, დედაჩემოო, იცინის უშოც და ისევ დარბაზში ვბრუნდებით.

მეზობლები უკვე წასულან.

მე მთელი ღამე თვალზე რული არ მეკარება, სულ ჩემ გამოკეტილ სახლკარზე ვფიქრობ. მამლები ერთხელ იყივლებენ, მეორედ, მესამედ, ვდგები და ფანჯრიდან ვიყურები. ცისკრის ვარსკვლავი უკვე ამობრძანებულა! მეც უკვე ჩაცმული ვარ. თალხ წინდებზე წუღები მაცვია, ზემოთ — თბილი კაბა და თბილი პალტო. თავზეც თბილი შალი მახვევია, ისიც შაგი. მაშ რა, ქვეყანაა ჩემზე ვალაპარაკო? ქვრივი ვარ და ქვრივობა უნდა მეტყობოდეს, თანაც ვისი ქვრივი... ჩუმად ვაღებ კარებს და კარი მაინც ჭრიალებს. დეიდა ენაცვალოთ, ძილი კარგი იციან, ვერავინ ვერაფერს იგებს და ცომცმ გამოვდივარ ეზოდან. ჯერ ფეხით დავდუყვები იმოდენა გზას, მერე ვიღაცა ნამძინარევი შოფერი წამომეწევა. ეტყობა, იმასაც ეზარება მარტოკა სიარული და გადმომძახის, საით მიდიხარ, დედი, ჩაჯექ, წაგიყვანოო. მე ვეუბნები, აქა და აქ-მეთქი... ჩაჯექო, ერთი მგზავრები ვყოფილვართო... ვსხდვართ და ამ დაცარიელებულ, ნისლებში გაბეეულ შარაზე მივქრივართ. მეც ჩემსას არ ვიშლი, რაღაცას ვეუბნები ტყუილსა თუ მართალს, ვიცინით, და ამ სიცილში ჩემ სოფელსაც მივადგებით. ჯერ ისევ დილაა. სოფელი ახლა იზმორება და ჩემთვის არავისა სცალია. შოფერი სულ გადამგიწყდება, მაღლო-

ბასაც ვერ ვეუბნები, ორღობეში გადავუხვევ და მანქანის ხმაურობა რომ წამომეწევა, მერეღა გავძახი, მადლობა-მეთქი! მოვბრუნდები, ისევ ჩემი ეზოსკენ მივდივარ, კარს ვაღებ და ერთი ხანობა სიჩეზნი ვდგევარ, აგრე მგონია, დავაკაკუნებ, ჩემი მიხა წამოიზლაზნება ლოგინიდან (ეგრეც ბევრჯერა ყოფილა) და ხველებ-ხველებით გამიღებს კარსა-მეთქი. მართლა ვაკაკუნებ და თან აქეთ-იქით ვიხედები, არავინ დამინახოს, გიჟი არავის ვეგონო-მეთქი. მერე კარგა ხანს ვიქექები კაბის ქვეშ გამოკერილ ჯიბეში და გასაღები ამომაქვს. კარს ვაღებ და სიცივე მომაწყდება. შინ უფრო ცივებულა, შინ მთელი კვირის თუ მთელი თვის სიცივე ჩაბუდებულა და იხლა, ჩემ დანახვაზე, სადღაც გარბის. ვანთებ ბუხარს (არც ბუხარი მოვაშლევინე), ვიხსნი შალს, ვიხდი წუღებს და ბუხრის პირას ვჯდები. მარტო ვარ, სულ მარტო ვარ ქვეყნიერებაზე... ხო, იმაზე მოგახსენებდით, ქალისთვის ქმრისთანა არაფერია. აი, მე ხო ექვსი მყვანან, რძლებსა და სიძეებს ალარ ვთვლი, შვილიშვილებს ხომ მართლა ვეღარ დავითვლი ხოლმე, ბებო ენაცვალოთ, იმათი იმედი ღმერთმა ნუ მომიშალოს... რძლებმაც გამიმართლეს, ყველანი უფრო კი უშოს ცოლმა, მძახლებიც... მეხი იმასაც დაცეს, იცოცხლოს რამდენიც უნდა, გაძღეს ამ წუთისოფლით, მე რას მიშლის... ხო, ყველანი თავზე მევლებიან... მაინც მარტო ვარ, მაინც თაგვი ფხაკუნობს კუთხეში, გარედან ჩამიჩუმი არ ისმის და არ ვიცი, თვალზე რული როგორ მოვიკიდო. ერთხელ ყიოვლებენ მამლები, მეორედ, მესამედ... ეს ცისკრის ვარსკვლავიც არა და აღარ ამოდის. დავდივარ, დავფრატუნობ ოთახში და ველოდები... მეც არ ვიცი, რას ველოდები... ჩემ გოგო-ბიბებს? რა ლოდინი უნდათ, ისედაც ამოვლენ. შვილიშვილებს? ოღონდ გაუსახლეე და მაშინვე აქაურობას აიკლებენ ერიამულით. მაშ რას ველოდები? მაშ რაღა მინდა? მაშ რაღა ვარ მარტო ამ წკვარამ ღამეში, ამ თაგვთან ერთად, კუთხეში რომ ფხაკუნობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ხო არ შეგაწყინეთ? ბევრი ვილაპარაკე?! პირში მითხარით, მე ვერ ვხედავ. ... ში მთქმელი ქალი ვარ. მეჯავრება, ბევრი ლაპარაკი რო იციან...

●

რა კაცი იყო ჩემი მიხა, სხვასა ჰკითხეთ, დაიარეთ ჩვენი სოფლები და იკითხეთ, მავან და მავან მიხას თუ იცნობდითთქო. ნახეთ თუ დედაკაცებმა ტირილი არ დაიწყონ, კაცებმა კიდეც არა თქვან, როგორ არ ვიცნობდით, გაცოცხლებული ქრისტე იყოო, მაგრამ, ღვთის წინაშე, დაფსესა კი აკლდაო. განა შვილებისგანაო? არაო, იგრეთ! რა ვიცი, ვისგან რა აკლდა... თვითონ რამეს გეტყოდა, რამეზე დაიჩივლებდა? ჯვარი რო დავიწერეთ, ნიკაკენის ბიჭად მუშობდა. არ ვიცი, მაშინ რას ეძახდნენ, საყდარში ტრიალებდა ხოლმე, წვერი ჰქონდა მოშვებული, შავი წვერი, უხდებოდა, უხდებოდა, ნეტავ შენს დედას, ნეტავ მარტო შენთვის მაყურებინაო. საყდარში იმის საყურებლად დავდიოდით... წირვაზე მღდელსა და დიაკვანს შემოჰყვებოდა და ხატიც იმას ეჭირა ხელში. ჩავმწკრივდებოდ[illegible] გოგოები, ტანზე ჭრელი ჩითის კაბები გვეცვა, კოუებამდე გვწვდებოდა, ზურგზე მსხვილი დალალები გვეყარა, თავზე ჭრელი, კოხტა მოსახვევები გვეხურა, ხო, იმას ვამბობდი, ჩავმწკრივდებოდით ეს ჭრელაჭრელათ გამოშლილი გოგოები, აი, ისეთები, ენძელები რო ვინახავთ გაზაფხულზე, ლილოჭრელზე ჩამწკრივებულნი და იმ ხატს ვემხვეოდით. ის კი იდგა გაშუშებული და, ვითომც არაფერია, ვითომ თქვენთან რა ხელი მაქ, მაცხოვრის მსახური ვარო, ზედაც არ გვიყურებდა, ძაღლადაც არ გვაგდებდა. ცალ ხელში ხატი ეჭირა, მეორე ხელში — თეთრი ხელსახოცი. ვინმე რო ემთხვეოდა ხატსა, ის თეთრი ხელსახოცით გადასწმენდდა და ახლა მეორეს გაუწვდიდა, აჰა, ემთხვიე და განიწმინ-

დეო, განაძე ცოდვა შენიო! მე რა ცოდვა მქონდა ქვეყანაზე, იმის გარდა, რომ ხატს ზედაც კი ვუფურებდი, ხატის პატრონს შევტრფოდი და შევხაროდი. რა მათქმევინებდა... ღვთის მსახური იყო და ღმერთს როგორ განვარისხებდი! ერთი ეს იყო რო, ვინც კი მაჭანკალი გამომიგზავნა, ყველას უარს ვუთვლიდი.

მოდგებოდა ის ჩვენი წუკიაანთ ჯახანა ღობესთან და დაიძახებდა, რა არი, ეს გოგო სახლში ხო არ უნდა დაამწნილოთო? შენ რას გიშლისო, — ეტყოდა ჩემი საწყალი დიდედა. მე კი არ მიშლის, მაგრამაო, აი, ერთი ბიჭია, წინანდლის გადმოსწვრივ, დუქანში რო მოჯამაგირედ დადგა, იმას კი თურმე უშლისო. ახა, ვაგლახოო, ეს რა გავიგონეო, — დაიჯერებდა დიდედაც, რა დაგიშავა იმ ბიჭმა, გოგო, შენი ამბავი რო ვიცი, ან ვაშლს ესროდი, ან წყალს გადაასხამდიო, რომელი მეფე ერეკლე ისა მყავსმეთქი? მაშ რაო, რა მოხდაო? ისაო, რომაო, წირვაზე უნახავს და გულში ჩავარდნიაო. მე რო ქება დავიწყო, ქება რათ უნდა, თვალად ნანახი გყავთ და დუქანშიც კარგ ფულს აიღებს თუ ცქვიტად იქნებაო. ახლა არაფერს არ გეტყვით, კარგად დაფიქრდით და კვირისთვის დამიბარეთ, გადმოვალო; სწორედ ბიჭიც წირვაზე იქნება და გადასადები რაღა არი, ვერა ხედავთ, ფოთლები უკვე გაყვითლდა, საცაა თოვლს ჩამოჭყრის, აცივდება და მარტოკა ლოგინში გაგიცივდებათ ეს გომბიიოო. მერე რა ბიჭიაო, შვილად მერგება, თორე იმის ჩახუტებაზე მეც არ ვიტყოდი უარსო... ეეხ, ჯახან, შენი ენა რას არ იტყვისო, იმისთანა გულდაწყვეტილი ლაპარაკობ, თითქოს თელავში რო იყავი, რამე დაიკქელიო, ეტყოდა დიდედა (შეხუმრებულები იყვნენ). მაშ სული წამიწყდეს, თუ ჩემ ქათქათა მუხლებს კაცის თვალი დაჭკროდესო, ეგრე რო მდომოდა, განა მარტოკა დავრჩებოდიო, განა სხვების გასაბედნიერებლად სოფელ-სოფელ ვილაჯრუნებდიო? ესენი მეცოდებიან, რო უკაცოდ არ დარჩნენო. ქალისთვის კაცი ყველაფერიაო (აკი მეც ეგ გითხარითო), და წავიდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამადგებოდნენ იმ ღამეს ოთხნი და... დაჩემი, დეიდები და ძალუები, აბა მაშინ ხო დიდი ოჯახები გვქონდა და ყველანი ერთად ვცხოვრობდით, იქიდან დიდედაც დაიწყებდა ჩიფჩიფს. ხო, ეგრეა, ქალაბეშაა ეს მიწიგაასხეთქი, ზედ არავის უყურებსო, მარტო წირვაზე ატარე, რო მოვდელს უკნიდან მიეპაროს და ქინძისთავი უჩჩვლიტოსო. ახლავე ცეცხლში ჩაუყარეთ ის ლეჩაქი და ჩიტტიკოპი მე რო გავუმზადეო. გეთაყვაო, თხუთმეტი წლისა გახდა, მართლა შინ ხო არ უნდა დაბერდესო? აგე, ჩვენებიანთ ნუცას ამბავი, ოცისა ხდება და იმის ბედობაზე ჯერ ერთი მამალიც არა ყივისო! მე გავქვავდებოდი და გაგაკლდევდებოდი: არა-მეთქი, არ მინდა-მეთქი! რატომაო? რას უწუნებო? რუს ხელმწიფის შვილიც რო იყოს, მაინც არ მინდა-მეთქი. ვითომ რა გამოხველ, რა ლამაზი შენი ბრძანდები, რო ყველას იწუნებო. აღუუე, ნეკზე არ გვიკბინო, ემანდ ხმა ჩაიწყვიტე, ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთო!

ამ ჩხუბსა და წყევლაში, საქმის გადადებაში, გაჯანჯლებაში, ერთი საღამოც იქნებოდა და ისეց გამოჩნდებოდა ის წუკიაანთ ჯახანა. აბა ახლა გენახათ, როგორ მოდიოდა, მაშინდელივით კი არა, ტუჩმოპრუწული და მონარნარე. მოდიოდა კი არა, ქვეყნიერება თან მოჰქონდა. დიდედაც მაშინვე მიხვდებოდა, წინ გადაუდგებოდა და ეტყოდა: სად მიალაჯუნებ, ჯახან... ზემოთკენ ვიჩქარი, სამზეთვო კაბის ზომა უნდა ავიღოო. ვის ამზითვებო? მავანსა და მავანსო. ვისზე გაასაღეო? გასასაღებელი რა სჯირს, იმისთანა გოგოა, მზეს ეჩხუბება, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო. დედამთილსაც არ წაეჩხუბოს, ჯახან, შე დამწვაროო. ვიცოდი, რომელ ბოსტანშიც ისროდა კენჭებს დიდედა, ღმერთმა გაანათლოს იმისი სული, ოთხმოცდაშვიდისა მოკვდა! რაც მე იმის კუბოზე ვიტირეე... ხო, ისაო, მაინც ვინ არი ის ბედნიერი, ვის ატანო? ვინაო და, თქვე-

ნი დაწუნებული მედუქნის ბიჭია... მაგრამ რაღა თქვენი დაწუნებული, თვითონვე გადაიფიქრაო! რათაო, რაღამ დაუცხო ნდომაო? მეორედ უნახია ეს გოგო წირვაზე და თვალში აღარ მოსცლიაო... თვალიმც გამოსტყვერებაო! არ დამემდურო, ჩემო ნათლიდედ, ყველაფერი ბედია, ესეც ბედი ყოფილი, ერთმანეთისთვის არა ყოფილან დაბადებულებიო.

მიხაროდა, მიხაროდა, მიხაროდა...

მწყინდა კიდევაც! განა არა მწყინდა?

მართლა ხო არ დამიწუნა იმ მედუქნის ბიჭმა-მეთქი. თუ იმან დამიწუნა, ვაითუ, იმანაც-მეთქი... მერე მაინც ჩემი ღვთისნიერი დიდედა დამამშვიდებდა: მეხი კი დეეცეს (ჯახანაზე ამბობდა), ქალი რო ეგრე ლაჯუნს დაიწყებს, რამე დაეჯერებაო? უარი რო ვუთხარით, გამწარდაო! მერე მე მომიბრუნდებოდა და დამტუქსავდა ცხონებული: შენც კარგი მიწადასაყრელი ხარო! ეს უკანასკნელი იყოსო! თხუთმეტი წლის ქალი თუ არ გათხოვდა, მერე იმის გათხოვება ღმერთმა იცისო! რა კოპები შეგიყრია, გოგო, ან გაიღიმე, ან ვინმე თავს რო დაგიკრავს სათამაშოდ, გადადი, იქნება კარგი თვალით შემოგხედოსო?! რაც ეგა თამაშობს, რა ვიციო, — მარნიდან ძალუაჩემი თაფლო იძახის. მე გარეთ ვეღარ გავდივარ და სად დავინახავო, — ჩიფჩიფებს დიდედა. — მეტისმეტიც არა ჰქნა, შვილო, ბიუებმა ცუდი არაფერი იფიქრონო... ეგეთი ქალი იყო დიდედა, სიკვდილისა კი ეშინოდა ცხონებულს... ერთი წუთი მარტო აღარ რჩებოდა. ხელს არ მიშვებდა, მეკედრებოდა, არსად წახვიდეო... თავზე მე ვადექი! ჭირის ოფლმა რო დაასხა, მანიშნა, ერთი ჭიქა ღვინო მომაწოდეო. დავუსხი... დალია... სვენებ-სვენებითა სვამდა და ჩაყვითლებულ ლოყებზე ცოტა ღვინისფერმა გადაჰკრა. მერე ხელებს იწვდიდა, ვითომ მეკედრებოდა, ახლოს მოდიო. განა არა, დავაპირე მისვლა, მიცვალებულისა არ მეშინია. არც მაშინ მეშინოდა! მერე, გეერდში ჩვენი ნათლიდედა ანეტა არ ამომიდგა? დადექი, ნუ მიდიხარო... განა შენღა გხედავსო, სიყვდილს ეხვეწება, წამიყვანე, ნუღა მტანჯავ, დავუჯერე! ნეტა არ დამეჯერებინა... ამ დროს არავის არ უნდა დაუჯერო, როგორც გული გეტყვის, ისე უნდა ჰქმნა. ახლაც ვნანობ, რო დავუჯერე... ბალიშზე რო გადაუვარდა თავი, მაშინ კი მივვარდი. უკვე წასულიყო! თვალებიც მე დავუხუჭე და ფეხებიც მე გავუკარი. ეგრე ვიცით ხოლმე, სანამ ცხედარი გაცივდება... რაც იმას დღე დააკლდა, ჩემ შვილებსა და შვილიშვილებს შეემატოთ. ცუდი პატივი ვეცით? ორი ხარი დავუკალით, სამი წლის ზედაშე მოვუხადეთ, საამდღეოდ გადადებული. იმისი ტოლი ვინც კი იყო იმ არე-მარეში, ყველანი დავუპატიჟეთ. ჰა? რა ბევრნი ისინი იყვნენო? ბევრნი არა ჩანან! ამა ერთად მოუყარე თავი? იმათ ყურებას არაფერი სჯობდა, დავიხოცენეთ სიცილით...

რას ვამბობდი? რაზე დავიწყე და სად გადავედი! ჩემ მიხაზე მოგახსენებდით, მაშინ კი რა ჩემი იყო, გეთაყვათ, ღვთის მსახური იყო, თვალის გასწორებისაც კი მერიდებოდა, ღმერთს არ ეწყინოს-მეთქი. შენ მიდი, კარგად შეირხევი, რისა გეშინიაო? ამას ის დასაწვავები, ბაბალე და დუდანა მეუბნებოდნენ (ის დუდანა, ვისთანაც ახლა ჩალაურში მივდივარ, ჩემი მეჯვარე და დობილი). რისა და მოვდლისა-მეთქი! შენ ეგ ქინძისთავი აქეთ მოგვეცი, დიაკვანს ვუჩხვლიტოთ, ხო იცი იმისი ამბავი, ქოქოლას მოგვაყრის, მთელი საყდარი შეირხევა, მოვდელიც წირვას შეწყვეტს და მარტო ის იდგება გაქვავებული, ის შენი მზე და მთვარე, შენც გაქვავდი და უყურე რამდენიც გინდაო. ეეხ, რას არა ვყბედობდით, ან ქინძისთავი სადა გვქონდა (გვქონდა, როგორ არა გვქონდა), ან მოვდელს წირვას ვინ გაიწყვეტინებდა ან მე რომელი ღმერთი მომცემდა ძალას, რომ იმისთვის თვალი გამესწორებინა... მზეს თვალს ვინ გაუსწორებს (რა გაცინებთ, ჩემთვის მზე იყო)...

ერთი ხანობა გავბრაზდი! ბიჭი არ არი-მეთქი? ერთხელ მაინც გადმომხედოს, ერთხელ მაინც გაიღიმოს, რო აყუდებულ სვეტიანით და მარტო წმინდა გიორგის ხატს მისჩერებია, წმინდა გიორგი ეყოფა-მეთქი? მერე იმ წმინდა გიორგი-ზე გავბრაზდი. წამომჯდარიყო არხეინად თეთრ ცხენზე და გველეშაპსა ჰკლავდა. შიში რა იყო, ერთი ბეწო შიში არ ეტ-ყობოდა! შენმა მზემ, არც კი გეშინია-მეთქი! ვიდექი და საყდარში რო არავინ იყო, მარტო წმინდა გიორგის შევაქე-როდი, რამე მითხარი, რამ გაგაჩუმა კა-ცო-მეთქი! ხმას არ იღებდა. რა ეთქმოდა? რას მეტყოდა? იმასაც კი ვერ შე-ვჩივლე, რაცა მკლავდა და მდაგავდა.

ის ზამთარიც გავიდა...

იმ ზამთარში თხუთმეტისა გავხდი! დიდმა ძალუამ თქვა, ახლა კი მართლა მე ვიცი, ჩვენ სოფელში ერთი თვალადი ბიჭია, მენახრიენო, გადავალ და გავიგებ, უეცოლოდ გადაეგო თუ დაოჯახდა და შვილებიცა ჰყავსო. რა ხნისა იქნებაო? ჯერ ოცდაათისაც არ იქნებაო. წავემხე ბალიშზე და ცრემლები ღაპაღუტით ჩა-მომდის. მაშ ოცდაათი წლის ბებერს უნდა გამაყოლოთ-მეთქი? მაშ ეგრე და-მწყევლა ღმერთმა-მეთქი? შენაო, ლენ-ცოფა ხო არ დაგილეციაო? აბა კარგად გაახილე თვალები, შენი ტოლები სულ ამოდენებზე არ დათხოვდნენო? ახლა გგონია თავი გოგო, თორემ, შვილებს დააჩენ, წამოზრდი და ხუთიოდე წელი-წადში შენც ქალი იქნებიო. თხუთმეტი წელიწადი დიდი დრო ხო არა გგონიაო, თხუთმეტ წელიწადში შენც ოცდაათისა იქნებიო. თხუთმეტ წელიწადში ის ორმოცდახუთისა იქნება და არაფრის თავი არ ექნება-მეთქი! ერთი ამ ურცხვს დაუგდეთ ყური, ხალხნო და ჯამაათნო, რაებსა ლიკლიკებსო! იქიდან მეორე ძალუა იძახის: ეგ ახლა საბძელში კარ-გად დაამწყვდიეთ, შენ კი, ჩემო რძალო, ახლავე გადადი და გაიგე, ის მენახრიე როგორ არი, რასა ფიქრობს და რას აპი-რებსო.

დამამწყვდიეს! მაგრამ რა დამიჭერდა, გეთაყვათ, რა ძალა იყო ამისთანა, რა კლდე, რომ ვერ გამეღღვია და ვარეთ არ გავჭრილიყავი. სწორედ ამორ ფალა იყო და საცაა წორვა ფალა ... ...

დებთ, ვეჩხუბებითო, ვეალერსებითო, ის კი ისევე სლუკუნებს.

კარებს აღებენ და საყდარში შევდივართ. ის შარაზე გაბოტილი წოკლაურის ბიჭი აქაც გაბოტილი დგას და ზემოთ იყურება. დუდანა თავს ნელა მოაბრუნებს და მზერითა ტკბება, უკვე ვატყობთ, რო ტკბება. ჯერ მოთავებულიც არა აქვს დიაკვანს ჯვრისწერა, რო საიდანღაც მღვდელი შემოვარდება და დაიქუხებს, ეს რა ამბავია ჩემს სამწყსოშოო?! ის არი და ისა, იმ გაბოტილ ბიჭს მღვდელი კი არა, რუსს ჯარიც ვეღარ დაუდგება წინა! დასტაცებს ამ ჩვენ დუდანას ხელსა, ზურგზე ბატკანივით მოიგდებს და წავა და წავა...

რაზე ვამბობდი? ვიტყვი ხოლმე, ბევრი არ უნდა ვილაპარაკო-მეთქი და მაინცა ვლაპარაკობ. ისევ გამახსენდა! დუდანაზე ვამბობდი, მე საბძელში ვარ გამოკეტილი, ის კი გზაზე მიდის და მიიმღერის, წირვაზე ეჩქარება და არცა ჩქარობს. ის სიმღერამ იყო, რო გული გამიხეთქა... ვეძახი, დუდან, შე მიწადაყარელო, აბა აქეთ გამოაცურე თვალი, საბძელისკენ, ჭუჭრუტანიდან ვიყურები, მე ვარ, ვეღარ მიცანი, ეგრე და ეგრე, ჩამკეტეს-მეთქი! არ იკითხავთ რას მეუბნებიო? ცნობით კი გიცანიო... მაგრამაო... თქვენების უნებურს ხომ ვერ ვიზამო? რას უნებურსა-მეთქი? იმით ჩაგკეტეს და მე ხო ვერ გაგიღებო... რა მეზი დაგეცემა-მეთქი? ვაითუ, რამე მითხრანო? მიწამც დაგეყრება, ჯანდაბამდე გზა გქონია, ის საყდარი თავზე დაგენგრეს და შიგ ჩაგიტანოს-მეთქი.

წავიდა და ვლნავი, ვლნავი, ვლნავი...

აკი ვეუბნებითო, სულ ბზეში ვარ ამოგანგალული.

უცებ ჩემს თავს ვეუბნები, რა მატრეს-მეთქი? ვიღებ გოდორსა, გოდორზე გოდრულასა ვდგამ და ზედ ვეფოფზები. გადაიქცევა ეს გოდორი და მეც ბზეში გადავყირავდები, გოდრული კი თავზე მემხობა! მაინც ვერ მაჯობებთ, თქვე ასეთ-ისეთებო-მეთქი, ვიწყველები და ყველაზე მეტად იმათა ვწყევლი, იმ წყეულებსა— ბაბალესა და დუდანას. ბოლოს (წირვა უკვე დაწყებული იქნებოდა) ერთხელაც მიგდებული ვარ გოდორი და... მივწვდი! საბძელ-ში ვეებს მივწვდი! მივაწევ კრამიტს,—შეტოკდა. მეორედ მივაწევ, —ქვემოთ ჩაიწია... თან მეშინია, არავინ დამინახოს, მაგრამ ვინ დამინახავს, დიდდა ორ ნაბიჯზეც ვერაფერსა ხედავს, სხვები — დიდიან-პატარიანად წირვაზე არიან წასულები. მივწიე კრამიტები და ვარიასავით ამოვყავი თავი. ქვეყნიერებას გადავხედე! ქვეყნიერება ჩემი მეგონა! თავისუფლად ამოვისუნთქე, ამოვძვერი და გავიქეცი... მივრბივარ და წინდებს ვისწორებ, მივრბივარ და კაბას ვიხერტყავ, მივრბივარ და ფალალებს ვიწნავ, თან ვიმუქრები, ბაბალესა და დუდანას ვემუქრები...

ღმერთო, დიდებულო! შენი სიმართლის ჭირიმე! სწორედ იმ დროს მიველ, როცა ის იდგა ღვთიშობლის ხატით ხელში, მთელი სამწყსო კი, თავდახრილი და რიგად დაწყობილი, ხატის სამთხვევად მიდიოდა... მაშინ კი მოვიფშანე გული. დიაკვანი იდგა და ბაბალესა და დუდანას ტუქსავდა, ერთხელ ხო ემთხვიეთ ხატსა, მეორედ სადღა მიძვრებით, წადით, დიაკონგენით, თორემ ღვთის მადლმა, შეგაჩვენებთოო... მე თავი დავხარე, აქაოდა დიაკვანმა დამინახოს რა მოშიში ვარ-მეთქი. ხალხის რიგს მივყვები და გული დაქერილი მერცხალივით მიფართხალებს. მიველ! შეხედეს როგორ გავუბედავდი, თავი მორჩილად დავხარე და ხატს ვემთხვიე...

ამ დროს ტუჩზე არ მიჩქმიტაა?!

ვინაო? ვინა და ჩემმა მიხამ!

არაო, მოგეჩვენებოდა, არ იცი, რა დამთხვეული ხარო, ვინ მიხა და ვინ ეგრეო. ვერა ხედავ, რა ანგელოზის თვალებით გამოგცქერის, რა მორჩილის სათნოებით ეპატიჟება მრევლსაო, ბაბალე და დუდანა მეუბნებიან და გა-

ნა არა, ვხედები, გულში უნდათ, რო ყველაფერი ტყუილი იყოს, კიდევ კარგა ხანს დავიტანჯო და დავიდაგო. მაშინ აბა, მიდი და მეორედ გაიარეო. მე თავსა ვხრი და დიაკვანთან, მამაო ლაზარესთან მივდივარ, მამაო, ღვთის წინაშე დამნაშავე ვარ, ეგრე ჩავუარე ღვთიშობლის ხატსა, ვერც კი ვემთხვიე-მეთქი, ვწუწუნე და ვატყობ, მამაო ლაზარე იბადრება, აქაოდა, დამაფასაო, შემეკითხაო, თავისით კი არ მოძვრება, როგორც ინ ის, ქრისტეს შემცდენელი გოგოებით! მაგას ვინ დაგიშლის, შვილო ჩემოო, თუ ვერ მოასწარი, ემთხვიეო... მივდივარ და თავდახრილი ისევ მივყვები ხალხსა, ისევ ვცახცახებ ჩიტივით და ისევ იმის ფიქრში ვარ, მართლა იყო ყველაფერი თუ როგორც წყეული გოგოები ამბობენ, მომეჩვენა-მეთქი.

ისევ არ მიჩქმიტაა?!

მაშინ კი გავბედე და თავი ავწიე. ვითომ, უპატრონო ხო არა გგონივარ-მეთქი? მშობლებიცა მყავს და ძიებიც, ძალუებიც და დეიდებიც, ერთი ტკბილი დიდედაც-მეთქი! ძმებიცა მყავს და, თუ გაჭირდა, ხმალსაც იშიშვლებენ-მეთქი! ყველაფერი, ყველაფერი იყო ჩემ ერთ გახედვაში და რო მაგონდება, თვალი ახლაც ცრემლით მეგსება... ჩემმა მიხამ თავი დახარა, ღვთიშობლის ხატი ტუჩებთან მიიტანა და ემთხვია...

მივხვდი, რაც მითხრა ამითა!

მეორე დღეს, დილაადრიანად, მაჭანკალი გვეწვიე.

მე საბძელში ვარ გატრუნული და ველოდები...

როცა მიხას სახელი ახსენა, ბზეში თავი ჩავრგე და ეს ამოდენა ბზე, წვეთა და დაგვით მზეზე გამშრალი, ცრემლით დავასველე.

ახლაც თუ გაქვავდა, მოვკლავო, — დიდედამ თქვა.

შემოცვივდნენ ძალუები, ხელი დამტაცეს და ეგრე, ბზეში ამოგანგლული გამიყვანეს.

წუკიაანთ ჯახანამ ამხედ-დამხედა და თქვა:

თუ ბიჭმა არ გადაიფიქრა...

რაღა ბევრი გავგრძელო, ყველაფერი ეგრე მოხდა...

ახლა კი მიხაზე მეუბნებიან, რა ვიცით, შენი ქმარი იყოო?

მაშ ვისი-მეთქი, ბაბალესი თუ დუდანასი?

ღმერთმა აცხონოს, მერე წვერიც გაიპარსა, ერისკაცობაში გავიდა და გვერდიდან აღარ მომშორებია.

ოთხი შვილი გავიჩინეთ... ღვთის წინაშე, მეოთხე აღარ მინდოდა. რა არა ვქენი, ხან ურმიდან გადმოვხტი, ხან ღობეზე გადავალაჯე, მუცელი მაინც მებერებოდა! ღმერთმა დამიფარა, ღმერთმა თავისი საქმე ჩვენზე კარგად იცის! აკი მოგახსენეთ, ეგრე წვითა და დაგვით გავზარდეთ, ოთხი ჩვენი და ორიც ჩემი საწყალი დისა, აცხონოს ღმერთმა იმისი სული. ახლა ვიტყვი ხოლმე, ჩემი ნაბოლარა ბიჭი უშოა, ჩემი მეექვსე შვილი-მეთქი, უშო რო არ იყოს, ჩემი უშანგა, ვინ მოახვევინებდა ხინკლებს თავის ქალსა, ვინ დაუძახებდა მთელ მეზობლებს, ვინ გაწელავდა გარმონს და ვინ იმღერებდა, საყვარელო დედიო. მეც ანდერძად ესა მაქ დარჩენილი: რო მოვკვდები, ნუ იტირებთ-მეთქი, სატირალი რა არი, ჩემ მიხასთან უნდა წავიდე-მეთქი. ნურც იმ რაღაცა „სკრიპკას" დააკვრევინებთ და ნურც მეზობრნეებს დაუძახებთ-მეთქი. მარტო უშომ გაწელოს თავისი გარმონი და იმღეროს! რას ამბობ, დედი, მასხარად აგვიგდებენონ! მასხარად თავიანთი თავი აიგდონ, სიკვდილი მაინც ჩემი ნებაა-მეთქი... მაშ ის იყო კარგი, რაც კოკობაანთ სარას გაუკეთეს-მეთქი? არ იცნობდით? საიდან გეცნობებათ... მე კი მოვდგები და გელაპარაკებით, ასე მგონია, ყველას იცნობთ! რა ვქნა, ეგრე ვარ, ხანდახან ვიფიქრებ ხოლმე, მთელი ქვეყნიერება ერთმანეთს იცნობს, მაგრამ თავს იმგვარად იჭერს, ვითომ არ ვიცნობო! ერთი შვილი დარჩა, ჩემსავით ექვსი

კი არა. მერე რა, რო ერთი ვარო (ყაბათა მუშაობს ბაზარში, ხელებიდანაც კი ქონი გასდის), დედაჩემისთანა ქალი განა ბევრი იყო დედამიწაზეო? ხალხს რათ უნდა ვთქმევინო, ერთი შვილი დარჩა და იმანაც პატიჟი არა სცაო! დედაჩემისთვინ ფულს დავინანებო? რათ დაინანებდა, გეთაყვათ, მართლა არც ის იყო ურიგო ქალი, ცხონებული, ცოტა შტაბუტა კი იყო, რო გელაპარაკებოდა, დალაგებულად კი არ გეტყოდა, ხან იქ ამოკრავდა, ხან აქ... მოდგებოდა ეზოში, დაიძახებდა, გეტყოდი, ამოდი, დაჯექი, ცოტა ხანს მოისვენე-მეთქი. არაო, დასაჯდომათ სადა მცალიანო, მეჩქარებაო! და დაიწყებდა ლაპარაკსა. დგას და ლაპარაკობს, დგას და ლაპარაკობს. მე ისევ ვეუბნები, დაჯექი, ქალო, მუხლი ჩახარე და ისე ილაპარაკე-მეთქი... რას ამბობო, ცომი მაქ მოზელილი, დამიმეავდება, ვერ დავჯდები, უნდა წავიდეო. მერე მაინც დგას და ლაპარაკობს... ეგრე ლაპარაკში წამოვიდოდა სალამო და მაინც ვერ მორჩებოდა... რძალზე თუ დაიწყებდა ლაპარაკს, ხო ვეღარ გააჩუმებდი. ჩემი რძალო, ისაო, ესაო, იმისთანა ქალი სხვა არ დადისო, ექიმიაო... ეგ რა ექიმობაა? (აი, ის ექიმია, მუცელს რო მოსწყვეტამენ ხოლმე), ჩვენებიანთ მარუსამ სამჯერ მოიწყვიტა მუცელი, ექიმებ სადა ვდიოო, მაგისი ფული სადა მაქო? მერე რაო, მოკვდა? ახლაც იმოდენა ვენახს უვლისო... ხო, ანდერძი მაქ დარჩენილი, მეც სარასავით არ მომჭრათ თავი-მეთქი, ბეგერი რო დაუდგეს! ძეგელი დავუდგითო და მთელი სოფელი დაგვპატიჟეს... წაველი, წაუსვლელობა არ იქნებოდა, ნათესავადაც გვერგება... ვნედავ, სარაა? არ არის სარა! წინდადანაც დავუდექი, უკნიდანაც, გვერდიდანაც გავხედე, არ არი სარა! აბა, იმოდენა ხალხში ხო არ ვიტყოდი რამეს... ორიოდე დღე გავიდა და მიხას საფლავზე მივდივარ, ჭინჭრები უნდა დაგვლიჯო. ის ოხერი იმოდენას ამოიყრის ხოლმე, ნეტავ ჩემს ეზოში ამოდიოდეს იმდენი. გავიხედე, არ იჭურება? გავჩერდი! მიყურებს, ვუყურებ. ვეღარ მოვითმინე და გამარჯობა! რავ-მეთქი. ისევაც იმის სამოწყალოდ ამოიღოს ხმა, როგორაც სარამ მე ხმა გამეცა. მაშინ ვუთხარი ჩემ ბიჭებსა და ქალებს, რძლებო, თქვენც გაიგონეთ მეთქი, იცოდეთ, ჩემი მიხასი არ იყოს, ერთი ლოდი დამადეთ გულზე და ჯვარი დადგით, ისიც იმიტომ, რომ საქონელმა არ გაგვთელოს-მეთქი. ისაო, ესაო, რა დროს ეგ არი, დედიო, არ იცით, ეგეთ დროს ეგ ლაპარაკი იცით შვილებმა... რა უდროოსია-მეთქი? მართლაც რა უდროოსია? რამდენი წლისა ვარ? აბა, თქვენ იანგარიშეთ, ნიკოლოზი რო ჩამოაგდეს ტახტიდან, სწორედ იმ წელიწადს დავიწერე ჯვარი. ნიკოლოზი ვინ არიო? თქვენ, ბალღებმა რა იცით...

ბეგერი ხო არ ვილაპარაკე? ვიტყვი ხოლმე ჩემთვისა, არ ვილაპარაკო-მეთქი და, მაინც ვლაპარაკობ...

●

ახლა ჩემი ნივთების ამბავი უნდა გითხრათ... იქნება გაგონილიცა გაქვთ! არა? რა ვიცი, მაშინ კი მეგონა, ქვეყნიერებამ გაიგო-მეთქი. ბოლშევიკები რო მოვიდნენ, ოცი წლისაც არ ვიქნებოდი... თუ ვიყავი კიდევაც? ნუცა ჯერ არა მყავდა... როგორ არა მყავდა, ხელში მეჭირა და ღნაოდა! ვაჩუმებდი, აგე, ძია მოვა და წაგიყვანს-მეთქი... არც ბოლშევიკები ვიცი ვინ არიან, არც მენშევიკები... აბა, მაშინ გაუნათლებელი ქალი ვიყავი... მერე წერა-კითხვაც ვისწავლე და კომკაშირელიც გავხდებოდი, უარი რომ არ ეთქვით. უარი რათ მითხრეს? ყველაფერი ცხონებულ მიხას დაუბრალეს... ის არ იყო, საყდარში ხატი რომ ეჭირა ხოლმეო? ხო, ის იყო-მეთქი! მერეო? შენ კომკაშირში რა გინდაო? ღმერთმა რო არ იცის თქვენი თავი და ტანი-მეთქი! რითა მჯობიხართ-მე-

თამაზ ჩიჩინაძე
უფროსი ხმისა და ტორტლასათვის

თქი? არ გამართლდა ჩემი სიტყვა? ან როდის არ გამართლებულა? ომი რო დაიწყო და ვერმანია ლეკის მთასთან მოვიდა, ვინც მე კომკავშირში არ მიმიღო, ყაჩაღად გავარდა, მე კი, ამდენი შვილის დედამ, ტანკების ასაშენებლად ხუთასი თუმანი შევიტანე. მაშინ ხუთასი თუმანი დიდ ფულად ითვლებოდა. ეგრე კი არ იყო, ახლა ხუთი დღეც რო არ გეყოფა... სიტყვა სკოლის დირექტორმა დამიწერა და იმოდენა ხალხში წამაკითხეს. ახლაც ზეპირად მახსოვს, რა ვთქვი. მაშინ კი ბლუკუნით წვავიკითხე, სულ მაცახცახებდა. ხალხის ამბავი არ იცით? პატარა საქმე ხო არა გგონია, რაც შენ გააკეთეო, იქნება სტალინმაც კი გამოგიძახოსო. სიხარულით არ მეძინა! დღე და ღამე ველოდებოდი... მართლა სულელი კი ვიყავი, მაშინ სტალინს ჩემთვის ეცალა?

რას ვამბობდი და რაზე გადავედ... ბოლშევიკები რო მოვიდნენ, უკვე გათხოვილი ვიყავი, მაგრამ ჯერ თავში ისევ ქარი მიქროდა. ჩემი მიხას გარდა ქვაქვაზეც ნუ ყოფილა-მეთქი, ვფიქრობ და ამ დროს თელავიდან ჩვენი ნათლიდედა ანიჩკა არ მითვლის? — აბა, პელო (პელო მქვიან, ვეტე კი გითხარით, აქაურობამ დამაბნია, ეს რა ჯოჯოხეთია, გეთაყვაო, ან ეს მდინარე რამ გააცოფა, ან ის ჩალაური სად არი, მართლა არი თუ ტყუილად მივდივართ? ხო, პელო მქვიან, ზედმეტ სახელადაც რას არ მეძახიან, არ იცით, ხალხის ამბავი? თქვენ მაინც პელო დამიძახეთ), აბა, პელო, როგორც დაგარიგებ, ფულაფერი იმგვარად გააკეთეო. ბოლშევიკები მოდიანო, რაც კი გზაზე შეხვდებათ, ყველაფერს ან სწვავენ, ან იტაცებენ და შინ მიაქვთო. რაცა გქონდეს, ძვირფასეულობა და ნივთები, ან რა გექნება შე საწყალო, შენი ქმრის ცოლსაო, ყველაფერი მოხვეტე, ერთ ყუთში ჩაიწყე, სადმე, მოფარებულში ორმო ამოთხარე, შიგ ჩადგი და მიწა მიაყარეო. მერე გადაკეტე კარი და გარეთ ცხვირი არ გამოყო, თორემ იმ ცხვირსაც მოგაჭრიანონ. აბა, შენ იცი, გფარვიდეს უფალი ღმერთი, თუ ახლაც გადავრჩით, მერე ჩვენ ბედს ძალიც აღარ დაჰყეფსო. შენი ნათლიდედა ანიჩკა გითვლის ამბავსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამისკდა გული! მიხას ... ჭა, მიხავ, მიდი, ერთი ყუთი მაინც გამიკეთე, მართლა, რაც გგაბადია ყველაფერი შიგ ჩავყაროთ და გადავმალოთ-მეთქი.

იქ ვერ იპოვნიანო?

რას იპოვნიან, ვის ეცოდინება-მეთქი? სად იყო და სად არა, ღმერთმა სიკეთე მისცეს (მაშინ გავიფიქრე ეგრე), ჩემი დობილი ბაბალე არ მოცუნცულდა მელიასავით? ბაბალე, ეგრე და ეგრე, რა კარგ დროს მოხვედ, უნდა მიშველოთ-მეთქი... მოდი, ეს ხელთუპყარი (ჩემ მიხაზე ვეუბნები) მაინც არაფერს მიკეთებს, ერთი ყუთი გავაკეთოთ და ნივთები გადავმალოთ-მეთქი. მერე შენთან გადავიდეთ, ახლა მე წაგაშველებ ხელსა-მეთქი. ბაბალე თვალს თვალში მიყრის და მეუბნება, მდიდრებს ეშინოდეთ, თორემ მე რა მაქ გადასამალავიო? ერთი დედისეული ბეჭედი მიკეთია და ამისთანა რა ნადირები შემოვლენ, რო თითიდან წამაძძრონო! განა არა, არ მესიამოვნა... რა მდიდარი მე მნახა, ქა! ჩემზე მეტი როდის აღარა ჰქონდა? იმათი ზვრები მატნამდე სწვდებოდა. ოცდასამი მარტო კაკალი ედგათ. ტყეებს აღარ იკითხავთ? ერთი დედისეული ბეჭედიო... მაგრამ თაობითვე ეგრე იყო, ისეთ რამეს გეტყოდა, გულს დაგიკოდავდა. ჩვენ კი მართლა რა გვებადა? სამიოდე დღის სახნავ-სათესი, ერთი ზვარი ბოწკაანში, ერთი ზვარი ახოებში, თორმეტი კაკალი, ერთი პატარა ტყე და საძოვარი, ეგ იყო და ეგ... ამ ყოფაში ვართ, მოვძებნეთ მარანში ფიცრები, ვჭედავთ და ვაკაკუნებთ, იქიდან კი ეს ჩემი მიხა გვეძახის, ცოტა დიდი ყუთი გააკეთეთ, რო ორიოვენი ჩაეტიოთო... გავაკეთეთ! ოფლი ღვარად ჩამოგვდის და თან ნივთებს ვალაგებთ, თან დაღამებას ვუცდით, რო მიწა გავთხაროთ, მიწა დაეყაროს ანიჩკასაც, ბაბალესაც და იმათაც, ვინც მე ამ დღეში ჩამგდო! აკი დაეყარა კიდეც, ანიჩკას ძვლებიც აღარ

არი, ბაბალეც ცოცხალი რა იყო, მკვდარი რა იქნება...

ჩავალაგეთ ნივთებიი! მიხას ქმარი ვერცხლის ბალთით, ჩემი ოქროს საყურეები, ნიშნობის ბეჭედი, ერთი ვერცხლის გულქანდი (დიდი ხნის მერე ამ გულქანდმა გაგვიხსნა სიმართლე), ერთიც სამაჯური მარგალიტის თვლებით, სამი თასი, ერთი დიდი სინი, სუყველანი ვერცხლისა, ერთიც მოჩუქურთმებული ზანდუკი, — პატარა, პატარა, თვალი ზედ დაგრჩებოდა, ისიც ვერცხლით მოჭედილი, — მიხას ქმარ-ხანჯალი, მაშ რა, ისიც ვერცხლით მოსცვადებული! მიხას პაპის ხმალი! ძველებური დამბაჩა! აღარ ისროდა, მაგრამ ბაბალე ატყდა, ოქრო-ვერცხლზე მეტად ეს დადამალეთ, ამას უფრო ეძებენო. ვუცდით და არა ღამდება, ვუცდით და არა ღამდება! მიხა კვდება სიცილით. ბაბალე მეუბნება, მოდი, თუ ღმერთი გწამს, გავთხაროთ, ნეტა ვინ რას გაიგებს, რათა ვთხრითო. გაველით ლეღვებისკენ და დავიწყეთ გათხრა. ორი ბარისპირი ამოღებული არა გვაქ, ეს გიჟი სვიმანა არ მოდის? გამარჯობათო, პირდაპირ თაეზე დაგვადგა. გაგიმარჯოს-მეთქი! რა არი, რასა თხრითო, მაიცა, მოგეზმარებითო! სამარეს გითხრით და აბა საკუთარი ხელით ხო არ გაგათხრევინებთო, — ბაბალე ეუბნება. სვიმანა იღრიჭება და მიდის. ბაბალე გაშტერდება და ამბობს, ეგ მართლა გიჟი ხო არა გგონიაო? კარგად დაიმახსოვრე, წავა და იტყვისო... თავში ქვა უხლია იმასაც და ამ ნივთების მიმგნებსაც-მეთქი, — უკვე მეცა ვბრაზობ, უკვე ღამეც მოდის და ორმო ჯერ არ არი გათხრილი. თან ეს კაციც ვეღარ მოვიშორეთ, ჩვენი მიხა... გაივლ-გამოივლის და დაგვიძახებს, რა ჰქენითო? პატარა არ მოგიგიდეთ, ვაითუ ვერ ჩაეტიოოთ. ამ სიცილ-ხარხარში, შიშში და წყეველაში, როგორც იყო, გავთხარეთ. ყუთი ძძიმედ ჩავდგით და მიწა მივაყარეთ. დაჭანცულები ვართ და მგონია, ჩვენც მოვისვენეთ და ქვეყნიერებამაც-მეთქი. მერე ვივახშმეთ. ცოტა ღვინოც გადავკარით (თამადა მიხა იყო), ცოტა რამე გავიხსენეთ და ბაბალეც აკოკუნდა წავალო, ორორემ ძებნას დამიწყებენო. ვიცოდეთ, თომ არ იციან, სადა ხარ-მეთქი... იციან, მაგრამ მაინცაო, არ იცი, გარეთ გასული ქალის ამბავი, თან რა დროშიო...

წავიდა!

გავიდა ერთი დღე — არაფერი.

გავიდა მეორე — არაფერი...

მესამე დღეს, მოდიანო, დაიძახეს და ყველანი სახლებში შევცვივდით.

აბა მე გული როგორ მომითმენდა და თავი გარეთ გავყავი.

გავიხედე, მართლა მოდიან! დაწყობილი ბიჭები, ერთმანეთზე ლამაზები. ზურგზე თოფები ჰკიდიან, თავზე ძაბრივით ქუდები ახურავთ. მოდიან და მღერიან... ამათი რათ უნდა მეშინოდეს, რა კაცის მჭამლები ესენი არიან-მეთქი, ჩემ თავს ვეუბნები და მთელ სოფელში, კვეხნით არ ვიტყვი, პირველად გარეთ მე გამოვდივარ და ვიძახი:

გაუმარჯოს რევოლუციას!

ესეც ანიჩკამ შემოგვითვალა, ეს ორი სიტყვა დაიძახეთ და ხელს არ გახლებენო.

გაუმარჯოსო! — მიპასუხეს...

აბა, თუ ეგეთი კარგი ქალი ხარ, ერთი წყალი დაგვალევინეო... წყალი რათა-მეთქი? გავრბივარ და ღვინო მომაქ. მაშ რაღა სხვაგან, აქვე შევისვენოთო, იმათი უფროსი ამბობს და იქვე ყორეზე სხდებიან. მე შინ შევრბივარ და მოვარბენინებ ხონჩაზე დადებულ პურებს, ყველს, ნივრებს და ხახვებს. იმათი უფროსი ჭიქას იღებს და გაიძახის: გაუმარჯოს რევოლუციას! დანარჩენებიც ერთხმად შეაწევენ: გაუმარჯოს რევოლუციას! მაშინ მე ვფიქრობ, ასე არ უნდა-მეთქი და ახლა მე ვიძახი: გაუმარჯოს რევოლუციას! ამ ყოფაში ვართ და უცვმ ზურგს უკანაც არ მესმის? — გაუმარჯოს რევოლუციას! მივიხედე და ვისა ვხედავ, ეს ჩვენი მეზობელი, ფიდო გადმომჯდარა ღობეზე, ხელს ზევითა

თამაზ ბიბილური
შვიდი ხმისა და ტორტილასათვის

სწევს და ილიმება, ფიდოსთან ნაჩხუბრები ვართ, ხუთი წელიწადია ერთმანეთს არ ველაპარაკებით... არც ახლა ჩავაგდებდი ძაღლად, მეორედაც რო არ გაეშალა ხელები და ხრინწიანი მამალივით არ დაეყივლა: გაუმარჯოსო! ძაღლადაც არ ჩააგდეს... ახიც იყო, ჩემი სტუმრების წართმევა უნდოდა! ხელი ჯოხს წამოვაკარ და ვეუბნები, აბა, შე ასეთო და ისეთო, დამეკარგე აქედან-მეთქი, შენზე კარგად იციან, ვისთან უნდა გატეხონ პური-მეთქი, დამაცადეო, მე ვიცი, და ეგრე, ბურტყუნ-ბურტყუნით, ღობეს ეფარება... ამ ყოფაში ვართ, მე გულში ვფიქრობ, ეს რა კარგი რამე ყოფილა რევოლუცია-მეთქი და უცებ იმათი უფროსი მეკითხება: შენ ვისი შვილი ხარო, მდიდრისა თუ ღარიბისაო? ღარიბი რათ ვიქნები, განა უშრომელი ვარ-მეთქი? დაფიქრდა და თავი გააქნია. მაშინ კი ვიფიქრე, შე სულელო ჩემო თავო, არ უნდა იცოდე, რომ ადამიანმა, მილიონის პატრონიც რო იყოს, მაინც უნდა იწუწუნოს-მეთქი? ამ შიშში ვარ და უფროსი მეკითხება (რაღა უფროსი, ისიც პირტიტველი ბიჭია) ხო არ იცი, ისინი საით წავიდნენო, მამასახლისი, გზირი, მღვდელიო... მღვდლის ხსენებაზე ელდა მეცა! მაინც არაფერი, მაინც რიხიანად ვეუბნები: მე რა ვიცი, სამი დღეა თვალიც არ მომიკრავს-მეთქი. აბა, თითოც დავლიოთო, ამბობს იმათი უფროსი, თითოსაც სვამენ და მიდიან...

იმ ღამეს ჩემი მიხა დაიპირეს.

წაველ და პირდაპირ იმას მივვარდი, უფროსი ვინც იყო!

ჯერ მინდა ტკბილი სიტყვა ვუთხრა, მოვეფერო, იმისთანა როგორ იქნება, დედაშვილობის მადლი არ იცოდეს-მეთქი, გულში ვფიქრობ. წინ დავუდექი და ავხედ-დავხედე... ვათვალიერებ, ვუცინი... რა გაცინებს, ქალოო? ეგ რა კოკობი ულვაშები გაქ, როგორ გიხდებიან-მეთქი! თან ეღიმება, თან კოპებს იკრავს... იიპ, გაბრაზება სულაც არ გიხდება-მეთქი! უფრო და უფრო არა ბრაზდებაა?! სახე კი გაქ ანგელოზისა, მაგრამ ბრაზიანი ყოფილხარ-მეთქი! ახლაო, ქალოო, რა დროს ლამაზი თვალებია, შინ წადი, თავი დამანებეთ. მაშინ კი წამეკიდა ცეცხლი და დავიყვირე:

— შენ ეგრე ხო არა გგონია, ცეცხლად გექცეს ჩემი ღვინო-მეთქი!

გაწითლდა!

რა ღვინოო? — იკითხა ვიღაცა კაცმა, ტყავის პალტო ეცვა და სათვალე ეკეთა.

ვუყურებ ამ ბიჭსა და ფერი აღარ ადევს.

ტყავის პალტოიანი ეუბნებათ, ახლავე გამოუშვით ამ ქალის ქმარი და იმის ადგილზე ეს ჩაყუდეთო (ბიჭზე ამბობს)!

შემეცოდა!

მიველ, მუხლებში ჩავუვარდი, ნუ გაიმეტებ ამ ყმაწვილსა-მეთქი, ჩემი ენა დამიწდეს, ერთი ჭიქა დალია, განა მეტი-მეთქი. შენაო, ქალოო, გეტყობა ბევრი ლაპარაკი გიყვარსო. ამ წუთში წადი და წაიყვანე შენი ქმარი, ოღონდ იცოდე, ფრთხილად იყოს, მეორედ ხელში არ ჩამივარდესო. მეც უკვე ვატყობ, რო გადავრჩით და ვეხუმრები (ხუმრობა მაშინაც მიყვარდა), თვითონ არ ჩაგივარდება, შენ თუ არ ჩაიგდებმეთქი! ამას კი მე მოვუვლიო... მაგრამ ვატყობ, ყველანი კარგ ხასიათზე დადგნენ და ბოლო კეთილი იქნება. საწყალი, ჩემი მიხა, მერე, ლოგინში რო დავწექით, მითხრა, განა რამისა მეშინოდა, მარტო იმასა ვფიქრობდი, ის არავინ მომტაცოსო. ჩემზე ამბობდა, მაშინაც თურმე ჩემზე ფიქრობდა, იმ ბნელ გომურში, სადაც ჩემი მიხას გარდა, სამი კამეჩი ყოფილა დამწყვდეული, ხუთი ხარი და ორი ძროხა...

ის ნივთები რათ დაგავიწყდაო?

იმ ნივთებს რა დამავიწყებს, იმაზე მოვაყოლე ეს ამბავი, თორემ მიხას დამწყვდევა რა გასახსენებელი იყო?

კარგა ხანი გავიდა, არ ვიცი, რამდენი... ქვეყანა დაშრშმინდა. შიშინობამ ჩაიარა და ჩემი ნივთებიც უნდა ნელ-ნელა გამოვაჩინო... ზაფხულის ღამეა და საცაა მთვარე უნდა ამოვიდეს. რაღა

მთვარეს ვუცადო-მეთქი, მიხას არაფერს ვეუბნები, ვიღა ბარსა და ლეღვიანებში ჩიჩქნას ვიწყებ. თან ჩემ თავს ვეუბნები, დასამალი და მოსაფარებელი რათ უნდა იყოს, ჩემი მონაგარია, სხვისი ხო არა-მეთქი? ერთი-ორი ბარისპირი და ყუთსაც მივადექ... შემოვაცალე მიწა, დავწვდი და უნდა ხვნენშით ამოვწიო... ერთბაშად არ მემსუბუქა? ეს მძიმედ ჩადებული ყუთი ორი თითით არ ამოვწიე? გადავხადე, თავში ელდამ დამკრა!

იმ ერთი ძველი დამბაჩის მეტი ყუთში აღარაფერი იყო!

დაკიელება მინდა და ვერა ვკივი.

თან მიხასი მეშინია, თან მთელი სოფლისა.

ხან ვსლუკუნებ, ხან თავში წაკიშენ...

მიხას მაინც არაფერს ვეუბნები, „ჩუსტებს“ ვიცვამ, შალს მოვიხურავ და ბაბალესთან გავრბივარ. ეგრე და ეგრე, ბაბალე-მეთქი, ჩვენ რო ყუთი ჩავფალით, ამოვიღე და იმ ძველი დამბაჩის მეტი აღარაფერი დაურჩენიათ, პირწმინდათ წაუღიათ-მეთქი. ვინ წაიღებდაო, ეგ ისევ შენი მიხას ოინი იქნება, არ იცი, რა ღვთის პირიდან გარისხულიც იყოო? ბაბალეც იცვამს და მოვდივართ. მიხა ტახტზე გაშოტილა და სძინავს. ვანჯღრევთ, ვიღაიძებთ და ვეუბნებით, ეს რა ხუმრობაა, მიხავ, გულები ხო არ გინდა დაგვიხეთქო, თუ ხუმრობა იყო, ბარეშ დამბაჩა ამოგეღო და სხვა რამეები დაგერჩინა, ეგრე პირწმინდათ როდის დასცალე, რო ვერავინ ვერაფერი გავიგეთო... თქვენ სიზმარში ხო არა ხართო, — გვითხრა ცხონებულმა და თვალები მოიფშვნიტა. მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემი მონაგარი ნივთები, დედის ნაჩუქარი გულქანდი, დიდედას ნაქონი ვერცხლით მოსეკადებული ზანდუკი, პაპაჩემის ქამარ-ხანჯალი, მამამთილის ხმალი, ჩემი მიხას ვერცხლის ქამარი სამუდამოდ გამქრალიყო და ახლა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ვეღარავინ გაიგებდა.

ვზივარ და ვტირი.

იქით ბაბალე მოსთქვამს, მოსთქვამს, გული დაგეთუთქებ.

მიხა გაშტერებული ზის და ვერ ვიცი, რა გვითხრას, რით გვანუგეშებს.

ბოლოს მაინც ბაბალე წამოხტება, იმას გაეხსნება ზეცა და დაიძახებს:

— ის არი, ისა!

შეეხედავ და, ქალი კი არა, ჯადოქარია!

— ვინ ისა, დედაკაცო, ვეუბნები, დაჯექი, რა დღეში ხარ, ვის დავადო ხელი, არ იცი, ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა ათასიო. ვისზე გაქ გუმანი-მეთქი? ახლავე კანცელარიაში მივდივარო, იმის მეტმა ვინ დაგვინახა, მიწას რო ვთხრიდით, მიწა დაეყაროს იმასაო. ვინა, გიემა სვიმანამ-მეთქი? შენ გიჟი ეძახეო...

მეორე დღეს სვიმანა დაიბარეს.

საწყალს თურმე ეგონა, ფოსტალიონად უნდა დამნიშნონო და სულ ფრენით გარბოდა.

მერე ნუ გამახსენებთ... იმ დღის გახსენებაზე დღესაც სირცხვილით ვიწევები... თურმე ათი როზგი რო დაარტყეს, მეცხრეზე დაიძახა, მითხარით მაინც რაზე მკლავთო. ამაზე და ამაზეო, ნივთების ამბავზეო. რა ნივთებიო? მიბრაგუნეთ რამდენიც გინდათ, მე ნივთებისა არაფერი ვიცი... ერთბაშად არ დავიჯეროთო! დაიჯერეთ, თქვენი მუხლების ჭირიმე-მეთქი! ეგრე თუ გეცოდებოდა, რაღათ უჩიენე, ქალოო? როდის ვუჩიენე-მეთქი? ახლა როზგის ღირსი შენა ხარო!

აღარც კი მახსოვს, ის დღე როგორ დაღამდა, მარტო იმას გეტყვით, რომ „ნაობახიდან“ ერთად ვბრუნდებოდით, მე, ბაბალე და ის ნაცემ-ნაგვემი სვიმანა. რა კარგ ხასიათზე იყო, ის უბედური! იღრიჭებოდა და ამბობდა, კიდევ კარგი, არ მომკლესო... განა რამე მტკივაო? მარტო ის მაწუხებს, რო ვერ გავიგე მაინც რაზე მცემდნენო. უკვე მაგათი კაცი ვარო, აბა რამეზე უარი მით-

---

თამაზ ჩიჩილური
ᲨᲕᲘᲓᲘ ᲮᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲠᲝᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ხრანო, ხო დავაჯერე, რო ქურდი არა ვარო.

ჯერ სადა ხართ, ამბავი ახლა იწყება! ეს წყალი მომაწოდეთ, სული მოვითქვა... რამდენი მალაპარაკეთ მართლა და მართლა! ხო, იმას მოგახსენებდით, კარგა ხანი გავდა, ის ნივთებიც გამოვიგლეშვე, ჩვენი ჭირიც წაუღია-მეთქი, სანამ ცოცხლები ვართ და დედამიწაზე დავდიავართ, შიმშილით არ დავიხოცებით-მეთქი. ბალღებიც დავაჩინეთ... თელავიდან ისევ ის ჩვენი ნათლიდედა არ გვატყობინებს? აბა, თქვენ იცით, იჯდეთ — წამოხტით, იდგეთ — გამოიქეცით, თქვენს ნივთებს მივაგენით. ჩემი მიხა მეუბნება, რაღა დროს ნივთებია, დედაკაცო, ემანდ დაჯექ, არ იცი ანიჩკას ამბავი, რაღას არ მოიგონებს, მაშინაც იმას რო არ დაებარებინა ყველაფერი გადამალეთო, ხო არაფერს დავკარგავდითო? რას ამბობ, კაცო-მეთქი, იქნებ მართლა იპოვნა და მეორედ რაღად დავკარგოთ-მეთქი? არ წამამყვა! შენ თუ გიყურე-მეთქი... წადექ! ჩვენ ნათლიდედა ანიჩკას ერთი ნაცნობი ოქრომჭედელი ჰყოლია. ერთიც ვნახოთ და უფიქრია, მოდი, გზად მაინც აქეთა ვარ და რუბენას შევუვლი, ახალი ამბები ეცოდინება, ქვეყანა იმასთან დადის, გავიგებ, რა ხდება ქვეყანაზეო. შეჰყოლიან ლაპარაკს, ძველი დრო გაუხსენებიათ, ბოლოს რუბენას ვეღარ მოუთმენია და უთქვამს: ვიცი, შენ ამისი მყიდველი არა ხარ, მაგრამ იქნებ ეზობლობაში გაიკითხო, ერთი ვერცხლის გულქანდი მაქ, ვერცხლი ვერცხლად იყოს, ნაკეთობაა — თვალი ზედ დაგრჩებაო, დარეჯან დედოფალიც არ დაიწუნებდაო. აბა მაჩვენეო... არ იცით ნათლიდედას ამბავი? ამოუღია და უჩვენებია. ნათლიდედას უცვნია, მაგრამ რას ეტყოდა? ტუჩი აუბზუებია, მეც მართლა რაღაცა მეგონო, ვერცხლაა, სხვა ხო არაფერიო? აბა რამე რო გესმოდეს, გეტყოდი, მაგრამ უნახავი ქალი ხარ და რა იცი, — უთქვამს რუბენას, — ვერცხლი კი არა, თუ გინდა რკინა იყოს, აბი თვალი კარგად გაახილე და დაგვირდი, რა ჩუქურთმაა გამოყვანილი, რა ხაზები, რა ოსტატობა, როგორ ეხუტებიან და ... ...

ვტირი-მეთქი... მაშ რატომაო? იქიდან ნათლიდედა მანაშუნებს, არაფერი წამოგაცდესო, მაგრამ ენა რამეს მეკითხება? ვსლუკუნებ და ვსლუკუნებ, ვეუბნები, ეგრე და ეგრე, ასე იყო და ისე, ეს გულქანდი ჩემია-მეთქი! როგორ თუ შენიაო? ახლა კი აღარ არი, ჩემი იყო-მეთქი. რუბენას მიწის ფერი დაედო და გულქანდი ხელიდან გამომგლიჯა. რას ამბობთ, ეს ინისთანა პატიოსანმა დედაკაცმა მამყიდა, საკუთარი თავივით დავუფიცავ, ან სადმე ეზოში იპოვნა და ფეხი წამოჰკრა, ან ვინმემ აჩუქო. მე ყურს ვუგდებ, მაგრამ განა რამე მესმის? ნათლიდედა რუბენას წინ დაფრიალებს და თვალებს უნაბავს, რუბენ, ჩემი „კავალერი" არ იყავი, არ გახსოვს „ტანკლაშადკაზე" ერთად რო ვცეკვავდითო... ერთხელ აკი გაკოცნინე კიდეცო, ჩემთან რა გაქ დასამალი, ჩემი რათ უნდა გეშინოდესო... რუბენა გაქვავდა! ამა რაღა დროს კოცნაა, აღარც კი მახსოვსო... ნათლიდედამ შეუღიტინა, თუ არ გახსოვს, გაგახსენებო... რუბენ ცოტა მოლბა, რა ვიცი, შარში არაფერში გამხვიოთ, ვერა ხედავთ, რა დროა, დუქანი ისედაც უნდა დამაკეტინონო. მაინც სადაურია და ვინ არი ის პატიოსანი დედაკაცეო? — აო ეშვება ჩემი ნათლიდედა... თქვენი ჭირიმეთ, ის დედაკაცი რა შუაშია, იქნებ ფეხი წამოკრა სადმე, იქნებ ვინმემ ჯიბეში ჩაუგდო, არ იცი, რა დროა, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობსო... ვართ ამ ვაჭრობაში, ამ ხვეწნა-მუდარაში, ვტირი, ვტირი, ჩემი ცოდვით აქეთ ნათლიდედა იწვება, იქით რუბენა და ბოლოს გამოტყდაა...

ჩემი დობილი ბაბალე არ გამოდგაა?! იქვე ჩავიკეცე...

თვალი გავახილე და აღარც ნათლიდედაა, აღარც რუბენა.

გამომძიებელი არ დამდგომია თავზე?..

ნუღარაფერს გამახსენებთ, თქვენი ჭირიმეთ... ჭრილობას ნუ გამიახლებთ... ის გულქანდიც, ომი რო დაიწყო, ჯარისკაცებს გავუგზავნე, ამისი ფულით ტანკი გააკეთეთ-მეთქი.

მადლობაც მივიღე...

ის დღე კი ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება... იჯდა ეს დასამიწებელი ბაბალე და სუდიას ურცხვად უმტკიცებდა, მე არაფერი მომიპარავს, ეს გულქანდი ერთმა კაცმა მაჩუქა და იმის სახელს ვერ გიტყვითო... სხვა ნივთებისა, ღმერთო, ჯერ სული, არაფერი ვიცო. მე აქეთ ვიხვეწებოდი, დაანებეთ თავი, ხო წასული საქმეა, ის ნივთები აღარც მე მინდა, მაგ დედაკაცს ნუ აწვალებთ-მეთქი... იქიდან ჩემი მიხა იძახის, რა ნივთებზეა ლაპარაკი, არ იცით ქალების ამბავი, ორი ქამარი ჩაადგეს ყუთში და აზვიადებენო... ერთი სიტყვით, საქმის შელამაზება გვინდა. ხო წასული საქმეა, ახლა „სუდიაზ" ეუბნები, რა ვქნა, კანონია ეგეთი და უნდა გაგიშვაო... მაინც მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ეს გულქანდი, თუ მართლა სხვამ გაჩუქა, ვინ გაჩუქაო... ვინა და ხიმშიაშვილმაო, ყაჩაღ ხიმშიაშვილზე თქვა, იმ ხანებას ლეკიმთის ტყეებში რო იყო გავარდნილი! მაშინ უთხრა „სუდიამ" ის სიტყვები, დღემდე რო ვერ დავივიწყე, გულიდან რო ვერ ამოვიღე და ჩემ დობილს ბაბალეს ვერა და ვერ ვაპატიე: ქურდი ხო ნამდვილად შენა ხარ, ქალო, ახლა ბოზობაც დაიმტკიცეო... ხიმშიაშვილთან რა გინდოდა, რა საქმე გქონდა იმასთანაო...

ნუღარაფერს მათქმევინებთ, თქვენი ჭირიმეთ. ამ ამბის გახსენება შორიდანა ჩანს ადვილი, თორემ აბა გულში ჩამხედეთ? მარტო იმას გეტყვით, რომ როგორც კი სუდიდან გამოვედით, თოვა დაიწყო, სულ თეთრად გადაპენტა მთელი თელავი. სამნი ვიყავით — მე, ჩემი მიხა და ჩემი ცოდვით სავსე ბაბალე. წინ მიხა მიდის, უკან მე მივდევ, შორიახლო ბაბალე მოგვდევს... შემეცოდა! ვიცი, ჩვენს იქით გზა არა აქ! მეტირება, გული არ დაწყდეს-მეთქი,

და ვეძახი, გადმოადგი ფეხი, დეფაკაცო, ვერა ხედავ, რა თოვლი მოდის, დიდი გზა გვაქ გასავლელი-მეთქი... მაშინ ან ავტო სად იყო, ან ეტლი? ამის თქმაა და ვატყობ, გამოცოცხლდა. არც ისე დაკარგული ვარო, ფიქრობს და, ხო, აკი მოვდივარო, — ჩურჩულებს გამშრალი. მაინც შორიახლო მოცუტცუხებს, ჩვენთან მოსვლისა ერიდება... მივდივართ და თოვს. მივდივართ და თოვს. ხმას არც მე ვიღებ, არც მიხა, არც ბაბალე. მარტო ათასში ერთხელ თოვლს მხრებიდან გადავიბერტყავ და მიხას დავუძახებ: აღარ გამოჩნდა, კაცო-მეთქი? განა არ ვიცი, რომ ჯერ არ გამოჩენილა, ჩვენ სოფელზე გეუბნებით, განა არ ვიცი, ჯერ ორი სოფელი კიდევ უნდა გავიაროთ, ორ სოფელზე უნდა გამოგვყენენ ძაღლები ყეფითა და ღაღვავით, მერეღა მივალთ ჩვენ ქოხში, მერეღა დავანთებთ ბუხარში ცეცხლსა და მივეფიცხებით, რომ ეს წყეული დღე ამ ცეცხლში დავწვათ და სამუდამოდ დავიგიწყოთ... თოვლი კი ისევ მოდის და მოდის. მარტო იმისი ჩუმი შრიალიღა გვესმის და ჩვენც ნელა მივდივართ, თითქოს არ გვინდა, რომ ამ უცოდველ თოვლზე ჩვენი ნაკვალევი დავამჩნიოთ. ბოლოს ჩვენი ქოხიც გამოჩნდა და სამივემ გადარჩენილებივით ამოვისუნთქეთ, თან ზედ ერთი ოხვრაც დავაყოლეთ... წინ ისევ მიხა მიდის, უკან მე მივდევ, შორიახლო ბაბალე მოდის, წელში მოკაკული და თავჩაქინდრული. და ახლა ისეთ დღეში ვარ, აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, მინდა სახლი ისევ სადღაც შორს იყოს და ჩვენც ამ თოვლიან გზაში დაუსრულებლად მივდიოდეთ. შინ შესვლა არ მინდა, შინ შესვლისა მრცხვენია. არ შემიძლია ეს დედაკაცი, ეს ჩვენი ბაბალე, ამ თოვლში, ამ სიცივეში, ეგრე მოკუნტული და თავჩაქინდრული დავარჩინო... თავს არაფერი აუტეხოს-მეთქი, გეთაყვაო... მაშინ ისევ იმ ცხონებულმა გადამარჩინა, ჩემმა მიხამ, ჩემმა ღვთისნიერმა კაცმა: როგორც კი ეზოსთან მივედით, გაჩერდა და გადმოგვხედა. გვიყურა, მიგვიხვდა — რა დღეში ვიყავით და ჩუმად, ვითომც არაუკრიო, ვითომც დღეს ისეთი არაფერი მომხდარა, თქვა:

— ესეც სახლიი...

მერე კი ის სიტყვები გავიგე და ყურებს არ დავუჯერე:

— შემო, ბაბალე, ცოტა ხანს გათბი.

ბაბალე ეფაჩაღუნულია, კანკალებს და ხმას არ იღებს.

— შემო, ცეცხლი დავანთოთ...

ამის გახსენებაზე ახლაც მეტირება...

— შემოვიდა...

მას მერე ხო ამდენი ხანი გავიდა, ის დაწყევლილი დღე ერთხელაც არ გაგვიხსენებია. ახლაც მისვლა-მოსვლა გვაქ და როგორც კი ჭიშკართან მოსულს დავინახავ, დავიძახებ ხოლმე, ჩვენი ბაბალე მოვიდა-მეთქი.

ხო, ადამიანი ეგრე ყოფილა.... ადამიანიცა და დროც... რაც დრო გადის, სიკეთეღა გამახსოვრდება. სხვა ყველაფერი გავიწყდება. ვიცი, დაგდალეთ. მეც დავიღალე. იმისთანა ამბის გახსენება ძნელია, დედავ და შვილო...

●

ეხლა ჩემი პენსიისა გითხრათ. არც კი გეცოდინებათ აქეთ რისთვის წამოველ. პენსიის საქმეზე გეახლებით! სად ჩალაური, სად პენსიაო? ეგ არი თავიდათავი... ყველაფერზე ჩემმა ნუცამ ამტეხა: გინდა თუ არა, ცხონებული მამაჩემის პენსია შენ გეკუთვნის და საბჭოში მიდიო. მიველ! რატომაც არა, კანონი გაძლევს და ჩვენ უარს როგორ გეტყვითო. დაჯე, გარკვევადა დავიწერეო. რატომაც არა-მეთქი! განა ზოგიერთი ვარ, გაზეთებსაც ვკითხულობ და „დიდი მოურავიც“ ხუთჯერა მაქ წაკითხული-მეთქი, დაწყდნენ სიცილით. დავწერე განცხადება და ხელიც მოვაწერე. ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან-მეთქი.

ერთხელ მიველ — არაფერი! მეორედ მიველ — არაფერი! მერე მატარეს და მატარეს! არ იტყვით, რა მი-

თხრეს? ქვეყნის სასაცილო გამხადეს! ერთ მშვენიერ დღეს მიბარებენ და მეუბნებიან, აი, შენ ამბობ, დედი, რომ ის კალატოზი მიხა, ახლახან რომ მიწას მივაბარეთ და ქელეხში ჩვენც გახლდით, შენი ქმარი იყო. ვქექეთ, ვქექეთ ქაღალდები და შენი ქმარი სულაც არა ყოფილაო. როგორ თუ არა ყოფილა, მასხარად თქვენი თავები აიგდეთ-მეთქი! როგორ და არა ყოფილაო! მაშ ვისგან გამიჩნდა ის ოთხი შვილი-მეთქი! ჩვენ რას გვიყვირი, განა არა გვჯერა, იმისგან გაგიჩნდა, უარს ჩვენ კი არა, ქაღალდები ამბობენ, ეშვი ქაღალდებს ეპარებათო. აბა ვინ არ იცის, რომ მიხა შენი ქმარი იყო, სიყვარულითაც გაჰყევი, ოთხი შვილიც — ნუცა, ვეფხო, ტარიელა და მარგალიტა, დიდ პატივს რომ ვცემთ, მიხასგან გეყოლაო, ის კი არა, ორი სხვაც გაგიზრდია და საკა სამართალია, ორდენიც გეკუთვნისო. მაგრამ შენც შემოდი ჩვენს გაჭირვებაში და დაგვიჯერე, ქვეყანა ქაღალდებზე ტრიალებს, აი, ვქექეთ, ვქექეთ ქაღალდები და არც ერთ საბუთში გაკვრითაც არ არი ნახსენები, რომ ის კალატოზი მიხა, ნამღვდელარი (ესეც გაუხსენეს...), მართლა შენი ქმარი იყოო.

ამისთანა გაგონილია და თქმულა? მიხა ჩემი ქმარი არა ყოფილა! ჯვარი ვინ დაგწერათო? ვინა და, დიაკვანმა-მეთქი! რატომ მღვდელმა არ დაგწერათ, სად იყო მღვდელიო? მღვდელი ჩემ მიხაზე გაბრაზებული იყო, ეკლესიას რად განუდგაო და ჩვენი ბედი დიაკვანს ჩაჰაბარა. დიაკვანმა რაღაცა ილუღლუღა და ჩემი თვალით დავინახე, დავთარშიც ჩაგვწერა-მეთქი. მერე ის დავთარი სად არიო? მე რა ვიცი, სად არი, საყდარი რო დაანგრიეს და ზარიც ჩამოხსნეს, ალბათ ის დავთარიც თან მიჰყვა-მეთქი. მერე ახლა სად ვეძებოთო? სადაც გინდათ, იქ ეძებეთ, დავთარი რათ უნდა იმის დამტკიცებას, რომ ცხონებული მიხა ჩემი ქმარი იყო-მეთქი... ჩვენ ისეც გვჯერა, ჩვენ საბუთი არა გვკირდება, საბუთი სხვაგან უნდა გავგზავნოთ, იქიდან კიდევ სხვაგან, რომ პენსია დაგენიშნოს. მარტო შვილების იმედზე ხო არ იქნებ[illegible] ბაბალეს ფული
მაინც ტკბილიაო. ახლა საბუთი სად ვიშოვო-მეთქი? საბუთი კი არა, მოწმე უნდა იშოვო, ვინც ნამდვილად დაგემოწმება, რომ მიხა მართლა შენი ქმარი იყოო. ამას მარტო სასამართლო უშველისო. სასამართლო რო თქვეს, ვიკითხე, ვინ უნდა გაგვასამართლოთ, მე თუ ჩემი მიხა-მეთქი... გასასამართლებელი რა გგირს. დედიო, მარტო იმისი დამტკიცება გვინდა, რომ ის კალატოზი მიხა მართლა შენი ქმარი იყო, მეტი-არაფერიო.

ვიარე, ვიარე და ვიფიქრე, ახლა თუ მიშველიან, ისეც ისინი მიშველიან-მეთქი (ჩემ გოგო-ბიჭებზე ვამბობ...), გაგიხარიან, იმათ მოვაგროვებ და სასამართლოს მივგვრი-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და ყველაფერი თვალწინ დამიდგა. მე თვითონაც მომეწონა და ახლა მე ვიცი-მეთქი, ხმამაღლაცა ვთქვი.

გაველ შარაზე... ავტობუსები მიდიმოდიან... ერთს ხელს ვუწევ და ვეუბნები, აბა, ნუცა ხო იცი, ბიბლიოთეკაში რო მუშაობს-მეთქი. როგორ არ ვიცითო? უთხარით, დედაშენმა დაგვბარა, ორშაბათისთვის უსიკვდილოდ ჩამოდით-მეთქი. მერე სხვა ავტობუსს გავძახი, ვეფხოს ხო არ იცნობთ, ვეფხოსა, აი, მსუქანი ბიჭი რო არი, რაღა ბიჭი, ორმოცს მიტანებულიო! როგორ არაო, როგორ არ ვიცნობთო! უთხარით, დედა გენაცვალოს, ორშაბათისთვის აუცილებლად ჩამოდი, საქმე მაქ, უამისოდ არ დაგიბარებდითქო. ვეტყვით, დედაკაცო, ვეტყვითო, და ავტობუსიც მიგრიალებს. ახლა სხვა ავტობუსს მივკივი: ტარიელა არ იცით? რომელი ტარიელაო? ყიგული რო ჰყავ, მწვანე-მეთქი! ვიცითო, რამეს ხო არ დაგვაბარებო? დაგაბარებთ კი არა,

უთხარით, დედაშენმა შემოგითვალა, ორშაბათ დილას, მკვდარი თუ ცოცხალი, აქა ნახოთქო! ვეტყვით, ვეტყვით, შე ქალობაგახუნებულო, როგორ მოპკივის ავტობუსსაო... მერე მარგალიტასა ვკითხულობ, როგორ არ იცით, აი, წნევას რო უზომავს საექიმოში-მეთქი. ხო, გამხდარი ქალიო? სწორედ ისა-მეთქი, რა ვუთხრათ, რას გვაბარებო? ორშაბათს დილას ყველა საქმე გადადოს და აქ ჩამოვიდეს, დედა ვარ იმისი-მეთქი!

ავტობუსები მიჰქრიან, მე კი ვდგავარ და თითებზე ვითვლი: ყველას შეეუთვალე თუ არა, ყველას მივაწვდინე ხმა თუ არა? ბოლოს გავიფიქრე, მოდი, გოგიას და უშოსაც გავაგებინებ, შვილები არიან, მაშ რა არიან, მოსამართლემ გოგია მარტო რო დაინახოს, ისიც ეყოფა, მაშინვე აიღებს ქაღალდს და დავგიწერს-მეთქი...

იქვე, ორ ნაბიჯზე წელში მოკაკული ლოლა მოფრატუნობს, ისიც კარგა ხნის ქვრივია, და მეკითხება: რაზე იცინი, დედაკაცო? არაფერზე, ჩემს თავს დავცინი-მეთქი. ახლა ლოლაც იცინის და ორივენი ჯერ ერთად მივდივართ, მერე ვეუბნები: შენ წადი, ლოლავ, მე აქ რაღაც საქმე მაქ... ლოლა ჯერ ეჭვით მიყურებს, მერე მაინც მიდის. მე კი ვდგავარ და ვფიქრობ: არა, იმათაც უნდა გავაგებინო, ისინიც შვილები არიან...

სად იყო და სად არა, ახლა ცხვირწინ ჯავახიანთ ნენე ამეტუზა და ისიც მეკითხება: რა შენთვის იცინი, დედაკაცო, ჩვენც გვითხარი და გაგვაცინე... რაღაცა მოვიგონე, მოვატყუე და მართლა გავაცინე. მერე სიცილით წავედით შინისკენ...

ორშაბათი ჯერ გათენებული არ არი და ტარიელა გამოჩნდა. მანქანა ჯერ არც კი გაეჩერებინა, რო ყვირილი დაიწყო, ეგრეა, როგორც კი რამე დაგჭირდეს, მე გამაგებინებ, საადრეო მსხლები კი იმათთვინ გინდა... ზარშან ვენახი ვის დააკრეფინე, აბა, კარგად გაიხსენეო. ვისა და ვეფხოს-მეთქი. მერეო? მერე ხო იცი, რო ... გაკრეფინებთ, მემრის შენ ... ვა და ხმაც ჩაგიწყდება-მეთქი. მაშინ მემრის დამიბარე, რაღა ახლა მიბარებო. განა მარტო შენ დაგიბარე, ღვთის პირით დაწყევლილო, მოსულიც არ იქნები, ყველანი აქ ჩამოვლენ-მეთქი!

ტარიელა მიდგა-მოდგა, ჩემი ნათქვამი ხუმრობა ეგონა, ქვეყანა ეგრე სასაცილო როგორ გახდებოდა, ეს დავიჯეროთო, და მანქანაში დაიაჯინა ჩაჯდომა. შენი ოინი ჩანს, დედი, არ ვიცი რა მაკვარანცხი დედაკაცი ხარ, ჩვენი მოგროვება გინდოდა და რაღაცას იგონებო...

ბოლოს დაიჯერა და ახლა იმაზე აქოთქოთდა, რაღა მე ჩამოველ პირველი, მე სხვებს რათ უნდა ველოდო, ახლა ვეფხო თავის ვენახსა სწამლის, ნუცა თავის ბალღებს გალეტებს უცხობს, მარგალიტა ერთი წნევის გაზომვაში თუმანს იღებს და მე აქ ვიდგე და ველოდოო? აბა რას ამბობ, ან ვეფხო რა ვენახის შემწამლავია, ნუცას გამომცხვარი გალეტი რა პირში ჩაიშვება და ენა როგორ მოგიბრუნდა, ან მარგალიტა როდის იყო ფულზე გაგიჟებული-მეთქი. შენ რო მართლა ძმა იყო, მარტო ეგ დიდი თავი არ გებას და მარტო ღრიალი არ იცოდე, მანქანა შენ გიღმუის, გაირბენდი და ყველას მოგროვებდი, რა შორს ისინი არიან-მეთქი? ერთი იმათი ჭკუაც რა ვთქვი, ახლა კარდაკარ მატარეო! არ გინდა და ელოდე-მეთქი, რათ დაველოდები, ჩავჯდები და წავალო... წახვალ და თავსაც გაგაჩეხამ შუაზე, არ იცი ჩემი ოფოფების ამბავი-მეთქი?!

ამ ყოფასა და ბუზღუნში ტარიელა მართლა ჩაჯდა მანქანაში. ათუხთუხა, ათუხთუხა, ბოლოს გაიღიმა (გაიკრიჭე, გაიკრიჭე...), ჯანდაბას, წავალ, მოვრეკავო, თქვა და მართლა წავიდა.

თვალს მოფარებული არც იყო, ვეფხო გამოჩნდა. შორიდანვე დავინახე, ავტობუსიდან რა დინჯად ჩამოვიდა და

შინისკენ ისე გადმოუხვია, თითქოს სადღაც მიცვალებულთან მიდიოდა, ორიოდ საათის მერე კი ქელეხში უნდა დარჩენილიყო. ჭიშკარში შემოსული არც იყო, იმანაც შორიდანვე დაიწყო, რაღა პირველად მე დამიძახებ ხოლმე, მანქანის ფული რო ჩაუჯიბე, რატო იმას არ გააგებინე, მე შენ გეტყვი, საქმე რამე აწუხებს, დაჯდიგინებს, ხან გურჯაანშია, ხან ყვარელში, ხან სიღნაღშიო. რა მჭვალივით გადგათ იმისი მანქანა, რატო თქვენ კი არ იყიდით, ფულები რო მუთაქაში გაქვთ ჩაკეცილი და ზედ თქვენი ცოლები ასხედან, გამაძძრეთ და იყიდეთ-მეთქი! ვინ გითხრა, რო არ გავაგებინე და არ ჩამოსულა, დედა ენაცვალოს, გათენებული არ იყო, აქ რო დაერჭო, ახლა თქვენ საძებნელად წამოვიდა, თქვენი მოგროვება დავავალე-მეთქი. მაინც რა თავყარილობაა, ვინ უნდა მივიღოთ, ვინ გავაგდოთ ჩვენი ოჯახიდან, ვის ვაჯილდოებთ ან ვის ვუცხადებთ საყვედურსო? მეც ვეუბნები: მიხა თურმე ჩემი ქმარი არა ყოფილა, სხვა კაცის გაკეთებულები ყოფილხართ და ახლა იმისი დამტკიცება გვინდა, რომ მართლა მიხა იყო მამათქვენი... იცი, რა გითხრა, დედიო, მასხარად შენი თავი აიგდე, ნურც მე დამცინი და ნურც ქვეყნიერებას, მართლა უსაქმური ხომ არა გგონივარ, ერთი დღე რო არ მივიდე, დირექტორი ერთი თვე თავსაც აღარ მიკრავს, თქვენთვის სადა მცალიანო,— მეუბნება ვეფხო და ის-ის არი ჭიშკრისკენ უნდა წავიდეს, რომ ავტობუსი ისევ გაჩერდება და ღია კარიდან ჯერ ქალის ხელები გამოჩნდება და ხელში ატაცებული ორიოდე წიგნი, მერე თვითონ ნუცა. ეს ქალი გამაგიკვებს, ამ წიგნებს მაინც სად მოათრევდა, არ იცის რაზეა დაბარებულიო, —გაცეცხლდა ვეფხო და ღიპზე შემოპერილი ქმარი ერთი ნახვრეტით კიდევ მოუშვა. ნუცას გულზე მიუხუტებია თავისი საფრთხილოებელი წიგნები და მიწასაც ისე ფრთხილად ამბიჯებს, თითქოს ეშინია, მის წმინდა სულსა და სხეულს მტვრის ნასახი არ მიეკაროს. ერთხელ მეუბნება, იცი, დედიო, ადამიანები ორ ჯგუფად იყოფიანო, რა-გორ-მეთქი! — ვეკითხები, რიგად ეგრეთ, ერთნი, ვინც წიგნს კითხულობს, ანუ ადამიანები და მეორენი, ვინც წიგნს არა კითხულობენო... იმათ რაღა ჰქვია-მეთქი? არ გეტყვიო... ყველაზე მეტად ისა მწყინს, რომ ამ მეორეთა რიცხვს ჩემი ძმებიც ეკუთვნიან, დეიდაშვილებიც და, რა არა ხდება ქვეყანაზე, ჩემი ქმარიცა და შვილებიცო, აღარას ვამბობ მეზობლებზე და მთელ სოფელზეო... ახლაც, მოდის და ყველაზე უფრო ის აწუხებს, თავის საყვარელ წიგნებს რომ მოგწყვიტეთ, რო არც კი იცის, რათ მოდის ამ მტვრიან ორღობეში...

— ატარე ეგ წიგნები და იარე...—ეგებება ძმა. ნუცა პასუხის ღირსად არც კი ხდის, არც იმას კითხულობს, რა მოხდა, რად დამიბარეთო, სკამზე ჰეწიანად ჩამოჯდება, თავის წიგნს გადაშლის და ძალლად არ გვაგდებს. ვეფხო გიჟდება! სულ ეგრე იყო, იკითხოს მაინც რაზე დავიბარეთო, რა გაგვიჭირდაო. რასა კითხულობს ახლა იმისთანას, რომ ზედაც არ გვიყურებს, არც კი გვეკითხება ან ცოლ-შვილი როგორა გვყავს, ან და-ძმებიო, დედას მაინც კითხე რა ყოფაშია, რა უჭირს, რისთვის გვაგროვებს შვილებსო. გულზე მჯიღს ირტყამს და ის არი, ერთხელაც აპირებს მართლა გავალ შარაზე, ჩავჯდები ავტობუსში და უკან გავბრუნდებიო, რო ორღობეში მწვანე „ეგეული“ გადმოუხვევს და ტარიელა და მარგალიტა გამოჩნდებიან. მარგალიტას ცალ ხელში თავისი მუცელგაბერილი ჩანთა უჭირავს (ალბათ წნევის საზომით), მეორეში კი — ცხვირსახოცი და თვალებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდავს, აქაო და, რამდენი ხანია არ მინახიხარ, დედი, და ეს

რა დღეში ჩავარდნილხარო. მე რო არ ვიყო, ნეტა რა გეშველებოდაო.

ახლა უკვე ოთხნი არიან, მეხუთე მე ვარ და ეზოში მოფენილები ხუთივენი ერთადა ვყაყანებთ: მაინც ეს რა სასაცილოდ გავიხადეთ საქმე, თავი სიზმარში გვგონიაო... ნუცა ამტკიცებს, ამისთანა რამე ჯერ არც ერთ წიგნში არ წამიკითხავსო. მარგალიტა კვერს უკრავს და ანუგეშებს, ეს იმიტომ არის მოგონილი, რომ დედაჩემს ბოლო მოეღოს, რაღაცით ხო უნდა მოკვდეს დედაკაცი. ვეფხო იმუქრება, დედას ვუტირებ თავმჯდომარესო. ტარიელა მანქანაში ჯდება და სადღაც აპირებს გაქცევას, ვიღაცასთან ჩივილს და იმ ვიღაცის აქვე მოყვანას. ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, ეს ექვსი ბრიყვი (დედაშვილებსაც ათვლიდნენ) ამდროულ დედაკაცს რო მარტო დაარჩენს, მასხრად აიგდებენ, მაშ რა იქნებაო.

ამ ყოფაში ვართ და ჩვენებიანთ ჯავახას უფიქრია, რა თავყრილობაა, პელომ ფეხები ხო არ გაფშეკაო. მოდის და მოკრუსულნებს. მე ვდგავარ და შორიდანვე ვეძახი: ნუ გეშინია, ჯავახ, ძაღლი ვარ, მე რა მომკლავს, არ იცი ჩემი გოგო-ბიჭების ამბავი, უჩემოდ ფეხს რო არსად გადგამენ? კვირაცხოვლობაზე მიდენილან, ღღეობაში და ახლა მეხვეწებიან, წამოდიო. შენც წადი, რა თავპატიჟს იდებ, შვილები გავზარდე, შენ გეთქმისო... აბა, ღმერთმა სასიკეთოთ გატარო, კვირაცხოვლობის მაღლი შეგეწეროთო... მეხიც დაგცემიამეთქი, გუნებაში ვფიქრობ, ღღე ისე როგორ გავა, ჩემ ბოსტანში კენჭები არ გადმოისროლონ და არა მკითხონ, პელო, დაო, მაშ თუ ეგრე უნაღვლელი ხარ, თუ შენი ცა ლურჯად კამკამებს, რამ დაგარჩინა ექვსი გოგო-ბიჭის დედა ეგრე თაგვივთ მარტოო! ღმერთმა რო არ იცის თქვენი თავი და ტანი-მეთქი! მეც დავჩექავ... მაშ რა გვექნა, ამ ერთი გოჯი მიწის იმედით დავრჩენილიყავით? ჩემ ეზოში თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, აქ ექვსი სახლი სად აშენდებოდა? ერთ მხარეს გოჩიანი გვემეზობლებიან, მეორე მხარეს ქევხიანები, [illegible] გეტყვი და, ერთი მტკავლი [illegible] რდზე გაიწვეიან, მიწაც დაჰყრიან, საწვეთს არ დაგითმობენ და სახლის ნებას მოგვცემდნენ? მერე რაო, სხვაგან თუ ააშენეს? შორს ხო არ წასულან? ცხვირი რო დავაცემინო, ტარიელა „ხეირიო“ დამიძახებს, ვეფხო კი — ჰა, ძველო, რამეს ხო არ აპირებო (მეხუმრებიან ხოლმე...) სულაც რა ვინმეს საქმეა მარტო ვეგდები თუ ჩემ შვილებთან? სადაც უნდათ, იქ იყვნენ, მაინც ჩემები არ არიან?

ამ ყოფაში ვართ და ტარიელა ამბობს: ახლა მართლა ქვეყნის სასაცილოდ თავს ნუ გავიხდით, როგორმე ამ მანქანაში ჩავეტიოთ, ჩავიდეთ იმ სასამართლოში და მართალი გავგოთ, მიხა იყო მამაჩვენი თუ გიჟი რუბენა, ველისციხის ბაზარზე რო დადიოდა და ხალხს უმტკიცებდა, თამარ მეფეს ვუყვარდიო. თქვენ უკან დაბრძანდით, წინ ჩვენი საყვარელი დედილო დავსვათო. მოდი, სხვა მოწმეებიც რო გვყავდეს, ეს ლოლა და ჯავახაც წავიყვანოთ, გზად კიდევ მთელი სოფელი მოვაგროვოთ და სიმართლეს გავიტანთ, მაშ რა იქნებაო? ეუბნებიან: სულ ეგრე მასხრად უნდა დაბერდე, ბიჭო, ტარიელ, ვერა ხედავ, საწყალი დედაჩვენი რა დღეშიაო? რა დღეშია, მშვენივრადა კაკანებს ოქროს კვერცხისმდებელი ქათამივითაო? მართლა ყველანი მანქანაში უნდა ჩავსხდეთ, რო ორლობეში გარმონი გაიწელა... ეს საიდანღაო? — აყაყანდა ჩემი მიხას ოჯახი. მე შევუთვალე-მეთქი... გარმონის წამოღებაც შენ დაგბარეო? ხო-მეთქი... ხო, ჩემი უშო და გოგია მოდიან. უშო მღერის, გოგია ილანძღება: დედის სახლში უიმათოდ თავი რომ მოუყრიათ და, აქაოდა, ღვიძლი ძმები კი არა, დედაშვილები არიანო, ამათთვის არაფერი გაუგებინებიათ. რა უნდა გაგვეგებინებინა, განა მეორეთა ექორწილდებით, იცით კი რაზე ჩამოველით, ჯერ გაიგეთ და მერე ილაპარაკეთო... რა ვიცით, გადაკრულში ჩანხხართ და

გლოვისა რა გეტყობათო? ღმერთმა სამგლოვიაროდ ნუ გაგვიხადოს საქმე, ჯერ მაგ გარმონს ჩაწყვეტინეთ ხმა და ჩამოსხედით, რომ ყველაფერი წვრილად გიიგოთო.

იმ ერთი ბეწო მანქანაში ვსხდებით და წასვლას ვაპირებთ. ქალები შინა რჩებიან: ვერ ჩავეტევითო, დავიხოცებითო... წინ, რაღა თქმა უნდა, მანქანის პატრონი, ტარიელა ჯდება, უკან — ვეფხო, გოგია და უშო. შოფრის გვერდით დედილო დაჯდესო, საყვარელი, კეთილი, ღობემძვრალო დედილოო. ჯერაც რო არ ვიცით, მართლა ქვეყნის სასაცილოდ გაგვხადეს, თუ ყველაფერი ამ ცხვირნისკარტა ჩიტმა შეთხზა, ამ ერთი ბეწო მანქანაში თევზებივით რო ჩაგვაწყოს თავისი შვილები, თვითონ შოფრის გვერდით წამოსკუბდეს და ძველებურად, მამაპაპურად გავსწოროთ, ვინ იცის საით, თვალისა და გულის გასახარადო.

მილასლასებს ჩვენი მანქანა შარაზე! უშო გარმონს წელავს და მტკრიან მაყვლებს ედება ჩემი საყვარელი სიმღერა: „დეედი, დეედი, საყვარელო ჩემო დედი!“ ის ერთი წუთია ყველაფერი მავიწყდება, გულისტკივილს ერთბაშად სიხარული სცვლის, მძიმე ტვირთი მხრებიდან მეხსნება და მინდა, რომ ამ ბიჭის დაწყებებულ სიმღერას ხმა შევაშველო... მაგრამ ჯერ სხვებმა, სხვებმა უნდა თქვან კრინი თუ ბანი, იმათ, ვინც დღეს სიხარული ჩამომიტანეს, ისევ ამ ტარიელამ თუ გოგიამ... ისინიც, თითქოს ხვდებიან ოთხად მოკუნტული დედის ფიქრსაო, სუფთილს უყოყმანოდ მისრულებენ და ახლა უკვე ერთხმად კი არა, მრავალხმად, მთელი ეს ბორბლებზე შეყენებული კალატოზი მიხას ოჯახი მღერის: „დეედი, დეედი, საყვარელო ჩემო დეედი!“ ჩვენი მანქანა ბედნიერია, მიაჯენებს, გზაზე მტვრის კორიანტელს აყენებს და თითქოს ამ მტვერს მთელ ქვეყნიერებას სახეში აყრის, თითქოს ქვეყანას ხმამაღლა გასძახის, რომ ამაზე უფრო ბედნიერი მანქანა ამ წუთში, დედამიწის ზურგზე, არც ერთ შარაგზაზე არ მიჰქრის და არ არსებობს, უფრო ბედნიერი დედა, ვიდრე ეს ... ბედნიერი ... ოჯახ-ტოლი ... ბედნიერი ... ბედნიერი ... ბედნიერ

ჩემ ბაბალესთან უნდა წავსულიყავი, კორკოტაშვილ ბაბალესთან, იმასთან, ჩემი ნივთების ამბავი რო მოგახსენეთ.

ერთხელ მიველ — შინ არ დამხვდა.

მეორეთ მიველ, ჩემი დანახვა, ღვთის წინაშე, გაუხარდა.

რო ვუთხარი, საქმე ეგრეა და ეგრე-მეთქი, შეეშინდა, სახეზე შეეტყო შიში. დავამშვიდე. დამპატიჟა. დავსხვდით. ვივახშმეთ. ცოტა დადავკარით და მაშინღა მითხრა: აბა მაგაზე როგორ დაგზარდები, დილაზე ავტობუსთან დამხვდი და მე ვიცი. ცოტა არკი მიყვარს იქ შესვლა, ხო იცი, იქ შესვლაზე მართალ კაცსაც კი გული გადაუქანდება და არ დამძრახოო.

რას ამბობ-მეთქი, ერთმანეთი გადავკოცნეთ და წამოველ.

უყურე იმ წყეულს, ჯერ წამოსულიც არა ვარ, კარგად მესმის, ძმისწული ეკითხება: რა უნდოდაო? განა ის უთხრა, რა უნდა სდომოდა, ყმაწვილქალობის მეგობარია და მოვენატრეო. კარგად მესმის, იცინის და ეუბნება: ჯვრის დასაწერად მიდის და ნათლიათ მეპატიჟებაო.

მეხი შენც დაგეცეს, ბაბალე...

ამდენი მალაპარაკე, ამდენი მაქანე. ღირსი მაინც იყო! შენზე ყველაფერი არამია. ერთი ეგ წყალი მომაწოდე, შენ გაზრდას, გოგო, დანარჩენს სხვა დროს გეტყვით. ისედაც ყველაფერი სალაპარაკო და სასაცილო გამიხადეს. რა არ მოიგონეს, რა არ დაგვწამეს, ვითომდა სასამართლოში მითხრეს, რაღა მარტო შვილებს დაჯერდი, ბარემ რძლები და შვილიშვილებიც ჩამოგვიყვანეო. ჩამოგიყვანთ-მეთქი! ამაზე ადვილი რაღაა-მეთქი! მითქვამს და ერთ მშვენიერ დღეს ყველანი ერთად მომიგროვებია. ხო, ეგრეცა თქვეს. ეგრე მოგვიგონეს და ერთმანეთს ამხიარულებდნენ...

●

ვიდრე კაკაჯი დედაბერი წყალს დალევს, შეთხზული ამბის ავტორმა დრო იხელთა და მაინც საჭიროდ ჩათვალა, ყველაფერი უცვლელად გიამბოთ რასაც კაკაჯზე, მის შვილებსა და შვილიშვილებზე ხალხი ჰყვებოდა, და რასაც ამთავითვე ვაცხადებთ, სინამდვილესთან ერთი ბეწო მსგავსებაც არ მოეძებება. ხალხი ხალხია. ხალხს უყვარს გაზვიადება, პატარა ამბის დიდად გაზრდა და იმდენად გაზრდა, რომ ზოგჯერ ველარც გიგეგებ, სად არის თავი და სად ბოლო. ამაში ხალხის ფარული სურვილი ძევს: ამ მოსაწყენ წუთისოფელში ცოტა გაერთოს და თავი შეიქციოს. მაგრამ ერთი კაკაჯ დედაბერს ჰკითხეთ, გასაგონებად თუ ჰქონდა საქმე... და მაინც, შეთხზული ამბის ავტორი თუ ამბის მთხზველი, თავს ვალდებულად თვლის, ის მონაგონიც, ის ტყუილ-მართალიც გითხრათ, რადგან, მისი ღრმა რწმენით, ტყუილშიც ძევს ხოლმე ზოგჯერ დიდი სიმართლე, ანუ სიმართლის დასადგენად ზოგჯერ ტყუილიც გვიწევს ხოლმე დაუფასებელ სამსახურს.

ხალხის დახატული სურათი კი ამგვარია:

პატარა პროვინციული ქალაქის მთავარ ქუჩაზე, და კაცმა რომ თქვას, ამ ქალაქში ყველა ქუჩა მთავარია, კოლონა მოდის, კოლონას წინ ერთი შავთმოსილი ქვრივი მოუძღვის (კაკაჯი!). ქვრივის უკან შვილები მოდიან: ვეფხო, ტარიელა, გოგია და უშო. უშოს ხელში გარმონი უჭირავს და არავინ იცის, რა დროს დასჭირდება, რა დროს გაწეულავს თავისებურად. კაცებს ქალები მოსდევენ(ნუცა, მარგალიტა და რძლები). ქალებს უკან კი ბალლები მოდიან: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ცხრა, ცამეტი, თვრამეტი — დიდი და პატარა, გაზრდილი და მრწემი. არაო, ამტკიცებენ სხვები, თვრამეტზე მეტნი იყვნენო და თანაც უკან კი არ მოდიოდნენ, კოლონას გარშემო უვლიდნენ, ყიჟინითა და ჟივილ-ხივილით ხან თავში მოექცეოდნენ, ხან ბოლოშიო. განსაკუთრებით კი ერთი, ყველაზე პატარა არ ისვენებდა, — შოკოლადით პირმოთხვრილი თეთრი, ქათქათა ღიპით და წერტილი-

სოდენა ჭიპით, არაფერს დაგიდევდათ და ჩიტის ნისკარტივით პაწია სარცხვენელიც უჩანდათ. ზოგი კოხტად იყო გამოწყობილი და მკერდზეც რაღაც წარჩინების ნიშანი ეკეთაო, — ამტკიცებენ მნახველები, ზოგი პირდაუბანელი და თმაგაჩეჩილი წამოსულიყო, ზოგი მღეროდა, ზოგი ღნაოდა, მაგრამ ამბისათვის ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ ყველანი, რაც არ უნდა ქნან და როგორადაც არ უნდა ეცვათ, სამოსლით გამოსულან თუ დედიშობილა, ამ ქვრივის შვილიშვილები არიან. ამის უარყოფა არ შეიძლება. ამას ერთი დანახვითაც მიხვდება კაცო, იმ ნაბოლარას, ჭიპი და სარცხვენელი ვისაც უჩანს, თავისი ცხონებული პაპის შავ ჩარჩოში ჩასმული, გადიდებული სურათი უჭირავს. პატარას უფრო მოზრდილი მოსდევს, მაგრამ ისიც პირმოთხვრილი და ფეხშიშველა. იმას? იმას რა უჭირავს ხელში? დიდი ქაღალდი თუ მუყაო! აი, იმგვარი, ზეიმის დროს რომ გამოაქვთ ხოლმე. ქაღალდზე დიდი ასოებით წერია: „დაგვინიშნეთ პენსია!“ არაო, სხვანი ამბობენ, სხვებს სხვაგვარად წაუკითხავთ: „ჩვენ მიხა პაპას შვილიშვილები ვართ!“ ხალხი კი მომდგარა ქუჩის ფილაქნებზე, თითქოს დაჭერილი არსენა ყაჩაღი მოჰყავთ, მომდგარა და აინს ერთი ყაყანი. ამ პატარა ქალაქს ჯერ არ მოსწრებია ამგვარი რამ და მთელ ქალაქს უნდა არაფერი გამორჩეს. ყველაფერი კარგად დაინახოს... ყველაფერი დიახაც კარგად ჩანს, მაგრამ ხალხის ამბავი არ იცით? მაინც ერთმანეთს აწყდება, კისერს იგრძელებს, წინ და უკან გარბის, ერთმანეთს გასძახის: იმას უყურეთ, იმას! რომელს? სულ წინ რომ მიდის, ტიტლიკანა! (ენაცვალოს ბებო!) სურათი რომ უჭირავს? ხო, სურათი რომ უჭირავს! საით მიდიან? ალბათ მთავარ ქუჩას ჩაიკლიან და მერე გვერდზე გადაუხვევენ! რა უნდათ, რას ითხოვენ? რას გაიგებ, ქუჩაში გამოსვლის უფლებას ვის წაართმევ? აქ მთავარი სხვა რამ არის! რა არის მთავარი? ეს ერთი ოჯახია! არ გამაგიგოთ... ბებია, შვილები, რძლები, ... ძეები, და, რა თქმა უნდა, შვილიშვილები! ეს ამდენი ბალღუჭობა? ბედნიერი ბებია...

რაიონის მესვეურებთან ათასჯერ უფრო გადაკეთებული და გაზვიადებული ამბავი მიდის! ქუჩაშია უკმაყოფილო ბავშვების დემონსტრაციაა, რა თქმა უნდა, უფროსებისგან პროვოცირებული... ხელში უცნობი და ჯერჯერობით დაუდგენელი პროოვნების სურათი უჭირავთ. ისვრიან გაუგებარ ლოზუნგებს. კაცმა არ იცის, რას მოითხოვენ. განსაკუთრებულ საგონებელში გვაგდებს ლოზუნგი: „დაგვინიშნეთ პენსია“. ეს რომ ბებრების დემონსტრაცია იყოს, ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ ამას მოითხოვენ ბავშვები, რომელთაგან ერთი იმ ასაკისაა, ჯერ სარცხვენელიც არ დაუფარავს, ზაფხულია, ცხელა და ტიტლიკანა დარბის. მილიციის უფროსი უტიაშვილი საგონებელში ჩავარდნილი: ძალას ვერ გამოიყენებს! არადა დემონსტრაცია პირდაპირ ცენტრალური მოედნისაკენ მიემართება, სადაც ყველაფერი აშკარა გახდება, მაგრამ გვიანღა იქნება. უტიაშვილი მანქანაში ჯდება და დემონსტრანტებს აედევნება. მანქანა ზედ დემონსტრანტების ცხვირწინ ჩერდება. უტიაშვილი გადმოდის და პირდაპირ იმ დალეული დედაკაცისკენ (კაჭკაჭი!) მიდის, ვინც ვითომ არაფერიო, წვრილშვილში გალაღებულა და ხალხს ხელს უქნევს. მიდის და დედაბერს ეჩხუბება, რომ ამ პატარა, ზრდილობიან და წესრიგით ცნობილ ქალაქს ამგვარი რამ ჯერ არ მოსწრებია, რომ ამდროულ დედაკაცს, ამდენი შვილებისა და შვილშვილების გამზრდელს, ასეთი ხულიგნობა არ ეკადრება. უტიაშვილი ვალდებულია ახლავე დაშალოს დემონსტრაცია. დედაკაცი კი, სულ ცოტა, სამი დღით მაინც დააკავოს. მაგრამ სა-

---

თამაზ გიგილური
ᲨᲕᲘᲓᲘ ᲮᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲝᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ნამ უტიაშვილი დემონსტრანტთა ბებიას ელაპარაკება, შვილიშვილების ჯარმა უკვე დაიკავა მილიციის მანქანა და ახლა შოფერს ამალებენ, ქალაქის პარკისკენ გაგვასეირნე, სადაც „კარუსელი“ ტრიალებს და ნაყინი იყიდებაო. შოფერი უარზეა! შოფერს სურს, რომ ამ გადამწყვეტ ჟამს თავის უფროსს ერთგულება დაუმტკიცოს და ადგილიდან არ იძვრის (გაიელს ხანი და მილიციელი უტიაშვილი შოფერს მადლობის ნაცვლად მოუსაზრებლობას უსაყვედურებს, ჩასხამდი, გაასეირნებდი ქალაქგარეთ, ტრიალ მინდორზე გადმოსხამდი და დემონსტრაციაც ჩაიშლებოდაო). შოფერი მტკიცე უარზეა! ის-ის არი, შოფერს ლეიტენანტი ლეკიშვილიც ეშველება და ბალღები ახლა გაზიანი წყლის დასალევად გარბიან. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ მთელი ქალაქი გადაირია და თვით გაზიანი წყლის გამყიდველიც კი სასმელს უფასოდ იძლევა. თავწასული ყმაწვილები თითო ჭიქას არ სჯერდებიან და ოთხ-ოთხს სვამენ და ისევ, აწ უფრო ძალმოცემულნი, თავიანთ რიგებს უბრუნდებიან. მილიციის უფროსი უტიაშვილი გამოცდილი კაცია და გულში სჯერა, რომ ეს დემონსტრაცია მაინც უწყინარი ფინალით უნდა დასრულდეს. ამ დემონსტრაციას არაფრად ჩაადგებდა, საზოგადოებრივი აზრი რომ არ აფიქრებდეს და ყველაზე უფრო — მთელ რაიონში (და ალბათ მისი საზღვრების გარეშეაც) ცნობილი ჯიბო პატარაშვილი, რომელიც დროდადრო ცენტრში ხელმოწერილ თუ ანონიმურ წერილებს აგზავნის. ჯიბო პატარაშვილს კუჭი აწუხებს, მაგრამ წინა დღით კისლოვოდსკის საგზურზე უარი უთხრეს. ახლა უტიაშვილი ლეიტენანტ ლეკიშვილს ჯიბო პატარაშვილის მოსაძებნად მიაფრენს, ახლავე დაიჭირე, წაიყვანე პროფკავშირების კომიტეტში და საგზური მიაცემინეო. ამასობაში ბავშვთა ჯარი ნაყინის მოსასპოვებლად იბრძვის, ის გაბერილი ახალგაზრდა კაცი კი, რომელსაც (უკვე დადგინდა) უშო, ანუ უშანგი ჰქვია, რომელიც სულაც არა ყოფილა შვილი და ქვრივმა დედაკაცმა დემონსტრანტთა რიცხვის გასაადიდებლად ჩამოიყვანა, გაიმეორეთ მეორის: „დედა, დედა, სასკოლოდ ჩამო დედედ!“ ყმაწვილთა ჯარს კი უკვე ნაყინის ჭამაც მოუსწრია და ახლა, განსვენებული პაპის პორტრეტი, რომელიც უტიაშვილმა აჯანყებულთა ბელადის პორტრეტად მიიღო, სწორედ სასამართლოსკენ მიაქვთ. წინ კვლავ ტიტლიანა ტარიელა მიუძღვით („ბიძის სახელი დავარქვით, ენაცვალოს ბებო...“). მილიციელი უტიაშვილი მაინც შფოთავს და თავისი მანქანით ხან წინ გაუსწრებს დემონსტრანტებს, ხან კუდში მისდევს. უტიაშვილი განსაკუთრებით იმას შიშობს, ქალაქის აღმასკომისკენ არ წავიდნენ ან რადიოკვანძი და რედაქცია არ ჩაიგდონ ხელთ. მაგრამ დემონსტრანტები არც ერთს აპირებენ, არც მეორეს. უტიაშვილი თითქოს ისევ მშვიდდება, მერე კი ეს გაურკვევლობა უფრო აშინებს. გამოცდილებით იცის, ბრძოლა მაშინ ადვილდება, როცა მოწინააღმდეგის მიზანი კარგად არის ცნობილი. აქ კი სწორედ მიზანია ბურუსით მოცული და უტიაშვილი პირველად ნანობს, რომ დემონსტრაციის დაპატიმრების უფლება არა აქვს, განსაკუთრებით კი იმ ყბადაღებული მეგარმონისა, რომელიც ამ გაუგებარი ლაშქრობის ფონს ქმნის და თანაც ერთადერთი სიმღერით. სიმღერა დედაზეა და ძნელი დასადგენია, რითი უკავშირდება ამ დემონსტრაციას. ბოლოს კი აჯანყებულები სასამართლოს შენობისკენ უხვევენ, უტიაშვილიც საბოლოოდ ფიქრობს — დავიღუპეო, და თავის მანქანასაც იქით მიაქროლებს. შეთხზული ამბის ავტორის აზრით კი, უტიაშვილს ცოტა მეტი გამჭრიახობა რომ ჰქონოდა, მიხვდებოდა, რომ დაღუპვის ნაცვლად საქმე სასიკეთოდ შემოტრიალდა: სწორედ სასამართლოს გვერდით იყო მილიცია...

ამ დროს სწორედ სასამართლოს პირდაპირ, ჭადართან იდგა ჯიბო პატარაშვილიც. ჯიბო პატარაშვილს თავზე იმ დროს წაადგნენ, როცა უბის წიგნაკში

რაღაცას გამწარებული იწერდა, და კაცმა რომ თქვას, ამ ქვეყანაზე არც იყო. სხვა გზა არ იყო, უბის წიგნაკი უნდა ჩამოერთმიათ, თუმცა ამგვარი საქციელი შეიძლება კანონის დარღვევადაც ჩათვლილიყო. ყველაფერი კი იმ ერთმა სიტყვამ ქნა, რომელიც უბის წიგნაკში დიდი ასოებით ეწერა და, როგორც მერე გამოირკვა, ჯიბო პატარაშვილის მიერ დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული პოემის სათაური ყოფილა: „შურისძიება!“ ამ სიტყვამ ყველა ერთბაშად გადარია. აშკარად ჩანდა, ჯიბო პატარაშვილისთვის შურისძიების დღე დამდგარიყო. ერთი უბრალო საგზურისათვის თავს ჭრიდა მთელ ქალაქს. იდგა ჭადრის ქვეშ და მოზეიმე იერით დაწვრილებით აღნუსხავდა ყველაფერს, რაც ქალაქში ხდებოდა, მაგრამ (ეს კი შემდეგია გამოირკვა) ჯიბო პატარაშვილს თურმე იმწუთში ქალაქისთვის სულაც არ ეცალა და თავის უბედურ პერსონაჟებზე ფიქრობდა. პოემის ფაბულა აგებული იყო ერთი მოტყუებული ქალის სიყვარულზე, რომლის სატრფომაც სხვა შეიყვარა, ქალმა კი შურისძიება გადაწყვიტა და კაცს ფეხდაფეხ დასდევდა. ჯიბო პატარაშვილი იმწუთში, თავზე რომ წაადგნენ, სწორედ იმ ადგილზე ფიქრობდა, სად შეეხვედრებინა ერთმანეთისთვის ქალი და კაცი და სად შემდგარიყო შურისძიების საშინელი აქტი. ფინალი კი, რაღა თქმა უნდა, მკვლელი ქალისა, ამ სასამართლოში უნდა გათამაშებულიყო. ჯიბო პატარაშვილმა უბის წიგნაკი თვალ და ხელშუა ისე დაკარგა, გონს მხოლოდ გვინ მოეგო, სწორედ იმწუთს, როცა მანქანაში მიიპატიჟეს. ჯიბო პატარაშვილმა ყვირილი დაიწყო, მაგრამ როგორც კი უთხრეს, კი არ გეგერთ, კისლოვოდსკის საგზური მივიღეთ და შენი ძებნით სული ამოგვხდაო, დამშვიდდა, ეტყობა მიხვდნენ, პოემას რომ ვამთავრებ და პატივი მცესო, გაიფიქრა და მაშინვე აღელდა, საკუთარი თავი შეეზიზღა. არაო, ამითი ვერ მომისყიდიანო, — შესძახა და, როგორც კი მილიციამ სიფხიზლე მოადუნა, პატარაშვილი მანქანიდან გადახტა.

ამასობაში კი დემონსტრაცია, თავისით დასრულდაო, — ხითხეთებენ ამბის მომგონები თუ გამზვიდებლები, ამბობენ, რომ საბედნიეროდ, უტიაშვილის ჩარევა საჭიროც აღარ გახდა. შუა გზაზე, ზედ ხალხის თვალწინ, პატარა ტარიელამ, განსვენებული პაპის პორტრეტი რომ ეჭირა და დემონსტრანტებს მიუძღოდა, ზეზეურად ჩაისვარა. სად იყო და სად არა, იქვე ბებო მოვარდა (კაპკაპი!), უი, დამიდგეს თვალიო, გაიცინა, ბიჭს ყველაფერი მოუსუფთავა და მომყეთო, — დაიძახა. ცხონებული მიხას ოჯახი შინისკენ დაიძრა. ექიმებმა თქვეს, რომ ბიჭს ნაყინმა აწყინა.

●

არ დაიჯეროთ, ერთი სიტყვაც არ არი მართალი! ხალხს თუ უდგეთ ყური! ხალხის ენა რას არ იტყვის! ჩემი ბაბალეს მეტი სასამართლოში არავინ წამიყვანია. განა ოინბაზი ვარ, მართლა და მართლა! ათასში ერთხელ რამეს ვიტყვი, ხალხი გავაცინო, კარგ ხასიათზე დავაყენო-მეთქი... ეგ არი და ეგ... სად გავჩერდი? გამახსენდა... ეგ წყალი ისევ გადმომიდგით, ერთი ყლუპიც მოვსვა, ყველაფერს ბოლომდე მოგახსენებთ...

ცხელი დღეა, ვიწვებით და სასამართლოსკენ ორნი მივდივართ, ორივენი — ერთი ბეწვები, წელში მოკაკულები. ერთმა სასამართლოში უნდა დავამტკიცო, რო ცხონებული კალატოზი მიხა, ჩემი ოთხი შვილის მამა და ამოდენა შვილიშვილების ტკბილად მოსაგონარი პაპა, მართლა ჩემი ქმარი იყო, მეორე, ბაბალე კორკოტაშვილი, სწორედ ამის დასამტკიცებლად უნდა დამიდგეს მოწმედ. აკი გითხარით, როცა ჩვენი ბედნიერი ჯვრისწერა მოხდა, სწორედ ის

თამაზ ბიბილური
ეგვიდი ხმისა და ტორელასათვის

დედაკაცი (მაშინ, რაღა თქმა უნდა, გოგო ეთქმოდა) იყო მეჯვარე.

ცხელა, ცხელა, ვიღრჩობით სიცხით.

გავიხედე და ჩვენი მილიციელი უტიაშვილი არ იღრიჭება? (ჩემი ძველი ძმაკაცია). როგორა ხარ, ძველოო, ვერ დაიწერე ჯვარიო?

ეს ჩვენი ბაბალე გამოოცოცხლდება და ეუბნება, ახლა მივდივართ საყდარშიო.

მილიციელი ისევ იკრიჭება და ვატყობ, ბაბალე ცოტა მშვიდდება.

ცოტაც გავიარეთ და ისევ მოძონძდა. სახეზე ყვითელი ფერი გადასდის. ალბათ სიცხის ბრალია-მეთქი. ვფიქრობ და რა ვიცი, იმის გულში რა ხდება... მაინც ვეღარ ითმენს, მებღაუჭება და მეუბნება:

— წყალი მწყურია, დედაკაცო...

მე ვეჩხუბები, რაღა ახლა მოგწყურდა, მივედით კიდეც და საცა ამდენი ხანი მოგითმენია, ცოტა ხანი ვეღარ უნდა მოითმინო-მეთქი? განა რა იქნება, რაღაცას შეგეკითხებიან, ხმის ამოღებაც არ დაგჭირდება, თავი დაუქნიე და გამოდი-მეთქი...

ჩემ ბაბალეს ახლა სხვა სურვილი უჩნდება, ჩუმადა მჩქმეტავს და ჩურჩულებს:

— ის ადგილი ხო არ იცი, სად არი?

მე ვიწყევლები, რა ბალღივითა ხარ, თაობითვე ეგრე იყავი, მოთმინება რა იყო, არ იცოდი, რა ყველაფერი ახლა მოგინდა, ხო არ გინდა მამკლა, ეს საქმე მოვთაოოთ და მერე მე ვიცი, იმ ადგილზეც წაგიყვან (გაგიხმეს თავი), წყალსაც დაგალევინებ და ის ტკბილი თოვლი რო არი, იმასაც ჩაგაცეცხლებ-მეთქი. მაგრამ ჩემ ბაბალეს არაფრის გაგონება არ უნდა. მოდის და მოსთქვამს, იმთავითვე შენ იყავი ჩემი დამღუპველი და ახლაც დამღუპეო...

სასამართლოს კიბესთან ვჩერდებით.

ჰაჰანება არავინა ჩანს.

სულს ვითქვამთ და პირჯვარს ვისახავთ.

უცებ ჩემი ბაბალე კიბის ბოლოში ჯდება და ხელების ცახცახით ამბობს: ცოცხალი თავით იქ ამომსვლელი არა ვარ, მიდი, უთხარი, რო მოვედ-ფანჯრიდან გადმოიხედონ და დამიხარონ. მეც თავს აქედან დავუქნევ, მეტი არაფერი შემიძლიაო.

გაგონილა და თქმულა?

ვწყევლი და ვწყევლი! და ის საწყალიც, სხვა რა გზა დარჩენია, მუხლების ცახცახით ამოდის კიბეზე.

ბოლოს? ბოლოს რა მოხდა?

ზედ სასამართლოს კარებთან მოწმე კორკოტაშვილს გული წაუვიდა...

მესამე წუთი გავიდა, როგორც იყო, თვალი გაახილა და იკითხა:

— სადა ვარ?

როცა ვუთხარით, სადაც იყო, ისევ დახუჭა თვალები.

ამ დროს დავუქექე:

— დაიწვას ჩემი იღბალი-მეთქი! ბაბალე კორკოტაშვილს ყურები მოვუსრისე, სახეზე შუადღის მდუღარე წყალი გადავასხი და როცა საამქვეყნოსკენ მობრუნება შევატყვე, ჩავძახე: არ დამღუპო, ეს პატივი მაინც მეცი, აქ არ მოჰკვდე-მეთქი!

ჩემმა ბაბალემ ეს თხოვნა ამისრულა. ცოტა ხნის მერე შინ მოკვდა, დისწულებით და ძმისწულებით გარშემორტყმული. საკუთარი არავინა ჰყავდა უბედურს...

ამდენი გელაპარაკეთ და არკი გითხარით, როგორ მოკვდა ჩემი უბედური მიხა... აბა, ხო იცით, კალატოზი იყო... ხალხი გამაგიჟებს, მაინც ნადიაკვნარს ეძახდნენ. დიაკვანი როდის გახლდათ, გეთაყვათ... მაშინ ზამთარი იყო, ზემო უბანში ლადოს კედელს უშენებდა. ერთი კი შეჰკადრა, ამ ზამთარში რა დროს კედელიაო, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა. არ იცით ლადოს ამბავი? სულ სადღაც ეჩქარება! შუაღამედე შერჩენილან. თითო ბოთლი დაულევიათ. მე კი ვდგავარ და ველოდები. რა დამაძინებდა, სანამ ჩემი მიხა არ მოვიდოდა. თურმე თან ქვეიფობდა, თან იცინოდა, ლადოს დედას, თეკლეს ეხუმრებოდა, თვალები სადა მქონდა, რატო შენ არ წაგიყვანე

შინაო. კარგი დროისააო, თეკლეც თურმე იფერებდა. შენ იმან აგიბა თვალები, იმ ღობემძვრალამო, ჩემზე ეუბნებოდა, თაობითვე ეგრე იცოდი, ერთისა იყავი და სხვას ძაღლათაც აღარ აგდებდიო. ბოლოს წამომდგარა, შინ უნდა წავიდე, ახლა კი დროა, დედაკაცი მელოდებაო. გამოსულან გარეთ. თოვლი დევს. მთვარიანია. მოწმენდილი... ყინავს... მიხა მაინც იცინის. იცინისო და თეკლეც აუტყდა თურმე, სადღა მიხვალ, მიხავ, დარჩი აქ, რა ჩემი ქმარი გამოგვიარდება ხანჯლითო, ერთხელ მაინც უღალატე შენ დამჭვნარ ცოლსაო. ეგრე იცის, შეხუმრებულება ვართ. წინათაც ეგრე იცოდა. კინაღამ წამართვა ჩემი მიხა. შვიდი წლით იყო მიხაზე დიდი. თურმე იცინიან, იცინიან, იმ შუაღამესას მთელ სოფელს ესმის იმათი სიცილი... მოვიდა და ჭიშკრიდანვე იძახის, ოჯახიშვილებო! ვინა ბრძანდებით-მეთქი! შენ კარები გააღე, მემრე მე ვიცი... შენ იცი თორემ, ვითომ კიდევ რამე შეგიძლიან-მეთქი! ამ ყოფაში ვართ და თან ლოგინში ვაწვენ, თბილათა ვფუთნი... მართლა შემცივდა ეს ოხერიო. — ერთი თქვა და ჩაწვა... გათენდა. გავიღვიძე. გარეთ ისევა თოვს. ვეძახი, ადე, კაცო, გელოდება ის კაცი, კედელი გაქ ამოსაშენებელი-მეთქი. თავი წამოსწია, ფანჯარაზე ფარდა გადასწიეო... რა დროს კედელიაო... გადავწიე! აბა ნახე, როგორა ბარდნისო... გავიხედე, მართლა ბარდნის, ლამაზათა ბარდნის. ეგრე ლამაზი თოვლი ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს. იჯდა და უყურებდა... კარგა ხანს უყურა. უცებ ერთბაშად გაფითრდა, რაღაცა სიცივე მივლის ტანშიო. აბა, ხელი შემაშველე, იქნებ მართლა წამოვდგე, რას იტყვის ის კაციო. წამოვაყენე. გაიარ-გამოიარა. ერთბაშად მოცელილივით დაეცა... დავემხე... თვალებში ჩავცქერი... კაცი აღარ არი...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ეფიქვალ... რომ ახლა ეს მიხას ქვრივიც ჩალაურ მიდის, სადაც თავისი მეორე დობილი, თავისი ჯვრისწერის მოწმე დუდანა ეგულება, ჩალაურელ წიკლაურზე გათხოვილი დუდანა. მდინარის პირას გაკრულ სურათზე ახლა ესეც უნდა გამოჩნდეს და მაშინ უკვე ოთხნი იქნებიან: აბრია მახაური, ის გოგო — ელისო, შიშით ავსილი გარსოს დედა და ეს მხიარული კაჭკაჭი. როგორც კი სურათზე კაჭკაჭი გამოჩნდება, ყველაფერი თითქოს ერთბაშად ამოძრავდება. მას ვერ შეაკრთობს ვერც ამღვრეული მდინარე, ვერც ის, რომ ჩალაური, სადაც თავად მიდის და ესენიც მიდენილან, სადღაც გადაკარგულშია და ხვირინანად არავინ იცის, მართლა სად არი; ვერც ის, რომ ეს ფიქრში წასული კაცი (აბრია მახაური) ხმას არ იღებს, რომ არც დედაკაცსა სცალია მისთვის და მხოლოდ თავის ხარებს გასცქერის, გოგომ კი მარტო მაშინ გაუღიმა, როცა კაჭკაჭმა დაიწყო:

— ჩემი ცხონებული მიხა...

ცოტა ხანში ეს გახუნებული, შიშად ქცეული დედაკაცი, მარტო თავის ხარებს რომ უყურებდა, ხურჯინს ხელს წაატანს და ძლიერი, მამაკაცის ქერეჭიანი ხელებით ამოალაგებს საგზალს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაბლა ყველასთვის გაიშალა.

მახაური ხმის ამოუღებლად აიღებს ხმიადს.

კაჭკაჭი გადაიხარხარებს და თავის გუდასაც გადახსნის.

გოგო ჩაილაპარაკებს:

— არა მშია...

მაგრამ დედაკაცის ნაჯაფი ხელები მაინც მოტეხენ ხმიადს და გოგოს კალთაში ჩაუდებენ.

— პური ყველასია... — ამბობს დედაკაცი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელი

გულის არსებობა რაც ვიგრძენი
მას შემდეგ
მხოლოდ მარჯვენა მხარეს მეძინება.

...და ახლა, ისე როგორც
ორმოცდასამი წლის წინ,
ივლისის პირველ დილას, სიზმრიდან გამოვდივარ
და ბავშვობის სახლის კედელს
ვაკვირდები.
სხვა არის იგი ახლა,
იგი იმდენად ჰგავს ბავშვობის კედელს,
რამდენადაც საფლავში მწოლიარე —
მისი საფლავის მიწას,
რანაირი ცოცხალი ყვავილებით
არ უნდა იყოს მორთული და მოჩითული.
გულის არსებობა რაც ვიგრძენი,
მას შემდეგ შპალერით შეუცვლიათ
კედლის საფარველი,
მაგრამ ხსოვნას და განვლილ ცხოვრებას
რა შეცვლის? ცრემლის და ტკივილის დავიწყება
შეუძლებელია, შეუძლებელია, შეუძლებელია!

...იმხანად ჩვენი
სახლის ოთხივე კედელზე
გაზეთის ერთი და იგივე ნომრები იყო გაკრული,
და მე, ყოველ დილით,
ვიღვიძებდი ათას ცხრაას ოცდაშვიდი წლის
ინფორმაციებში...
ვიწექი ქართული შრიფტის სარკოფაგში
და საწოლიდან,
კითხვის ნიშანივით მოხრილი,
თვალისგახელეისთანავე ვმარცვლავდი:
„იზრდება სოფლად სამეურნეო არტელები“
„დღეს ნომერშია“:
„იქნება ხვავი და ბარაქა“
„დ. კანკავა ასრულებს გეგმას“
და სხვა და სხვა...
თითოეული გაზეთი
გეომეტრიული სიზუსტით იყო გაკრული,
თავისი ორეულებით გარშემორტყმული,
ერთმანეთზე გვერდიგვერდგადაკრულები.

„დ. კანკავას“ „დ. კანკავა“ უსწორდებოდა
ჭადრაკულად, შეეულად, დიაგონალურად...
და მეც კკითხულობდი ერთი და იგივე ნომრებს,
თავიდან ბოლომდე,
აუჩქარებლად და შეუცდომლად.
ზოგჯერ სათაურს ერთი გაზეთიდან ვკითხულობდი,
პირველ აბზაცს — მეორედან, მესამეს — მესამედან,
მეოთხეს მეათედან და ა. შ.
თვალის გახელა და
ოთხივე გვერდის გადაკითხვა ერთი იყო,
ყველაფერი თვალის ერთი გადავლებით ხდებოდა,
ყველა გაზეთი ერთი და იგივე იყო,
ერთი და იგივე ეწერა ყველაში,
მხოლოდ, ზოგს მკრთალი ფერი დაჰკრავდა,
ზოგი პირველყოფილი იერით ხასხასებდა,
რაც ჩვენი პალტოების, ქუდების,
საგვარეულო სურათებისა და
გაკვეთილის ცხრილების წყალობა იყო,
რომლებსაც მე და ჩემი და-ძმა
ვერშოკნახევრიანი ლურსმნებით
ვკიდებდით კედლებზე.
რისთვისაც გვტუქსავდა დედა,
შიშნარევი გაფრთხილებით:
— აღარ გაბედოთ გაზეთების დამახინჯება!
და ბეჩავი, ამოლურსმნულ სიტყვებს და ასოებს
შიშის კანკალით აწებებდა და ასწორებდა.
ჰე, რა დრო იყო...
დედის თვალებიდან ალერსზე მეტი
შიში გამოკრთოდა, თბილი იყო იგი შიში —
დედის „შე, არგასაზრდელოში“
უფრო მეტი „დედა შემოგევლოს“ იყო.

უმწეოდ გამოიყურებოდა
იმ გაზეთებზე ოცი წლით უფროსი დედაჩემი
და ჩვენ, გაზეთებზე ათი წლით უმცროსები,
გაზეთებში ვიძინებდით, გაზეთებში ვახელდით თვალებს,
გაზეთებით ვსწავლობდით ცხოვრებას.

იმ გაზეთების დაბადებიდან იწყებოდა
ჩვენი არსებობის წელთაღრიცხვა.
იმ პირველ წელს ნახეს თურმე სოფლელებმა
მექი ვაშაკიძის ტრაქტორი,
მეათე წელს კი სოფლის მღვრიე მდინარის კალაპოტი
ისე დამშრალა,
ქვიშიან ფსკერზე,
უწყლოდ, აფართხალებულან თევზები,
ქვებზე დაყრილი ქვირითი გამომშრალა და
აღარ დაჩეკილან ლიფსიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მოგვიანებით, დილით,
როდესაც მზის სხივი გაეკრა კედლებს
და კედლებიდან კვლავ „კანკავა“ ამოვიკითხე
გაჩნდა სურვილი, რომ მეხილა მეორე მხარეც, —
მე ის გვერდები არასოდეს არ წამიკითხავს,
გაზეთსა და კედელს შუა იყო ცხოვრება,
მთელი ცხოვრების ნახევარი, რომელიც ერთ დროს
ჩემს წინამორბედს ამ კედლებზე მიუსრესია.
შიდა გვერდები სადღა იყო, იყო მარტოდენ
გარე გვერდების მოსაწყენი ექსპოზიცია.

ვინ იყო იგი, ვინც გააკრა ასე გაზეთი?
იქნებ, უბრალოდ
შეიტყუა თვალის სისწორემ,
იქნებ, უბრალოდ, სიმეტრიამ განაპირობა,
იქნება განგებ დამიმალეს შუა გვერდები,
რომ მე არა და
არ მენახა შუა ცხოვრება?!

ასე აინთო ჩემი სული უცხო წყურვილით,
ასე მომინდა გაზეთიდან გარეთ გამოსვლა
და გარე გვერდის არტახების ვიწყე შემოხსნა...
ვერ გამოვედი გაზეთიდან, დავრჩი გაზეთში,
ვერა, ვერაფრით წავიკითხე შუა ცხოვრება.
ამ გაზეთების ოთხკუთხედში გავხდი ცამეტის,
ამ ასაკიდან სისხლი ხდება თავისთავადი,
ბოთლში ჩამწყვდეულ ჭინკასავით ჯანყდება სული
და როცა სოფლის სანახებში ტოლებთან ვიდექ,
მორევს ვზომავდი, თუ სიყვარულს ვეფიცხებოდი,
კვლავ იმ გაზეთის ორი გვერდის არტახი მწვავდა
და წაუკითხავ ორი გვერდის
მკლავდა წყურვილი.

მახსოვს: პირველად ავუარე ჩემს ჭიშკარს გვერდი,
საყანეს მხრიდან გადავჭერი ჩვენი სახნავი,
ქურდულად შეველ საკუთარი სახლის კედლებში
და ფრთხილად, ფრთხილად
შევუდექი გაზეთის მოხსნას,
ამაოდ დავშვრი, — არ დაშორდა გაზეთი კედელს
და რაც დაშორდა, ფრჩხილისტოლა ნაკუწებიდან,
აზრის მაგივრად, საღებავის და წებოს შმორი
მოულოდნელად მთელ ოთახში გადმოიღვარა.

ვინ იცის, იგი, ვინც გააკრა ასე გაზეთი,
იქნებ, უბრალოდ შეიტყუა თვალის სისწორემ,
იქნებ ყოველი სიმეტრიამ განაპირობა?
თუმცა გაზეთის დაბადების მეათე წლიდან,
ცამეტზე მეტი გრძელი წელი იყო გასული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომგარდა დედა,
გამოკეტა სახლის კარები,
ჩუმად დამტუქსა, გადამწერა ჩუმად პირჯვარი
და ამოგლეჯილ გაზეთების მღვრიე ჭრილობებს
მახსოვს, ღმერთკაცის სურათები გადააწება.

ისე როგორც, ორმოცდასამი წლის წინათ,
ივლისის პირველ დილას,
ახლაც სიზმრიდან გამოვედი
და ჩემი ბავშვობის კედელს ვაკვირდები,
ახლა ის გაზეთები შპალერითაა დაფარული,
მაგრამ მე ვიცი შპალერის მიღმა
სად წერია: „სამეურნეო არტელები“,
„დღეს ნომერშია“
და „დ. კანკავა ასრულებს გეგმას...“
ამ ხნის მანძილზე კი იმ გაზეთებზე
დედას იმდენჯერ გადაუწებია
ახალი მთვარის ფერადი რეპროდუქცია,
რომ ის ადგილები კედლებს
მწუხარე ორნამენტებივით აჩნია.
მე კი, დღემდე არ ვიცი
შპალერსა და კედელს შუა
ჩემგან წაუკითხავი როგორი გვერდებია,
უბრალოდ შევეჩვიე, თითქოს შევიყვარე კიდეც
და მგონია მშობლიური ჰერის სითბო დაკრავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ნოველები

სიზმარი

ადამიანებს რომ დასიზმრებიათ საერთოდ, იმასთან შედარებით გოდერძი კვიწინიას სიზმარი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გახლდათ, მაგრამ, რომ გაეღვიძა, მაინც დიდხანს შესცქეროდა ჰეგელის სურათს ნახევრად გამოლენჩებული თვალებით. ორმოცდაათს გადაშორებულ ინკასატორს სიზმრის მეტი რა უნახავს, ილო ბიბიჩაძე კი არასოდეს გამოცხადებია ძილში. მართალია, ილო კარის მეზობელი იყო, მაგრამ არც ისე ახლობელი გახლდათ, ინკასატორს ძილში რომ ჩაჰყოლოდა. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ორ-სამჯერ თუ შეუღიათ მეზობლებს ერთმანეთის ბინის კარი. ვერ აეწყო ის ხალასი ურთიერთობა, მუგუზლის მეზობლობას რომ ეძახიან იმერეთში. გოდერძი თავისთვის ჯახირობდა მოულოდნელობებით სავსე თავის წუთისოფელში, ილოც თავისთვის ჩრთიფირთობდა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ რამდენადაც გულგახსნილი იყო გოდერძი (სამსახურიდან შინ მობრუნებული საათობით დაბიჯებდა ეზოში და მოსაუბრეს ეძებდა დღიურ შთაბეჭდილებათა გასაზიარებლად), იმდენად გულჩახვეული და ჩუმი კაცი იყო ილო ბიბიჩაძე. სალაპარაკოდ არ გაგიჩერდებოდა, ნიადაგ საქმიანი იერით ვარსი-გამორბოდა. დღემდე ვერ გაიგო ილომ, სად მუშაობდა მისი კარის მეზობელი. რა მოხელე იყო. რამდენჯერაც ჩამოუგდო სიტყვა, ბიბიჩაძემ ან წაუყრია, ან საუბარი სხვა საგანზე გადაატანა და ინკასატორი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ კაცს თავის პროფესიაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა. შინაც ბევრჯერ შემოიპატიჟა, მაგრამ პასუხად ან ზრდილობიანი უარი მიიღო (ღვიძლის შეტევის მომიზეზებით), ან მეორე დღეს მოუხდა თავის გამართლების ფრიად საეჭვო მიზეზების მოსმენა: ლექციაზე დაგვტოვეს და ვერაფრით თავი ვერ გამოვიშვიო.

დილით, როცა სართანიამ თავისი თმახუჭუჭა საყვარელი ქალი მორცხვი ღიმილით ჩააცილა კიბეზე, ნაგვის მანქანამ უკანასკნელ ზარს ჩამოჰკრა და შემოდგომის ფერმკრთალ მზეზე მტვრიან ნისლში გამოტარებული სხივებით ძლივს მისწვდა ფანჯრებს, გოდერძი კვიწინიამ ხალათი მოიხურა და ახალი გაზეთები არ მომპპარონო,. კიბეს დაუყვა. კარის მეზობელი კიბეზევე რომ არ შემოფეთებოდა, სიზმარი აღარც კი გახსენდებოდა. სალამზე რომ უპასუხა და რამდენიმე საფეხურით დაშორდნენ ერთმანეთს, კვიწინიამ გადაწყვიტა ეამბნა სიზმარი. იფიქრა, ცოტას გავამხიარულებო.

— ილო ბატონო!

— ა, ჰა? — ილო შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა, მუხლზე გაზეთებიანი ხელი ჩამოიდო და ჩამოიხარა.

— წუხელის მესიზმრე, ხომ იცი შენ?

ბიბიჩაძე დაინმა, ჯერ გაოცებამ გაურბინა უპეებმიმეკენარ ჭროღი თვალებში, მერე ღიმილმა გაუნათა ლოყებდაბერილი, მარიონეტთა თეატრის თოჯინასავით ნახეკრად მეტყველი სახე.

— სათქმელად არც კი ღირს, მაგრამ რაკი შემხვდი აგერ, იცოდე მაინც. ისეთი კი არაფერი, უბრალო სიზმარი იყო, გაინტერესებს?

— აბა, ალბ? — თვალები დაწკურა ილომ და მუხლზე ხელი შეინაცვლა.

— ხომ გითხარი, ისეთი კი არაფერიათქვა. მესიზმრა, ვითომ სტადიონზე წაველი ფეხბურთის საყურებლად. დაიწყო თამაში, ჩემო ბატონო, და, რას ვხედავ — ილო ბიბიჩაძე არ თამაშობს ფეხბურთს? ჯერ ეჭვი შემეპარა, დაგაკვირდი, რაც შემეძლო. კი, შენ იყავი ნამდვილად. მიდღეშჩი არ უთქვამს ფეხბურთელი ვარო, ან მე თვითონ როგორ ვერ მივხვდი, რა მეზობელი ყოლია-მეთქი, ეს იყო სულ. გიყურებდი და მიხაროდა, მეტი არაფერი. სიზმრის ამბავი არ იცი?

რაც უფრო ალალი ღიმილით ყვებოდა გოდერძი, სიზმრის ადრესატი უფრო და უფრო იღუშებოდა, ბოლოს ღრმად ამოიოხრა და იდუმალი მზერა მიაპყრო მეზობელს.

— რას წიშნავს ვითომ ეგ?

— რაი?

— ბურთის თამაში სიზმარში.

— არაფერს, შე კაცო. სიზმრის გკეცრა? ფეხბურთზე ფიქრი ჩამყვა, ალბათ, ძილში. იცის ასე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ნერვიულად თქვა ილომ. სწრაფად შეტრიალდა და კიბეს აუყვა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დღეს შაბათი იყო.

. გაზეთების კითხვას რომ მორჩა, „დროშის“ ბოლო ფურცელზე გამოქვეყნებულ „თავსამტვრევს“ ჩაღღრმავდა. ქართველი კომპოზიტორის შვიდბგერიანი გვარი ვერ მოიგონა და თავის თავზე გაწყრა — კროსვორდისთვის „მცალია ახლა მეო? თვის ბოლო იყო, გაოთხმეტ ორშაბათს უნდა ჩაებარებინა. ცხენგზარ შო მოიმარჯვა, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო. „ილუზიონმდე“ მთელი ხუთი საათი იყო დარჩენილი. არ იცოდა, რა ეკეთებინა.

გოდერძი კვიწინიას შაბათი არ უყვარდა.

ზარის ხმამ გაახარა, ვინც უნდა იყოს, ცოტას მაინც გავერთობიო. ჭუჭრუტანაში არც კი გაუხედავს, მეყსეულად გაღო კარი. პარმაღზე ხალათმოხურული ილო იდგა.

— მობრძანდი, ილო ბატონო.

— გმადლობთ, აგერ ვიქნები, პატარა შეკითხვა მქონდა. — ილო აღელვებული ჩანდა.

— ისე კარებში ხომ არ გავჩერდებით, შე კაცო, — კიდევ ერთხელ შემოიპატიჟა, მაგრამ სტუმარი კარის ზღურბლს ვერა და ვერ გადმოაშორა.

— ისა... ესე იგი, ფეხბურთს ვთამაშობდი? — ბიბიჩაძემ ხმას დაუწია, მიიხედ-მოიხედა და თითქოს დიდ საიდუმლოებას ანდობსო, ჰკითხა:

— რა ნომერს ვთამაშობდი, თუ გახსოვს?

— ა? კი არ დაკვირვებიხარ, ეს ოხერი, — გოდერძის გაუკვირდა შეკითხვა, მაგრამ უფრო თავის მახსოვრობას გაუწყარა, ნომერი მაინც როგორ არ გამომყვაო.

— სად მხედავდი უფრო ხშირად, მოედნის ცენტრში თუ ფრთაზე?

რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ადამიანთა უცნაურობას ხომ საზღვარი არა აქვს, ჩემო მკითხველო.

— ხან ისე და ხან ასე. წინაც იყავი და ხანდახან დაცვასაც წაეხმარებოდი, — გოდერძიმ აშკარად იცრუა.

— ჩვენს გუნდში ვთამაშობდი, თუ იმგენის?

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ილოს არც ის ახსოვდა, ვინ და ვინ ხვდებოდა წუხელ სიზმარში მწვანე მინდორზე, მაგრამ დაუფიქრებლად უპასუხა:

— ჩვენსაში, რა თქმა უნდა.

— ხალხი ბევრი იყო?

— კი. ბილეთი ძლივს ვიშოვე. ტრიბუნებზე ტეგი არ იყო.

ილო ცოტათი დამშვიდდა, გაბრუნებაც კი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— ვის ვეთამაშებოდით?

— კი ვერ გავარკვიე, დასწყეცლოს ღმერთმა, — გოდერძის შუბლზე ოფლმა დაასხა. — რაღაცა უბედური გუნდი იყო. თავისი სახე არც კი ჰქონდა.

— უხეშობდნენ? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა სტუმარმა.

— კი. გარდა ამისა, მსაჯიც იმათ უდგებოდა.

— შენ ეს მითხარი, რა ფერის მაისური მეცვა?

— მგონი ყვითელი.

— ყვითელი? — ილომ კეფა მოიფხანა.

— ჰო, მოყვითალო უნდა ყოფილიყო, თუ არ ვცდები. შემოდი სახლში, შეკაცო, გავიყინე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — აშკარად ჩანდა, ილო სიზმრის მნახველის პასუხებით უკმაყოფილო იყო. გატრიალდა და ფოსტლების ფშლატენით თავისი კარისაკენ წავიდა.

გოდერძი საანგარიშოს დაუბრუნდა, მაგრამ ციფრები სადღაც გაურბოდნენ. წამდაუწუმ ეშლებოდა და თავიდან იწყებდა. ილოზე ფიქრი არ ასვენებდა. გუნება მოვუშხამე ამ დილით კაცს. ან რა ჯანდაბამ დამასიზმრა ეს უცნაური სიზმარი, ან რა ჯორხანამ მაამბობინა, ვყოფილიყავი ჩემთვისო.

არ გაუვლია ორ საათს, ილომ რომ ისევ მოაკითხა. გოდერძიმ კარი გააღო და მოსულს დამნაშავეესავით მიაჩერდა.

ილოს ტუჩები უთრთოდა, ხელებს თავს ვერ უყრიდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— გისმენ, ილო ბატონო, — გაამხნევა გოდერძიმ.

— მე ისაა... ისეთი არაფერი. მინდოდა ზოგი რამ დამეზუსტებინე, რასაკვირველია... ამინდი როგორი იყო?

— წვიმდა. — უღმერთოდ იცრუა გოდერძიმ და მტკიცედ გადაწყვიტა; რა ზერელე მოსიზმარე ვყოფილვარ, აწი მაინც კარგად დავაკვირდები ჩემს სიზმრებსო.

— წვიმდა? — სხვისი ხმით ჰკითხა ილომ.

— კი, ნამდვილად.

— შენ ეს მითხარი, ახალ სტადიონზე იყო თამაში თუ ძველზე?

— ახალზე. ძველზე ხომ წვიმის დროს მოედანზე წყლის გუბეები დგება.

— რა დგება?

— იტბორება ძველი სტადიონი, შემობრძანდით, გთხოვთ უმორჩილესად, რა ვქნა მეტი, აბა, — უკან დაიხია გოდერძიმ.

— არა მიშავს, სხვა დროს, — ილომ მაღლა აიხედა და ამოიხვნეშა. — თუ გახსოვს, რასაკვირველია, უხეშობდნენ?

— ვინ? ჩვენ თუ ისინი?

— საერთოდ.

— არ იყო მაინცდამაინც „გრუბი" თამაში. პრესინგს კი მიმართავდნენ.

— რას მიმართავდნენ?

— პრესინგს.

— მთელ მოედანზე?

გოდერძიმ ყელში სიმშრალე იგრძნო და ნერწყვი გადაყლაპა.

— არა. მარტო საჯარიმოზე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ილო სწრაფად შებრუნდა, გაქვავდა, ისევ შემობრუნდა, თითქოს რაღაც უნდა თქვაოსო, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და თავისი კარისკენ წალასლასდა.

„რა ბზიკმა უკბინა, რამ გადარია. პატარა სიზმარი ვუთამბე, მეტი ხომ არაფერი. ამ ხნის კაცი სიზმარმა (და ისიც სხვისმა სიზმარმა) უნდა გააგიჟოს? ფეხბურთელადაც რომ ყოფილიყო დაბადებული, თავის დროზე უნდა ეთამაშა, თორემ ახლა ფეხბურთიც ჩავლილია მაგისთვის და ფრენბურთიც. რანაირადაა წამოწითლებული სახეზე. ჩემი მიზეზით არაფერი მოუვიდეს, ამას ვწუხვარ,

მეტს არაფერს. რამ დამასიზმრა, უბედური ვყავარ მეც გამჩენს. ფეხბურთელად კი არა, მაყურებლადაც არასოდეს მინახავს სტადიონზე. სიზმარი ცოტა მართალს არ უნდა ჰგავდეს? მაინც, რამ აუმღვრია გუნება ამ სერიოზულ კაცს. სიზმარი კი არა, კაი ნამამლი კვერცხი არ ამართლებს დღეს თბილ საბუდარში. რამდენჯერაც მე სიზმარში ცხელ კუპრში ჩამაყოფინეს თავი, იმდენი გახარება ჩემს ნაგრამს. მაგრამ ქე ვარ აგერ“.

ხან იმას მოედო, ხან ამას, ბოლოს ვერაფერ საქმეს რომ ვერ დაუღო გული, ტაბურეტი გაიტანა ივანზე და ფეხები ერთ ციდაზე წაახერხა. ვერ ვჯდები წესიერად ზედო. ხერხვა რომ დაამთავრა, მერე დარწმუნდა, რომ ამოდ გაისარჯა, მშვენიერი სიგრძის ფეხები ჰქონდა სკამს.

როგორც იქნა, გაათრია დრო სადილობამდე. ოთხს აღარაფერი უკლდა, ტელევიზორს რომ წამოუწვა. დარეკეს. იცოდა, რომ ილო იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, აქამდეც ელოდა მეზობლის გამოჩენას.

ილო საგარეოდ იყო გამოწყობილი. შავი პრიალა კოსტიუმი ეცვა, თავზე ძველებური დაბალცილინდრიანი შლაპა ეხურა (თეთრი ბანტით გაწყობილი), ხელთ ლომისთავიანი ტროსტი ეჭირა და მარცხენა თვალს ავზნიანივით ახამხამებდა.

— მივდივარ ახლა მე, — მცირე პაუზის შემდეგ გაანდო სტუმარმა, თითქოსდა თუ ვინმეს უნდა სცოდნოდა მისი წასვლის ამბავი, პირველ რიგში — გოდერძის.

— საით? — ზრდილობის გულისთვის იკითხა მასპინძელმა. — შორს?

— აგერ ჩემს ქვისლთან მივდივარ. საქმე მაქვს პატარა. ისეთი არაფერი. ისაა... ერთი ეს მითხარი, ვთამაშობდი ქე მაინც რამეს?

— არ თამაშობდი, მე მგონია, ურიგოდ... როგორ გითხრა. ერთი-ორჯერ გარღვევაზეც გახვედი. აღარც კი მახსოვს... საერთოდ, რას გადამეკიდე, შე კაი კაცო. ბოლომდე კი არ მიყურებია... სიზმრის ამბავი არ იცი? ერთ წუთში მთავრდება. შენ გგონია, მთელ ორ ტაიმს გაყურებინებს გამჩენი?! — ბრაზი დაეტყო ხმაში გოდერძი კვიწინიას.

— რამე საგოლე მომეტება თუ შევქმენი, ეს მაინტერესებდა, მეტი არაფერი. თუ ჩავაწოდე ხეირიანად?

— არ ჩაგიწოდებია. ბურთი წინ გაიგდე და ვეღარ დაეწიე. ეს იყო, რაც მე ვნახე და, საერთოდ... რა ვიცი. აღარ მაინტერესებს სიზმრები! შენ საქმე არაფერი გაქვს?! — კარი მთლად არ მიუხურავს, მაგრამ მეზობელს აშკარად ანიშნა, რომ მისმა უაზრო ვიზიტებმა გული გაუწყალა.

— გმადლობთ, გმადლობთ, — მისი ასაკის კაცისთვის კოხტად შეტრიალდა ილო, ქუსლი ქუსლს ჰკრა, ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ კაბინას არ დაელოდა, მასპინძელს შლაპა მოუხადა და კიბეზე ჩაბაკუნდა.

ქვისლთან მიიჩქაროდა ვითომ ნამდვილად?

ჯუმბერ გრიგვაკის სიყვარულიდან

თემა, რომელსაც საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი ამუშავებდა, რომელიღაც დიდი თემის ნაწილი იყო და წლიდან წლამდე გარდამავალ თემად იწოდებოდა. წლის ბოლოს ისე ლამაზად ჩააწიკწიკებდნენ ხოლმე მეცნიერული კვლევის შედეგების ნახევრად ყალბ ოქმებს, რომ საქმეში ჩაუ-

რევაზ მიზველაძე
ნოველები

ხედავ კაცს ეგონებოდა, აბა, აქ კეთდება საქმე, თუ სადმე კეთდებაო. სხვა მხრივ ინსტიტუტი სხვა კვლევით ინსტიტუტებს არაფრით ჩამორჩებოდა. ყველა ვაკანტური და უვაკანტო თანამდებობა დაკავებული იყო. ინსტიტუტს ჰყავდა დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, ერმალო აბესაძე, ერთადერთი აკადემიკოსი გიიოზ ტერელაძე რომელიც წელწადში ცხრა თვე მაინც საზღვარგარეთის სხვადასხვა ლაბორატორიებში გახლდათ მივლინებული და მრავალრიცხოვანი ასპირანტები უიმედოდ ელოდებოდნენ. გარდა ამისა, ინსტიტუტს ჰყავდა ორი შტატგარეშე ლაბორანტი და რამდენიმე სტუდენტ-პრაქტიკანტი, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში დარჩენის სურვილს გულში ღრმად რომ იმარხავდნენ. აღარც კია საჭირო მკითხველს ვაუწყო, რომ, როგორც სხვა კვლევით ინსტიტუტებში, აქაც იყვნენ მოწოდებით მეცნიერნი და გარემოებათა გამო ნახევარ შტატს შეფარებული ოჯახის ქალები, იყვნენ ყალბი ენთუზიასტები და ნამდვილი ენთუზიასტები. როგორც ყველა ინსტიტუტში, აქაც სუფევდნენ აუტანლად ლამაზი ქალები, მოწყენილობისა და უსაქმობის გამო ნიადაგ შეყვარებული ლამაზი ქალები. სწორედ მათი ენერგიული მეცადინეობის შედეგი გახლდათ ის ამბავი, რომ ინსტიტუტს ყამიდან ყამად შესძრავდა ჭორი—მავანი და მავანი მეცნიერი თანამშრომელი ცოლ-შვილს სტოვებს და, ამერის ისრით დაკოდილი, ახალ ცხოვრებას იწყებსო, მეცნიერის ცოლ-შვილისთვის სავალალო ამ ჭორში ის გახლდათ, რომ იგი ზოგჯერ მართლდებოდა, და ბოლოს, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში, ინსტიტუტშიც იყვნენ პატიოსანი მუშაკები და ი ნ ტ რ ი გ ა ნ ე ბ ი. ბოლო სიტყვას მე ხაზი გავუსვი სწორედ იმიტომ, რომ ამ ნოველის მთავარ პერსონაჟს ჯუმბერ ბრეგვაძეს დაუკავშირდა იგი, ხოლო სამართლიანად მიეწერა ეს ტიტული ადრე უწყინარ ჯუმბერს თუ უსამართლოდ, ამას ჩემი მკითხველი, თუ რა თქმა უნდა, მოთმინებამ არ ეყოფა, ეგებ, რაღაც თხუთმეტიოდე გვერდ-ნახევარ თხვის შემდეგ შეიტყობს.

ჯუმბერ ბრეგვაძე ფილოქსერ-მირმანოლოგიური პრობლემების კვლევის საცდელ-საექსპერიმენტო ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად მუშაობდა. უმაღლესი პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და ინსტიტუტში რომ გაანაწილეს, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ განაწილების ფურცელი ყველაფერს როდი ნიშნავდა. დირექტორმა, რომ იტყვიან, ქოში უკუღმა ჰყარა, წაიღე და მიაფარე შუბლზე, ბიძიკო, ეს ქაღალდი შენს გამომნაწილებელს, სად მაქვს ადგილი მეო. თუ გინდა, ჩადექი რიგში, ჯერ, თუ რამე გამონნდა, ორი უშტატო მყავს, ისინი უნდა დავაკმაყოფილო და მესამე შენ იქნებიო. საერთოდ, გირჩევ, სხვაგან მოძებნო სამუშაო, პირველი ხარისხის დიპლომი აგიღია, ვინ დაგიკავებს სამსახურსო.

ოთხი თვის ამაო გარჯის შემდეგ ჯუმბერს მოეჩვენა, რომ მისთვის თავისუფალი ადგილი მთელს დუნიაზე არ მოიძებნებოდა და სასოწარკვეთამდე ცოტა აკლდა, კვლავ განმანაწილებელ კომისიას რომ მოაკითხა. კომისიის თავმჯდომარემ დიდხანს უსმინა, ეტყობოდა მისთვის ჯუმბერ ბრეგვაძის მაგალითი ახალი როდი იყო. ტელეფონს დასწვდა, მოსულს აბესაძის ნომერი ჰკითხა და გულით ინატრა, დირექტორი ადგილზე არ აღმოჩენილიყო, მაგრამ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში პირველ ზარზევე დასწვდნენ ყურმილს.

— ბატონო ერმალო, კომისიიდან თოლორდავა გაწუხებ, წინ მიდევს თქვენი ხელმოწერილი ცნობა, ფილოქსერ-მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროსი ლაბორანტის შტატის გამონთავისუფლების შესახებ. ივნისში გამოვგზავნეთ თქვენთან — განაწილების ფურცელს დახედა — ბრეგვაძე,

კარგი ბიჭი. როგორ არა, მოსულა, მოსულა, და თქვენ გიბრძანებიათ, თავისუფალი ადგილი არ მაქვსო. როდის მიიღეთ? არა, ბატონო ერმალო, თქვენი მოთხოვნა რეა აპრილსაა ხელმოწერილი. ეგ, ეტყობა, ადრინდელია. ჩვენ რა ვქნათ, აბა? მომისმინეთ, ბატონო ერმალო. ასეც არ შეიძლება. ჩვენ თავზე არავის არ გახვევთ. რატომ კადრულობთ ასეთ სიტყვას? დაამთავრა კაცმა ფრიადზე, მეტი რა ქნას? თქვენ, მის ადგილას, როგორ მოიქცეოდით? ორივე ქალაღლი ხელთა აქვს, კი. ერთი სიტყვეთ, მოვა ახლავე თქვენთან. რაღაც უნდა გამოუძებნოთ. სახლი არვის არ ეწვის. კი... კი... გასაგებია. განაწილება განაწილებაა, ბატონო ერმალო!

ზუსტად ამ საუბრის შემდეგ ორ წელიწადს იმსახურა უშტატოდ ინსტიტუტში ჯუმბერ ბრეგვაძემ. სრულად იწვნია ის უხერხულობანი, უშტატო მუშაკის ტკბილ-მწარე ცხოვრებას თან რომ ახლავს. ამ ხნის განმავლობაში ის ორი უშტატოც დაკმაყოფილეს და სხვა უშტატოებით შეავსეს (როგორც ჩანს, ინსტიტუტს ორი-სამი უშტატო თანამშრომელი ნიადგ უნდა ჰყავდეს). გარდა ამისა, სამი ახალი თანამშრომელი დაემატა ინსტიტუტს (ორი ლამაზი ქალი და ერთი, ადრე სახლმმართველად ნამუშევარი, ომის ინვალიდი). ხმა გავრცელდა, ამ უკანასკნელებმა თავიანთი შტატი თან მოიტანესო, მაგრამ რანაირად მოიტანეს შტატი და საიდან მოაქვთ შტატები საერთოდ, დამერწმუნეთ, ეს ამბავი ჯუმბერმა დღესაც არ იცის.

ბოლოს მაინც გაჭრა პირველი ხარისხის დიპლომის კავალერის კეთილსინდისიერმა სიჯიუტემ. როგორც იქნა, მიიღეს მოწყალება და დანიშნეს ჯუმბერი მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში უმცროს ლაბორანტად.

ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერი მიხვდა, რომ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელობის უმთავრესი საზრუნავი (სხვა, მცირე საზრუნავთა გვერდით) სანსახურში თანამშრომელთა დროული მოსვლა-წასვლა იყო. მეუხედავად სატაბელო სისტემისა, მეთვალყურე დისპეტჩერთან გამართული სიფხიზლისა, სამსახურში დროულად (და საერთოდ) გამოცხადება, განსხვავებით ყველა სხვა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტისაგან, ამ ინსტიტუტის აქილევსის ქუსლი გახდათ. ამიტომაც აქ ყველაფერი სამსახურში მოსვლა-წასვლით იზომებოდა. კაცის ღირსებასაც ამ ნიშნით არკვევდნენ. დილით თუ დროულად ცხადდებოდი და ექვს საათზე გადიოდი ინსტიტუტის ალაყაფის კარიდან, ეს იმას ნიშნავდა, რომ შენ პატიოსანი მუშაკი და, ვინ იცის, კარგი მეცნიერიც კი ბრძანდებოდი. ტაბელისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ინსტიტუტის მესვეურნი „შრომის მაღალ დისციპლინას“ ეძახდნენ. და იყო გაუთავებელი ღონისძიებანი გამცდენთა და გამსეირნებელთა მისამართით. დღე არ გავიდოდა, რომ საკანცელარიო დაფაზე რემინგტონზე დაბეჭდილი, მრგვალებეჭედდასმული ბრძანება არ გამოჩენილიყო. ბრძანება საყვედურს უცხადებდა „გაურკვეველი მიზეზით სამსახურის გამცდენს“ და გამეორების შემთხვევაში მიხსნით ემუქრებოდა. მაგრამ ამ ინსტიტუტში სამსახურში გამოუცხადებლობისათვის არავინ მოუხსნიათ (ან დაუქვეითებიათ) თანამდებობიდან. იმიტომ კი არა, რომ გაცდენის გამმეორებელი სანთლით საძებნი იყო, იმიტომ, რომ აცდენდა მხოლოდ ის, ვისაც პატრონი ჰყავდა. უპატრონოები კი (ჯუმბერ ბრეგვაძეც მათ რიცხვში ერია) უმეტეს შემთხვევაში სამაგალითოდ მუშაობდნენ და თუ მაინც მოხდებოდა სასწაული და გააცდენდნენ, ისეთი გასაგართლებელი საბუთი ჰქონდათ, რომ დირექტორები სიმწრისგან კბილებს აღრჭიალებდნენ, მაგრამ პოლიკლინიკა-

საავადმყოფოების ეჭვმიუტანელ ბეჭედს ვერას უხერხებდნენ.

ლაბორატორიაში ჯუმბერიანად ხუთი კაცი მუშაობდა. „მუშაობდა“ ცოტა ხმამაღალ სიტყვად მეჩვენება ამ ლაბორატორიის თანამშრომელთა მისამართით. ნუ გამიწყრებიან სხვა ლაბორატორიების თანამშრომლები, სადაც შემოქმედებითი შრომა დუღს და გადმოდუღს. ლაბორატორიის გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი, ბონდო კაკალაშვილი დილის საათების შუდამ ადგილზე იყო. მოსვლიდან, საშუალოდ, ათთხუთმეტ ადგილას დარეკავდა, დახლოებით თერთმეტ საათზე ლაბორანტს დაუბარებდა, თათბირზე მივდიგარო და მიდიოდა თავისი რთული საქმეების მოსაგვარებლად. საქმეები კი მართლაც რომ რთული ჰქონდა, ამ ოთხიოდ წლის წინათ ლოს-ანჯელესში მცხოვრებ მის უშვილო ბიძას ბონდოსთვის შემკვიდრეობად დიდძალი ქონება დაეტოვებინა და, ახლა ამ ქონების დასამკაცებლად დარბოდა იურიდიულ კონსულტაციებში. უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები იოსეს ტაბუციძე და ბადრი მაჩიტიძე „შრომის დისციპლინის“ საუკეთესო დამცველებად ითვლებოდნენ მთელს ინსტიტუტში. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც კი რჩებოდნენ სამსახურში, რადგანაც ხშირად საქმე მოითხოვდა. რა იყო ეს საქმე? იოსები და ბადრი მთელს ქალაქში განთქმული იყვნენ როგორც მსუბუქი ავტომანქანების კუსტარული სიგნალიზაციის ოსტატები. დაქირავებული ჰქონდათ ინსტიტუტის გარაჟის განაპირა ბოქსი და მუშტარიც ბუზივით ეხვიათ. რაკი უშუალო მეცნიერული მუშაობის ნაცვლად მეგობრები ხელოსნობას ეწეოდნენ, ისინი ყველაზე ტკბილი და ზრდილობიანი, უწყინარი ახალგაზრდები იყვნენ მთელს ინსტიტუტში. ასე გასინჯეთ, ხელფასის უწყისსაც კი თვეში ორჯერ მორცხვად აწერდნენ ხელს და ყურებგაწითლებულნი შორდებოდნენ სალაროს.

ლაბორატორიის მეხუთე თანამშრომელი, უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრებული ბარბალე ბელოყანი სამსახურში საერთოდ არ დადიოდა. ამ ორი წლის განმავლობაში ჯუმბერმა იგი ორჯერ ნახა. ერთხელ საახალწლო საღამოზე და მეორეჯერ იოსებ ტაბუცაძის ქორწილში. მომხიბვლელ ბარბალეს ორივეჯერ ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი, ღაბაბიანი, მელოტი კაცი ახლდა. ზოგი ამბობდა, ქმარიაო. ზოგი ღაბაბიანს საყვარლობას აბრალებდა. ჯუმბერმა პირველი უფრო დაიჯერა, რადგანაც ბარბალეს კავალერი საყვარლის იერით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

როგორც ხედავთ, ლაბორატორიაში ყველაზე პატარა კაცი ჯუმბერ ბრეგვაძე გახლდათ. ეს მშვენივრად იცოდა მან და ისიც უწყოდა, რომ შემოწმებისას ჯობი უსათუოდ ლაბორანტის თავზე გადატყდებოდა, ამიტომაც გარდა სამსახურში წესიერად გამოცხადებისა, იგი კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა; ან გაუთავებელ ექსპერიმენტს იმეორებდა, ან მის სპეციალობასთან ნაწილობრივად დაკავშირებული რომელიმე გერმანული სტატიის თარგმნით იმტვრევდა თავს, ანდა, ეს იშვიათად ხდებოდა, სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს კითხულობდა.

იმ დღით ლაბორატორიაში ჩვეულებრივ ორნი ისხდნენ — ლაბორანტი და გამგე. ბონდომ დარეკვები მოათავა, რომელიღაც იურისტკონსულტს ტელეფონით შეუთანხმდა, ერთ საათში მანდ ვიქნებიო, მელნისფერი ხალათი გაიხადა, მენზურის თავზე დამაგრებულ საკის ნატეხში ჩაიხედა, კისერ-ყურიდან თმა ამოივარცხნა, მერე წიგნებს ჩაჯეჯინებულ ჯუმბერს გამოხედა, ხალათი ისევ ჩაიცვა, თავის მაგიდასთან დაჯდა და ლაბორანტს უხმო.

— სამაღარიჩოდ გაქვს საქმე. როგორც იქნა, გამოვღლიტე აბესაძეს გუშინ შენი დანიშვნის ბრძანება.

ჯუმბერმა უკვე იცოდა, რომ გუშინ

ოთხ საათსა და თორმეტ წუთზე საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის კანონიერი თანამშრომელი გახდა, ბრძანების ასლიც ჯიბეში ედო, მაგრამ „გამოვლილიტზე“ შეატყო კაკალაშვილს, რომ სურდა დირექტორის მიერ სულგრძელად გალებული მოწყალება თავის დამსახურებად ჩაეთვალა და ლაბორანტმა გამგის სურვილს ხელი არ შეუშალა.

— მადლობელი ვარ. კიდევ უარზე იყო?

— უარზე იყოვო? — ხმას მოუმატა ბონდომ და ბრეგვაძის მოჩვენებითი მიამიტობით ფრიად გაიხარა. — შენ არ იცნობ ერმალოს. ეგ კაცი კი არა, მელია. ცირკიდან გაქცეული მელა. ყველანაირი სიგლახე რომ აქვს ნასწავლი. ერთ ნაბიჯზე არ ინდობა. ვიღაცის ვიღაცას აფორმებდა შენს ადგილზე. მაგრამ შევუნთე ცეცხლი.

ჯუმბერი მეექვსე კლასში იყო, როცა მისმა რეაბილიტირებულმა ბაბუძმამ ხუტუნიამ დამოძღვრა: კაცს კაცის გინებაში უსაბუთოდ არ აყვე, ბიძია, რას გაუგებ, ვის რა უდევს გულშიო. არ ახსოვდა ჯუმბერს, რას მოაყოლა ეს ზნეობრივი ფორმული მრავალნატანჯმა, უეჭველ სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილმა ხუტუნიამ, ღმერთო შეგცოდე და, თვით ხუტუნიაც ბუნდოვნად ახსოვდა, მაგრამ მისი ერთადერთი დარიგება არასოდეს ამოსულა ახალგაზრდა ქიმიკოსის გონებიდან.

ახლაც ხუტუნია გაახსენდა, მერცხლის კუდივით შუაზე გაყოფილი წარბები მოიქექა და ბონდოს კალმახის ტანივით ფაფინწკლული, თაფლისფერი თვალები შეანათა.

— ორ წელიწადს უხელფასოდ მუშაობა არ ვაკმაროთო? ხომ არ დასცდენია, რამდენი ჰქონნდა ბაბუაჩემს ამ ინსტიტუტის ვალი?

— შენ იხუმრე და, — ბონდომ ხელები ხელებში ჩაიხვია და ჭერს ახედა, — ბეწვზე ეკიდა გუშინ შენი საქმე. კი მაგრამ, სინდისიც კარგი საქონელია, რა პირით შევხედო იმ კაცს-მეთქი. მოიცადოს ცოტაცო, რაკი ამდენი იცადაო, ერმალომ.

— მაინც?

— ეს „ცოტაც“ რას ნიშნავდა, იცი? ერთი ამდენი კიდევ მოგიწევდა ლოდინი. მე ასეთი უპირო და უნამუსო, აბესაძე რომაა, წიგნშიც კი არ წამიკითხავს, — ბონდომ ხმას დაუწია: — ახლა შენ უკვე ჩვენი კაცი ხარ და ყველაფერი უნდა იცოდე. არ არსებობს სიგლახე ქვეყანაზე, ერმალო აბესაძე რომ არ სჩადიოდეს. ა, — უკრა გამოსწია და ქაღალდების შეკვრა დაადჭო, — წაიკითხე, რა წერია ამ ქაღალდზე, ჩვენ ამ კვარტალში თორმეტი ლიტრი ჭლურტი, რვა ჭიქა კმონუმმეკვა და თერთმეტი ყუთი წაბბიდი გვაწერია, თვალით გინახავს რამე? სად წავიდა, თუ იცი? უნდა იცოდე, ეს ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, სინამდვილეში ჩვენი ინსტიტუტის საწყობიდან მარცხნივ გაიყიდა და ფული ერმალომ ჩაიჯიბა. ეს ერთი უმნიშვნელო დეტალია აბესაძის მავნებლობების. დოქტორი რომ გახდა, მე მგონი, თვითონაც უკვირს. თუ აწერია დამოუკიდებლად მისი გვარი თუნდაც ერთ სტატიას? სანთლით რომ ეძებო, ვერ აღმოაჩენ. რაც არ არის, რას იპოვი. გაიოზ ტერელაძის გვარსაა ამოფარებული. ისიც, სამადლოდ, თანაავტორად იხსენიებს. მაგრამ, ამ ბოლო დროს, მე მგონი, ტერელაძეც ხვდება, ვისთანაც აქვს საქმე. ერთი დღე იქნება, ანასინს ეტყვის აბესაძის თანაავტორობას აკადემიკოსი. შენ მინდა იცოდე ეს ყველაფერი. აქამდე არ გეუბნებოდი იმიტომ, რომ მაინც შუა გზაზე იყავი. ახლა აქეთ, გამოლმა ხარ. უნდა ერკვეოდე, ვინ ვინ არის.

ეს თქვა თუ არა, ბონდო კაკალაშვილი წამოდგა, ხალათი ლურსმანზე დაჰკიდა, სარკის ნატეხში ერთხელ კიდევ ჩაიხედა, თაობირზე მიედივარო, ლაბორანტს დაუბარა და კარი გაიკეტა.

მართალია, ჯუმბერს აბესაძის პი-

რევაზ მიშველაძე
ჭოველეგი

როგორებისადმი თავისი დამოკიდებულება ამ საუბარში არ გაუმჟღავნებია, და, კაცმა რომ თქვას, არც ლაბორატორიის გამგეს მოუთხოვია მისგან თანგრძნობა, მაგრამ მდიდრულმა საუბარმა უმცროსი ლაბორანტი ღრმად ჩააფიქრა. დიდხანს ეჭირა ერთი საუწყვეტო გაზეთი ხელში, მაგრამ იქ დაბეჭდილ უაღრესად ნათელ და მარტივ კორესპონდენციებს ვერაფერი გაუგო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხოლოდ ასოებს აყოლებდა თვალს, ფიქრით ეს კვლავ ერმალო აბესაძეს დასტრიალებდა.

რატომ გაუცხადა ასე დაუფარავად ინსტიტუტის საიდუმლო დღეს ბონდო კაჭლაშვილმა? ხომ არ ცდიდა? ხომ არ აინტერესებდა ლაბორატორიის გამგეს, იყო თუ არა ჯორიკანა მისი ახალი თანამშრომელი? ჭლურტ-კმინომეკავა-წარბიდის ფაქტიც მართალს ჰგავდა და არც ის იყო ეშმარიტებას მოკლებული, რომ აბესაძის სამეცნიერო სახელი ძირითადად ავტორთა ჯგუფის სტატიებით გახლდათ ნასაზრდოები, მაგრამ რა ხელს აძლევდა ბონდო კაკალაშვილს, რომ უმცროს ლაბორანტს სცოდნოდა ყოველივე ეს და ისიც ახლა, როცა ორი წლის თავზე ძლივძლივობით თავის ტიტულს გულის გამაწვრილებელი „უშტატო“ ჩამოაცილა? „არა, ჯუმბერო, ადამიანის ბუნების უცნაურობას საზღვარი არა აქვს, ვინ იცის, ვის რა უძევს გულში. შენ შენს საქმეს მიხედე, შენს წისქვილს უდარაჯე, იოლად ნურვის განაკითხავ, რათა უნებლიე ცოდვაში არ ჩადგა ფეხი,“ — ხმამაღალი ფიქრით უჩრია თავის თავს ბრეგგაძემ და ზეყლის გამოსახდელი აპარატი ჩართო, რათა მისი ღუღუნისთვის გული გადაეყოლებინა და უსიამოვნო ფიქრებისგან განთავისუფლებულიყო.

ნასადილევს ლაბორატორიის კარებზე ქაღალდი გააკრა — ახლავე მოვალო და დერეფნის ბოლოს, აკადემიკოს გაიოზ ტერელაძის ასპირანტებს შორის ბოლო კაცი მოძებნა, რიგი დაიკავა. რა უნდოდა ლაბორანტს აკადემიკოსთან? ჩემდა იღბლად, ქალაქშია, ვინ იცის, მარე როდის ვნახავ. ჩემს მეცნიერულ ინტერესებზე ორიოდე სიტყვა ეთქმოდა. იქნებ მომავალი დისერტაციაც, ბოლოს, რიგ გამოვტყუოო.

სამი საათის შემდეგ იგი მსოფლიოში განთქმული სწავლულის პირისპირ იჯდა. „რა უბრალოა“, გაიფიქრა ჯუმბერმა, როცა ტერელაძის ყურ-კისერში ჩაჩურთულ, თეთრ თმას და მეცხრამეტე საუკუნის უცნობი მხატვრის მიერ დახატული „იამშჩიკის“ მსგავს სახეს ჰკიდა თვალი.

აკადემიკოსი ორიოდე დღის დაბრუნებული იყო რომელიღაც ნეიტრალური სახელმწიფოს დედაქალაქიდან, სადაც უფასო მკურნალობის საავადმყოფოში თვე-ნახევარი გაეტარებინა. რას აღარ ჰყვებოდნენ გაიოზ ტერელაძის ავადმყოფობის მიზეზებზე: ზოგი ამბობდა, ბანანის კანზე ფეხი დაუცდა და ტროტუარს დადაკი ჩამოჰკრო. ზოგი უფროს ჰეროიკულ ამბავს ჰყვებოდა: უმწეო ქალ-ჩვილთ გამოესარჩლა და ხულიგნების ბრბომ სცემო. ღმერთო შეგცოდე, თავად აკადემიკოსსაც (გასაგები მიზეზის გამო) ბუნდოვნად ახსოვდა თავისივე ავადმყოფობის მიზეზი და აბა, უმცროსი ლაბორანტი ჯუმბერ ბრეგგაძე საიდან შეიტყობდა?

არც ამბავი, არც ხაბარი. აკადემიკოსს დაღლილი სახე ჰქონდა და ჯუმბერიც შეწუხდა; სად სცალია ამხელა პიროვნებას ჩემთან სასაუბროდ, ალბათ კაცობრიობის ხნის მეცნიერულ აღმოჩენას მოვაცდინეო.

— რაზე მუშაობთ? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა გაიოზ ტერელაძე.

— თუთის ფოთლის ანემიის შპრიცით მკურნალობის საშუალებებზე, — სხაპასხუპით მიაყარა ჯუმბერმა.

— ჩემი შრომები წაკითხული გაქვთ?

— რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ პრობლემაზე არ გიმუშავნიათ, — პასუხი მზად ჰქონდა უმცროს ლაბორანტს.

— საერთოდ გეკითხები, — არ დაიბნა აკადემიკოსი.

— საერთოდ, რა თქმა უნდა.

— რა უცხო ენა იცით?

— ფრანგული. ვკითხულობ და ვთარგმნი ლექსიკონის დახმარებით.

აკადემიკოსმა დაამთქნარა და ცხვირზე ხელი ჩამოისვა.

— ფრანგული არ გეყოფათ.

— ? ?

— ფრანგული არ გეყოფათ-მეთქი. თუთის ფოთლის ანემიაზე ფრანგები ნაკლებად მუშაობენ. ინგლისური უნდა ისწავლოთ.

—საერთოდ, რა ლოკალური მიმართულებით მირჩევდით მუშაობის წარმართვას? — ოქრო პაუზით ისარგებლა ბრეგვაძემ.

— ინგლისური კარგად შეისწავლე და მერე ვილაპარაკოთ, — აკადემიკოსმა ფანჯარაში გაიხედა, რაც მიმხვედრიანი მოსაუბრისათვის აუდიენციის დამთავრების ნიშანი იყო.

— შტატში ხართ? — კართან მისულ უმცროს ლაბორანტს დაადევნა ტერელაძემ.

— დიახ, — ჯუმბერი შედგა და მოიხედა.

— ვისი რეკომენდაციით მიგიღეს?

— განაწილებით. პირველი ხარისხის დიპლომი მქონდა.

— და ეს საკმარისი აღმოჩნდა აბესაძისთვის? რად მატყუებთ, ახალგაზრდავ. თქვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, რატომ გეჩვენებათ სწავლულები მიაჩიტ და გულუბრყვილო ხალხად? შენ გგონია, მაგდენს ვერ ვხვდებით ჩვენ?

— რა მოგახსენოთ, — ბრეგვაძეს სიმწრის ოფლმა დაასხა. — ნამდვილად ასე იყო.

— მე ვიცი, როგორც იქნებოდა. სამი ვარიანტიდან ერთ-ერთია: პირველი — დიდმა კაცმა დაურეკა, მეორე — კორუპციამ თავისი გაიტანა და მესამე, ილაჯი გაუწყდა, თავი მოაბეზრეთ. მე კარგად ვიცი, რა ეულიციცია ეგ თქვენი აბესაძე.

— მე... ახალი კაცი ვარ... ასე კარგად არ ვიცნობ, — სიტყვებს ყლაპავდა უმცროსი ლაბორანტი.

— ყური დამიგდეთ. თქვენი გვარი?

— ბრეგვაძე.

— ყური დამიგდეთ, ბრეგვაძე. იცით, რას სჩადის აბესაძე? საწყალ სწავლულებს მივლინებებზე უარს ეუბნება, ყალბ საბუთებს იდგენს და მივლინების თანხას თვითონ იჯიბავს. ფაქტი გნებავთ? ამ ერთი თვის წინათ ჩემს ასისტენტს, მიროტაძეს მივლინების ფიქტიური საბუთი მისცა. ვერ გაგინაღდებთ, საშუალება არა გვაქვსო. მივლინების თანხა კი გაცემულია და უწყისზე ყალბი ხელმოწერაც არის. ახლახან შევიტყვე ეს ამბავი. გარდა ამისა, ხეპრე, უხეში, გაუთლელი კაცია. მე გამოვიგონე, მე ვაქციე კაცად და თავს მეჭრის. რვა წელია დირექტორია და რუსული ხვირიანად ვერ ისწავლა.

— ნუთუ მართლა? — გაიოცა ბრეგვაძემ.

— როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ჩივაძე, — პათეტიკური სახე მიიღო აკადემიკოსმა.

— ბრეგვაძე, ბატონო, — შეაშველა უმცროსმა ლაბორანტმა.

— როდის იყო მე ტყუილს ვამბობდი, ბრეგვაძე, — გაიმეორა ტერელაძემ და ნათქვამი რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა, სათვალე გაიკეთა.

თავისი ლაბორატორიისკენ რომ მოაბიჯებდა, ჯუმბერს უსიამოვნოდ აერეოლებდა. გაიოზ ტერელაძესთან ახლოს მისვლით მის არსებაში ერთბაშად დაიმსხვრა დიდი მეცნიერის ხატი, ბავშვობიდანვე "რომ ოცნებით აგვირისტებდა. „მე მეგონა, ცაში დაფრინავდა, მე მეგონა, ისე რთული იქნებოდა აკადემიკოსთან ლაპარაკი, რომ ჩემი ჩანასახოვანი ცოდნის პატრონი სირცხვილით დავიწვებოდი, ტერმინებისა და ჰიპოთეზების ტევრში გზას ვერ გავიგვლევდი. მეცნიერებაზე სიტყვაც არ ჩამოუგდია. რა ჩემი საქმე იყო, ასისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენტ მიროტაძეს მივლინება გაუნაღდეს თუ არა. იქნება მე შევცდი, თავი კარგად ვერ გავაჩვენე და ამიტომაც დაეშვა მაღალი მეცნიერული მატერიებიდან აბესაძის წუმპეშიო“.

ამ შეხვედრიდან ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, რომ უმცროს ლაბორანტს ჯადიმიკოსთან საუბარი თითქმის დაევიწყებინა და სხვა, უფრო ნაღდ, საზრუნავს შესდგომოდა. ფანჯარას გადაყუდებული თავზე თმის ძირების გასამაგრებელ წამალს ისხამდა. წამალთან მიმართებაში იქნება „ისვამდა“ უფრო სწორი იყოს, მაგრამ ჯუმბერი დიახაც რომ თავს იბანდა წამლით, რომელსაც იგი იქვე, ლაბორატორიაში ძირხვენისა და დაფნის ნახარშისაგან ამზადებდა. ბრეგვაძეს, ამ ბოლო დროს თმა დიდის აღმავლობით სცვიოდა და გულით სურდა, როგორმე ცოლის შერთვამდე მაინც შეენარჩუნებინა. ხოლო ცოლის შერთვას ახალგაზრდა სპეციალისტს თუ რაიმე დააჩქარებინებდა, ისევ და ისევ თავისი, გაქცევის გზაზე დამდგარი ქოჩორი.

კალისტა ტოროშელიძე შემოფრიალდა და, კაცმა რომ თქვას, რა ისეთ საძრახის საქმეში შემოუსწრო ჯუმბერს, მაგრამ ეს უკანასკნელი დამნაშავესავით კედელს მიაწყდა, წამლით სავსე ფიალა ონკანს შეუშვირა და პირსახოცს დასწვდა.

გვიან იყო.

— შველის?

— რას? — ჯუმბერმა თმა გაიმშრალა და სარკის ნატეხს დაუპირისპირდა.

— რას და წელის ტკივილს. რა გჭირთ ამ კაცებს. სადაც კი შევედი დღეს, ყველა თმის წამალს ისვამს.

— რა ვიცი, ჯერ ვერაფერს ვატყობ, — მორცხვად გაიღიმა ბრეგვაძემ.

კალისტა კანცელარიაში მუშაობდა. მთლად კურიერი არ იყო, მაგრამ მდივან-მემანქანესა და ბიკრაკს შორის, რაღაც საშუალო თანამდებობა ეჭირა. გაიძახოდა, სტაჟის გულისთვის ვმუშაობო, მაგრამ რა სტაჟი სჭირდებოდა ისეთი, ამ ხუთ წელიწადში რომ ვერ დაგროვა? მოკლედ შეკრეჭილი, ფერფლისფერი თმა და აპრეხილი, თხელი ცხვირი ჰქონდა. ბარძაყებზე უმცროსი ვესლად შემოჭერილი ჯინსი, აწუხებდა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მოხდენით ნამდვილად უხდებოდა.

ჯუმბერს არ ახსოვს, რომ ტოროშელიძის ლამაზი გოგო მირმანოლოგიურ ლაბორატორიაში შემოსულიყო, ამიტომაც უფრო აღიზიანებდა კანცელარიის მოხელის უბოდიშო თავისუფლება. კალისტამ ოთახი ღიღინით შემოირბინა, ყველაფერს ჩახედა, ყველგან ჩაჰყო ცხვირი. ეს რა არისო, მინის ქილაზე იკითხავდა. ბრეგვაძე სანამ აუხსნიდა, გოგონა საკობს მოხსნდა, დაყნოსავდა „ფუჰო“, იტყოდა და სხვა სინჯარამენზურისკენ გარბოდა.

— შენა, — კალისტა ოთახის შუაგულში გაჩერდა, მარჯვენა ფეხი წინ წამოსწია, მერე მანეკენივით ფეხები ერთმანეთს შეაწება და დაბნეულ ლაბორანტს ტანის რხევით, გვერდულად გამოხედა. — უმცროსი პრეპარატორობა პროფილში გადის?

— რა ვიცი, — მანეკენის ლამაზ ფეხებს თვალი მოარიდა ჯუმბერმა, — ჩემ დროს ითვლებოდა, რას გაუგებ, ყოველ წელიწადს ცვლიან წესებს.

— იცი რატომ გკითხე? აბესაძეს უმცროს პრეპარატორად გადავყავარ.

— როდის?

— როგორც კი ადგილი გამოჩნდებაო. თუ არ მატყუებს, ასე მითხრა. ისე ძალიან სკოლზეკი კაცია. მატყუარებს ვერ ვიტან. ჩემთან ცუდად არ არის, მაგრამ გაიძვერაა და ვერ ვიტან. იცი რამდენი მკვდარი სული ჰყავს გაფორმებული?

— რამდენი? — უგულოდ ჰკითხა ბრეგვაძემ.

— ერთი ხომ თქვენთანაა — ბარბალე გელოვანი. მეორე ვიღაც კოტე კრიჭინაშვილი, მოიცა კიდევ, ჰო... გრიგოლ ჯაბუა, ოთხი თვის წინ გააფორმა. ესენი მე რომ ვიცი და მე რომ არ ვიცი, ისეთი რამდენია. ამათ ხელფასს თვითონ იჯიბავსო, ამბობენ.

— ვინ ამბობს?

--- ყველანი, მთელი ინსტიტუტი ამას ლაპარაკობს, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერავინ ბედავს. მე რაში მაინტერესებს, მე სტაჟის გულისთვის ვმუშაობ. მაგრამ ვერ ვიტან ასეთებს. იცი, გარდა ამისა, მე მგონი, გოგოებიც უყვარს. ხანდახან ისე გამიშტერებს თვალს ეს ამ ხნის კაცი, რომ სიცილისგან ხუთვა მეწყება.

— აბა, გადასულხარ უმცროს პრეპარატორად.

— კარგი რა, არა გრცხვენია? საით უკაკუნებ. ერთი ხელი გაატოკოს, იქნებ გოგირდმჟავა შევასხა თვალებში.

— სად იშოვი გოგირდმჟავას?

— მაგის სამყოფს ვიშოვი. პაკა! — ხელი გაუსვა ჰაერს კალისტამ, რომელიღაც რუმინული სუნამოს სურნელი დატოვა და კატასავით უხმოდ გაძვრა კარებში.

ჯუმბერმა კარი ჩაკეტა, ძირხვენისა და დაფნის ნახარშს დასწვდა, კისერში პირსახოცი ჩაიფინა, ფანჯარას გადაეყუდა და თმის ძირების გამაგრების საეჭვო გზას დაადგა.

საქმეს რომ მორჩა, თავი შეიმშრალა, მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდებს შორის „ახლავე მოვალ“ მოძებნა, კარზე გააკრა, კიბეს ჩაუყვა და ეზოში გავიდა.

გარეთ ცხელოდა.

ატმის ნერგებზე უხვად მიშვებული წყალი ქვევით, ქუჩაში იშლებოდა და მანქანებს ადენებული წყლის მარაო ზემოდან სასიამოვნო სანახავი იყო.

სახლების თავზე რუხ-ყვითლად ათიმთიმებული ხვატი იწვა. მამადავითსა და შავნაბადას ამოეყოთ თავები მანქანა-ქარხანათა შხამიანი თავსაბურიდან და თითქოსდა ქალაქს მაღლა, ცისკენ ეწეოდნენ.

ქალაქი კი, თითქოს ვერ ამჩნევდა მის თავზე გაწოლილ ჯანღს, მაღალ ძაბვაზე იყო ჩართული, ადამიანები გაფაციცებული სახეებით მიმორბოდნენ და მაღლა ასახედად არ ეცალათ.

გვერდით ერმალო აბესაძემ ჩაუარა, ჩინურ ვაზისკენ გადაიხარა, წყალი მოსვა, ხელისგულები დაისველა, შუბლზე მოისვა, ცხვირსახოცი დაიქნია, ხელები შეიმშრალა და „გაზ-24“-ისკენ ასწრალი სიგნალიზაციის ოსტატებისკენ გაემართა.

ჯუმბერ ბრეგვაძეს მოეჩვენა, რომ დირექტორმა დაინახა, მაგრამ არ მიესალმა.

„რას მამადლის, ეს ინსტიტუტი მამამისის მემკვიდრეობად ხომ არ მიიჩნია. დამწიშნა უმცროს ლაბორანტად, დიდი ამბავი. მადლობა მოვახსენე, მეტი რა მექნა. თავისი დირექტორობა არ უკვირს და ჩემი ლაბორანტობა უკვირს?“ — გაიფიქრა და თითქოს თავისივე ფიქრისა შეეშინდაო, ისევ ქალაქის თავზე ჩამომხობილ კორიანტელს მიაჩერდა.

— ნამდვილი ყოფილა, კი. არაფრის არ რცხვენია მაგნეს. უგონებდნენ მეგონა. ჭორი იქნება-მეთქი. ა, შეხედე, ნამდვილი ყოფილა.

არც გაუგია, როდის ამოუდგა გვერდით მეტაბელე ზაზა წიფურია.

— რაზე ამბობ?

ზაზა სიგნალიზაციის ჯიხურისკენ მიმავალ ერმალოს თვალს არ აცილებდა.

--- ახლა უყურე. ა, ჩვენ თვალწინ მოხდება ყველაფერი. დირექტორი წილშიაო, ტყვილი მეგონა. როგორ იკადრებს ამხელა კაცი სოსო ტაბუცაძეს და ბადრი მაჩიტიძეს ფული გამოართვას-მეთქი, კინაღამ ვეჩხუბე ერთ კაცს, დამენიძლავეო და, კიდევ კარგი, არ დავენიძლავე, ხომ წავაგებდი ნიძლავს, ა, უყურე მაგნეს.

თითქოსდა ზაზას ნათქვამის დასადასტურებლად მოქმედებენო, დირექტორმა ბადრი მაჩიტიძეს მხარზე ხელი მოუთათუნა, ბადრი წელში გაიმართა, მანქანის ქვეშ პირაღმა გაწოლილ ტაბუცაძეს რაღაც გადაულაპარაკა, მერე დირექტორი და მაჩიტიძე ბოქსში შეეიდნენ, ხუთიოდე წუთში გამოტრიალდნენ, ერმალო გამოუმშვიდობებლად წა-

მოვიდა, ბადრი კი ისევ მანქანას დაუბრუნდა.

— ხომ ყოფილა ის კაცი მართალი, წელში რომაა, ამას უნდა ახლა ბევრი ლაპარაკი? ეს რა ვნახე, დედაია, მთლად წასული ხელიდან, კი...

თავისი „აღმოჩენით“ გახარებულ წიფურიას სიტყვა პირში შეატოვა და სახანძრო სტენდის გვერდით, კიბის ქვეშ მოთავსებულ ბუფეტში შევიდა. ქერა-თმიანი, ფუნთულამკლავება მებუფეტე ქალი დახლს გადმოყრდნობოდა და ვიღაცას გაცხარებით უმტკიცებდა: „თუ ასე გაგრძელდა, არა, გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. დროებით, დროებითო, აღარ გათავდა ეს დროებით? შევედი იმ დღეს; შალვოვიჩ, სანამ ვიყო კიბის ქვეშ, კაცაშვილი აღარ შემოდის, ჩაი რომ დალიოს ადამიანმა, იმის ადგილიც არა გვაქვს. ბოლოს და ბოლოს, ხალხის მრცხვენია-მეთქი: რა ვქნა მეო, როგორ თუ რა ჰქნა, დირექტორი შენ ხარ. თუ არ გეჭირდებათ ეს ბუფეტი, დახურეთ საერთოდ, თუ არა და, მუშაობის ნორმალური პირობები შემიქმენით-მეთქი. შეაყარე კედელს ცერცვი. არა, გენაცვალე, მე აქ გამჩერებელი არა ვარ. იმ თვის გეგმა ნახევარიც არ შემიტანია. არც შემოდის არავინ, ვინ შემოვა ამ სათაგურში“.

უმცროსმა ლაბორანტმა ჩაის დალევა გადაიფიქრა და თავის სამუშაო კაბინეტს დაუბრუნდა. ასე არასოდეს ნდომებია მარტო დარჩენა. საღამომდე იმდენი წყალი გამოხადა, რომ ლაბორატორიის ჯამ-ჭურჭელი პირწმინდად დაავსო და სანამ კარებში ლოთი დამლაგებელი ქალი არ გამოჩნდა, არ გაუგია, რომ სამუშაო საათები კარგა ხნის დამთავრებული იყო.

გამოსვლისას თმის წამლით სავსე ქილას შეხედა, საქმიმბაშო განრიგით წამლის მორიგი გადასხმა სწორედ ახლა უწევდა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და გავიდა.

მერე ვერაფრით ვეღარ გაიხსენა, როგორ მივიდა შინ და ივახშმა თუ არა საერთოდ. რომ გამოერკვა, წელი ქვეშ დამთავრებული ჰქონდა. ერმალო აბესაძის დანაშაულობათა ნუსხა ოთხ ფურცელს მოიცავდა. გადაიკითხა, [illegible] და ამ კედელზე სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის სერგეი ლაზოს სურათს გამომშრალი თვალებით მიაჩერდა. „რა ჩაიდინა? ხომ აშკარა იყო, რომ ბაბუძმა ხუტუნია ამ საქციელს არ მოუწონებდა. ბოლოს და ბოლოს აბესაძისგან აშკარად გამწარებულები ჯიუტად სდუმდნენ და ჯუმბერი რა წითელი კოჭი იყო სხვის მაგივრადაც ებზრიალა? იმ კაცს მისთვის ხომ არაფერი დაუშავებია, რატომ უნდა აღმართოს ხელი და ისიც მან, ახალგამომცხვარმა უმცროსმა ლაბორანტმა?“

ბოლოს შიშსა და მორიდებას ჯუმბერის არსებაში სხვა გრძნობამ სძლია: „კი ბატონო, დავხვე ამ ოთხ ფურცელს და ცეცხლს შევუკეთებ, ამაზე აღვილი რა არის, მაგრამ ეშველება ამით საქმეს? მთელი ინსტიტუტი შეუჭამია კაცს და პასუხს არავინ თხოვს, სამართალია? ეველამ რომ პირში წყალი დავიგუბოთ, უარესს არ იზამს აბესაძე? გარდა საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვისა, ხომ არსებობს ქვეყნად ვაჟკაცობა და თავგანწირვა, ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, რა თავგანწირვაა, კაცმა რომ თქვას, მივიტან ამ ქაღალდს, სადაც საჭიროა, შეამოწმებენ სიმართლეს და კუდით ქვას ასროლინებენ შენს ერმალოს“.

ასე ფიქრობდა ჩვენი ნოველის გმირი იმ საღამოს. ოხუულება-საჩივარი გულმოდგინედ გადაწერა, ხელმოუწერლად ჩადო კონვერტში და ენით დაწერა, მაგრამ ანონიმური ავტორობა შეურაცხყოფად მიიჩნია, კონვერტი გახსნა, თავისი სახელი და გვარი გარკვევით მოაწერა და ღრმად ამოისუნთქა.

ვერ გეტყვით, რომ იმ ღამეს მშვიდად ეძინა. დილით გზად სამმართველოში შეირბინა „საჩივრისა და წინადადებების“ ყუთს მიადგა და კონვერტი რომ ჩაუშვა, ირგვლივ ისე ამაყად მიმოიხედა, თითქოს, ეს-ესაა საშვილი-

შვილო საქმე განსრულა და ქვეყანას ჭირი მოაშორაო.

სამი დღის შემდეგ ადგილკომში უხმეს. ადგილკომის თავმჯდომარე ულეაშრეტება, ელამი, ახმახი ბიქტორ ტაფაძე ღვიძლი შვილივით შეხვდა; გაბედულება მოუწონა, თქვენ თუ არ იბრძოლეთ სიმართლისთვის, ახალგზრდებმა, ხომ ხედავ, რა ხდებაო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ერმალო აბესაძე ამის ჩამდენი იყოო. შენ, ალბათ, საბუთებიც გაქვს მოგროვილი, თორემ ისე ხომ არ დაწერდი ამასო, — საკანცელარიო სამაგრებით შეკრული ოთხი ფურცელი აუფრიალა ცხვირწინ და დიდად გაიოცა, როდესაც უმცროსმა ლაბორანტმა აუწყა, არავითარი დოკუმენტი არ გამიჩნია, უბრალოდ, რაც ეჭვმიუტანელი სამართლეა და რასაც მთელი ინსტიტუტი ლაპარაკობს, ის დაგწერეო.

ბიქტორ ტაფაძემ ნიკაპი მოიქექა და კარგა ხანს თვალებში შესცქეროდა დამწყებ მომჩიენან-მოხალისეს. მერე თითქოს უთანაგრძნობსო, წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ბეჭებზე რამდენჯერმე დაჰკრა ხელი, თითქოსდა წინასწარ იცოდა ტაფაძემ, როგორ წარიმართებოდა ბრეგვაძის მიერ უნებლიედ დატრიალებული კარუსელი.

— ჩემო ჯუმბერ, რაკი დაიწყე, ბოლომდე უნდა მიიყვანო საქმე, ახლა შეჩერება შენსავე საზიანოდ მოგიბრუნდება. წაიღე ეს განცხადება და რამდენიმე კაცს მაინც მოაწერინე ხელი. ისე, ო, „განცხადების ჭეშმარიტებას ვადასტურებ“ და ხელმოწერა. მე თვითონ მოგაწერდი ხელს, მაგრამ ოფიციალური პირი ვარ და არ შეიძლება. ისე, ყველაფერში მხარს დაგიჭერ, ახლა მთავარია. არ დავმარცხდეთ. მთა, ვინც ეს ფაქტები გაცნობა, მე მგონი, უნდა ეყოთ ვაქაკობა და მოაწერონ ხელი. მთავარია. მარტო არ დარჩე. თუ ეს განცხადება მოწმეებით არ გაამაგრე, ცილისმწამებელი შეგერქმევა და მერე ნუღარ დამემდურები, — ნარკვევი საქალაღლდეში ჩადო, გაოგნებულ ჯუმბერს იღლიის ქვეშ შეუჩერთა, წარამატება უსურვა და კარამდე გამოაცილა.

აკადემიკოს გაიოზ ტერელაძის ტანმაღალი, ზღვისი მცველი, თავის მომაბეზრებლად ენერგიული, შეუხებადი ლაბორანტი — ვერა, რომელსაც თავისი პირდაპირი მოვალეობა დავიწყებოდა და ტექნიკური მდივნის ფუნქციებით აღუსურვილიყო, ბრეგვაძის იღბლად, კარაქის საშოვნელად გახლდათ წასული და აკადემიკოსის კაბინეტთან, ამ სერიოზული მიზეზის გამო, არაკინ იდგა.

ტერელაძემ კართან ატუზული ლაბორანტი კარგა ხანს ალოდინა (მაინცდამაინც მაშინ მოუნდა გაზეთების გადათვალიერება), ბოლოს თავი ასწია, სადღაც შორს და უაზროდ გაიხედა, თითები გაატკაცუნა და ვარდისფერფაფრდაჩამოფარებულ სარკმელს ჰკითხა:

— რაზე მუშაობთ?

ბრეგვაძემ აუხსნა, რაზეც მუშაობდა და იქვე მიაყოლა, რომ აკადემიკოსის შრომები წაკითხული ჰქონდა და ამ ბოლო დროს ფრანგულთან ერთად, ინგლისურის შესწავლასაც მიჰყო ხელი.

— ინგლისური კარგია... გამოგადგებათ... წარმოიდგინეთ, მე პროფესორები ვიცი, ინგლისურის ინჩრბინჩრი რომ არ გაეგებათ. აბა, თქვენ მითხარით, ინგლისურის გარეშე შეიძლება მეცნიერს მეცნიერი დავუძახოთ?

— არა, — რა თქმა უნდა, დაეთანხმა ჯუმბერი და მოწიწებით დაუდო განცხადება მაგიდაზე: — თუ შეიძლება, ხელი მომიწერეთ.

დაიწყო ლოდინის მტანჯველი წუთები. აკადემიკოსი დიდხანს დამარცვლით კითხულობდა ერმალო აბესაძის „მოღვაწეობის“ ნუსხას, ხანდახან შეჩერდებოდა და წინადადებას თავიდან იწყებდა, აშკარად ჩანდა, რომ უცხო ენების (და განსაკუთრებით ინგლისურის) ჩინებულად მცოდნე ტერელაძე ქართულს არც თუ ბრწყინვალედ ფლობდა.

— ჩინებულია, — როგორც იქნა, ჩა-

ამთავრა კითხვა დიდმა მეცნიერმა, — თქვენ თვითონ დაწერეთ?

— დიახ, — თავი ასწია ჯუმბერმა.

— მიიტანეთ სადმე?

— კი... მაგრამ... რამდენიმე მოწმეა საჭიროვო. თქვენ რომ მოაწერთ ხელს, გამაგრდება.

— რას იზამს? — როგორ ჰგავდა აკადემიკოსი ახლა, ამ წუთში „ბითლსების“ ფირფიტაზე დახატულ მეგიტარეს.

— მეტი ძალა ექნება, პატივცემულო.

ტერელაძემ თავიდან დაიწყო საჩივრის კითხვა. თითქოს ზეპირად სწავლობსო, მაღლა აიხედავდა და ფრაზას გაიმეორებდა.

— ჩინებული შედგენილია. ყველაფერი სწორია. მიროტაძის ფაქტი?

— თქვენ მითხარით, თუ გახსოვთ.

— მე? — ტერელაძემ ხმას დაუწია. — მე გითხარით, მახსოვს. ხომ კარგად მოვიქეცი, რომ გითხარით? ზოგიერთი ჩემს ადგილზე არც კი გეტყოდათ. აბა, თქვენ იცით. ბოლომდე მისდეთ ამ საქმეს. არავის უთხრათ, რომ ჩემთან იყავით. კარგად ბრძანდებოდეთ. მოიცათ, ეს ნაწერიმი გრჩებათ.

— ხელს ვერ მომიწერთ? — სასოწარკვეთა ჩაბუდებულიყო ლაბორანტის ხმაში.

— რა თქმა უნდა, ვერა. მე ასეთ დოკუმენტებს ხელს არ ვაწერ. ჩემთვის უხერხულია. აბა, კარგად, მხნედ, მედგრად, როგორც ინგლისელები იტყვიან, — სანამ კარს მიხურავდა, დერეფანს იდუმალი მზერა მოავლო და ჩურჩულით თქვა: — მიროტაძის ფაქტიც მშვენივრად ზის. თუ კითხონ, ყური მოეკრინოქო. აღარ მახსოვს, ვინ მითხრათქო. ასე აჯობებს საქმისთვის.

თავდახრილი, გაწბილებული მოაბიჯებდა თავისი ლაბორატორიისკენ ჯუმბერი და შავფრაკიანი ტერელაძე საოცრად აგონებდა აუზდამშრალი ზოოპარკის პინგვინს — სიცხისაგან შეწუხებული მი და მო რომ აწყდება.

წყლის გამოსახდელი აღარ ირთვებოდა. შავი სატინის ხალათი ჩაიცვა, ბოდოს უჯრიდან ინსტრუმენტების კოლოფი ამოიღო და ალპარატის დაშლას შეუდგა. კარგა ხანს უკირკიტა. მერე ისევ აწყო. უკვირდა, ყველაფერი როგზე იყო. არც დამწვარი იყო კონტაქტები, არც გაწყვეტილი, ალპარატი კი მაინც არ მუშაობდა. ქანჩები ჩვრით გაწმინდა. თავის ადგილას შეინახა და საათზე დაიხედა. ხუთი სრულდებოდა, სადაცაა ლაბორატორიის გამეღე უნდა გამოჩენილიყო. თმის წამლიან ქილას დასწვდა, ფანჯრას გადაეყუდა და პირველივე პეშვი ისხურა თუ არა თავზე, კალისტა ტოროშელიძე შემოფრთხიალდა დაუკაკუნებლად. ჯუმბერმა ქილა იატაკზე დადგა და პირსახოცს მისწვდა.

კალისტამ ტანის ჩვეული რხევით შემოუტრბინა ლაბორატორიას და ისე გაუჩერდა ჯუმბერს წინ, თითქოს ეკითხებოდა, ეს თეთრი ჯინსი მიხდება თუ არაო. ხელები კეფასთან, თმაში შეეყო და იღიმებოდა. იმდღევანდელზე უფრო ლამაზი ჩანდა და თეთრი ჯინსიც ძალიან უხდებოდა.

— კალისტა, რა კარგია, რომ მოხვედი, შენთან საქმე მქონდა, — ბრეგვაძე საქაღალდეს დასწვდა.

— ჩემთან საქმე? ოჰო, — მარცხენა ფეხი წინ წამოსწია და ჯანმრთელი სხეული გაარწია კალისტამ.

— საჩივარი დავწერე, აბესაძეზე.

— რა საინტერესოა! — ტაში შემოჰკრა ტოროშელიძემ, — რას უზამენ?

— უკეთეს შემთხვევაში, მოხსნა არ ასცდება.

— შენა, — კალისტა ფანჯარასთან მიდგა და ფურცლები ისე აამრიალა, რომ, აშკარად ჩანდა, წამკითხავი არ იყო, — მკვდარი სულები რომ ჰყავს, გიწერია?

— კი.

— გოგოები რომ უყვარს?

— არა.

— რატომ?

— ეგ დიდ ცოდვად არ უნდა ითვლებოდეს, ჩემი ფიქრით.

— გაგიჟდი? ჩაამატე აუცილებლად. უკვე თვალების ქუქუნზე გადავიდა. პკვიანად თუ იქნები, მე გიპატრონებო. ჩემი მფარველობის ქვეშ მეყოლებიო. მკლავზე ხელიც ჩამომისვა.

— შენ?

— რა მე?

— რა პასუხს აძლევ?

— ჯერჯერობით ვუთმენ და მერე. ქნება, ისეთი ვიფრინო, ლანჩებს კეფაზე ირტყამდეს.

— მოაწერე ხელი.

— რას?

— ამ საჩივარს.

— ხო აზრზე ხარ! — კალისტამ გადაიხარხარა. — ხომ არ გაგიჟდი? იმ დღესვე გამაგდებს. — ფანჯარას მოშორდა. — წავედი, პაკა! — კართან მივიდა და მოიხედა.

— ჯუმბერ, ჯუმბერ, უმცროსი პრეპარატორობა ჰროფილში გადის?!

—არა! — შეუღრინა ჯუმბერმა.

კალისტა და ბონდო კარებში შეეფეთნენ ერთმანეთს. ბონდომ გაუღიმა, სად მიდიხარ, ანგელოზო, გვაყურებინე შენთვის ცოტა ხანსო, შაქრად დაუტკბა, ხელზე აკოცა და შემოაბრუნა კიდეც. მაგრამ კალისტამ მაგიდაზე დახრილ ლაბორანტს მწყარალად შეხედა, მეჩქარებო. საქმიანად აწრიალდა და წავიდა.

კაკალაშვილმა თვალი გააყოლა და პიჯაკს რომ ჰკიდებდა, ჯუმბერს შეხედა.

— ხომ არავინ მიკითხა? ამნაირებისაა დღეს ქვეყანა. რა ჰქვია ამ გოგოს?

— დარეკა ვიღაცამ. კალისტა ჰქვია.

— არ უთქვამს, ვინ ვარო? კაი უბედური იქნება ეს შენი კალისტაც, ნუ გეშინია.

— კაცის ხმა იყო. ისე, არ ჩანს გლახა გოგო, რა ვიცი.

— დღე და ღამე კაბინეტში უზის ერმალოს. მაგის გამშვებია აბესაძე? ისე, აქეთ, ჩვენკენ, ცხვირზე ბუზს არ იჯენს, გეგონება, ციდან ჩამოფრინდა და, საერთოდ, რანაირი წესით მრავლდება ადამიანი, ისიც არ იცისო. იმ დღეს ბარქაია უშნოდ გაეხუმრა და მთელი საათი ტიროდა, ეს რა მკადაფარეს იციან მაგნაირმა გოგოებმა. — გაბრაზებულ ამბავი შენ. ვინც ნამეტანი პატიოსნებაზე დებს თავს, სწორედ ისაა ქვეყნის დამქცევი.

— ყველას თავისი მუღამი აქვს, — ანდაზითვე უპასუხა ბრეგვაძემ, საქაღალდე წინ დაუდო და დააყოლა:

— გადახედე ერთი ამას, თუ დრო გაქვს.

ბონდომ კითხვა რომ დაამთავრა, ხელები კისერზე შემოიწყო და დაამთქნარა, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოხტა, ხალათი ჩაიცვა, კარი ჩაკეტა, ჯუმბერს ეცა და გადაეხვია.

— ეს რა გიქნია, შენ გენაცვალოს ბონდო. კაცი შენ ყოფილხარ!

— არავინ ამოიღო ხმა და სანამდე გვეცადა, — ქება შეიფერა ლაბორანტმა.

— ვინაა ხმის ამომღები. ამ ინსტიტუტში ნახეკარი მაგის ხალხია. ასეც რომ არ იყოს, არ იცი, რავარი დადგლებულია ქვეყანა? ყველა თავის ტყავს უფრთხილდება. ჩემსავით და შენსავით კი არ ჭრიან სხვები. ოხოხოხო, — ქაღალდებს დახედა, — არა ამოგიღია ოთხში? იხტუნოს ახლა. თანაც ყველაფერი რომ მართალი გიწერია? დასვამენ ნიჩაბზე, წყალი არ გაუვა.

— ხელი უნდა მოაწერო, — მშვიდად უთხრა ჯუმბერმა.

— მეე? — სხვისი ხმით იკითხა კაკალაშვილმა.

— შენც და სხვებმაც.

— ვინ გითხრა?

— ბიქტორ ტაფაძემ.

— ბიქტორს აჩვენე უკვე? — ბონდოს შაბში მოხარშული თევზის ფერი დაედო. — ჩემზე ხომ არაფერი გითქვამს?

— არა.

ბონდო დამშვიდდა. ხალათი გაიხადა,

პიჯაკი ჩაიცვა, ერთხანს ტელეფონი აჩხაკუნა, მერე ერთბაშად აბუზღუნდა:

— კაცს, ვერსად დაგირეკია, საქმეა ესო? — გასვლისას მობრუნდა, თითქოს უმცროსი ლაბორანტი ახლა შეამჩნიაო, დერეფანს გახედა, კარი მოიხურა და საიდუმლოდ აუწყა:

— ჯუმბერ ჩემო. მე რომ ამ ქაღალდზე ხელი მოგიწერო, საქმეს წავახდენთ, იციან, დირექტორი ჩემთან კარგად რომ არ არის და ბონდომ შეაფულიანაო, ჩემზე იტყვიან. ამით შენც დამცირდები და მეც შეთქმულების ორგანიზატორობას მომაკერებენ. სხვებს მოაწერინე ხელი. ვინ არ მოგიწერს. მე ხომ ისედაც აგერ გაყავარ. ხელმოუწერლადაც შენს მხარეზე არ ვარ?

ასისტენტ მიროტაძეს ფინური პიჯაკისთვის სახელო მოერღვია, ნემს-სათითური მოემარჯვებინა და კერავს შესდგომოდა.

ბრეგვაძეს სალამიც დაასწრო და ისიც აუწყა, რომ ფინელები, მართალია, პალტოს კარგს კერავენ, მაგრამ პიჯაკის შეკერვას ვეტნამელები უკეთ ახერხებენო.

განცხადება-საჩივარს რომ გაეცნო, ხმა არ ამოუღია, ისევ საკერავს დაუბრუნდა და როცა ჯუმბერმა შეახსენა — რა გადაწყვიტეო, ცრემლგამშრალჰა ამოღერღა:

— ?ოგიკვდა ჩემი თავი, ჯუმბერ. შენს გვერდით არ უნდა ვიდგე ახლა მეე? ყველაფერი სწორია. არ შეგეშინდეს არაფრის. იმ კვირიდან ექვსთვიან შვებულებას ვიღებ, დავბრუნდები ექვს თვეში და, არა თუ ხელს მოვაწერ შენს საჩივარზე, მეტსაც ვიზამ. მე სხვა კაცი ვარ, მკ არ მიცნობ შენ ჯერ კარგად. მიროტაძეს არაავისი არ ეშინია, ასეა ეს!

მერე ისევ სახელოს გამოჭრის ფინურ მეთოდს დაუწყო ლანძღვა. რომ ჰკითხოთ, მსოფლიოს სტანდარტების დონეზე ჰკერავენო. რა მოვუხერხო, არ ვიცი. გადაკეთება უფრო ძნელია, სხვათაშორის, ვიდრე ახლის შეკერვაო.

მეტაბელი წიფურიამ უკვე იცოდა, რა საქმეზეც იყო მოსული უმცროსი ლაბორანტი და, ბუნებრივია, ისიც იცოდა, რომ ხელს არავინ უწერდა საჩივარზე. ზაზა „გონივრულად“ მიუგო, წაკითხვითაც კი არ შეუწუხებია თავი. მე ყველაზე პატარა კაცი ვარ ამ ინსტიტუტში, ჩემი ჯუმბერ, ყველანი რომ მოაწერენ ხელს, მერე შემომიარე და მეც მოვაწერო. რა წაკითხვა უნდა შენს დაწერილს, საათივით გექნება აწყობილი, ვიცი მეო. მაგნებს არ შერჩებათ პარპაში. დირექტორი კაცი რომ სძინავს საქმეს იკადრებს, სხვა რას იზამდეს იქნება, მითხარი ერთი შენო.

ლაბორატორიაში რომ დაბრუნდა, შუბლი უხურდა. თმის წვამალა ცოტა გაგრილა, მაგრამ მალევე მოეძალა უგუნებობა. წინდაუკან დააბიჯებდა და მკლავებზე ხელს ისვამდა ციებიანივით. ტელეფონი აწკრიალდა:

— ალო, ჯუმბერ, — ნაცნობი ხმა იყო, რბილი და ხავერდოვანი, ღმერთო, ვისა აქვს ასეთი ხმა. ვერაფრით გაიხსენა.

-- გისმენთ.

— ჯუმბერ, მარტო ხარ?

-- ყველა გაგებით.

— მანდ ხომ არავინ არის-მეთქი.

—არა. ვინ ბრძანდებით.

—არა აქვს მნიშვნელობა. ცუდ ხასიათზე ხარ?

მაქვს კიდეც მიზეზი.

— მომისმინე. შენ ახალგაზრდა ხარ და გამოუცდელობამ გძლია. მაგათთან სხვანაირი ბრძოლაა საჭირო. კრებაზე უნდა მისულიყავი და გემხილა. მაშინვე აზრი შეიქმნებოდა, გახმაურებოდა.

— ვინ ბრძანდებით?

— რა მნიშვნელობა აქვს. შენი კეთილისმყოფელი. ზოგი იმდენად გაიძვერაა, რომ დადის და ხმას ავრცელებს; ბრეგვაძეს საჩივარი შეუთხზავსო. აბა. საჩივარი რა საკადრისიაო, კვერს უკრავენ ყველანი. ამ ინსტიტუტში ყველამ უყველაფერი იცის, მაგრამ საჩივარის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარენი ხდებიან. კრებაზე რომ გეთქვა, ვერ

მოითმინაო, იტყოდნენ და სწორედ შეაფასებდნენ.

— რა ეშველება ამ საქმეს? — ყოველშემოხვევისთვის ჰკითხა ბრეგვაძეს.

— ბოლომდე უნდა იბრძოლო. იცოდე, მე შენთან ვიქნები. არც ეგრეა საქმე. მარტო არ დაგტოვებთ. ამ ინსტიტუტში კარგი ადამიანებიც ბლომად არიან. კრებაზე გამოდი, კრებაზე. მე ხალხს დავრაზმავ, მხარს დაგიჭერთ. არ შეგეშინდეს.

— ვინ ბრძანდებით? გმადლობთ გამხნევებისთვის!

— ყოჩაღად იყავი, — უცნობმა ყურმილი დადო.

ჯუმბერს კარგა ხანს ეჭირა ხელში ატუტუნებული ყურმილი, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა, ვისი ხმა იყო. იქნებ ესეც მატყუებს, იქნებ მცდისო, გაიფიქრა უმცროსმა ლაბორანტმა და გული შეეკუმშა.

●

ჯუმბერ ბრეგვაძე მიხვდა, რომ ერმალოსთან ბრძოლა წააგო. მარტო დარჩა. ტროლეიბუსით შინ რომ ბრუნდებოდა, ცდილობდა გაეხსენებინა, სად დაუშვა შეცდომა, მაგრამ ვერა და ვერ მოიგონა. თითქოსდა მოვლენათა ლოგიკა სხვა ახსნას იძლეოდა? ჯუმბერი ახლაც დარწმუნებული იყო, რომ ერმალოსთვის ჭკუის სწავლება მთელს ინსტიტუტს გულით სურდა. მაშ, რა მოხდა, რა დაემართა ამ ხალხს? ნუთუ ეს ყველაფერი თვალთმაქცობა იყო? ნუთუ პირი შეკრეს უმცროსი ლაბორანტის წინააღმდეგ და საადგომო ბატკანივით გაწირეს? რაღა მაინცდამაინც მასთან საუბრისას მოუნდებოდა ყველას ერმალო აბესაძის თავგასულობაზე სიტყვის ჩამოგდება? ნუთუ აკადემიკოსიც კი ერთი რგოლი იყო ჯუმბერ ბრეგვაძის გასაპამპულავებლად მოწყობილი შეთქმულებისა? კი მაგრამ, რა დააშავა ასეთი? რა ეშველება ამ საქმეს?“.

შინ რომ დაბრუნდა, თავისი თხზულება ცეცხლს მისცა და მტკიცედ გადაწყვიტა, არასოდეს მსგავსი რამ არ დაეწერა. ქვეყანაზე წარღვნაც რომ დატრიალდეს, ხმის ამომღები არ [illegible] ახლა, ამ შემაზრზენი ამბიდ[illegible]ბით გამოვძვერი, უბატონოდ ხმას აღარ გავცემ არავის. როგორ გამაბრიყვეს. ერმალოები ჩემზე მეტად რომ სპირდება ამ ხალხს, როგორ ვერ მივხვდი, მე სულელი.

მეორე დღეს, თორმეტ საათზე კალისტამ კარებში შემოყო თავი და ტაფაძე გიბარებსო, აუწყა.

ადგილკომის თავმჯდომარემ გულდასმით მოუსმინა და როცა საქმის ვითარება შეიტყო, აღშფოთება ვერ დამალა:

(ფრაგმენტი პოემიდან)

დამრჩა ტყეებს გაღმა სხეული, ხოლო სული თან, თან
გამომყვა, შემრჩა აქამდის... —
მე ვნახე, ღმერთო, თაფლი მაისის როგორ წაიცხო
სხეულზე ცოტნემ და ცოტნეს როგორ მიუწვა გვერდით!
ამ ტყეებს გაღმა... ზეცაწაშლილი აღარ ტიროდა
მონასტერი!

სხეული. სული. ღვრიდა ცრემლებს (მე მიხაროდა!),
თაფლით მთვრალი ლურჯი ჰაერი.

ამოიდგა სინათლემ ენა

მდინარის ფსკერი — ქვებით თბილად ამოვერცხლილი...
ხეებს ლურჯი ნაბდები მოუსხამთ.
შარაგზა. ხიდი. როგორც ხარის მზისფერი ქედი —
ლამაზია მინდორი ისე.
მიმოითიბა, ზამთარი მთაშიც... —
მალე, სულ მალე გალალავენ ჩეგოლასაკენ
საქონელს ბიჭები!

მდინარის ფსკერი... —
ბალღივით თბილად ამოიდგა სინათლემ ენა!

მახსოვს: მალულად...

სიყვარულისგან გაილია ლამის მდინარე, სიყვარულისგან!..
შენ... მდინარე... მახსოვს: მალულად ვუმზერდით
ბიჭები ტყიდან — რიყეზე
თევზივით მოფართქალე შენს ღვინისფერ პაწია სხეულს!
ვინ იფიქრებდა ახლოს მოსვლას!..

ცა იდგა სასაფლაოს წინ

მიასვენებდნენ ცხედარს,
პატარა გოგოს ცხედარს... —
ცა იდგა სასაფლაოს წინ!

მიასვენებდნენ ცხედარს?
ზღვა... თავდახრილი... უკან...
ზღვა...

ბრუნდებოდა...
უკან!.. —
ჰგავდნენ გაყინულ სიზმრებს
მეთევზეები, ანკესით ხელში!

ცა... იდგა... —
მუხის კუბო
ეჭირათ ფრთებით მტრედებს!

მიჰბი ბაბიჩი

შესრულდა ასი წელი უნგრული პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის **მიჰაი ბაბიჩის** დაბადებიდან. მან დიდი გავლენა მოახდინა უნგრული ლიტერატურის განვითარებაზე და თავის ხალხს მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაუტოვა.

შემოდგომას და გაზაფხულს შუა

1

გარეთ ჰქრიან შემოდგომის ღვინიანი ქარები,
ჭრიალებენ ჭირნახულით სავსე მარნის კარები,
განიძარცვა ფოთლისაგან ღვთაებრივი ვენახი
არეული ერთმანეთში ბუჩქების და ყველა ხის
მიცვალებულ ფოთოლთა მოშრიალე ტანი
იშლება და რბილ ტალახად ლპება წებოვანი.

აღარ შველის არც ერთი საკეტი და ურდული —
ცივი საღამოები, ფეხაკრეფით, ქურდულად,
ვით მზაკვარი სიბერე ისე გვიახლოვდება,
ზაფხული კი გვშორდება, გულში სევდა გროვდება,
ახლო-მახლო წრიალებს
სიკვდილის ცელგაჩრილი
ამაზრზენი აჩრდილი, საზარელი აჩრდილი.

ფიფქმა ისე დამალა ირგვლივ გონჯი მთა-ბარი,
თიფქოს მიწის დაფარვა იყოს მისთვის მთავარი,
თოვლი ისე თეთრია ვით ოთახში საღამოს
არის ჩვენი საწოლი ქალაქია და საამო.
ჩვენს საწოლზე დავდივართ... ლეიბი და ბალიში...
ჩვენს ლოგინზე — დედა რომ დაწოლის წინ გაგვიშლის...
დავდივართ და ვთამაშობთ და არ ვიცით რას ვშერებით,
ჩვენ ვართ უდარდელები, ჩვენ ვართ ანცი ბავშვები.
მაგრამ დედა დაგვძახებს, „აბა ძილის დრო არი“!
და საბანს დავიფარებთ ახლა ჩვენს ქვეშ რომ არი.
ჩუმად გვიახლოვდება სიკვდილისცელგაჩრილი
ის ბებერი აჩრდილი, საზარელი აჩრდილი.

მიფრინავენ დღეები სწრაფად, განა ტაატით,
იწრიტება სიცოცხლე როგორც სილის საათი,

ულმობელი საათი დროის ისრებს გადასწევს.
წლები სწრაფად მიჰქრიან, ვეგებებით ახალ წელს.
სავალ გზებს გადაგიჭრის ბედი, ბედი მდევარი
რჩება ბაღი უკრეფი, ყანა მოუწევარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუთმენლად სცემს გული, ჩვენი გამრჯე მუშაკი,
და თავის ცელას მოელის ვით დაღლილი გუშაგი.
ნერვიულად დავდივართ, ვერ ვახერხებთ მოცლას,
სინანულის გემო აქვს უკანასკნელ კოცნას.
სიხარულს არ გვანებებს სიკვდილისცელგაჩრილი
და ჰა, კარზე მოგვადგა საზარელი აჩრდილი.

გაზაფხულის სურნელი მათრობელი ყოვლის,
არემარეს ედება, უკვე დნება თოვლი,
მეც ფიფქი ვარ ფარფატა, თოვლთან ერთად ვდნები
მიწის გულში ჩავდივარ, მშობელს ვუბრუნდები,
მიდის, მიდის ზამთარი, ველი მოიჩითება,
მალე დაბრუნდებიან ფრთახატული ჩიტები.

მხოლოდ ჩემი ზამთარი აღარ მიდის არსად,
და არც ჩიტი, სიცოცხლის იმ ფრინველის მსგავსად.
ერთხელ მე რომ გავუშვი, უკან აღარ მოვა,
დილა რომ არ ექნება ეს ის საღამოა.
ნაბიჯები ისმის სიკვდილისცელგაჩრილის,
იმ მზაკვარი აჩრდილის, იმ ვერაგი აჩრდილის.

ვინც მიყვარდა არ ვუყვარვარ, გული სევდამ დათოვა.
მეგობარმა მიღალატა, საყვარელმა დამტოვა,
ვისაც კარგი გავუკეთე, ყველა ჩემი მტერია,
ცხოვრების გზა ვერ გავიგნე, გზაკვალი ამერია.
ვერ ავაგე სიყვარულის და სიკეთის ტაძარი.
გაზაფხულის ღვართქაფს მიაქვს ჩემი ნამოღვაწარი.

ამა ქვეყნის ნადიმ-ლხინზე მე ზედმეტი კაცი ვარ.
გაზაფხულიც ვერა მშველის, გაზაფხულმაც გამწირა.
მაგრამ მსურს შენ გაგიმხილო ეს ოცნება ფარული,
მადლი ჰქენი, მომაშველე ეგ სიკეთე ქალური,

მანუგეშე, თორემ ხედავ, სიკვდილისცელგაჩრილი
წასაყვანად მექაჩება ის ბებერი აჩრდილი.

არ თქვა უარი არაფერზე

არ თქვა უარი არაფერზე, ყველა უარით
მუდამ რაღაცა კვდება შენში მცირეოდენი,
ხოლო სიკვდილი გარდუვალი ცოდვა თუ არი,
თუ არის გულზე წუხილის და სევდის მომდენი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ თქვა უარი არაფერზე. ღვთით ნაბოძები
რად უნდა მოვკლათ მოელვარე სული გრძნეული
და სიტყვა უფლის, ნება მისი, ძალის მომცემი
თვით მიგვანიშნებს, თუ რა გეზი გვაქვს არჩეული.

●

ვიდრე სიცოცხლის მზე ჩავიდოდეს
ოცნების ხატი შენა ხარ ერთი.
და ჩემი სულის დამზრალ მინდორზე
ფერად ყვავილებს დავეძებ შენთვის.

ყველა ყვავილზე უძვირფასესო
და ტკბილო ყველა სიზმარზე მეტად,
სული ჰმუნვით და სევდით ამევსო, —
მწარე იარა მერგუნა ბედად.

ქარმა დაფლითა ხავერდის ფარჩა,
განუძარცვია ქარიშხალს ველი,
ვაი, რა ცოტა ყვავილი დარჩა, —
გვალვამ დარია ყველაფერს ხელი.

ყვავილთა ნაღველს სულში გავივლებ, —
მათაც ჩემსავით არა აქვთ აწმყო.
ვგლეჯ ჩემი სულის ბოლო ყვავილებს
და ყველას ერთად შენს ფერხთით ვაწყობ.

ხანდახან ფიქრი მაწუხებს მწველი
მე რომ არ ვიყო ამ ქვეყანაზე —
იქნება შენთვის ხასხასა ველი
და ყვავილები უფრო ლამაზი?

თარგმნა **ნოდარ გურეშიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირჟი მაგენი

(ჩეხეთი)

პატარა ხალხი

დიდმა ტამერლანმა თავისი ლაშქარი დასძრა. მთელი ნახეგარი აზია უკვე მის ფეხქვეშ გმინავდა. გამარჯვებებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ორასი ათასი მეომარი დაიღუპა, უმშვენიერესი ქალაქები დაინგრა, უნაყოფიერესი ველ-მინდვრები გაუდაბნოვდა, მაგრამ ტამერლანი ფიქრობდა, რომ გამარჯვებები ამ მსხვერპლად ღირდა. ქვეყნიერება უფრო და უფრო მიმზიდველად ეჩვენებოდა, უფრო და უფრო მეტ რაღაცას ჰპირდებოდა. ახლა ერთი ისდა დარჩენოდა, მაღალი მთები გადაელახა, იქ მცხოვრებნი დაემორჩილებინა, ჩაშვებულიყო ქვემოთ, ბარში, და იქაურობაც ამოეესო თავზარდაცემულთა კიბილით. მაშინ ტამერლანი თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს გასრულებულად ჩათვლიდა.

— იარეთ ფხიზლად და გაბედულად!

ლაშქარი წინ ნელა მიიწევდა. ყოველგვარ ჩქამს უდარიელებდა, ყოველ მოსაფარში შეიძლება სიკვდილი მჯდარიყო.

მაგრამ მოწინააღმდეგე არა და არ ჩნდებოდა.

ტამერლანი იღუშებოდა. სულ ელოდა, მთიელები აი, ახლა, აი, ახლა გამოიღებდნენ ხელს, აჩოჩქოლდებოდნენ მეწინავენი, ატყდებოდა ქვების გრიალი, საომარი ყიჟინა, მაგრამ ამაოდ — არსად არავინ გამოჩენილა, არც პირველ დღეს, არც მეორე დღეს, არც მთელ კვირას...

მიადგნენ ცადაზიდულ ციხეს, მაგრამ ირგვლივ შემოწყობა ვერც კი მოასწრეს, რომ დედა-კოშკის თაზზე ჭოკსგამობმული თეთრი დროშა აღმართეს.

ავიდნენ ზევით. თურმე იქ უკვე გაშლილ სუფრასთან ელოდნენ, უმორჩილესად იპატიჟებოდნენ. ტამერლანი წამით არ შეყოვნებულა, მრისხანედ იკითხა:

— რატომ დამნებდით?

მეციხოვნეებმა არაფერი თქვეს, მარტო თავს ხრიდნენ და მკერდთან ხელი მიპჭერნდათ. მაშინ ტამერლანის მეომრები მაგიდასთან მიცვივდნენ, ააყირავეს, ციხეში მყოფნი გათოკეს და ეგრე გათოკილნი გაიყოლეს უკან.

მეორე ციხეც უბრძოლველად დანებდა. სხვა ათიც ასევე — ტამერლანის დაფდაფებისა და ნაღარების ხმამ დასცა. დატყვევებულთა რიცხვმა ათი ათასს გადააჭარბა. ბოლოს ლაშქარი სატახტო ქალაქს მიადგა. მაგრამ იქაც, სატახტოს კართან, უკვე ქალწულები იცდიდნენ, ქალაქის უხუცესნი კი მაშინვე ტამერლანის კარვისაკენ გამოეშურნენ, გალავნის კარის გასაღებები ხელისგულებზე დადებული მოჰქონდათ.

ჩოჩქოლით, ერთმანეთის გასწრებით შევიდნენ კარავში.

დიდი სარდალი არც კი განძრეულა. იგი ქალაქს გაჰყურებდა და გრძნობდა, რა შეეძლო მას. ეს არწივების ბუდე მთელ წელს იბრძოლებდა და არაფერს შეიმჩნევდა... ქალაქის უბრძენესნი კი

მორჩილად ქედდადრეკილნი ედგნენ წინ.

— რატომ დამნებდით, ლაჩრებო? — ჰკითხა ტამერლანმა უხუცესებს.

— დიდია შენი დიდების ძალა, მბრძანებელო! ვერავინ გაუძლებს ამ ძალას.

— აახ! — ტამერლანმა ზიზღით ჩაიქნია ხელი, მიწას ჩააცქერდა და ჩაფიქრდა. აქ, ორი სამყაროს ამ მიჯნაზე, ერთგული ხალხი ჰირდებოდა, ველური, მაგრამ შეუპოვარი ხალხი. მთიელები რომ გასძალიანებოდნენ, სათანადოდ შეაფასებდა ამ ძალას და თავის მოკავშირედ გაიხდიდა.

ასე უნდოდა, ეს ჰქონდა ფიქრად. ეს უმწეო ცხვრები კი თვითონ უშვერდნენ ყელს ყასბის დანას.

— რატომ დამნებდით-მეთქი, ლაჩრებო? — ისევ იგრგვინა ტამერლანმა.

უხუცესნი ხმას ვეღარ იღებდნენ. ბოლოს ყველაზე უფროსი წამოდგა წინ და თქვა:

— ნუ გაგვირისხდება თქვენი მოწყალება და მოგახსენებთ. ჩვენ სად შეგვიძლია თქვენთან შება, ჩვენ პატარა ხალხი ვართ!

— პატარა ხალხი? მაინც რამდენნი ხართ?

— მხოლოდ სამი მილიონი, მბრძანებელო.

ტამერლანი ისე დაიწვა მაგიდის კიდეს, ფიცრების ჭრაჭუნი მოისმა. მის ირგვლივ მდგარნი შეძრწუნდნენ. სარდლის თვალებმა ცეცხლი გამოკვესეს, სასტიკმა ღიმილმა გადაუარა ბაგეზე, ზიზღით მოეგრიხა სახე.

— სამი მილიონი! სამი მილიონი ჭკვიანი ტარა ხალხი! სამი მილიონი ჭკუსაკლილოფი დედაკაცი! თქვენ ყველაფერი ასწონ-დასწონეთ, ჩემი ხასიათის გარდა. თქვენ სულ გეშინიათ ამ ქვეყნიდან აღგვისა, გეშინიათ არსებობისაც. მე კი თქვენს დამეგობრებას ვაპირებდი! მაგრამ თქვენ ჩემი ერთგულნი არასდეს იქნებით. დღეს თქვენ მე მომეტმასნებით, ხვალ კი ჩემზე ძლიერს მიჰყუდებთ ზურგს. როგორც თქვენი ბედი ინებებს, არა?

ტამერლანი წამოდგა, ირგვლივ იარაღის ჩხარუნი ატყდა. ტამერლანმა ბრძანა: „ყველანი გათოკეთ და შოლტებით გარეკეთ ჩრდილოეთისაკენ! ვისაც მზარეული არ გყავთ, აირჩიეთ ვინც გინდათ და წაიყვანეთ მზარეულად. ვისაც მონები არ გყავთ, აირჩიეთ და წაიყვანეთ მონებად. გარეკეთ საქონლივით! ყოველ მათხოვარს, მაწანწალას, ქურდსა და ავაზაკს მიეცით ეს ჩვრები. თუ ხმა ამოიღო რომელიმემ, იქვე ჩაამაღლეთ, ჩაამაღლეთ მთელი იმისი მოდგმაც, არც ქალი დაინდოთ, არც ბავშვი, აქ არავინ არ არის დასანდობი“.

ტამერლანმა თვალები დახუჭა და ეს დასძინა: „უმჯობესია, ველური ხარი დაეხეტებოდეს მარტოდმარტო ამ ხრიოკ მთებში, ვიდრე სამი მილიონი დედაკაცი დაჩოქილი ეძებდეს თავისი უვნებლობის წამალს“.

რუსულიდან თარგმნა **რევაზ ინანიშვილმა**

აბულფაზ კასიმოვი

თაყვანი ვცეთ პურს

იდეალური სიწმინდე, მარადიული სიკეთე, გულწრფელობა და სულიერი მგზნებარება — აი, ადამიანის სიდიადის ნამდვილი ხაზობი. კარლ მარქსის თქმით, თუ ადამიანი მარტო საკუთარი თავისთვის შრომობს, ადვილი დასაჯერებელია, გახდეს ხასელგანთქმული პროფესორი, დიდი ფილოსოფოსი, მშვენიერი პოეტი, მაგრამ არასდროს არ გახდება ნამდვილი ადამიანი, მომწიფებული ადამიანი. დიახ, მოწიფული, სრულყოფილი ადამიანი რომ გახდე, უნდა შეგეძლოს იცხოვრო ხალხისათვის და არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, უნდა იყო ჰუმანისტი და პატრიოტი.

ცნობილი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე ამ ზოგადსაკაცობრიო გრძნობებს ცხოვრების „მარადისობის კანონს" უწოდებს. მარადისობის ეს კანონი ჩვენი ხაზოგადოების იმედი და მამოძრავებელი ძალაა. ყველანი თვალის ჩინვით უნდა ვუფრთხილდებოდეთ ამ გრძნობებს, რადგანაც ამ წმიდათაწმიდა, მარადიული, სუფთა ადამიანური კანონის დარღვევა ნიშნავს მთელი მსოფლიოს, ყოველივე იმის დანგრევას, რაც განუმეორებელი, მშვენიერია ადამიანისათვის.

ახეთ ადამიანებთან გაცნობა და ურთიერთობა, მათი სიკეთე ვცადე ამესახა ჩემს წიგნში „თაყვანი ვცეთ პურს". მთელი ეს მოგონებები ეხება პურს ჩვენი არსობისა, იმ წმიდათაწმიდას, რაც ძალისა და ძალიერების სიმბოლოდ ქცეულა.

უნდა ვცდილობდეთ, რომ ამ ძვირფას ჯილდოს მეტ პატივს სცემდნენ, უფრთხილდებოდნენ. პურის დანაკარგები სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს ადამიანის ცხოვრებიდან. პურისადმი ახეთი წმიდათაწმიდა დამოკიდებულების გარეშე არ გაიზრდება კეთილსინდისიერი, ღირსეული და მაღალზნეობრივი ადამიანი. ყოველ ჩვენგანს უნდა უყვარდეს მიწა, ღრმა პატივს სცემდეს მხვნელ-მოსვლელის მძიმე შრომას, სწორად აფასებდეს წმიდათაწმიდა პროდუქტს. დღეს ჩვენ არხეინად შევდივართ საფუნთუშეში და ვყიდულობთ ყოველგვარი სახის პურს. ვიღებთ, რამდენიც გვინდა. ყველაფერი ჩვეულებრივად ხდება — გინდა? წადი, იყიდე. თანაც სულ ახალი, ცხელ-ცხელი პური. და ერთი კილოგრამისთვის სულ რაღაც კაპიკებს ვიხდით.

მაგრამ განა ახლანდელმა თაობამ ყოველთვის იცის პურის ნამდვილი ფასი? განა ყველა აფასებს პურს, როგორც სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაჭრის საფუძველს, როგორც ფასდაუდებელ საერთო-სახალხო დოვლათს, რომელსაც აკადემიკოსმა ტიმირიაზევმა ადამიანის გონების უდიდესი ალმოჩენა უწოდა?

გასაოცარია პურის მასაზრდოებელი შემადგენლობა, ის ზღაპრულად სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის. ეს ერთადერთი პროდუქტია, რომელსაც ადამიანი იყენებს მთელი სიცოცხლე, თანაც დღეში რამდენჯერმე.

პური შეიცავს ყოველი ადამიანისათვის აუცილებელ მასაზრდოებელ ნივთიერებებს; ცილები და ნახშირწყლები, მარილები და ვიტამინები, კალიუმი და რკინა, ფოსფორი და მაგნიუმი — ყოველივე ეს ანიშებს პურს ძვირფას თვისებებს, ის ხასარგებლო და გემრიელია მაშინაც, თუ ახლად გამომცხვარი არ არის. პური იყო და არის ცხოვრების სიმბოლო, ადამიანთა არსებობის სიმბოლო. კაცობრიობა მუდამ გრძნობდა მიწის ძალასა და პურის გემოს. ჩვენს საუკუნეშიც, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეში, პური ის პროდუქტია, რომელიც დიდ ხარჯებსა და ძალ-ღონეს, მძიმე შრომას, ათასობით ადამიანის გარჯას მოითხოვს. პური კეთილდღეობისა და სიხარულის ყველა ღირებულებათა საზომია.

პურს უზიარებენ ერთმანეთს უმედურების

ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის პროფესორმა აბულფაზ კასიმოვმა რედაქციას შესთავაზა თავისი პუბლიცისტური ნარკვევი. სიამოვნებით ვასაღლებთ ავტორის თხოვნას.

ეამს და, მაშასადამე, ის ამბანგაობის, ადამიანის მარადიული სიკეთის სიმბოლოა. პურ-მარილით ხვდებიან სტუმრებს და, მაშასადამე, ის ძმობის, სტუმართმოყვარეობის სიმბოლოა. აი, რა არის პური ზნეობრივის ფილოსოფიაში. და პურისადმი ზნეობრივი დამოკიდებულება მხოლოდ პატივისცემა, მოკრძალება, ყაირათიანი დამოკიდებულებაა. ყოველივე ეს ბადეს აუცილებლობას, გავფიროსილიყო მას, ყაირათიანად გამოვიყენოთ, კარგად შევინახოთ და ვამრავლოთ, ვიზრუნოთ მისი უფლებიანობის გამდიდრებისათვის. ცნობილია, რომ ყოველგვარი ნაყოფი, გონების ყოველგვარი დიადი გამოგონება შეიძლება შეინარჩუნოს და გაამდიდროს ადამიანმა.

კაცობრობისათვის მარადიული ოცნების წყარო იყო პური და მშვიდობა, მიწა და თავისუფლება.

ახლა, როცა მსოფლიოში ორ მილიარდამდე ადამიანს არ ყოფნის პური, როცა ყოველდღე ხაბვლის ნაკლებობისგან იღუპება 12 ათასი კაცი, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, დასავლეთ გერმანიაში, შიმშილით რომ არ მოკვდეს, ადამიანი სასატაბლოში მოხვედრას ცდილობს, სამუშაოს კაუჩარში თვით ყველაზე მოუსაფალან წლებშიც ადამიანი საკმარისად უზრუნველყოფილია პურით. ჩვენში პურის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 138 კილოგრამს შეადგენს, ესე იგი, ბევრად მეტია, ვიდრე კვების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები ითვალისწინებს, თუმცა სხვა პროდუქტების გადიდების კვალობაზე შეიმჩნევა მისი შემცირების ტენდენცია. სამეოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პურის ფასი სტაბილურად დგას ომამდელ დონეზე, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში პურის ფასი არა თუ ყოველწლიურად, ყოველთვიურადაც კი მატულობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში კილოგრამი თეთრი პურის ფასი უკანასკნელ ათწლეულში თითქმის ერთი-ორად გაიზარდა, დიდ ბრიტანეთში — ოთხჯერ და მეტად, იტალიაში — ექვსჯერ და მეტად.

მაშ ასე, ჩვენს ქვეყანაში პური საკმაო რაოდენობითაა და ძალიან იაფიცაა. ეს შესანიშნავია! მაგრამ ამ უძვირფასესი, წმიდათაწმიდა პროდუქტისადმი დამოკიდებულება, სამწუხაროდ, ჯერ არ იმსახურებს მაღალ შეფასებას. პირიქით, გაჩნდა რაღაც ბედებული დამოკიდებულებაც: პური ბევრია — მაშ რად უნდა ვუფრთხილდებოდეთ? რაკი ფული გადავიხადე — ის ჩემია, მინდა შევჭამ, მინდა გადავაგდებ ან პირუტყვს, ფრინველს გამოკვებავ... ვისი რა საქმეა. ყველანი მოწმე ვართ, რომ სადაც უნდა ვიყოთ — რესტორნებში, სასადილოებში, სანაკერძოებებში, დასახსენებელ სახლებში, საავადმყოფოებში, სამაგვარო ბაღებში, პიონერთა ბანაკებში, სტადიონებზე, ბენზინგადასახადებში — პურისა და მიწა ნაწილობრივ დანაკარგები ძალზე დიდია. მოაკლეთო ყურადღება, მაგალითად, როცა მატარებელზე ... ეტლ-ეტლ ... ეტლ-ეტლ ... ეტლ-ეტლ

კარგების აღმოსავლეთელად მხოლოდ აღმზრდელობითი შუშაობა არ კმარა. მთავარი საკითხია, აგრეთვე, პურისა და პურ-ფუნთუშეული ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, რაც დიდადაა დამოკიდებული პურსაცხობი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე. მეცხრე და მეათე ხუთწლედებში უდიდესი ცვლილებები მოხდა ამ დარგში. მცირე სიმძლავრის, ძველი, პრიმიტიული ხახაბაზეები ძირეულად განახლდა. აშენდა თანამედროვე პურის ქარხნები, ალეკურავი უახლესი ტექნიკით. ბაკოში აშენდა საფუნთუშე-სასაფუარე კომბინატი წელიწადში ექვსი ათასი ტონა სიმძლავრის საფუარის ქარხნით.

დანაკარგების შემცირებაში დიდ როლს ასრულებს პურის ეროვნულ სახეობათა გადადება. ამის გათვალისწინებით, მხოლოდ „აპურ-პურმრეწვაში“ აშენდა ბევრი ახალი საამქრო მაღაზიებითურთ და საამქროები მოკმედ საწარმოთა ფართობებზე. ეს საამქროები მოწყობილია ძირითადად ღუმელებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს კომპლესურად განვახორციელოთ ეროვნულ სახეობათა პურის წარმოება მისი თავისებურებებისა და გემოს შენარჩუნებით. გადაწყვეტილია, მომდინარე ხუთწლედში დამატებით აშენდეს კიდევ შვიდი სპეციალიზებული პურის ქარხანა და ხუთი საამქრო ეროვნულ სახეობათა პურის მაღაზიებთურთ. პურეულის, ფუნთუშეულისა და აღმოსავლური საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტი 126 დასახელებას აღწევს.

ყურადსაღებია ქალაქების ნახიჩევანისა და კიროვაბადის, აგრეთვე, ლენინორანის, ჯალალაბადისა და სალიანის რაიონების გამოცდილება, სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნულ სახეობათა პურის გამოცხობას. სალიანის ცენტრში აშენდა სპეციალური თანამედროვე საამქრო, სადაც განლაგებულია ხუთი ღუმელი — ტენდერი. აქ ყოველდღე ცხვება გემრიელი პური, რომელიც იყიდება საფირმო მაღაზიაში. რაიონის მცხოვრებელები გათავისუფლდნენ ამ საზარუნავისაგან ოჯახურ, პრიმიტიულ პირობებში. საამქროს ეზოში ყურადღებას იპყრობს ეროვნული ორნამენტი, წყარო, შადრევანი, სურნელოვანი ყვავილები. მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად გამოირჩევა ეროვნული სალიანური პურის სურნელი.

პურის ხარისხის გაუმჯობესებასა და ამით მისი დანაკარგების შემცირებაზე დადებით გავლენას ახდენს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა. ამის მაგალითად გამოგვადგება ბაკოს № 1 პურის კომბინატი. ამ ქარხანაში ცოცხი ძირითადად ახალი ტექნოლოგიით მზადდება თხევად ნახევარფაბრიკატებად, ხოლო ფქვილს უტარო წესით იღებენ. კომბინატის დირექტორი ალიევი ალნიშნავს: ჩვენი საწარმოს რეკონსტრუქციამ, ნაკლებმწარმოებლური ღუმელების შეცვლამ დიდდწარმოებლური ღუმელებით, ტექნიკურმა განახლებამ, რაშიც ტექნოლოგიური ბაზების დანერგვაც შედის, საშუალება მოგვცა მკვეთრად გაგვედიდებინა წარმოების სიმძლავრე, გაგვეუმჯობესებინა პურის ხარისხი, გაგვეზარდა მისი ასორტიმენტი, რეკონსტრუქციის დროს ვცდილობდით ფართოდ დაგვენერგა შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, საწარმოო ესთეტიკა.

ჩვენს კომბინატებსა და პურის ქარხნებში — თქვა სამრეწველო გაერთიანება „აზპურმრეწვის“ უფროსმა, აზრბაიჯანის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა ოსმანოვმა, — განსაკუთრებულ ზრუნვას ვიჩენთ შრომელებისადმი მათი ყოფაცხოვრების მოწესრიგების, დასვენების ზონისა და კუთხეების, კარგი სამუშაო განწყობილების შესაქმნელად. ყოველივე ეს შრომის დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების, ინიციატივიანობის ამაღლების საწინდარიცაა, რაზეც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა.

პურის ხარისხს აუმჯობესებს, აგრეთვე, რძის შრატისა და საფუარის რძის გამოყენება. ამჟამად „აზპურმრეწვის“ სისტემაში მოქმედებს შრატისა და საფუარის რძის მიმღები თექვსმეტი დანადგარი, შარშან რძის შრატის გამოყენებამ 53 ტონა ფქვილი დაგვაზოგინა. წელს კი ის საშუალებას მოგვცემს დაგზოგოთ კიდევ მეტი — 190 ტონა. ყურადსაღები გამოცდილება შეიძინეს ბაკოს № 1 პურის ქარხანაში და № 1 პურის კომბინატში. ის ცხადყოფს, რა დიდ ეფექტს იძლევა ცოცხი წყლის ნაწილის შეცვლა რძის შრატით: პური ბევრად უფრო გემრიელია, ფქვილიც ნაკლები იხარჯება. ერთი ტონა შრატი ზოგავს სულ ცოტა 80 კილოგრამ პურის ფქვილს. მარტო ბაკოში, რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, სადაც ყოველდღიურად ექვსის ტონაზე მეტი პური ცხვება, ამ მეთოდის დანერგვა წელიწადში დაახლოებით 66 ათას ტონა პურს დაგვაზოგინებს! რძის შრატი კი თავზე საყრელად გვაქვს. მარტო აზრბაიჯანის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებში ყოველწელს გამოუყენებელი რჩება 80 ათასი ტონა შრატი! ჯერჯერობით მას იყენებენ მხოლოდ ბაკოს № 1 პურის ქარხანა, სტეფანაკერტისა და სუმგაითის პურის ქარხნები, სადაც ამ შრატს რძის ქარხნებიდან პროდუქტსადენებით იღებენ. საბუნებრივად, ეს ძვირფასი მეთოდი რესპუბლიკის სოფლის რაიონების პურის ქარხნებში ჯერჯერობით ნელა ინერგება. უნდა

დაჩქარდეს ამ დარგში არსებული უდიდესი რეზერვების რაციონალური გამოყენება.

პურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის ცხობის გამოცდილებას, რომელიც აზერბაიჯანის ისმაილის რაიონის სოფელ ივანოკაში დაინერგა. აქ ტომის დამზადების დროს ფარფოდ იყენებენ სვიას. პური ძალიან გემრიელია, ფუმფულა, ხურსნელოვანი და კარგადაც ინახება. ასეთი პური ღირებულ ადგილს დაიკავებს ადამის რაიონის ამ მუზეუმის სხვა ექსპონატებს შორის, რომელიც მოწყობილია ძველი ნოსტალიელის შენობაში. ეს თვითონ მუზეუმია მსოფლიოში, აქ წარმოდგენილი იქნება ასობით სახეობისა და ხარისხის პური, პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ცხეკენ. ასეთი მუზეუმი დიდ როლს ეკისრებოდა ლეს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და პურისადმი სათუთი დამოკიდებულების, პატივისცემის დანერგვაში.

პურის დანაკარგების აღმოფხვრაში დიდ როლს ახრულებს საშუალო და მცირე სიდიდის პურის გამოცხობა. ამის გათვალისწინებით „აზპურმრეწვის" ქარხნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოების გადაკეთებას მცირე სიდიდის პროდუქციის გამოსაშვებად. აქ გამოიცხება 500-700 გრამიანი პური. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან ბაკოს № 1 და № 2 პურის ქარხნები და № 1 პურის კომბინატი. ისინი ყოველდღე აცხობენ ათობით ტონა პურს, რომელსაც სახლორი და დანა არ ჭირდება. № 1 პურის ქარხანაში 50 გრამიანი ფუნთუშების გამოსაცხობად დაინერგა კომპლექსური მექანიზებული ხაზი „მინელი". ასეთი მცირე წონის ფუნთუშები ცხეკენ რესპუბლიკის სხვა ქარხნებშიც.

პურის ცხობის სპეციალისტები ბევრს შრომობენ პურისა და მისი ნაწარმის ბიოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად. ლენინგრადის, ხარკოვისა და სხვა შესაბამის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებთან ერთად ისინი ნერგავენ გამაუმჯობესებლებს, კერძოდ, ამილოსუბტილინს, ამილორეზინს, კალციუმის ბრომატსა და მეზოფილის საფუარს. ფუნთუშა-საფუარის კომბინატში იყენებენ მოდიფიცირებულ სახამებელს. შარშან გამაუმჯობესებლების შეშვეობით პროდუქციის გამოშვება 28,5 პროცენტით გადიდდა.

პურის დანაკარგების შემცირება დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის მოთხოვნილების სწორად განსაზღვრასა და მაღაზიებში პურის გადაზიდვის ზუსტი გრაფიკის შედგენაზე. ამ მიზნით პურის ქარხნები და კომბინატები გამჯეკიციენენ კავშირს სავაჭრო ორგანიზაციებთან, ხშირად ეწყობა გაერთიანებული თათბირები და „ხარისხის დღეები", რომელზეც ფარფოდ განიხილავენ პურისა და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და რეალიზაციის გზებს. სხვადასხვა ზონაში, რაიონში და ქალაქში ადგილობრივი პირობების, საწარმოთა მუშაობის რეჟიმის, მგზავრთა ნაკადების, წლების დროთა გათვალისწინებით პურზე მოთხოვნის შესწავლა უნდა დიდოს ხაფუძველად პურისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოებისა და რეალიზაციის დანერგვას. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პურის ცხობის ტექნოლოგიის, გაზიდვისა და ტრანსპორტირების უმეცრესი დარღვევებიც კი მკვეთრად ამცირებენ პურის ხარისხს. ეს ნიშნავს, რომ პური მაღაზიებს დაუბრუნდება. პურსაცხობი და პურით მოვაჭრე საწარმოების ურთიერთდაინტერესებულ დამოკიდებულებასა, პურის მეცხობელთა, გადამზიდთა და გამყიდველთა თავიანთი მოვალეობისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება მათი ზნეობა.

პურის დანაკარგების აღმოფხვრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რომ ოკასმა ზუსტად განსაზღვროს, რამდენი პური ჭირდება, უარსრათანად გამოიყენონ პური. კარგმა დიასახლისმა იცის, როგორ გაუფრთხილდეს პურს, რომ არ გახმეს, რა დაამზადოს გამხმარი პურისაგან. ეს ყველამ უნდა ისწავლოს. სწავლებისთვის უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ფორმის პოპულარული ტელე და რადიოგადაცემები, სალამოს გაზეთებისა და ჟურნალის ფურცლები. დიასახლისებს დახმარებაც ჭირდებათ. მხედველობაში მაქვს ისეთი წვრილმანი, როგორიცაა პურის შესანახი ჭურჭელი. სად შეიძინონთ ის? გამოცდილება ცხადყოფს, რომ პური ფაქტ ინახება ხის ჭურჭელში: არ ხმება, ობი არ ეკიდება. მაშასადამე, დიდი ხანია დროა მოვაგვაროთ მისი წარმოება აზერბაიჯანის ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში და რაციონალურად გამოიყენონ ამისთვის ნარჩენები; მწამს, ისინი მოიძებნება.

საქმის ინტერესები დაბეკითებით მოითხოვენ რამდენიმე ნაკლის ეკონომიური პურის ქარხნის ნაცვლად შეიქმნას მძლავრი მაღალმექანიზებული თანამედროვე პურის კომბინატები, სადაც შეიძლება წარმატებით დაინერგოს მოწინავე ტექნოლოგია, გაიზარდოს პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს ხარისხი, შეიძლება გადასვლა ქარხანაში პურის მოზიდვის

აბულფაზ ასანიმოვი
თასკანი ვაცეთ პურს

მოწინავე უტარო მეთოდზე და პურის მაღალზიგზაგში კონტეინერებით მიზიდვაზე.

მეორე სერიოზული პრობლემა, რომელიც გაგლენას ახდენს პურის ხარისხზე, სავაგრო ჭსელში მისი შემოზიდვის რიტმულობაზე, არის უწყებრივი დაქსაქსულობა. ახლა პურის წარმოებით დასაქმებული არიან სხვადასხვა სისტემის საწარმოები. მაგალითად, აზერბაიჯანში ამ საქმეს აკეთებენ ქვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, ზოგიერთი მუშათა მომარაგების განყოფილება და სხვა. პურით ვაჭრობას, ვთქვათ, ბაკოში ეწევა ბაკოს პურეკაჭრობა, რაიკვეთვაჭრობები და რაიშერეულვაჭრობები. მართალია, ახლა ეს საკითხიც პოულობს დადებით გადაწყვეტას, მაგრამ უნდა დავიჩქაროთ და ბოლომდე მივიყვანოთ ის, რადგანაც ასეთი „მრავალხელისუფლებიანობა“ ხელოვნურად ბერავს საწარმოო ხარჯებს, ასუსტებს კონტროლს პურის ხარისხის, მისი ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის ორგანიზაციისადმი.

რა შეგვიძლია ვთქვათ კონკრეტულად? უწინარეს ყოვლისა, მიზანშეწონილია პურის წარმოება და გაყიდვა გაერთიანდეს ერთ უწყებაში. ეს საშუალებას მოგვცემს „ერთ ფანჯრიანად“ გავაუმჯობესოთ პურის ხარისხი, მისი ტრანსპორტირება, ვაჭრობის ორგანიზაცია. აღმოვფხვრათ დარღვევები წარმოებასა და საავაგრო ორგანიზაციებს შორის, საბოლოო ანგარიშით კი — პურისა და პურ-ფუნთუშეული საწარმოს დანაკარგები, მკვეთრად შევამციროთ ზედმეტი ხაშტატო ერთეულები. და ბოლოს, ფერთოდ უნდა გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება საამქროებს, ჭარხნებს, ავრეთვე, ცალკეულ სახაბაზოებს შორის, ღირსეულად დავაფასოთ მათი შრომა, აღვზარდოთ მომეპრნეობისა და ინიციატივიანობის სულისკვეთებით. სოციალისტური შეჯიბრების ყველა ახალი ფორმა, რომლებიც წარმოიშობა შრომის მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად შემოქმედებითი ძიების პროცესში, სწრაფ აქტიურ გამოხმაურებას პოულობს წარმოების ნოვატორთა შორის.

(„მერანმა" დაასრულა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის **აკაკი გაწერელის** სამგზავნოლის გამოცემა. აკაკი გაწერელიას თხზულებათა სამ ტომში შევიდა მნიშვნელოვანი ნაშრომები და გამოკვლევები, რომელთა შესახებ მკითხველი „ცისკრის" წინამდებარე ნომერში გაეცნობა **სულხან ფორდანიასა** და **როლანდ ბერიძის** სტატიებს).

სულხან ფორდანია

შემეცნების ლირიკოსი

ამბობენ, ფილოლოგს, კრიტიკოსს დაკვირვების უნარი ბადებსო ან, სხვანაირად, ფილოლოგია და კრიტიკა დაკვირვებული, უოჭარტებელი კითხვის ხელოვნებაა. არსებობს მოაზროვნის ისეთი ტიპი, ვისი შემოქმედებაც გვაფიქრებინებს, რომ კრიტიკის არსი დაკვირვების უნარით არ განისაზღვრება მხოლოდ. მის შრომებში ძნელად თუ შეიმჩნევა ზღვარი ხელოვნებასა და კრიტიკას, ლირიკასა და შემეცნებას შორის. ის თითქოსდა ორთოდოქსებს თავის არსებაში პოეტს, რომლის სტილმა და სულმა კრიტიკული დისციპლინის ბრწყინვალე სკოლა გაიარა, და მძაფრი, მდელვარე პოეტური ტემპერამენტით დაჯილდოებულ კრიტიკოსს.

...სასეთია აკაკი გაწერელია. ჩვენ ყოველთვის გვხიბლავდა მისი განსწავლულობის სიღრმე და ფიდასაზონი, თუმცა კი მას ზოგიერთივით მთელი ცხოვრება სხვისი აზრების შესწავლაზე არ დაუხარჯავს: საკუთარი აზრებით ამდიდრებდა და ამდიდრებს მეცნიერებას, მის შრომებს ინოფრებენ, მის შრომებზე ინზრდებიან.

რა არის ლექსი? რა არის პოეზია?

აკაკი გაწერელიას აზროვნების მანერა, — შეუფოფრობა და სიმამაცე, ვალდებულებანი საკუთარი თავის მიმართ, მკაცრად შემოშავებული იდეათა სისტემა, ინტუიციური წიაღსლები უმაღლესი პოეზიის ულრმეს შრეებში, მორალური ძალა, — შემოქმედებითი აქტიურობის უძლიერესი სტიმულია მკითხველისათვის. ჩვენ ვიგებთ მისგან, რომ არსებობს კრიტიკული მგრძნობიარობის ისეთი ხარისხი, როდესაც დაკვირვება, აჩრქვანი შემოქმედებით წამებად, ტანჯვად იქცევა: — მონოგრაფიები გრიგოლ ორბელიანზე და ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ლიტერატურული წერილები ვაჟა-ფშაველაზე, გიორგი ლეონიძეზე, დავით გურჩენილაძეზე, დოსტოევსკიზე, ახმატოვაზე... — დაკვირვება, აჩრქვანი გარედან, — ობიექტის აჩრქვა და აჩრქვანი შიგნიდან, — ანლეტური კუთხით დანახვა პოეტური შემკვდრეობისა, პრობლემების, საკითხის, აზრობრივი ან სტილისტური ნიუანსის ოსტატური გამოიყოფა, განცალკევება, შეუმჩნეველის შემჩნევა... ეს ხომ შემოქმედებითი აჩრქვანია, ლირიკული შეტეცნებაა, აჩრქვანი როგორც ვნება, წამება, გმირობა — სწორედ რომ ეს არის!

აკაკი გაწერელიასათვის დამახასიათებელმა ექსპრესიულობამ, აზგაუმენტების ლოგიკურმა თანმიმდევრობამ, აზრის სიმძაფრემ ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში განსაკუთრებულად მაღალ დონეს მიაღწია. მკაცრად, ზუსტად აჩრქვს მეცნიერი ლექსის ფილოსოფიურ საფუძველს, მისი შექმნის იმპულსს, იმ მოცემულობას, რომელიც საფუძვლად დაედო ლექსის წარმოშობას, ჟანრს, კომპოზიციას, რითმსა და რიტმს. მაგრამ, დროდადრო, მაშინ როდესაც ტერმინი და ჩვეულებრივი სიტყვა ვეღარ გადმოსცემს იმ სულიერ მდელვარებას, რომელსაც კრიტიკოსი განიცდის ბარათაშვილის გენიასთან მიახლოებისას, იგი თითქოსდა იავიწყებს, რომ კრიტიკა ობიექტური შემეცნებაა ლიტერატურისა და მისი აზრი ასეთი ინტუიციური ნაკადით გადმოიღვრება: „ეს არის ბგრიული ეიეინა ხოფლის დათმობაზე, „ბეიფური ლტოლვა" კოსმიურ სფეროში გადასლასათვის, ყველა მიწიერი, მატერიალური ბუნდოვანგან თავის დაღწევა სრული განთავისუფლების მიზნით. ეს არის

თავდავიწყებული ტკბობა თვითონ სრბოლით, ქრო

ხელი გზით შევწოდოთ სიცოცხლის წყენი და განახლება...“ იქვე ეკითხულობთ: „ის, რომ დღე ღამით იცვლება და ძილის სიკეთე ყოველ საღამოს გვიშლის თავის საბუნელს, გვეკრობს და გვიმშვიდებს ყოველგვარ ბედშავობას, წყალებს, ტანჯვასა და ხეცვას, ის რომ ეს განმკურნებელი, თავდავიწყების მომცემი სასმელი განკუთვნილია ჩვენი გამომშრალი, ფამსყდარი ტუჩებისათვის და რომ ყოველთვის, ისევ და ისევ ბრალი ტანეით ეხვევა იგი ჩვენს ბრძოლის შემდეგ მრთლოვარე ტანს, აცილებს მას ოფლს, მტვერსა და სისხლს, რათა ალსდგეს იგი ძლიერი, განახლებული და ახალგაზრდა, თითქმის დაბერუნდეს თავის თავდაპირველ უცოდინრობასა და სისადვილს, მოიპოოს პირველქმნილი შემართება და ყოფნის სიხარული, — ო, მეგობარო, მე ყოველთვის ვთვლიდი ამას ერთ-ერთ ყველაზე უფრო ამაღლებულებულ წყალობად, რომელიც კი არსებობს ყოფიერების უდიადეს მოცულნებს შორის“.

ისტორიზმის, მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამავე ნარკვევში თომას მანი გვიყვება ზღაპარს ადამიანზე, რომელმაც დაკარგა ძილის უნარი, ალარ შეეძლო ძილის წყვდიადში შეწყნეა. უბედური მხლოოდ მაშინ განთავისუფლდა ამ საშინელი ტანჯვა-წამებისაგან, როცა სიკვდილმა მოუტანა მას ბოლოს და ბოლოს შვება და ღამემ, მოუწყალოდ ალარ ოდა მის გაქვავებულ თვალთა წინ, სამუდამოდ მიღო თავის წოალში და შთანთქა. მიუხედავად ამისა, რომ აქ თომას მანი „ნირვანაზე“, „არაფერზე“ ლაპარაკობს, როგორც სიბნელის, გაუჩინარების, ძილის კორელიატზე, მისი პოეტიზირებული წყვდიადი მაინც არ არის ბოტიკური სიმბოლო. აი, ამის საბუთიც: „არაფერზე, — ამბობს თომას მანი, — არ მძინავს მე უფრო ღრმად, არასოდეს არ მერეწენება ძილის მშობლიური უბეში დაბრუნების ეინი უფრო ტკბილად, ვიღრე მაშინ, როცა უბედური ვარ, როცა ვერ ვმუშაობ, როცა სასოწარკვეთილება მტანჯავს და ზიზღი, ადამიანური გამოწვეული, წყვდიადისაკენ მიბიიგებს...“ თომას მანის ეს არაორდინარული გაპრება წყვდიადისა მომგებიანია იმ მხრივ, რომ სიბნელე, ძილი აქ დასვენების, ძალის მოკრების, უკან დახევის ექვივალენტია, გიგანტური ნახტომის, კოლოსალური შემოქმედებითი აღმაფრენის წინ.

აკაკი გაწერელიას ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობიდან გამომდინარე თავისთავად, სავსებით ბუნებრივად კეთდება დასკვნა: ქართული პოეტური აზროვნებაში გამოიყოფა პოეტური ხატების, სახეების ხშირადხმარებული, ნაციონალური მოდელები, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ტრადიციული, ნაციონალური მოდელის რეალიზაციის გარდა, ე. ი. ტრადიციული მეტაფორის, სახის განსახლების გაკრძავების, მოდიფიცირების, განვითარების გარდა მისი ყურადღების ცენტრში შეიძლება მოხვდეს რეალიზმის ნაწილი ბიერი საკანი; მისმა გენიამ შეიძლება ისე განიცადოს, ისე შეიგრძნოს ეს საკანი, რომ გარდაქმნას იგი მოცულნად, რომელშიაც პოეტი ივიწყებს საკუთარ თავს, რომელიც მისთვის არსებობის, სიცოცხლის უმეშარიტესი ფოკუსია.

ისევე გენიალური „ბერანის“ გარჩევას თუ დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ მოცემულობას, პროტოტიპს აკაკი გაწერელია არც თუ ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უმაღლესი პოეზიის, უმაღლესი ხელოვნების თვალსაზრისიდან გამომდინარე. მეცნიერის აზრით, არ არის ძნელი „ბერანის“ მორალი თემების პარალელების პოვნა როგორც მშობლიურ, ისევე უცხოურ ლიტერატურაში. ეს თემა, ეს ხაუეტები დამუშავებულია როგორც ადმოსავლეთის, ისევე დასავლეთის პოეზიაში. მორალი თემა რეალიზებული მიცკევიჩის ბალადაში „ფარისი“, მაგრამ სხვათა ამ ბალადასა და „ბერანს“ შორის დიდია. როგორც ძირითადი იდეის, ისე ეპიზოსა და სტილის მხრივ. „ეეფხისტკაოსნის“ ზოგიერთი ადგილი ემთხვევა შინაარსობრივადაც და ფრაზობრივადაც ნ. ბარათაშვილის ლექსის სიუეტსა და სტილს, მაგრამ „ბერანი“ მაინც უნიკალურია ზოგადადამიანური იდეის გაშლისა და მისთვის გამონახული ადექვატური ფორმის თვალსაზრისით“ (ბაზგასმა ჩემია. ს. ფ.). მეცნიერი ამბობს, რომ „ბერანის“ შემნეის იმპულსი ნიკ. ბარათაშვილის ბიძის, ილია ორბელიანის ტყვეობა იყო. თვითონ პოეტი ასეთი აზრისაა ლექსისა და მოცემულობის ურთიერთმიმართებაზე: ის ფიქრობს, რომ „ბერანმა“ იმიტომ ადელვა, იმიტომ ადარა მსმენელი, რომ „ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე“. შეადარეთ ამას აკაკი გაწერელიას თვალსაზრისი: „ეს სიტყვები მხლოდ ნაწილობრივ გვაკალდებულებენ „ბერანის“ ახსნისა და დაფასების დროს. ლექსში გადმოცემულია არა ილია ორბელიანის ფიქრები, არამედ თვითონ ბარათაშვილის სულიერი განწყობილება, ის „სხვადასხვა უცნაური ფიქრი“, რომელიც შემდეგ სტროფების რიტმში გადმოიღვარა. ბიოგრაფიული ხასიათის მოვლენა იქცა თავდაპირველ ბიძგად, რომელმაც გამოიწვია პოეტის ძლიერი ვნებათა ღელვა: მერანის არქიტექტონიკა, მისი რიული მეტრული წყობა და სხვადასხვა ზომის სტროფების ერთმანეთთან შეხამების სისტემა ამხელს, რომ ეს ნაწარმოები დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვი-

ლის არსებაში. „მერანი“ სამშობლოდან და ნათესავებისაგან გაკეცული ადამიანის სულის ექსტატიური ყიჟინაა და არა უუნარობი დატყვევებული ოფიცრის სულიერი განწყობილება: ალულ დარღოს ორმოებში დაპატიმრებული ადამიანისათვის ნ. ბარათაშვილის ასეთი ფიქრები სრულიად შეუსაბამოდ უნდა მივიჩნიოთ“. ამ ციტატაში გამოსატული აზრის შუქზე უნდა განვიხილოთ აკაკი გაწერელიას დამოკიდებულებაც მითისადმი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

„ვაჟა-ფშაველი და ქართული მითოსი“ მეცნიერი წერს, რომ: „სამეაროს მხატვრული მოდელი, რომელიც ვაჟა-ფშაველამ შექმნა გამომგიანარეობს ქართული მითოლოგიიდან და შინაგანად ჩაკეტილია, ე. ი. მას თან არ ახლავს გვერდით განმარტებანი, ავტორისეული რემარკები, რომელიც სათოს გახდიდა მის (მოდელის) რეალობასა და დამაკერძებობას. ბუნება ოვითონ მეტაყველებს და ფანტასტიკური და რეალური ისეა შერწყმული მასში, რომ ხშირად ძალიან ძნელია თქმა — სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე. ყველაფერი ფშაველის უძველეს წარმოდგენათა პრიზმიდანაა დანახული. პერსონაჟთა ენებანი ბოლოს ცხრებიან, კოლიზიები მთავრდება, შავეთის ხილვა წყდება და წერა-მწერალი ფარდას უშვებს. ამ ვეება და უჩვეულოო სამყაროს მოდელი ავტორს არსად არ აქვს შეფასებული ემპირიიული სინამდვილის თვალსაზრისით“. ისისათვის, რომ ამ ციტატის დედაარსს ჩაეწვდეთ, ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროს შინაგანი ჩაკეტილობა არ გაეგოოთ ისე, თითქოსდა ვაჟა-ფშაველას აზროვნება მითოლოგიური აზროვნების დონეზე გაიყინა, უნდა საგანგებოდ გავუსვამთ ხაზი იმ გარემოებას, რომ აკაკი გაწერელიას მიხედვით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ქართული მითოლოგია მაღალ მხატვრულ ფორმაში წარმოსდგა. და კიდევ მეტიც. მისი აზრით პოეტი არა მარტო ქმნის დიად მხატვრულ ტალღებს, არამედ აღრმავებს ფშაურ მითოლოგიურ წარმოდგენებს. მითოლოგიური ელემენტი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, სიუჟეტი იქნება ეს, თქმულებათა ციკლეული ფრაგმენტები თუ ტროპის რუდიმენტი, მითოლოგიური არქეტიპი ტროპისა, ვაჟა-ფშაველასთან თანამედროვე მხატვრული აზროვნების უმაღლეს ხარისხშია აყვანილი. — ლაშარის ჯვარი, ამირანი, კოპალა, ალები, ქაჯები, დევები, მკვდართა სულები, შავეთი, წერა-მწერელი და სხვა მითოლოგიური ელემენტები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში კარგავს მისთვის დამაბახილთებელ სიმარტივეს, პრიმიტიულობას და უძლიერესი იდეურ-ესთეტიკური ძალის სიმბოლოდ წარმოგვიდგება. ავიღოთ თუნდაც წერა-მწერლის მითოლოგემის მხატვრული ექსპლოატაცია „სტუმარ-მასპინძელში“. აკაკი გაწერელია განიხილავს მითოლოგემის, „იშვიათი მხატვრული ძალის“ ჯადოქარ-ცემენტ შინაარსს კომპოზიციის რაკურსიდან, ანუ ფუვამს პროლოგისა და ფინალური სცენის ურთიერთმოქმედებით წარმოქმნილ ეფექტს, პოეტური ხატების შეუდარებელ სინაზიფეს. ვაჟას საოცარი მხატვრული ძალის სიმბოლო „შავი ნისლი, შავი ფერის ჯალი — ფატალური გარდუვალობა“, მეცნიერის აზრით, იმით განსხვავდება ანტიკური მითოლოგიის აბსტრაკციისაგან (ალბათ ფშაურ მითოლოგიისაც გულისხმობს მკვლევარი), რომ იგი მკაფიოდაა პერსონიფიცირებული. სიტყვა „პერსონიფიცირებული“ ჰქონდა ლიტერატურული კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის ტერმინოლოგიური მნიშვნელობითაა ნახმარი, რაც უფრო მკვეთრად გამოსულიყო ვაჟა-ფშაველას რთულ, მეტაფორულ, სიმბოლურ აზროვნებას მითოლოგიური აზროვნებისაგან. მაგრამ ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გარდა, ვაჟა-ფშაველას პოეტურ სამყაროთან მიმართებით ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს: გასულდგულია... ეი, ეს მშვენიერი ცნება, რომელიც ყველაზე უფრო ზუსტად გამოხატავს ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას მითოლოგიისადმი. შემოქმედი სულს უდგამს მკვდარ ფაქტს, იქნება ეს უძველესი მითი, ისტორია, თუ ყოველდღიური რეალობა. საკუთარი სულით ავსებს იგი ყველაფერს, სიიდანაც ამოდის, ყველაფერს, რაც მოცემულია და არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ეკრდნობა მისი გენია — ცოცხალ რეალობას თუ ირეალურს. დიახ, შემოქმედი აცოცხლებს და აღრმავებს მოცემულობას საკუთარი სულით, იუნებს მას ისეთი მხატვრული იდეის, მხატვრული პრობლემის ბორცეშეხმის მიზნით, რომელიც ბევრ რამეში შეიძლება სულაც არ ჰგავდეს მოცემულობას. პუმანური ქართული ბედის — იდეა, ჯანსაღი და მშვენიერი, ხელოსნებელი თავის პირველ ქმნილ სიწმინდეში გვეზმანება მისი პოეზიის თვალუწვდენელ ხიღრმეში.

ვაჟას ყველა სახე, ყველა ხატი საკუთარი პოეტური ეგოს ემანაციაა. ის უფრო ჩქარა მთელი სამყაროს კრიტიკოსთა რისხვას გამოიწვევს, ვიდრე რაიმე სიტყვას, სტილისა ან აზრის რაიმე ელფერს, რაიმე ნიუანსს შეეცლის თავის პოეზიაში:

ჩამოდგა საღამოს ქამი,
მთიდან მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოჰხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
ალარ ელავდა ქვეშაო;
ალარსადა სჩანს, გამქრალა

თეთრი თმა შაიის მთისაო;
ნაღვლით ნაპარვი, ნაწმაოი
სანე ინ სალის კლდისაო,
რო მედამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.
სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნიფრენი,
ზოგ დროს — ყმეილი მგლისაო,
ეაკკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
ზვიადფრასა გლოვობდა
შფოთვა და ბორკვენა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხერა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლეთის ჯარისა
ნაბრძანები ღვთისაო.

აქ ყველაფერში, ცალკეული სიტყვის სტილისტური ელფერიდან დაწყებული და ღამეული პეიზაჟისა და მხატვრული მოლიანობის ურთიერთშეღწევით დამთავრებული, პოეტის სულია ჩაღვენთილი. ეაკამ შეიძლება ზედმიწევნით ზუსტად ახასის მითის, რეალობის, ისტორიისა თუ რაიმე მხატვრული ნაწარმოეთის (რომელსაც იგი იყენებს საკუთარი შედეგის ხორცშესასხმელად) დეტალების მთელი კომპლექსი, მაგრამ გენიოსის სუბიექტური, პერსონალური შეკრა, პერსონალური ჩაღრმავების შედეგად ამ დეტალებში. წარმოიშვება ისეთი რამ, რაც უსასრულო უფსკრულითაა გამოყოფილი მითიდან, რეალობიდან, ისტორიიდან, წარმოიშვება არსი, ის არსობრივი სხვაობა, რაც გამოსყოფს ხელოვნების სამყაროს ობიექტური რეალობიდან. ეს უკვდავი ეკზისტენციალია. კიდევ ვიმეორებთ, არა აქვს ეზოშვილობა იმას, თუ რას ეყრდნობა შემოქმედი — ისტორიას, მითს თუ მიმდინარე რეალობას. მთავარი ისაა, რომ მას არც ხურს, არც შეუძლია ყველაფერი საკუთარი ფანტაზიის სამყაროდან აიღოს. ახეთი დასკვნა გამოგვაკეს ჩვენ არა მარტო „ეაკა-ფშაველი და ქართული მითოსიდან", არამედ აკაკი გაწერელიას კრიტიკული ნაეაზრევის ელოსტალური კონტექსტიდანაც. მიუხედავად საოკანი განსწავლულობისა ლიტერატურათმცოდნეობის მოძღვნეკე დისციპლინებში, — ფილოსოფოიასა და ენათმეცნიერებაში, ლოგიკასა და ფსიქოლოგიაში, — აკაკი გაწერელია არასოდეს ცდილობს რაიმე წინასწარშემუშავებული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური კონცეფცია მოარგოს პოეზიას, პროკრუსტეს სარეცელში მოამწყვდიოს შემოქმედის სული. აკაკი გაწერელია ლიტერატურათმცოდეკ, პოეტია სულით და ეს განპირობებს, საბოლოო ჯამში, მისი შეხედულების კეშმარიტებას პოეზიის ურთულეს საკითხებზე. აკაკი გაწერელია ეაკა-ფშაველის შემოქმედებას, მის არსებით მითოლოგიურ ნაწილში, ბუნებისა და კაცობრიობა შინაგან მონოლოგს უწოდებს. რატომ ანგეზებს მკვლევარი ბუნების გასულდგმულებს ეაკასთან ახე დიდ როლს? — იმიტომ ხომ არა, რომ ეაკა-ფშაველი უძველესი წარმართოეთი თვითონ არის ბუნება, გახსნილია ბუნებაში — ვერ გამოუყვია საკუთარი „მე" გარემომცველი რეალობისაგან? არა მგონია. აკაკი გაწერელიას შრომებიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო ღრმა და სწორი აზრის გამოტანა შეიძლება. ეაკამ სული შთაბეჭია ბუნებას. სული კი ემანციპაციორული ამბობია ბუნების წინააღმდეგ. განცალკავებაა მისგან. სული ამაღლებს ადამიანს ბუნებაზე, საშუალებას აძლევს მას მწვავედ, მტკივნეულად განიცადოს მის დაპირისპირებულობა ორგანული სიცოცხლისადმი. ლ. ტოლსტოი გვიყვება, რომ პატარამბისას ის საერთოდ ვერ აჩნევედა ბუნებას. საკუთარი ცხოვრების ხუთი-ექვსი წლის პერიოდიდან მას ბუნების არც ერთი ფრაგმენტი არ ახსენდება. იმისათვის, რომ ბუნება დანახო, ამბობს რუსული მიწის უდიადესი მწერალი, უნდა მოორდე მას, მე კი ბუნება ვიყავი. როგორ ხედავს ეაკა-ფშაველი ბუნებას? ისე, როგორც ჯერ არავის დაუნახავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამიტომ არის იგი უსასრულოდ ამაღლებული ყველაფერზე, რაც მის შემოქმედებაში ადამიანის ენით მეტყველებს, ამიტომ არის მისი პერსონიფიფიცირებული სიგანი უნიეფლო ესთეტიკური შემოქმედების სიმბოლო.

აკაკი გაწერელიას აზრი ლიტერატურაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს უკვე იმიტომ, რომ თავის საუკეთესო ნაწარმოებებში იგი არ იზღუდება ცალკეული პრობლემის, ცალკეული საკითხის თუნდაც ძალიან ღრმა, მაგრამ იზოლირებული ანალიზით. მეცნიერი შეიძლება რიტმიკის, კომპოზიციის, პოეტური ხატის, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური საკითხის რაიმე ნიუანსზე შეჩერდეს, გაამახვილოს მასზე ყურადღება, მაგრამ ლოგიკურად თუ არა, ასოციაციურად მაინც დაეკავშირებს იგი ამ ნიუანსს ყოფიერების, ხელოვნების კარდინალურ პრობლემებთან. მხატვრული ნაწარმოების ფორმა, სტრუქტურა, გაშლილი იდეა და მათი დეტალები, ნიუანსები, ერთის მხრივ, და, შემოქმედი, შემოქმედის სულისა და მხატვრული სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულება, მეორე. „თუკი მოცემენ შინაგანსა და ამსოლუტურ რწმენას, ამბობს კანტი, რომ მოკლე მიწიერი სიცოცხლის შემდეგ... ცის მარადიული სიდიადის მონაწილე

სულხან ქორდანია
შემოქმედების ლირიკოსი

გავზდები. — მაშინ ყოველგვარ ტანჯვას, რაგინდ აუტანელი არ უნდა იყოს ის, მიეცემენ არა მხოლოდ ჩემივე ენით, არამედ სიბარბაროსთავე, რადგანაც საკუთარი თვალით დავინახავ ჩემს წინ სწრაფს და ბრწყინვალე დასახრულს". ამას ათქმევინებს ფილოსოფოსი ჩვეულებრივ, „ბუნებრივ ადამიანს", ვისთვისაც წმინდანობა, ციერ ნეტარებასთან ზიარება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე „ღვთის-კაცისათვის", რომლის ამსოლუტურად წმინდა ნების ნაპირებთან იმსხვრევა ყოველგვარი ცდუნება ბოროტებისადმი.

გენიოსის ცა მისი შინაგანი დამოუკიდებლობის, მისი მარტოობის შედეგი: — მისი შემოქმედებაა. რა გზით შეუძლია მას ამ ცამდე ამაღლება, თუ არ შესწირა მან მსხვერპლად ხელოვნების ღმერთს ყველაფერი რაც გააჩნია? საკუთარი თავი და საკუთარი სამეყარო, ტკივილთა და ბედნიერებები, განცდებით, ზმანებებით, წარმოდგენებით?". ნ. ბარათაშვილს სწამდა, გვეუბნება აკაკი გაწერელია, რომ თვითეული ბისი განზრახვა რომელიღაც გრძნეული არსების მიერ იყო ნაკარნახევი და არაერთხელ გაუმართავს ოშეიათი გულწრფელობით ანთებული საუბარი თავის დემონთან: პირველად სიკბუტეში („ბმა იდუმალი", 1836), უკანასკნელად — გარდაცვალების წინა წლებში („სულო ბოროტი", 1843)". ეს შინაგანი ხმა არ იყო ის შინაგანი ხმა, რომელიც უმოქმედობისაკენ მოუწოდებდა სოკრატეს. ბარათაშვილთან ის უფრო ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობის ნასრული, ზღვრადდებული ბუნების წინაალდგა ამბოხებული სულის ხმა არის.

მისი ესთეტიზმის მიზეური, ხელშესახები პირველმიზეზი — საამბოხოს ეროვნული უბედურება, პოეტის პირადი ბიოგრაფია — „მხოლოდ თავდაპირველი ფაქტორების მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რადგან ბარათაშვილი ახერხებს თავისი იდეები განაზოგადოს და ფილოსოფიური ლირიკის ფორმებში ჩამოაყალიბოს". აკაკი გაწერელიას აზრით,"თუ, მისი კონცეფცია ლიტერატურის გვაფიქრებინებს, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებაში, პოეტურ შედეგრებში სტრუქტურის ყველა ელემენტი (მხატვრული ნაწარმოებების სტრუქტურის ელემენტად უნდა ჩაითვალოს არა მარტო საკუთრივ ფორმალური კომპონენტები ნაწარმოებისა, არამედ პროზოტაქიე, ფაბულა: მითი, რეალური ფაქტი, იდეა და ა. შ.) შემოქმედის სულის რაღაც ნიუანსს ასხივებს, რაღაც ემოციურ ვიბრაციას შეესაბამებიენ და ამტკიმ გაჯარჩენილ „ეროვნულ" კი არის ამ კომპონენტების ერთობლივ ანარეკლია.

აკაკი გაწერელიას კრიტიკული ანალიზი ეროვნულ ბრძოლებში ეროვნული ეროვნული ეროვნული ვითარებული პრინციპები ისეთი დამპაკერებლობით, ისეთი ნიჭითა და სიყვარულით არის გამოხატული, რომ ძნელად თუ შეეხებიდნენ ალასათ, ისეთ მკვლევარს მხატვრული ლიტერატურისა, ვინც მისი შემოქმედებითი ენერგიით არ დაიმუშაებება.

მეენიერი არაერთხელ გამოუოფს ერთმანეთისაგან პოეტის მიერ რაიმე რეალური ფაკტის უშუალო ფიქსაციას მოგონებისაგან, გახსენებულის პოეტიზირებისაგან. ყურადსაღებია შემდეგი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უდავოდ გაუგებრად შეიძლება მოგვეჩვენოს ის ფაქტი, რომ გრ. ორბელიანი ყაზარმობის მძიმე პერიოდში და შემდეგ „ბადასახლეებში თავის ლექსებში ხოტბას ასხამდა ყარაჩოხელურ ნადიმსა და ფიზიკურ ტრფობას; „მაგრამ — წერს ა. გაწერელია, — სწორედ იმის გამო, რომ პოეტს ამ ლექსებში ჩვენ საქმე გვაქვს მოგონების არაჩვეულებრივ ინტენსივობასთან და არა რომელიმე უშუალო მოძენის ფიქსაციასთან — გასაგები ხდება მათი წარმოშობის მოტივიც: პოეტი სეედისა და მარტოობის ეჟამს აცოცხლებს ნაცნობი თბილისელი მოკალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს..." ყურადღება მივაქციოთ ამ ცნებას: — მოგონების ინტენსივობა. რატომ არის, რომ გრ. ორბელიანის მოგონებით დაწერილი ლექსი „ლამე" იშვიათი ლექსია „რომლის მსგავსი არ მოიძებნება ჭარბოველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში?" რატომ გადადის სატყფოს სიმორე ზოგჯერ „თვალლანლულ ზმანებასა და სულთა თანაზიარობაზე?" იმიტომ ხომ არა, რომ რეალობა, სინამდვილე, ეტეშმარიტად განცდილი მოვლენა არის ის, რომელშიაც საკუთარ თავს ივიწყებ, ივიწყებ საკუთარ თავს შენივე ნებით წარსულიდან მოპატიჟებულულ, წარსულიდან ამოზიდულ საგანში? ასეც უნდა იყოს პოეტის შემთხვევაში. რასაკვირველია, სინამდვილეში არც ყარაჩოხელეები და არც სატყფო ლექსის წერის პროცესში გრ. ორბელიანის წინ ფიზიკურად არ არსებობდნენ, მაგრამ პოეტის ცხოვრებაში მაინც რეალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისი სიცოცხლე ამ დროს მთლიანად, აბსოლუტურად შევსებული იყო ამ მოგონებით, ამ ზმანებით, მასთვის განკუთვნილი წამები, წუთები, დრო მოიჩქაროდა მარადისობისაკენ, უსასრულობაში... ამ სიტყვებში ფიზტატეული რეალობის უარყოფის, რეალობის „არა-მე"-დ, გონების განსაკუთრებულ მდგომარეობად წარმოდგენის ნატამალიც არ არის. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ

პოეტური წარმოდგენის ინტენსივობა თითქმის მთლიანად შლის ზღვარს წარმოდგენილსა და რეალურ ფაქტს შორის. არა მგონია, გოჩას უკეთესად დიწერა ტოლსტოის ფსიქოლოგიურ-პლასტიკური სურათი ნატურიდან, ვიდრე მან ეს მოგონებით გამოწვეული ხატიდან შესძლო: „ზის ლაწვებით ხელზე დაყრდნობილი, — თითებს შორის წვერის ვერცხლისფერი თმა ფერიალებს, — და შესცქერის შორეულ, ზღვას, ფეხებთან კი მორჩილად უგრძედებიან, ელაციებიან პატარა, მომწვანო ტალღები, თითქოსდა უყვებიან თავის თავზე რაღაცას მოხუც გულთმისანს... ის... მომეჩვენა მე უფრედელს ბაღოცხლებულ ქვად, რომელმაც იცის ყველაფრის საწყისი და მიზანი; ფიქრობს ამაზე, თუ როდის და როგორი იქნება ქვეყნიერების ქვებისა და ბალახის დასახარული, ზღვა კი — ნაწილია მისი სულისა, და ყველაფერი ირგვლივ მისია, მისგან ამოდის. ჩაფიქრებულ უძრაობაში მოხუცისა მომეჩვენა მე რაღაც წანსწარმეტყველური, ჯადოქრული“.

აკაკი გაწერელიას მეცნიერულ-კრიტიკული მემკვიდრეობის სისტემატიზირებული ანალიზი ერთი ნარკვევის უარგლებში, ცხადია შეუძლებელია. ნუ გეიკვირვებთ, ამიტომ, თუკი ჩემს მსჯელობას აკაკეს შინაგანი გამართულობა და ლოგიკური სიმკაცრე. გულახდილი ვიქნები და ვიტყვი, რომ თავიდანვე სტატია ქვეცნობიერად ერთი პრობლემური ღერძისკენ გავმიზნე, ვიდრე თუნდაც რამოდენიმე საკითხს ერთი და იგივე, ერთნაირი ყურადღებითა და ენერგიით გაშუქებისაკენ. ეს პრობლემა, როგორც, ალბათ, მკითხველმა უკვე შეამჩნია, მოცემულობის გასულდგმულების, პროტოტიპის მსატვრული რეალიზაციის პრობლემაა. აკაკი გაწერელიას თეზა, რომელსაც ჩვენ საკუთარი ვიზიარებთ, „სულის“ ამბოლუტური მეგემონიაა მოცემულობაზე. რა არის საჭირო იმისათვის, რომ „მოცემულობა“ ლიტერატურულ შედეგრში გადაიზარდოს? დაუსრულებელი ტანჯვა, დაუსრულებელი წამება, განუსაზღვრელი სურვილი, ჩასწვდე საგნების ბეშმარიტ არსს, მიაღწიო შინაგანი სამყაროს გამჭვირვალობას, სინათლეს, დაუოკებელი ლტოლვა საკუთარი მსოფლგანცდის სიტყვაში გამოხატვისაკენ.

ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის მწვერვალი, ვაჟა-შაუველი ის კოლოსალური მონუმენტი, მაღლიერების გრძნობით რომ შეჰყურებს დღეს ქართველი ერი. ძნელი არ უნდა იყოს სულის ამ აღიარებულ გიგანტთა სამყაროში სულიერი ბეგემონიის ილუსტრირებაზე. შეიძლება გვითხრან: „ეგ ფუ ტეზაა, რომელიც ოვეენ აკაკი გაწერელიას კრიტიკული ნააზრევიდან აიღეთ და რომლის უნიციერსალური ბუნების დასაბუთებასაც ცდილობთ თქვენს წერილში, თანამედროვე მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში სულ სხვა ხასიათის გამოიჩენს. ამაზე ეუპასუხები, რომ ხელოვნების ძირითადი პრინციპი ერთია ყველა ხალხისა და ეპოქისათვის. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ უმაღლეს ხელოვნებაში, თანამედროვე ოქნება იგი თუ ძველი, შემოქმედი ითგავებს საკუთარ თავს თავის პერსონაჟებთან, ეიწყმის მათ გარემოს, მოქმედებებს, განწყობილებებს, ოცნებებს, თითქოსდა გამორიცხული უნდა იყოს, მაგალითად, ტრუმენ კაპოტს ითგავება ბკალეულად დაბადებულთანა და აგრესიულ მანიაკთან, მაგრამ ეს ასეა. ტრუმენ კაპოტე ისევე პერი ბიკოსა და დიკ სმითი, როგორც შეჭსპარი მაკბეტი და ჰამლეტი, ვაჟა-შუაველი მინდიასა და ზვიადაურში. უდავოა, რომ ავტორისა და ლიტერატურული გმირის იგივეობა ზოგჯერ ძალიან ძნელად შესაჩნევი რამაა — ზოგჯერ ავტორს ზიზღისა და რისხვის მეტი თითქოსდა არაფერი უნდა აკაკუშარიდეს კრიმინალურ ტიპთან, — მაგრამ ჩვენ დროდადრო შემოქმედს უდიდეს სოლიდარობას ვგრძნობთ თავისი გმირებისადმი. შეუძლებელია სახის, ლიტერატორი ტიპის მაღალმსატვრული განხორციელება, მისდამი უდიდესი სიყვარულის გრძნობის გარეშე. შემოქმედს არ შეიძლება არ უყვარდეს მის მიერ შექმნილი სახე, ხელოვნების შედეგრი, მაშინაც კი, როდესაც კატეგორიულად უარყოფს პროტოტიპს, მოცემულობას...

„პოეზიის ერთ-ერთი საოცრება ისაა, რომ მას შორიდან მიმდინარე შთაბეჭდილებათა აღქმის ავტომატიზმიდან გამოაკავს მკითხველი... ყოველი შემოქმედის სულიერი სამყარო იმდენად ინდივიდუალური და განუმეორებელია, რომ მას შეუძლია თვით ნაცნობი თემების ხელახალი დამუშავება და მათი უჩვეულო სპეკტრით გამოსახვიება“ — გვეუბნება აკაკი გაწერელია დავით გაჩეჩილაძისადმი მიძღვნილ წერილში „ლექსი, როგორც სარკმელი“. ეს არის მეცნიერის გამჭოლი თვალი, იდეა, თეზა. ამ თეზის ეეშმარიტება ბრწყინვალედაა ილუსტრირებული ქართული პოეზიის იმ უბადლო ანალიზით, რომელსაც აკაკი გაწერელიას ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა შეიცავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლანდ ბერიძე

აკაკი გაწერელია—ქართული ლექსის მკვლევარი

ლიტერატურათმცოდნეობაში პოეტიკა ყველაზე რთული დარგია, პოეტიკის შიგნით კი— ვერსიფიკაცია... იგი, მგონი, მეთეორეტიკაზედაც უფრო ზუსტია. შემოხვევითი როდია, რომ დიდი სიბეჭდავ მეთეორეტიკოსი აკაკ. კოლმოგოროვი ვერსიფიკაციის საკითხებზე წერს გამოკვლევებს. ვერსიფიკაციის ცოდნა (თანამედროვე პოეტიკის დონეზე) **გონებრივი ფუფუნებაა.**

აკაკი გაწერელია.

საგულისყურო დეტალი:

სამტომეული — საგანი ჩვენი დღევანდელი ბეჭდისა — სანაზღვროდ ლექსმცოდნეობის პრობლემებს ეხება. ეს ამბავი, რასაკვირველია, შემთხვევით არ მომხდარა.

1929 წელი. საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბი. ოცეიოდ წლის ბაბუკი კითხულობს ჩვენი ეროვნული წყობილიტყვაობისადმი მიძღვნილ მოხსენებებს. 24 წლის შემდეგ წიგნის თარგებზე გამოჩნდება დაახლოებით ოცთაბეჭდილი მონოგრაფია „ქართული კლასიკური ლექსი". ის ბაბუკი მომხსენებელი და ამ გამოკვლევის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა: აკაკი გაწერელია.

გამომზეურების დღიდანვე „ქართული კლასიკური ლექსი" სამაგიდო წიგნად იქცა. მას ფილოლოგიურ ეცნობიან სპეციალისტები, სტუდენტები, მოსწავლეები. მონოგრაფიის წარმატება კანონზომიერი მოვლენა იყო, არის და უნდა ვიფიქროთ, მომავალშიც იქნება. მის შექმნას მრავალმხრივ ერუდირებული ავტორის ხანგრძლივი, დაძაბული მოღვაწეობა უძღოდა წინ. ეურნალ-გაზეთებში დროდადრო ისტამბებოდა იშვიათი ნიჭიერებითა და გემოვნებით აღბეჭედილი პოეტიკური ნარკვევები და იქიდან ხელშესახებად მკაფიოვდებოდა ზოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, სულხანსაბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, რომანტიკოსების (მეტადრე— ნიკოლოზ ბარათაშვილის), გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ხელოვნების ტიპოლოგიური ნიშნები.

„ქართულმა კლასიკურმა ლექსმა", როგორც იტყვიან, დროის **გამოცდას გაუძლო, რამდენჯერმე** დაიბეჭდა, ხოლო სამოიოდე წლის წინათ აკაკი გაწერელიას რჩეულ ნაწერთა მესამე ტომის (ვერსიფიკაციის) პირველ წიგნად მოგვევლინა. რას ეძღვნება ეს გამოკვლევა?

ჩვენს მეცნიერებას დიდი ხნის მანძილზე ინტერესებდა კითხვა: რომელ სალექსო სისტემას ესადაგება ქართული ლექსის ბუნება?

ამ პრობლემის გადასაჭრელად მეცნიერმა ორ ნაწილად ჩაიფიქრა ერთიმ შრომატევადი წიგნი. პირველ ნაწილში ლექსის თეორიის ზოგად საკითხებს შეეხო და ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიული ეტაპურსაც ჩაატარა. მეორე ნაწილში კი VII-XVIII საუკუნეთა ქართული წყობილსიტყვაობის მახვილი, რიტმი, რითმა, სტროფი და საზომები გაანალიზდა. ყოველივე ამას დაერთო შესაბამისი მეცნიერული აპარატურა— შენიშვნები და მდიდარი ბიბლიოგრაფია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე.

უპირველესად ყოველისა, უურად ვიღოთ საგულისხმო განცხადება, რითაც მკაფიოდ აშკარავდება მკვლევრის მართებული პოზიცია: მონოგრაფია „სრულიადაც არ წარმოადგენს ევროპული ან რუსული მეტრიკის დარგში არსებული შრომების მიბაძვას. იგი როდი აკვიატებული სურვილი— ქართულ ლექსთწყობაშიაც ალმოგვეჩინა უცხო ენათა მეტრული სისტემებისათვის დამახასიათებელი მოცულენები. პირიქით: თეორიული ძიებანი მხოლოდ ეხმარებოდნენ ავტორს საგანგებოდ გაეშახვლებინა ყურადღება ქართული ლექსის ეროვნულ ნიშნებზე და გაეკვლია ისინი ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც".

ახლა კი თვალი მივადევნოთ მონოგრაფიის აღნაგობას.

ყოველ თავში ზოგადად მიმოიხილება შესაწავლი საგნის ესა თუ ის მხარე. ზუსტდება სათანადო პოეტიკური ტერმინები, რადგან სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვანაირად ესმის ერთი და იმავე ტერმინის შინაარსი.

ლექსის თეორიის ზოგადი საკითხები. შუა საუკუნეებიდან მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებამდელ ლექსმცოდნეობა ჩვეულებრივ ტრადიციული, ანუ სასკოლო მეტრიკით კმაყოფილდება და რიტმულ ფორმათა თვალით შესწავლის ფარგლებში ტრიალებს: ახლა ენთა ვერსიფიკაციაში მექანიკურად გადადის მერძნულ-ლათინური ლექსის კანონები, საზომთა სახელწოდებანი, ტრადიციული სქემები და ასე შემდეგ. კლასიკურ და ცოცხალ ენათა სალექსო სიტყვებს შორის კი არსებითი სხვაობაა, რასაც ვერ თვალისწინებენ ტრადიციული მეტრიკის წარმომადგენლები.

ბერძნულ-ლათინური ლექსი მუსიკალურ კანონებს ემყარება, რეჩიტატიული ხასიათი აქვს. მისი მეტრული საფუძველია: გრძელ და მოკლე ხმოვანთა ოდენობა (კვანტატატი), მათი კანონზომიერი მიმდევრობა და იზოკრონიზმი— ბგერითი ელემენტების გამეორება დროის თანაბარ ფარგლებში. აქ ტერფი — ხმოვანთა გარკვეული კომპლექსი — ტაეპის, ანუ ძირითადი სალექსო რიტმული ერთეულის, რეალური ნაწილია და მუსიკალური ტაქტის ანალოგიურ ელემენტად აღიქმება.

ახალ ენათა ლექსი კი, სულერთია, სილაბური იქნება, ტონური თუ სილაბურ-ტონური, სულ სხვა კანონებს ეფუძნება: სამეტყველო, რიტმი ხმოვანთა თვისობრიობას (კვალატატს) ექვემდებარება; იზოკრონიზმის დაცვა უკვე საჭიროებული არ არის; ალარც ტერფი გვევლინება საკუთრივ პოეტური ნაწარმოების რეალურ ელემენტად, „მუსიკალურ ტაქტთან საერთო არაფერი აქვს".

ეს ყოველივე მხედველობიდან ეპარებოდა ტრადიციულ მეტრიკას.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ლექსის თვალით შესწავლას უპირისპირდება სხვენთი ფილოლოგია გერმანელი ენთმეცნიერის ედუარდ ზივერსის მეთაურობით. უპირისპირდება, მაგრამ ფონეტიკური ელემენტების რაკვნა ცალმხრივობით სცოდავს, პოეტური ტექსტის ძირეულ თავისებურებებად მელოდია—მაღალი და დაბალი ტონების მწყობრი თანრიგი მგონია და ავიწყდება სიტყვა, ვითარცა აზრობრივი მეტყველების ერთეული. ლექსი მუსიკალურ ნაწარმოებს უთანაბრდება და მარტოოდენ ჟღუტატიური თვალსაზრისით შუქდება.

სხვენთი ფილოლოგიას არტიკულაციურ-მოტორული, ანუ კინესტეზური თეორია ებრძვის, ოღონდ ისიც მაკერძოებით იზღუდვეს: სალექსო რიტმის საფუძვლად „მოტორული სწავლის" (წარმომქმნის ორგანთა როლი) მიიჩნევა.

ამ სკოლების, აგრეთვე რუსული სიმბოლისტური-დეკადენტური და ფორმალისტური თეორიების წარმომადგენელთა ნაშრომების ყოველმხრივი მიმოხილვის შედეგად აკაკი გაწერილია აკცენის: „ვერც დასაფელთის ენათმეცნიერებამ, ვერც სიმბოლისტურ-ფორმალისტურმა მიმდინარეობებმა რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ვერ შესძლეს ვერსიფიკაციის მთავარი თეორიული საკითხების მეცნიერულად დამუშავება. იდეალიზმი და ანტიისტორიზმი, სკოლასტიკა და ბუბასალტერული სტატისტიკა ლექსის ცალკეული ელემენტებისა, —აი, რითაა აღბეჭედილი მათი შრომები".

მაშასადამე, აკაკი გაწერილიას გამოკვლევის დადებითი ნაწილი, რომლის მიზანია ქართული სალექსო ენის თავისებურებათა შენიშნა, კვლევა, მისი რიტმული სტროფკტურის შესწავლა, ახალ მეთოდოლოგიურ ნიადაგზე უნდა აიგოს.

ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქართული რიტმიკის შესწავლა აკა-ინ, შიგადაშიგ მიმდინარეობს და უპირატესად ერთი საკითხის გარშემო: რომელ სიტყმას მიეკუთვნება ჩვენი ეროვნული ლექსი? ზოგი ფიქრობს, მისი მალავარი სილაბურობაა — ტაეპებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობის დაცვა. სხვათა ბეჭობით, რუსული და გერმანული პროსოდიის მსგავსად, ქართული სალექსო რიტმის არსებითი ფაქტორი მახვილია.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ირჩევა ერთიმეორის უკუმდგომელი შეხედულებების დამტკიცებელთა ნაშრომები. მათი ავტორები არიან: მამუკა ბარათაშვილი, ეკვთიმე ბოლოვიტანოვი, იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, ნიკო ჩუბინაშვილი, დავთი ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ გულაკი, კოტე დოდაშვილი, სერგი გორგაძე, ნიკო მარი, აგრეთვე ზოგი სხვაც. დაკვირვებით, გულისხყურით ისინჯება მათი ყოველი სიბუფი და, აი, აკაკი გაწერილიას მიჩუქსიც: „ქართული ლექსის რიტმს ქმნის არა მარტო მარცვლების თანაბრობა ტაეპებში, არამედ აქცენტური ერთეულების წესრიგი, რომლის კონტროლს ქვეშ მიმდინარეობს სიტყვიერი ჯგუფების დინება, როგორც მოლიანი ეკსპირაციული ტალღისა".

ამიტომ ქართული ლექსის ბუნება სილაბურ-ტონურობას ეთანადება.

მახვილი. ქართულ სიტყვაში მახვილის ადგილი წინასწარვეა განსაზღვრული, მაგრამ ეს „განსაზღვრულობა" ძლიერი მარცვლის უძრა-

---

როლანდ ბერიძე

აკაკი გაწერილია — ქართული ლექსის მკვლევარი

ობას არ მოწმობს. რატომ? სიტყვაში მარცვალთა რიცხვის გაზრდასთან ერთად აქცენტის ადგილიც იცვლება, ვინაიდან ქართულ მეტყველებას დაქმელური კადენცია აქვს. ამ აზრით, ჩვენი მახვილი მოძრავია.

აქცენტოლოგიური პარალელთა გაკეთების მერმე ავტორი გვეუბნება: „ქართული მახვილი არაა ისე მკვეთრი, როგორც რუსული ან გერმანული აქცენტი. მაგრამ ქართულ ლექსშიაც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი ურთიერთმონაცვლეობა მონაწილეობს შინაგანი, აუცილებელი ფაქტორის სახით, როგორც ფაქაზი მავთული ელექტრონის დენისა. საკმარისია დაიშალოს ეს მავთული და ლექსის რიტმული ყოობაც დაიშალოს".

ასე ჩამოაყალიბა ავტორმა თავისი დაკვირვება და იური ტინიანოვის ნააზრევსაც გაეცნაინა: „ლექსის ტალაში მოხვედრილი სიტყვა ყოველთვის განიცდის რიტმის მრავალი ფაქტორის და, უწინარეს ყოვლისა, საზომის ზემოქმედებას. სიტყვა იძულებულია კონსტრუქციის წესრად იქცეს, ხშირად დეფორმირებული სახით მოხდეს ტალაში. რიტმის მხრივ ორგანიზებულ ლექსში ჩვენს წინაშეა არა სიტყვა, როგორც რიტმიზაციის მასალა, არამედ უკვე გარიგმული, აქცენტირი თვალსაზრისით საერთო სიხტემის ელემენტად ქცეული ფონეტიკური ერთეული. სიტყვა კ ბუსწავლილ უნდა იქნას იმ ნიშნებით, რომლებიც მას შესძინა რიტმმა".

რითმი. ქართული კლასიკური ლექსის შესწავლას ლიმოდ ედება სილაბურ-ტონურობის ძირეული ნიშნები: საზომი — ტალაში მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი თანმიმდევრობის მსაზღვრელი; საზომის და სიტყვის დამოკიდებულება — ნორმით ნაგარაუდევი მეტრული მახვილის დაკლება, მახვილის გადაადგილება, სიტყვებისა და ტერფების მიჯნთა ურთიერთობა და მისთანანი; ტემპის, და ინტონაციის ზეგავლენა რიტმულ მოძრაობაზე და შებრუნებული ქმედება; რითმა — ტალის მეტრული დასასრულის ერთ-ერთი სიგნალი და ხმა.

განსაკუთრებული სიახლე ქართულ სინამდვილეში:

აკაკი გაწერილიამ ერთიმეორისაგან მკვეთრად გამიჯნა მეტრი, ანუ საზომი (რიტმული მეტყველების რეალური კომპონენტი) და მეტრული სქემა (მეტრის ანსტრაქტული სახე), რომელიც პირობითად ნაწერადება ტერფებად — ლექსის განყენებულ ერთეულად. ტერფისა და სიტყვის საზღვრები ერთიმეორეს ხან ემთხვევა, ხან არა. აკედან — დასკვნა: „ლექსის რეალური რიტმი ტერფებისაგან კი არ შედგება, არამედ საზომის ჩარჩოებთან შეფარდებული სიტყვებისაგან".

მკითხველისათვის ნათელი ხდება: „ტერფს", (ანტიკურ პოეზიაში მუსიკალური ტაქტის ანალოგიურ ერთეულად რომ აღიქმებოდა) თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს. მაგრამ სამაგიეროდ ახალი ფუნქცია — მეტრული ერთელები გამხდარა მისი პირობითი ხმარება, კერძოდ, სილაბურ-ტონური ლექსის ანალიზის დროს მეტრულ მახვილთა რიგის გამოსავლენად და ალსანიშნავად. ახეა დადგენილი ტერფის ცნება მეცნიერულ ვერსიფიკაციაში.

ხოლო ქართული კლასიკური ლექსის მეტრული სქემისათვის ძირითადად სამი ტერფი ივარაუდება: ქორე (⊥◡), დაქტილი (⊥◡◡) და მეორე პეონი (◡⊥◡◡).

საზომის ამ ფუძეცოურ (მაგრამ ტაკის აქცენტური ანალიზისათვის ფრიად საჭირო) ერთეულთა დახასიათების კვალდაკვალ ლექსის რეალური ერთეულებიც მეღაენდება: ანაკრუზა — ტალის დაწყება უმახვილო ხმოვნით; მეტრული დაბოლოება, ანუ კლაუზულა — მარცვალთა რაოდენობა ტალის უკანასკნელი მახვილიდან ბოლომდე; ცეზურა — ერთსა და იმავე ადგილას ტალების გაყოფა ორ თანაბარ ან უთანაბარ ნაწილად.

რიტმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — ინტონაცია, რომლის კერძო ნიშნებია ტონის სიმაღლისა და ტემპის ცვალებადობა, მკითხველისათვის ფარული პლანთაგან საჩინოდდება: „ინტონაცია განსაზღვრული ეპოქის ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე პერიოდის უშუალო გამოძახილის წარმოადგენს... ყოველგვარი ინტონირება (როგორც პოეზიაში, ისე მუსიკაში) უეჭველად გულისხმობს გარკვეულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოსთან მის შეხამებას. ამ შეხამების გარეშე პოეზია, როგორც საზოგადოებრივად ღირებული ესთეტიკური კატეგორია, არ არსებობს".

რიტმისა და ინტონაციის ექსპერესიულ დანიშნულებაზე მსჯელობისას თვალნათლივ იფანტება ბურსი, რისგანაც აქამდე ვერ განთავისუფლებულა ზოგი მკვლევარი. საქმე ის გახლავთ, რუსულ სიმბოლისტურ-დეკადენტურ სკოლაშია, წერს აკაკი გაწერილია, ლამის დაკანონდა მეტრული სქემის ცალკეულ ერეულთა ყალბი და სქოლასტიკური გაგება. მაგალითად, ამტკიცებდნენ: ესა თუ ის ტერფი გარკვეულ ემოციურ და სიუჟეტურ მომენტებს უკავშირდებიო. და „ევროპული მეტრიკის ისტორიაშეც საკმაოდ ასეთი შემთხვევები". ამნარი ცდებს პრინციპულად სცილდება ქართველი მეცნიერის თვალსაზრისი. მეტიც: „ცალკეულ მეტრს არასოდეს არ უნდა დავკისრთოთ ექსპერესიული ფუნქცია. ასეთი დანიშნულება ლექსში აქვს რიტმსა და ინტონაციას, როგორც მთლიან სისტემას".

რითმა. საკმაოდ გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, რითმა პოეტური სამკაული კი არ არის, მეტრული შოვლენაა, „სალექსო კონსტრუქციის ორგანული, კომპონი-

ციური დანიშნულების მქონე წეგრია". ამ პოზიციიდან ცნობიერება სტროფის ეს ნაწილი კლაუზულის, ადგილმდებარეობის, ბგერითი შემადგენლობის (ვეფხისის), მორფოლოგიის მხრივ. არც რითმის სემანტიკური დანიშნულებაა მივიწყებული: იგი, რითმა, „ხაზს უსვამს, უფრო მკაფიოს ხდის ტაეპის ბოლოს მოხვედრილ სიტყვებს: პოეტური ტექსტის ამოვიისელის ყურადღება უნებლიედ ჩერდება იმ სატყვებზე, რომელთა ბგერითი ერთგვარობა თვალსაჩინოა ნაწარმოების ალქმის დროს".

სტროფი. ბერძნულ-ლათინური, აღმოსავლური და ევროპული სტროფის ნაირსახეობათა დასახელების შემდეგ ამ სალექსო კომპონენტის მთავარი ნიშნებიც ხასიათდება. ესენია: თემატიკური მოგენები: მეტრული ერთგვაროვნება — სტროფის ან რამდენიმე ტაეპისათვის შერჩეული რიტმის ერთგვაროვნება; სილაბიზმი — მარცვლების თანაბარი რიცხვი ან რიცხობრივად უთანაბარი ტაეპთა მიმდევრობის წესრიგი; რითმა. ამ ნიშნებით იჩრეკა ჯერ ქართული სილაბური ლექსი — „ერთთმა და რითმიანი იამბიკოები (მიქაელ მოდრეკილისა, ილარიონ მტბევარისა, დემეტრე მეფისა...) და მერმე — კლასიკური პერიოდის, აღორძინების დროისა და „გარდამავალი ხანის" ნაირნაირი სტროფი — იზოტეტრულიც (თანაბარზომიერი) და მეტერონეტრულიც (არათანაბარზომიერი), უონტერკლო�ა და ინტერვალრითმიანიც, ორტაპეოვანიც და უფრო მეტსტროიენანიც. მკითხველი აქვე ეცნობა ტეფნერსა, ანუ მისამღერის, თემატიკურ, კომპოზიციურ, ინტონაციურ ნიშნებსა და ამა თუ იმ სინტაკსურ თავისებურებას.

საზოგადი (სქემებისა და პარიაციების აღწერა). უარიყოფა მეთოდი ტრადიციული მეტრიკისა, რომელიც სილაბურ-ტონურ საზომთა დაჯგუფებისას, როგორც წესი, ბერძნულ-ლათინური სალექსო მეტრებისა და ტერფების შესაფერად აღნუსხავდა „სულ სხვა ენობრივ სისტემაში აღმოცენებულ რიტმულ ნორმებს". მცდარ მეთოდად ცხადდება ქართული ლექსის ტაეპებში იამბის, ხორეფს, პიროქის, მოლოსის, ანტიბასტასტის, ეპიტრიტის, ამფიმაკრის, ინონაკის, ტრიბრაქუნი და ანტიბაქუს ძიება. „ქართული კლასიკური ლექსის საზომი უნდა დახასიათდეს არა როგორც რომელიმე ბერძნული პროტოტიპის ქართული ვარიაცია, არამედ როგორც მთლიანი აზოობრივი და ინტონაციური ერთეული, რომლის ხელოვნური დაქუცმაცება ცალკეული ბერძნული ტერფების შესაბამისად — უაღრესად მოუღებელი და ყალი გზაა, რეალურ რიტმულ მოვლენებს იგი სრულიადაც არ გამოხატავს". ტაეპებში სიტყვათა და მახვილთა განლაგების ამა თუ იმ ფორმის დადგენისას კი პირობითად მარტო სამი ტერფის გამოყენებაა მიზანშეწონილი — ქორეი, დაქტილოსი და მეორე პეონის.

ამ ხერხით იკვლევს ავტორი ძველქართულ პოეზიაში მოქმედ საზომებს და მრავალფეროვან ქართულ ლექსის ვერსიფიკაციული შესაძლებლობანი. „ყალიბებად" ითვლება, უნიკალურიც მსოფლიო პოეტური კულტურის თვალსაზრისით".

ზედიზედ ზუსტი და იშვიათი დაკვირვებაა!

ასე და ამრიგად, მკითხველი რწმუნდება: „ეცნიერის ალღოს, ზოგადთეორიული საკითხების კრიტიკულთან განჩხრეკას, ჩვენი ეროვნული ზეგობილსტაკოვნობის თავისებურებათა ღრმა გააზრებას და მისი ობიექტური ანონების შეცნობას აკაკი გაწერელიას საშუალება მისცა დეემტკიცებინა ქართული კლასიკური ლექსის ბეშმარტი არსი — სილაბურ-ტონურობა.

სარეცენზიო ტომის მეორე წიგნში წარმოდგენილია მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი", ავრეთვე ნარკვევები და ორ წერილები როგორც ზოგადი, ისე ქართული ლექსმცოდნეობის საკითხებზე.

მონოგრაფიის წიგნილ ხაზად გასდევს ავტორის პრინციპული მსჯავრი: მეოდებელიაო მხატვრულ ნაწარმოებთა განხილვის სტრუქტურალისტური მეთოდი, რომელიც, სინამდვილეში, ელემენტების გათიშვის, მათი ოპოზიციებისა და ანტანომიის მეთოდად გვევლინება. მეტყველების დინამიკას ელემენტების შეფარდებათა გამომშრალი სურათი სცვლის. და ეს ფაქტი ყველაზე მეტად პოეტური რიტმის ანალიზის დროს აშკარავდება. კრიტიკას ვერ უძლებს სტრუქტურალისტების დაეინებული მტკიცება: „ჩვენი მეთოდის მიხედვით, ყოველი სტრუქტურა დინამიურია". ვერ უძლებს, რადგან მათ ნააზრევში დიალექტიკური მონაზმი შეცვლილია გათიშულობის მომენტით. წინა ალანსა სწორად ეს გათიშული ნაწილები გამოდის და არა „მათი მთლიანობა, სადაც ამ ნაწილების medium-ის როლს, ჩვეულებრივ, მთლიანი და გაუთიშველი კონტეკსტის აზრი უნდა ასრულებდეს". ამის დანაგა და აღიარება კი არასაზრით არა სწორადაა სტრუქტურალისტებს. „ამიტომ ახე საგრძნობია თანამედროვე დასავლური სტრუქტურალიზმის უკადურეს სახეობანი (განსაკუთრებით ბოლო დროს) ისტორიზმის ტოტალური უარყოფა". რასაც შედეგად მოსდევს სტატისტიკისადმი, ელემენტთა ინვენტარიზაციისა და მათემატიკური ფორმულებისადმი მიღრეკილება. მოყლედ: „ყველეთნი ინტელექტუალიზმი ნოქავს პოეზიის ემოციონალურ სფეროს".

რონალდ გეიციე

აკაკი გაწერელია — ქართული ლექსის მკვლევარი

ამავე თემას საგანგებოდ ეხება აკაკი გაწერელიას ნარკვევი „სტრუქტურალიზმი პოეტიკაში“, სადაც ჯერჯერობით არის შეფასებული რომან იაკობსონის მოღვაწეობა, აღნიშნულია ის დიდი ამაგი, რაც ჩვენი დროის „ერთ-ერთმა უალრესად გამოჩენილმა, მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერმა და პოეტიკის მკვლევარმა“ დასდო მითოლოგიას, ტექსტოლოგიას, თარგმანის ლინგვისტურ ასპექტებს, პუშანგარაფი ცოდნის სხვადასხვა სფეროს, ეგრეთ წოდებული ფუნქციონალური სტრუქტურალისტიკის, კერძოდ, ფონოლოგიის დარგს. ხოლო მის პოეტიკურ ნაშრომთა „საუკეთესო ნაწილი მემკვიდრეობითობის ხასიათს ატარებს და გარკვეულ მიღწევად რჩება საერთად ლიტერატურათმცოდნეობაში“. მაგრამ თავისმა თეორიულმა პოსტულატმა — „პოეზია არის ენა მის ესთეტიკურ ფუნქციაში“ — რომან იაკობსონი ბოლოდროინდელი ნაშრომებით („ლინგვისტიკა და პოეტიკა“, „სტილისტიკა და პოეტიკა“, „ჩიბური რეგულირებული ლექსის მოდელსტრული საზომი“) ბუნებრივად მიიყვანა მცდარ დასკვნამდე: პოეტიკა ლინგვისტიკის ნაწილიაო.

ამდენად, მეთოდოლოგიური ხასიათისაა აკაკი გაწერელიას კამათი ამერიკელ მეცნიერთან. მის ზოგად პოეტიკურ დებულებათა მიმოხილვის შემდეგ სტატიაში მოცემულია სალექსო რიტმის ცალკეულ მოვლენათა განმარტებანი. უწინარეს ყოვლისა, კვლავ უარყოფილია იაკობსონის დამოკიდებულება სალექსო რიტმის იზოქრონისტული გაგებისადმი. „სუბიექტური დროის“ დებულება, რასაც იგი უწინ იცავდა („ჩიბური ლექსის შესახებ“, 1923), ხოლო ახკაკი გაწერელია „ქართული კლასიკური ლექსის“ ფურცლებიან უარყოფად, დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ სალექსო რიტმში იზოქრონიზმის ობიექტურად არსებობის აღიარებით შეიცვალა: მეტყველების ნაკადის დრო მუსიკალური დროის ანალოგიურად განიცდება. ამ შეხედულებას აკაკი გაწერელია მეარი სიტუაციით უპირისპირდება: „მაგრამ ვარგად ცნობილია, რომ მუსიკალური ტაქტი და გამა მათემატიკურად სწორ პროპორციებს ავლენენ, ლექსისათვის [ა] ეს დამახასიათებელი არაა“. თქმულის ნათელსაყოფად იქვე დამოწმებულია ბეგელი, რომელიც მუსიკალური ტაქტისა და ლექსის საზომის შედარებისას გარკვევით წერდა: „...მეტის რომ შეეძლოს მთლიანად დაეკვეშდებარის ტაქტის კანონებს, მაშინ მუსიკასა და პოეზიას შორის განსხვავება, ყოველ შემთხვევაში ამ სფეროში, მთლიანად გაუქმდებოდა და დროისეული ელემენტი გადასწონიდა მასში, რაც პოეზიას არ შეუძლია დაუშვას მისი ბუნების თანახმად“. ამასვე ამტკიცებდა ვიკტორ ჟირმუნსკი. იგი კატეგორიულად აღნიშნავდა სალექსო სიტყვის ბგერით მასალასა და მუსიკალურ ტონებს შორის არსებულ უმნიშვნელოვანეს სხვაობას. ეხლინიოს ლექსის მერყეები ტონები, განუსაზღვრელი ინტერვალები, ზუსტ და პროპორციულ ინტერვალებ-ბრძოლობათა უკონლობა. იქვე მოგანილია იური ტინიანოვის მრავალმეტყველი მტკიცება: ენასპერიმენტულ გამოკვლევებს იზოქრონზმის სრულ უარყოფამდე მივაყვანართ.

დამაინტერესებლად ვითარდება სტატიის ავტორის მსჯელობა „გაცრუებულ მოლოდინთან“ დაკავშირებით. ეს ცნება იაკობსონმა ედგარ პოს პოეტიკური ნააზრევიდან შემოიტანა. რუსულ ლექსმცოდნეობაში („ჩიბური ლექსის შესახებ“) და, აკაკი გაწერელიას თქმით, გულისხმობს ლექსის „ძირითადი მოდელის (მაგ. საზომში ზუსტად რეალიზებული ნორმის) სპარისპირო მოელენებს, როცა რომელიმე სტანიკონი არ ამარილებს მკითხველის მოლოდინს და ნორმის წინააღმდეგობად გვევლინება (ზედმეტი მახვილებით მისი გადატვირთვა და მისთ.)“. იაკობსონ 60-იანი წლების დამდეგს კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და თქვა: „გაცრუებული მოლოდინი“ მკითხველს ესთეტიკური ეფექტით აჯილდოებს, ვინაიდან მონოტონურობისა და ერთფეროვნების აღქმისაგან ათავისუფლებო. ქართველი მეცნიერი იზიარებს პოეტიკურ ნაშრომებში „გაცრუებული მოლოდინის“ არსებობის ფაქტს და იქვე ეპიკერქნა „ლინგვისტიკისა და პოეტიკის“ ავტორს: „მაგრამ ფორმულის განზოგადებისა და აბსოლუტიზაციისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან თუ აღნიშნულ მოვლენას ყოველთვის ესთეტიკურ კატეგორიად მივიჩნევთ, მაშინ პოეტური ინელოდან უნდა გამოვრიცხოთ ისეთი სტროფები და მთელი ლექსებიც კი, რომლებშიც ე. წ. „გაცრუებულ მოლოდინს“ ადგილი არა აქვს. მაგრამ პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ“.

ასევე, საგულისხმოა იაკობსონისეული „სეგმენტის“ განმარტება. იაზოსლავიზმში ანუ სეგმენტების თანაბრობა, იაკობსონის თქმით, სეგმენტებში შემავალ მარცვლთა თანაბრობას გულისხმობს. მაგრამ ამ დებულების ავტორს, ამბობს აკაკი გაწერელია, „სეგმენტის შიგნით სუსტი და ძლიერი ბგერების კანონზომიერების გადმოცემისას ანტიკური მეტრიკის მეთოდისათვის არ უდალატნია თვით ჩინური რეგულირებული ლექსის მოდულარული საზომის ანალოზის დროს. ქართულ სინამდვილეში კი ბადეკო „სეგმენტის ისეთ რიგმულ კომპოზიციად მიჩნეკა, როცა იგი, ერთი შეხედვით, მკაცრად გამოყოფილ რეალურ ელემენტადაა მიჩნეული“.

„ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთ საკითხს“ უკავშირდება წერილი „აუცილებელი განმარტებანი“. მის დაწერის საბაბი გახდა აღნიშნულ მონოგრაფიაზე „ლიტერატურულ სა-ქართველოში“ დასტამბული რეცენზია „მეცნიერული კამათი თუ ცილისწამება“, რომლის

ავტორები არიან ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები: სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი ჯიქია, თამაზ გამყრელიძე და წევრ-კორესპონდენტი კონსტანტინე წერეთელი. „აუცილებელ გამამარტებათა“ ავტორს დამატებითი არგუმენტაცია მოაქვს რეცენზიაში გამოთქმული შენიშვნათა საპასუხოდ, ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობის სასარგებლოდ, აგრეთვე ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად.

ვრცელ გამოკვლევაში, რომელსაც „ქართული ჰიმნოგრაფიისა და ვერსიფიკაციის საკითხები“ ჰქვია, განიხილება ჯაჯა გვახარიას ნაშრომი „ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის საფუძვლები“ და, ამასთანავე კრიტიკული თვალით მოწმდება ქართული სასულიერო პოეზიის სტრუქტურაზე პაპელ ინგოროყვას მიერ განვითარებული თეზისები, მათ შორის — მტკიცება: ლიტურგიკულ კანონს, რომელიც ცხრა, ზოგჯერ რვა „გალობისაგან“ შედგება, საფუძვლად უდევსო „სილაბური უკვეთელი ლექსი“.

აკაკი გაწერელია ემყარება ე. ლოვიაგინს, ბერძნულ-ბიზანტიურ საგალობელთა ცნობილ მკვლევარს, ვისი ბევრი დაკვირვებაც ქრონოლოგიურად უსწრებს ა. ვასილიევის, თ. უსპენსკის, ე. მერიკის, კ. კრუშბახერის, ბ. მაასის, ე. ველეშინის და სხვა გამოჩენილი ბიზანტისტების ამა თუ იმ შეხედულებას. ეკამთბეს რა პიტრას, კრისტოსი და პარანაკისის დებულებებს, ლოვიაგინი აბეკიცებს: მარილია, ეკლესიის დიდ მამათაგან ზოგი (ვთქვათ, გრიგორ ნაზიანზელი) ლექსებს ქორეული, იამბური ან დაქტილური ხაზობებით წერდა, მაგრამ ისინი ეკლესიაში არასოდეს იგალობებოდა, არ წარმოითქმებოდა, არც რეჩიტატივისათვის გამოიყენებოდა, ისე რომ, მკაფიო მეტრული წყობით საგალობელთა შექმნის ყოველგვარი ცდა ამთავითვე განწირული იყო, რადგან 365 წელს ჩატარებული საეკლესიო კრების დადგენილება სასტიკად კრძალავდა ეკლესიაში „უწმინდეს“ ჰიმნთა შესრულებას. ამიტომ უსაფუძვლოა ბიზანტიურ საგალობლებში ბერძნული მეტრიკის ნიშნთვისებათა ძიება. კერძოდ, ამ საგალობლებზე დარჩთულ წერტილებს მეტრული დანიშნულება არ გააჩნია და ისინი მელოდიური პასაჟების მაუწყებელ გრაფიკულ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ; ირმოსის, ანუ პირველი სტროფის, შესაბამის ტროპარებში, ანუ მიმდევნო სტროფებში, დაცული არ არის „უცვლელობის ელემენტი“ — მარცვალთა ზუსტი რაოდენობა და სხვა.

ქართულ სასულიერო პოეზიაზე კორნელი კეკელიძის, გაიოზ იმედაშვილისა და ჯაჯა გვახარიას მიერ გამოთქმული ანალოგიურ შეხედულებებს აკაკი გაწერელია ძირითადად ეთანხმება და სჯერა: ლიტურგიკული ჰიმნები „მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალური ხასიათის საგალობლებია. მათი მეტრული რეკონსტრუქციის საკითხიება (ტექსტში მარცვლებისა თუ სიტყვების ჩამატება ან დაკლება. — ერ. ბ.) არ არსებობს, რიტმს ისინი გალობის დროს ქმნიან“. ამის გამო გაუმართლებელია ლიტურგიკულ „კანონებში“ პიტრაშეტრიის, ლიპომეტრიის, დიერესის, სინერეზისა და ანტიკური (ბერძნული) ლექსის სხვა ტიპოლოგიურ ნიშანთა ძიება. მკვლევარი პრინციპულად იცავს „ქართულ კლასიკურ ლექსში“ წამოყენებულ და საძებნელთ ლიტერატურაში მხარდაჭერილ დებულებას: ჰიმნოგრაფიული პოეზიის სტრუქტურას ტონიკა როდი განსაზღვრავდა, არამედ გალობის კანონები.

ლექსმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებს ეხმაურება კიდევ ორი წერილი, ეს, მათი შინაარსიც:

„ერთი კარგი ნარკვევის გამო“. 1972 წელს ემისა და ლიტერატურის სერიის „მაცნეში“ დაიხაბეჭდა პაოლინ სილაგაძის ნაშრომი: „არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები“ — პირველი ქართული გამოკვლევა არაბული წყობილსიტყვაობის რაობაზე. იგი აშკარა სიახლით გამოირჩევა. საქმე ის არის, წინათაღმდეგ ტრადიციული მტკიცებისა — არაბული სალექსო რიტმი ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს, ანუ კვანტატატურობას ეფუძნებიო, პოლინ სილაგაძეს „პროსოდიული ელემენტების ჩინებული ანალიზისა და დამაჯერებელი არგუმენტაციის საფუძველზე“ ხსენებულ ვერსიფიკაციაში კვანტიტატური სისტემის არსებობა შენიშნა და ერთოლ საყურადღებო თვალსაზრისი შემოგვთავაზა: „თუ ეს არ არის კლასიკური ტონური ენერგესიწყობა, ყოველ შემთხვევაში, მისი თავისებური სახეობაა, უპირისპირდება კვანტიტატურ სისტემას“.

„ვერლიბრი (პასუხი ჟურნალ „ციხარის“ ანკეტაზე)“. საკითხის თეორიიდან და ისტორიულ მხარეთა მიმოხილვის შემდეგ მითითებულია ვერლიბრის ერთ-ერთი ძირითადი, ნიშანდობლივი თვისება: თავისუფალი ლექსის კითხვის დროს საზომი მკაფიოდ, სისტემის სახით არ ვლინდება და „მეტწილად აუნაზღაურებელი მოლოდინის სახით“ მეღავნდება, ანდა საზომის პოტენციური ჩრდილი მოკმეხილს, რაც ლექსის თავისუფალ წყობას თან ახლავს ინტონაციური პაუზების დაცვის ფონზე. „საზომის რეალიზაციის მოლოდინი კი ვერლიბრს (ლექსს საზომადოდ) რადიკალურად აშორებს პროზისაგან“.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გაჩენილ საბჭუსხარო ფაქტებს — ლექსის ანალიზის არასახარბიელო დონეს, წაკაროთა დაუსახელებლობასა და სხვადასხვა სახის კურიოზებს მე-

როლანდ ბერიძე

აკაკი გაწერელია — ქართული ლექსის ნაკვლევები

თოდფრად ამბელს ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ხიბლი რომანისა

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, აბჯრად უკვე საბოლოოდ დასრულებული სახით, ცალკე წიგნად გამოსცა თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ნაყოფის — „ნატვრის თვალის“ პირველი და მეორე ნაწილი, ბოლო „ცისკარმა“ (1983 წ. № 12) დასტამბა რომანის ბოლო — მეოთხე ნაკვეთი.

„ნატვრის თვალის“ ცალკეულ ეპიზოდებს მწერალი წლების მანძილზე აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში და შეჰკონდა წიგნებში. ეს ნაწყვეტები იბეჭდებოდა ან როგორც დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანობის მქონე მხატვრული ნაწარმოებები, ანდა როგორც მთავარი რომანის ფრაგმენტები. აბჯრად კი ამ ცალკეულმა ნაწილებმა გამოლიანებული სახე მიიღეს, ერთიანი კომპოზიციური ქსოვილით შეკავშირდნენ, ერთ საერთო მიზანსწრაფვას დაექვემდებარნენ და როგორც ერთი ვრცელი ბელეტრისტული ტილო, ამდაგვარად წარმოდგნენ მკითხველის წინაშე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის მეოთხე ნაწილი, რომელშიც ოშის თემაზე დაწერილი ნოველებიდან (გავიხსენოთ ციკლი „სიკვდილი ცოტას მოიდის“) რამდენიმე მთავარ პერსონაჟს მწერალმა სახელი და გვარი შეუცვალა, ლევან ნადიბაიძედ აქცია და ამგვარად გადმოასახლა რომანის ფურცლებზე.

ასევე ჰპოვა გაგრძელება ნაწარმოებში საზოგადოდ კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელმა ისეთმა სტილურმა ხერხმა, როგორიცაა მხატვრული მონათხრობის მყარ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნების პრინციპი. ამგვარი დოკუმენტურობის ზუსტ კვალს ხშირად ვაწყდებით რომანში, როცა მწერალი ხატავს ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართული სოფლის განახლება-აღმავლობის რთულად მიმდინარე პროცესს თუ სამამულო ომის ცალკეულ შუამბეჭდავ ეპიზოდებს.

ომისათვის რომ ატმოსფეროსეულ თხრობას მეტი დამაჯერებლობა შეეძინა, ბელეტრისტმა მეოთხე ნაწილში თავისი თავიც გამოიყვანა, როგორც სამხედრო კორესპონდენტი და, მსგავსად ომის თემაზე დაწერილი მისი ნოველების ციკლისა („სიკვდილი ცოტას მოიდის“), რომანის მთავარ პერსონაჟთან თავისი პიროვნული ურთიერთობიდანაც გაიხსენა რამდენიმე საგულისხმო მომენტი.

„ნატვრის თვალის“ კომპოზიციური აღნაგობა იმდენად თავისებური და მასში შემავალ ცალკეულ ეპიზოდებს ზოგჯერ იმდენად დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ შეძენილი, რომ პირობითად შეიძლება მას ნოველებისაგან შემდგარი რომანიც ვუწოდოთ. ეს ნიშანი, როგორც ჩანს, ნაწარმოების თანდაყოლილი სპეციფიკური თვისებაა, რაც ბეჭწლადა განსაზღვრავ იმ გარემოებით, რომ რომანში მწერალმა თავი მოუყარა ომის შემდგომ ათწლეულებში გამოქვეყნებულ რამდენიმე ისეთ ნოველას, რომელთაც განმსაზღვრელი ადგილი დიაკავეს კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

ახე იქცა „ნატვრის თვალი“ ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის შეკამებად; ახე მოინათლა ხელმეორედ მწერლის რამდენიმე ფაერთოდ გახმაურებული პერსონაჟი და რომანში აღწერილი მოვლენების შუაგულში მოექცა.

ამით კ. ლორთქიფანიძემ ერთხელ კიდევ პრაქტიკულად დაადასტურა ფუალატო ერთგულება მისივე მწერლური პრინციპისადმი, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული ამავე ნაწარმოებში: „მწერალი მამაღლერთნავით არის, — თავის გაჩენილ ადამიანს სადაც უნდა, იქ წიაყვანს და რაც უნდა მაშინ დაასახლებს...“

რომანის მხატვრული სრულყოფის გზისათვის თვალის მიდევნება ერთხელ კიდევ განგვიმტკიცებს იმ თვალსაზრისს, რომ კ. ლორთქიფანიძისათვის წერტილდასმული და საბოლოოდ განსრულებული ნაწარმოები თითქოს არც არსებობს. მისი შემოქმედების ყველაზე სრულყოფილი ქმნილებანიც კი ავტორისთვის მელანშეუმშრალია. ამიტომაც უტრიალებს მუდამდღე იგი თავის ნაწარმოებებს ირგვლივ, აზუსტებს, ხვეწს, სრულყოფს ცალ-

კიულ დეტალებს, მეტ სინაკიფუსა და ბუნებრივ სისადავეს ანიჭებს მათ არა მარტო მხატვრულ-ტექსტოლოგიური კუთხით, არამედ მსოფლმხედველობრივადაც.

კ. ლორთქიფანიძის, როგორც ჩვენი ეპოქის მხატვარ-მეგზაურის გმირები მკაფიოდ არ არიან ერთმანეთისაგან გამიჯნულნი. „ნატვრის თვალში" გამოყვანილი პერსონაჟებიც სრულიად ან მხატვრულ საფეიროს, რომლის ბარელი შტრიხები ჯერ კიდევ თავისი ადრინდელი ნარკვევებითა და მოთხრობებით მოხსნა მწერალმა და რომლის გვირგვინადაც შემდეგ პერიოდში „ცოლხეთის ცისკარი" იქცა.

კ ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მონაგარისთვის თვალის ერთი გადაკვლებაც კი ნათლად ადასტურებს თემატური ერთგულების იმ საოცარ გრძნობას, რითაც მკაფიოდ ხასიათდება ბელეტრისტის მთელი საპწერლო მოღვაწეობა. ამ ერთგულების შედეგად, ავერ უკვე სამიცი წელიწადია, კ. ლორთქიფანიძე თანმიმდევრულად ქმნის თანამედროვე ქართული სოფლის განსახლებისა და აღმავლობის მხატვრულ მატიანეს. ამ მატიანის ფურცლებს კი ჩვენი თანამედროვეობის მხოლოდ წინსვლისა და წარმატებათა ამსახველი ეპიზოდები რიდი აფსებენ. ესაა ეპოქის სახის განმსაზღვრელი მძაფრი კლასობრივი ბრძოლებისა. და წინადდეგობების მომცველი ვრცელი პანორამა.

მიუხედავად მკაფიოდ გამოვლენილი ტენდენციურობისა და მიზანსწრაფულობისა, რითაც ბელეტრისტის მიერ დახატული პერსონაჟები ხასიათდებიან, ახლის დამკვიდრებისა და ძველის ტრაგიკული აღსასრულის პროცესი თუ სიკეთისა და ბოროტების მძაფრი ურთიერთგვიდილი კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ხშრიხაზობრივად რიდია გაჯრებული. დროისა და ეპოქის სახის განმსაზღვრელი ეს ბედილი ზოგჯერ ერთი და იგივე პიროვნების ხელშია ჯარღასახული და ავტორიც ღრმა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა დაძლევის მიმდინარეობის ბგზებს.

მწერალი, როგორც წესი, არ გამოდის მხოლოდ ერთი სოციალური ფრთის თუ ჯგუფის ინტერესების გამომხატველად. მისთვის მთავარია განზოგადებული ფორმით წარმოსახოს 20-30-იანი წლების ქართული სოფელი მთელი თავისი სირთულეებითა და მრავალსახოვნებით. ალბათ სწორად ესაა მიზეზი „ნატვრის თვალში" თავმოყრილი პერსონაჟების რაოდენობრივი სიმრავლისა და მისწრაფებათა ნაირგვარობისა, რითაც განსახლებული ნაწარმოები განირჩევა მწერლის დანარჩენი ქმნილებებისაგან. მაგრამ, რაც მთავარია, პერსონაჟთა ამგვარი რაოდენობრივი სიმრავლე არ ტვირთავს რომანს მხატვრულად დამუშავებული და ხორცშეუსხმელი სქემებით. პირიქით, ნაწარმოები შთამბეჭდავია ამით, რომ მასში გამოკვანილი ყოველი მოქმედი პირი, თუნდაც ეპიზოდური კი, თავისებური, კუთხითაა დაკავშირებული ეპოქის რეალურსახოვან მოვლენებთან და მკაფიო ინდივიდუალური თვისებებით აღბეჭდილი. ასე ქმნის მწერალი მრავალრიცხოვან მოქმედ პირთა არა მექანიკური კრებულს, არამედ ერთმანეთთან მჭიდრო პიროვნული ურთიერთობებით შეკავშირებულ ადამიანთა რთულ სამყაროს, რომელის ყოველ წევრსაც ნათლად გამობატული მეობა აქვს შეძენილი.

ეპოქის სახის, მისი მრავალკლასიანი სულიერების სრულყოფილი შეცნობისაკენ სწრაფვის სურვილმა უკანა პლანზე გადაანაცვლა ზტკიცე კომპოზიციური მთლიანობის დაცვის პრინციპი. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ რომანში მოქმედების მაგისტრალური ხაზიდან შეგადაზეგ გადახეთქვიც გვხვდება ხოლმე. მაგრამ ამდაგვარი ეპიზოდური ჩანართებიც, ძირითად მოვლენებთან ერთი შეხედვით ორგანულად დაუკავშირებელნიც, საბოლოო ჯამში ნაწარმოების მთლიან მიზანსწრაფვას ექვემდებარება. რომანის წერის პროცესში, როგორც ჩანს, მწერლის ხელშეწყობა იდგა არა მარტო ტიპების შექმნის ამოცანა, არამედ ეპოქის ხელის, მისი დრამატიული შინაარსის ყოველი საგულისხმო ნიუანსის გაცოცხლების ურთულესი პრობლემაც.

და შეიძლება დავასკვნათ, რომ კ. ლორთქიფანიძის რომანი აცოცხლებს იმ განწყობილებას, რითაც 20-30-იანი წლების ქართული სოფელი ხასიათდებოდა. არის ამ ნაწარმოებში მრავალი ისეთი ეპიზოდი, რომელიც სწორედ ამდროინდელი ადამიანის თვალით უნდა დავინახოთ. სხვაგვარად, მხოლოდ თანამედროვეობის პოზიციებიდან დანახული, ან ისტორიზმის გარეშე, მწერლის მიერ დახატული პერსონაჟები საგრძნობლად გაღარიბდებიან და განიძარცვებიან იმ მძლავრი რომანტიკული ხელისკვეთებისაგან, რომელიც ფანატიკური რწმენითა და ძალმოსილებით აღავსებდა მათ ხელიერ სამყაროს.

ასე იქერწება რომანში ეპოქის ბიოგრაფია, ის საერთო-სახალხო განწყობილება, რომლითაც იბეჭდებოდა თანამედროვე ქართული სოფლის წინსვლისა და განახლების ისტორიული გზა.

მაგრამ „ნატვრის თვალის" მიზანსწრაფულობა მხოლოდ ამ კონკრეტულ-სოციალური პრობლემატიკით რიდია შემოსაზღვრული. მწერალი ამ კონკრეტულ მოვლენათა ორობატიალში განზოგადებული ფორმით შეიგრძნობს იმ მძაფრ ადამიანურ ენებებს და ტკივილებს, რომელთაც არც ქრონოლოგიური საზღვრები მოეძევებათ და არც გეოგრაფიული.

ვიდრე რომანის იდეურ-პოლიტიკურ საბჭაროზე ვისაუბრებდეთ, გვინდა ორიოდე სიტყ-

ვით კვლავ მოვაქციოთ ყურადღება „ნატვრის თვალის“ სტილური ოსტატობის ზოგიერთ ხაკითხს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხატვრული სიტყვის თანამედროვე ოსტატთა შორის აშვიათად მოიძებნება მწერალი, რომელიც ისეთი სიფრთხილითა და ჭკუაწყვეტით, შეიძლება ითქვას, ბოლომდე დაუმაყოფილებლობის ვრძნობითა და დაუცხრომელი პასუხისმგებლობით მუშაობდეს ნაწარმოებზე, როგორც ამას კ. ლორთქიფანიძე აკეთებს. სიტყვაზე ამდაგვარი წერტილდადუმებელი მუშაობა მისი შემოქმედებითი ბუნების განმსაზღვრელი უცილობელი ნიშანია, მისი სტილია.

მწერლის ხელში სიტყვა ცოცხალი ორგანიზმია, რომელის მამოძრავებელ უმნიშვნელოვანეს ნიუანსებს შეუმცდარი ალღოთი წვდება ბელეტრისტის გეში და გუშინ. კ. ლორთქიფანიძის პროზის ენობრივი სამყარო შეიძლება შევადაროთ იმ არკეტექტორულ ანსამბლს, რომლის ყოველი დეტალი დახვეწილი სისადავითა და ძალდატანებელი უბრალოებითაა გამოძერწილი.

და კიდევ ერთიც: ზემოთ ხაზგასმული დიდი ზრდისა და რეფლუნების მიუხედავად, კ. ლორთქიფანიძის შემოქმედება მკვეთრადაა აღბეჭდილი პირველყოფილი განცდის უშუალობითა და ჰარმონიით. მასთან ყველაფერს შექმნილს, ბუნებრივად შობილი მშვენიერების ნიშანი აზის.

ჩვენ ზემოთ სისადავე და უბრალოება ვახსენეთ. ვფიქრობთ, ამ თვისებების გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იქნება კ. ლორთქიფანიძის პროზის სტილური თავისთავადობის დახასიათება. მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის პრინციპულადაა მიღებული სიტყვებით კოპწიაობა. წმერლის ნაწარმოებები არასოდეს არაა გადატვირთული სიტყვიერი ჩუქურთმებით და ფერადოვანი ზაზოლპიანელებით.

აქვე, ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ სანათლებს და გამჭვირვალობას. კ. ლორთქიფანიძის პროზა ამ გამჭვირვალე სინათლეს და აზრობრივ სიცხადეს ინარჩუნებს ყოველთვის, ყოველგვარ რთულ სიტუაციაში.

„ნატვრის თვალი“ თანმიმდევრულად აგრძელებს მწერლის შემოქმედებისათვის ხაზგასმულად ნიშნეულ ენობრივი სიწმინდის დაცვის მსოფლმხედველობრივ პრინციპს. ამ თვალსაზრისით ეს რომანი, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, სამაგალითოა თავისი ლექსიკური საგანძურითაც და სინტაქსური წყობითაც. კ. ლორთქიფანიძე მკვეთრად უპირობირდება ენაში უცხოური სიტყვა-გამოთქმების შემოტანისა და დამკვიდრების სამნაგადამცდარ შემთხვევებს და ამდაგვარ ლექსიკურ ერთეულებს, როგორც წესი, ეროვნული ენის წიაღში მოძიებული სიტყვებით ცვლის.

სწორედ ამ დიდი რუდუნებისა და ანუსტანსგებლობის შედეგია ის, რომ მწერლის ნაწარმოებებში ჭარბობენ ენა ბრწყინვალე თავისი ბუნებრივი სილამაზითა და ხატოვნებით. ეს ტრორის მხატვრულ თავისთავადობას „ევროპულად განაპირობებს საოცარი სიზუსტით შერჩეული სიტყვები და გამოთქმები. განსაკუთრებულ დატვირთვას სძენს კ. ლორთქიფანიძე, მაგალითად, ე. წ. მხატვრულ განსაზღვრებას ანუ ეპითეტს. ამდაგვარ ღრმამეტყველ ეპითეტებში იხსნება პიროვნების ხასიათიც და მოქმედების განვითარების ესა თუ ის მომენტიც. რომანში უხვად მიმონეული ამგვარი მხატვრული განსაზღვრებანი ბევრად ცდებიან პოეტური სამკაულის დანიშნულებას და მრავალგანზომილებიან შინაარსობრივ და სიმბოლურ დატვირთვას იძენენ.

სანიმუშოდ გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი: „ქალმა მისდაუნებურად თვალი დაადგა ქმრის თავ-კისერს... ეგნაზეერი, ხის ჭერქივით დაღარული და დახორკლილი კისერი, ზამთარ-ზაფხულ წვიმაში ნაგდები ტყაპუტის სუნი რომ ასდიოდა.

მათიკო შეცბა, თითქოს პირველად დაინახა ეს ჩაუნგებული ზორცი, თითქოს ეს სუნიც პირველად მიუვიდა...“ ამ ხატვას მწერალი სოსანა ყაბანაშვილის პორტრეტს.

მართალია, ეს და მსგავსი მაგალითებიც უფრო შთამბეჭდავნი და ღრმამეტყველნი არიან, როცა მათ უშუალოდ მოქმედების განვითარების პროცესში ვეცნობით, მაგრამ ასე ფრაგმენტულადაც ისინი ნათლად მეტყველებენ იმ დიდ დატვირთვაზე, რომელსაც მწერალი ასეთი სიზუსტით მიგნებულ სიტყვებს სძენს ხოლმე.

სიტყვათა ამგვარი სიმსუყე ბუნებრივადაა ამოწმენდილი მშობლიური ენის წიაღიდან. მწერლის სტილი მომთხოვნელეა თავისი სისადავითა და უბრალოებით, თხრობა — ძალდატანებელი და ზედმეტი დეტალებით გადაუტვირთავი;

კ. ლორთქიფანიძის სტილის სისხარტესა და ლაკონურობას ბევრწილად განაპირობებს ფრაზის ანდაზისებური აღნაგობა. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი: „ტყეფილი კი არ უთქვამს ქაზიყელ კაცს, წყალს რა ფასი აქვს, მხოლოდ შრიაქმა იცოსო. შრახეზეში ფეხის ნაბან წყალსაც კი არ გიმიტებდნენ გადასაღერელად“. „ეზოში სტუმარი რომ შემოვა, ღობის სარებიც გიხარებენო, ამბობდა მაგდანა“. „ცისაც სახლი არ აუშენებია, დედაბოძი მიწიდან ამოსული ჰგონია“. „ქვეყანაზე რამდენი კაცია დადის, წამების ჯვარიც იმდენი დადგა მამაზეცაერმა“.

აქვე, ამასთან ერთად, უნდა შეეწინოთ იმ

თავისებური მუსიკალური ინტონაციური ელეგანტობის შესახებაც, რითაც კ. ლორთქიფანიძისული ფრაზა ხასიათდება. რომაწში გვხვდება ისეთი წინადადებები, რომლებშიც სიტყვათა განლაგება-თანმიმდევრობას მძლავრად გამოხატული შინაგანი პოეტურ-მუსიკალური კანაზნზმიერება აწესრიგებს. ამგვარ ინდივიდუალურ ელეგანტობას გამოსცემს, მაგალითად, შემდეგი წინადადება: „ამ მუხთალმა წუთისოფელმა ცოდვის ჩადენა რომ გვასწავლა, რატომ პატიება არ გვასწავლა მისი?!“

რამდენიმე სიტყვით უნდა შევნიშნოთ იმ შინაარსობრივი მიზანდასახულების შესახებ, რომელსაც მხატვრულ დეტალს სძენს კ. ლორთქიფანიძე. რომაწში ასეთი ფრაგმენტები ეპიზოდები, — ორგანულად დუღაკშორებელნი ნაწარმოების მთელიან ორგანიზმთან, — საკმაოდ ხშირად გვხვდება. მართალია, მათი ამოდენით შეიძლება ძირითად მოვლენათა მწყობრი თხრობა და თანმიმდევრობა არც დაირღვეს, მაგრამ ნაწარმოებში მათი შემოტანის მიზანი ის სიმბოლურ-ალეგორიული მიზანსწრაფვაა, რომლითაც მწერალი აღბეჭდავს ხოლმე ასეთ ეპიზოდურ ჩანართებს.

სანიმუშოდ გავიხსენთ ერთი მაგანი: „იმ კვირას, დიდი წყალი რომ მოვარდა, ალაზანმა ნამბილარაში ახალი ტატი გიიკეთა და ძიგოს ყანა გაჭმა გიიტანა. მთელი ეს ნაპირი მოსჭარა და გალმეფენს ანუკა. ისე კოტტად მიაწვეს თურმე ძიგოს ჭეკელი ნარიანის ჭეკლებს, რომ პატრონმაც ძლივს იცნო თავისი ნაწრომ-ნაამბავარი, თუმცა ვინ დაუკერა! შენი ყანა შენ ნაპირზე მოიკოთხო, უთრეს ბოლოს ოჯახ-ოჯახურებმა და ყანაში ფეხი არ შეიდგმევინეს. მაგრამ ძიგოს შენ გაიჩერებ?! დარბის მეზობლებში და ფრმეს აგროკვებს, სახლი უნდა დავშალო და ისიც ჭაღმა უნდა გავიტანო! მიწა მეძახის, ჩემი მიწა... მთელი ღამეები არ მძინავსო!“

ესაა სულ მთელი ჩართული ეპიზოდი, ეპიზოდი, რომელსაც შემდეგში არსად არ მიუბრუნდება მწერალი. მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რატომ მოხვდა ეს ფრაგმენტი ნაწარმოებში. „მიწა მეძახის!“, — ამბობს ძიგო, კაცი, რომლის მთელი ცხოვრება ოფლით დაწვნარ ამ მიწის მაცოცხლებელ მკერდსა მიჯაკვული. ამ შემთხვევაში ავტორისათვის მთავარი ძიგოსა და მისი კარმიდამოს ამბავი კი არაა, არამედ მშობლიური მიწისადმი სიყვარულისა და ერთგულების ის ფანატიკური ვრძნობა, რასაც ქართველი გლეხკაცის გულში საუკუნეებით დაჩეხილებული ცხოვრების საარსებო წესი აყალიბებდა.

„ნატერის თვალს“ პატარა პროლოგი-გახსნენაც აქვს წამძღვარებული, რომელშიც ორიგინალური ფორმით იხსნება რომანის სათაურის სიმბოლეკცა და ავტორისეული ჩანაფიქრის ძირითადი მიზანსწრაფვაც. ამ გახსნების მხატვრულმა ფუნქციამ თავისი შინაარსობრივი ალეგორიულობით „ბელორუსულ მოთხრობებში“ ჩართული ზღაპარი ეფიგენია ნა: ზღაპარი, პაპუა რუხლო რომ უყვება ფეიერ ნიფეკნი თავმიყრილ ელეგებს. ზღაპარში ქოთხრობილია იმაზე, თუ როგორ მოატყუა ღმერთი მიწის ბუშა კაცმა.

გავიხსენთო ფრაგმენტი ნაწარმოებიდან: „ახლა ნაბოლარა წარიდგა უფალს, ცალთვალა, ფეხმოკეკეული, ჯუჭა კაცი. ტანზე ჭკვლის ტოტარა ჩაბოეცვა, თავზეც ხის ჭერჭესხვან გამოქნილი ქუდი დაეხურა.

შენ რაღას ინატრეო, ჩკითხა უფალმა.

მე ბევრს არაფერს გთხოვ, გულლამბილავო! რასაც ჩემი ცალი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მიბოძეთო, მოახსენა ცალთვალამ.

უფალს გაეცინა თურმე. რაშდენს კი აიწონის ეგ შენი თვალი, შენ, ჩემო ძმაო, ნატერის შნოც არა ჭკონიაო“. უბრძანა მოციკეულს უფალმა და მოატანინა ბედის სასწორი, ცალ მხარეს ნაბოლარას ამოთხრილი თვალი დასდო და მთაცეცი მიწის აწონა ბრძანა. დატარადნენენ მოციკეულები. აყარეს და აყარეს მიწა, მაგრამ სასწორის ისარი მაინც თვალისკენ იყო გადახრილი.

მოთხრობის სიმბოლურ მიზანდასახულებას მოხერხებულად ხსნის მწერალი იმ შეფასებაში, რომელსაც ბაბუა რუხლო უკეთებს ზღაპარში მოთხრობილ ამბავს: „ჭელეხს თვალს რა მიწა გაადევს, ჩემო ძმაო! რა იცოდა უფალმა, იმ პატარა თვალში იმდენი დარდი იყო, იმდენი ნატვრა და უძილო ღამე — მთელი პოლესიეს მიწა რომ მოეტანათ, იმას მაინც ვერ გადასწონიდნენ!“

ასე გადაანასკვა მწერალმა ერთმანეთს ზღაპრის სიმბოლური ჩანაფიქრი და გლეხკაცის ცხოვრებისეული სინამდვილე. ასე ხსნის კ. ლორთქიფანიძე ჭლეხკაცის უსიკოლოგიის ერთ მტკად მეტაფეელ სარკმელს, მისი ნატვრისა და ოცნების ბუნებას, მიწახთან განუუოფელად დაკავშირებულსა და მისგან ამოზრდილს.

იგივე მხატვრული ხერხი გამოიყენა ავტორმა „ნატვრის თვალისთვის“ წამძღვარებულ გახსენებაშიც; ღამის მეხრე ბიბეთის მიერ მოყოლილი ერთ-ერთი ზღაპრიდან მწერალს მოპყავს ფრაგმენტი, რომელშიც მოხერხებულად ხსნის ნაწარმოების სიმბოლურ ჩანაფიქრსაც და სათაურის ალეგორიასაც. პროლოგში გამოვლენილი ალეგორიული მიზანსწრაფვის არსი მკითხველისათვის ბოლამდე ხელმისაწვდომი შედარებით გვიან, რომაწში აღწერილი ამბების გაცნობის შემდეგ ხდება.

ზაუზულის ღამეში, შრიჟის ველზე, ჯერ ისევ ობილ ბალახზე ფეხშიშველი ღამის მეხრენი ბაკაცები ყვებიან ზღაპარს ნატვრის-თვალზე, რომელსაც მცურავი დაპატარნენია. ვინც ამ ხვეთის ხელში ჩაიგდებს, მას ალარაფერი უმირსო, ყველა ნატვრა აუსრულდებაო,

— ამბობს ზღაპარი. აქვე, როგორც „ბელორუსული მოთხრობების“ ციკლში, ზღაპარი პერსონაჟთა სულიერ სამყაროში შესასვლელ გზადაა ქცეული, მწერლის მიერ ჩანაფიქრის გასახსნელად მოძღვნილ შთამბეჭდავ ფორმადაა მიჩნეული.

გავიხსენოთ ნაწარმოები: „ზღაპარი დასრულდა, ღამის მეხრეები კი ისევ ჩაფიქრებული მისჩერებიან ცეცხლს, თითქოს იმ ცეცხლის ღრუბლში ზღაპრიდან გადმოსული ლანდები ხედავენი.

ბოლოს ერთმა ამოოხრა და სთქვა, ნეტა ის ნატვრისთვალი მომატაცებინათ.

— რას ინატრებდიო, — ჰკითხა მეორემ.

— რასა და, იმდენი ხარკამეჩი მოგვეკა, შიოაქის ყამირები ყველა მოგვახნევინა და დაგვათესინა!“

„ნატვრის თვალი“ სოსანა ყაბანშვილის თავგადასავლის გაცნობით იწყება. პირველი მსოფლიო ომიდან მარჯვენაფაბანჩრებული დაბრუნდა სოსანა, შირაქში დასახლდა და ფოსტალიონად დაიწყო მუშაობა. სამუშაო რომ გაიჩინა და ცხოვრება ცოტათი მოიწესრიგა, სოსანამ თვალი დაადგა მათიკო არაბიძეს, ამ ერთ უდედმამო და შეუხედავ გოგოს. „ქვაბის ძირივით გაშავებულ“ მის პირისახეზე კაცის გულმა სხვებისთვის უჩინარი თილისმა ამოიკითხა, რომელმაც სოლაკი ჯადოთი შეკრა სოსანა ყაბანშვილი. ამ ჯადო-თილისმით გულშეძრული სოსანა სულ მალე მათიკოს ცოლად შეიროთავს და კერიაზე ცეცხლს გაანთებს.

რომანის პირველი ნაწილი („თეთრი ღრუბლები“) არსებითად ამ სიყვარულის ტრაგიკულ ისტორიას გადმოგვცემს. ღრმა ფსიქოლოგიური დამჯერებლობით მოთხრობილი ამ სიყვარულის ამბავი, ორგანულად შეზრდილ-შესისხლხორცებული ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართულ სოფელში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებთან, ბეჭრწყლად განაპირობებს ქ. ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალის“ მხატვრულ ღირსებებს.

აქვე ხაზგასმით ამასაც ვიტყვით, რომ მათიკო არაბიძის ხასის შეკმნით ქართული საბჭოთა მწერლობის მრავალფეროვან პერსონაჟთა სამყაროს ქ. ლორთქიფანიძემ შემატა გმირი, რომელიც თავისი ცხოვრებისეული პოზიციით ახლის, რეალისტური სინამდვილის დამკვიდრებისათვის თავდადებით მებრძოლი პიროვნებაა.

ამ მხრივ მათიკო არაბიძე სისხლი სისხლთანგანა მეკი ვაშაკიძისა. ამ ორ პერსონაჟს ცხოვრებისეული წარმომავლობითაც და ახალ ეპოქასთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც ბევრი რამ აქვს საერთო. ამ მსგავსებას უფრო ცხადად დაინახავს მკითხველი, როცა კონკრეტულად შეუდარებს ერთმანეთს მეკეს და მათიკოს ადრინდელი ცხოვრებისეული სიბეჭავისა და უმწეობის დამადასტურებელი ეპიზოდებს.

არ გადავაკვარებთო, თუ ვიტყვით, რომ არაბიძის ქალის ხასის შემქნით ქ. ლორთქიფანიძემ ქართულ საბჭოთა მწერლობას შესძინა ქალი პერსონაჟი, რომელიც სრულიადულად ავლენს ადამიანი წლების ჩვენი ცხოვრების რთულ სკლეტრტ ბუნებას.

მწერალი თანმიმდევრულად მოგვითხრობს ერთი დრამატული სიყვარულის ისტორიას, სიყვარულისა, რომელშიც ულალატოდ არიან შემდეგნი ოჯახურ ბედნიერებაზე მეოცნებე სოსანა და სიღარიბითა და ობლობით დაბეჩავებული ჩვიდმეტი წლის მათიკო. ჩვეული ოსტატობით ბატაგის ქ. ლორთქიფანიძე თანავრძნობისა და სიბრალულის წყაროდან ამოზრდილი ამ წმინდა ქმნილის რომანტიკულ ბუნებას. სულ მალე უსაზღვრო ადამიანური ბედნიერების მორეგში შეცურებული ეს სიყვარული ტრაგიკული განშორების მწკვავე და დაუმცხარლმა ტკივილმა დაამძიმა.

არაბიძის ქალზე დაკორწინებით მარტოხელა ფოსტალიონის გამოცდილებუნ გიმორის კარი ბედნიერებამ შემოაღო. ოჯახურმა სითბომ თონეში ამოსული ბინაჭარი სადაც ვ განდეენა და ამ პატარა შემოლობილის დედოფალ ნატანჯი ვული სიხარულით გაუმშვენიერა. ასე გაღვივდა ოჯახური ბედნიერების საუფლოში მოქეცული გოგის გულში რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობებისადმი.

სად არ აბარა ცხოვრების რთულმა და დაბლართულმა გზებმა მათიკო არაბიძე, რა წინააღმდეგობები არ შეახედერა მას, მაგრამ ერთხელ გაჩენილი რწმენა სიკეთისა, ადამიანური ბედნიერებისა და პატიოსნებისა ბოლომდე მტკიცედ და შეურყეველად დარჩა მის არსებაში. ამ რწმენას მაშინაც კი არ უღალატია მისთვის, როცა ოგი უნებლიედ ჩაგენილი მოუტეგებელი ცოდვის ზეარბებმა (ქმრის ღალატი) ამ რწმენის მიმცემ ფუფეს — ოჯახს მოუკვეტეს. პირიქით, ეს რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა მას ახალი ცხოვრების მდელვარე ორომტრიალში უშუალოდ ჩაბმამ და ისიც მოელი თავისი ძალ-ღონით არეერთხელ აღდგომია წინ ბოროტებისა და მზაკვრობის პირდაპირ მოხეთქილ თუ შენიღბულ გრიგალებს.

მათიკოს პიროვნულ ბედნიერებას ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა წერა-კითხვის შესასწავლად სოფლის დაწყებითი სკოლის კარები შეაღო და თომა მასწავლებელმ გაუმეჭნურდა. მწერალი შთამბეჭდავი მხატვრული ფერებით ხატავს ქალის არსებაში მიმდინარე ძაფურ შინაგან ბედლის ქმრისადმი ერთგულების გრძნობისა და ამ მაცდუნებელ გატაცებას შორის. ასე მწვავდება რომანში ის ძაფური ფსიქოლოგიური დრამა, რომლის ყოველი საგულისხმო მომენტი ქ. ლორთქი-

ფანიძეს მაღალი პროფესიული ოსტატობით აქვს აღწერილი.

მაცდუნებელი ჯადოთი შუბოვნელი ქალის მოქმედება მაღე გაცდა თავშეკავების ზღვარს. თომაზზე ფიქრმა მათიოს არსება ისე დაიმონა, რომ ქალს ოდნავი წინააღმდეგობის გაწევის უნარიც კი წაერთვა. გონებაფანასლილი მათიოს გულში ქმრისადმი ერთგულების ადგილს დროებით ფერადი ოცნებიდან მოვლენილი ეს უცხო ცმაწვალი იპერს. და მოსახდენიც მოხდა. პირველი შესაძლებლობისთანავე ქალი დანებდა ამ მაცდუნებელ ძალას.

თომასთან გაზიარებულმა სარეცელმა იმ დიდ საიდუმლო კავშირს, რითაც ქალი და კაცი იყვნენ შეკრულნი, სიმტკიცე კი არ შესძინა, არამედ წერტილი დაუსვა ამ კავშირს, მათიოს არსებაში ერთბაშად განქარდა ამ მაცდუნებელ გრძნობასთან დაკავშირებული სასწაულის მოლოდინი და ყველაფერი უსამსრულად, უხეშ ნატურალიზმად გადაიქცა. და ერთბაშად ჩვენს წინაშე გამოიკვეთა ამ ურთიერთობის ნამდვილი სურათი! ერთ მხარეზე ოცნებებდაფსიქრეული მათიოს დგას, ხოლო მეორეზე მიწიერი ვნებებით ატაკებული თომა (გაბარებული ამით, რომ „ამ მიყრუებულ სოფელში ახეთი ცეცხლი-ეოგო გაიჩინა საეკარლილ"). დიამტკრალლოგად საწინააღმდეგო პოლუსებზე მოქცეული ამ მხარეთა ერთმანეთთან შეთავსება კი, როგორც ეს მოქმედების შემდგომი განვითარებით დასტურდება, შეუძლებელი ხდება.

მაცდუნებელი ბუნანდიან მათიოს გამოფიზიწლების პროცესი რომანში უდიდესი პროფესიული ოსტატობითაა ნაჩვენები. ღრმა ფსიქოლოგიურ დასაბუთებულობას სძენს მწერალი თომასთან მათიოს რადიალურად სახეცვლილი ურთიერთობის ყოველ საგულისხმო მომენტს.

ახე ოქცა ეს ურთიერთობა ქალისათვის უბამს რეალისად.

მათიოს მართალი და პატიოსანი ბუნების დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ადგილი, სადაც მათიო ქმარს მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო აღსარებას ეუბნება, აღსარებას, რომელმაც უნდა განუწმინდოს მისი სული ყოველგვარი ბიწიერებისაგან; აღსარება, რომელიც ფაქტობრივად უფსკრულისაკენ გადადგმულ ნაბიჯად იქცა.

ათასგვარ გასამართლებელი იმეღის ჩაბლ-უკუბუული სოსანა ფიქრობს ცოლის შენდობის ჭაბს ეძებდა, მაგრამ მათიოს გულწრფელმა აღიარებამ შერცხვენილი ქმარი ჩიხში ბოჭავდა. ეს აღიარება მიუტევებელი ცოდვის ხაშინელებითაცაა სავსე და ქმრისადმი გაუბუზღარავი ერთგულების დამადასტურებელ ფიცადაც აღიქმება.

მოსმენილი ამბის ელდით დარეტიანებულ სოსანას, რომელსაც „ხანი და ეერდო თავზე ეწერა ოდა", ყველა სიძულვილისა და შურისძიების გრძნობის სასარისაროდ მეორე, საკუთარ ფიქრებ-ში ჩაფლული ქალი — პატიებისა და ცოდვის შენდობისა გრძნობა.

კიდევ ერთ საინტერესო შტრიხს სიტყვა ... თენიფანიძე ამ ტრაგიკულ სიყვარულის ... ჩრილს: უსაზღვრად შეურაცხყოფილი და განადგურებული კაცი მაინც ოჯახის სიწმინდისა და შეურაყვნელობაზე ფიქრობს: ხალხის თვალში ყველაფერი ყველებურად უნდა დარჩეს, მწარე სიმართლემ სადმე არ უნდა გამოეჩინოს. თითქოს არც არაფერი მოხდარა. თავმოყვარე სოსანამაც ერთი შეხედვით მეტად ფაროვანი გადაწყვეტილება მიიღო. „არ მინდა ხალხის ენას დიდი სახრუნავი მივცე და ოჯახი გამეკანძოს, გიგიე, რასაც ვეუბნები! — მიმართავს იგი მათიოს. — ამიტომ ვეფდოთ ამ გოგორაზი ახე ცალ-ცალკე... შენ შენთვის, მე — ჩემთვის; ლუკმა-ბეერს არ დგამადლი... მერე კი ღმერთი რაზეს გადაგვიწყვეტს".

თავდაპირველად ქალმა სოსანას ამგვარი მოქმედება ცოდვათა შენდობის ამეღიან მოლოდინად მიიჩნია, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ სოსანა უკან არ დაიხევდა, მათიოკ საბოლოოდ დატოვა მისი ცხოვრების ბედნიერი საბედები და ქმრის უეკალოდ დაეკარგა.

კ. ლორთკიფანიძე აკ არ სვამს წერტილს და რომანის მომდევნო ეპიზოდებში ამ ტრაგიკული სიყვარულის ახალ-ახალ სილრმეებს წარმოაჩენს. ამ მოელენთა ფსიქოლოგიურ გმირად კი უკვე სოსანა ყანანაშვილი იქცევა — ამქვეყნად სიკეთისა და პატიოსნებისათვის გაჩენილი ეს საბრალოდეი კაცი. სწორედ ამ კეთილმა საწყისმა მოიმძლავრა მის გულში ცოდვათა შენდობისა და მათიოს გამაძლიერების მმდუტავი იმედის ის ნაპერწკალი, რომელიც ქალის გადაკარგვის შემდეგ თანდათანობით მისი ცხოვრების შეუცვლელ მიზანსწრაფვად იქცა.

ხოლო როცა კაცს საბოლოოდ გადაეწერა მათიოს პოვნის იმედი, მის გულში ამ წმინდა სიყვარულის ძეგლად და შემწედ ღვთისმშობლის მივოწყებული საყდრის ნანგრევები ამოიზარდა, სადაც დრიდადრო გაბმარტოებული, ცხოვრებისაგან ხელნაკრავი სოსანა ცოდვათა მიტევებასა და შენდობას ეხსოვნდა ოფალს.

ოჯახიდან წამოსული ცხრამეები წლის მათიოს თვალწინ ტანჯვა-წამებისა და პიროვნული შეურაცხყოფა-დამცირების მთელი სამყარო გადაიშალა. ვის არ შეხვდა იგი ამ გზაზე, რა არ გადაიტანა, მაგრამ წუთისოფლის წყეულა-კრულვისაგან განაჩენმა კიდევ უფრო გამოკვეთა და გამოაწრთო მისი სული უმანკოება, კიდევ მეტი კდეშამოსილება და უბიწოობა შესძინა მის ნაწამებ სულს. ამ ახალმა ვითარებამ მათიო დიდ საკმეევსსა ანაარა და კიდევ უფრო გამოაწრთო იგი, როგორც საზოგადოებისათვის, ახალი ეპოქისათვის თავდადებული ქალი.

დაკარგული პიროვნული ბედნიერების შედეგად ის სული გაჩენილი სიცარიელე საკეეცნო საკმისთვის უანგარო თავდადების გრძნობამ შე-

ცვალა. სწორედ აქ, ამ გზაზე დადგომით იპოვნა მათიკომ „მისი ადგილი ცხოვრებაში“: „არაფერი ისე არ ახარებდა მათიკოს, როგორც საქეიფო საქმეში გარევა და თავის გამოჩენა. არც შენი ფარჩა-ხალიჩი უნდოდა, არც შენი ოქროს საათი, ოღონდაც სოფელს ისიც ამ ადამიანების საოჯახოში ჩაეგდო, ახალი ქეიფების მშენებელს რომ ეძახდნენ“.

და აი, ერთ დროს წერა-კითხვის უცოდნარი, ბეჩავი და საწყალობელი არაბიძის ქალი შარახვის ხასიფოლო საბჭოს მდივნად დაინიშნა. წერალი ღრმად წვდება მათიკოს გულის წადილს და მიგნებულად გაჯარებული დეტალებით ხატავს მას.

სხვანაირად რომ ვთქვათ, კ. ლორთქიფანიძისათვის მთავარია აჩვენოს მსოფლმხედველობრივი ევოლუციის ის რიული გზა, რომელმაც ქალს უკარნახა „ხელიდან გაეგდო ნაგვის ტომარა და იატაკის საწმენდი ჩვრები, გაეგლიჯა ათასი რკინის ბადე და მზის გულზე გამოსულიყო, — საკეიფოო საქმეს მოჰკიდებოდა. მხოლოდ სახელი და პატივი თუ ჭამოაყენებდა ფეხზე მიწასთან გახსორებულ გოგოს“.

ამ გზაზე სიარულმა იგი ჩვენს თვალში ჩამოაყალიბა როგორც უაღრესად პრინციპული და საზოგადოებისათვის თავდადებული ადამიანის ტიპი, როგორც ახალი ეპოქის სამსახურში ფანატიკურად ჩამდგარი ოციანი წლების რომანტიკული გმირი.

შარახვეში მუშობის დროს მათიკო გაეცნო ხოფლის საბჭოს თავმჯდომარეს დათა უანიაშვილს, იგივე წითელ დათას. სწორედ მათიკოსთან ურთიერთობაში გაინასკვა ის პირველი დასლართული კვანძები, რომელთა შემდგომი განვრცობა-გაღრმავების შედეგად გამოიკვეთა წითელი დათას, როგორც კლასობრივი მტრის, ორიგინალურ სახე.

მათიკოსსა და დათას შორის გაჩენილი წინააღმდეგობის ბზარი სულ მალე გადაულახავ უფსკრულად იქცა. მწერალი თანმიმდევრულად, დამაჯერებელი მსჯეფრული ლოგიკით აღწერს დათა უანიაშვილის გაბოროტებისა და შენიღბულ მტრად ჩამოყალიბების ბნელ გზას. გაიძვერობითა და ცბიერებით გონებაგადატრიალებულმა წითელმა დათამ მოახერხა ახალი დროების კეთილი და პატიოსანი ადამიანებისათვის მრუდე სასწორი შეეპარებინა. იგი ადვილად მოახერხებს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას და სულ მალე ხელში ხიბლეფილ მოიგდებს ხოფლის მართვა-გამგეობის სადავეებს. პირველი მსხვერპლი, რომელიც მის ბოროტებას ზვარაკად შეწირა, სწორედ მათიკო არაბიძე იყო, ქალი, რომელის ნაადრევად ჩამქრალი სიცოცხლის ნათელი ჰრიდელი თავიდან ბოლომდე გამსჭვალავს რომანის აქტიურ მოქალაქეობრივ სულისკვეთებას.

კ. ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალი“ ესაა თეთრთა ღვაწლის ამხსნელი რომანიც. ჩვენს ცხოვრებაში, უპირველეს ყოველისა, ეროვნული ხასიათით ცოცხლდება ამ თეთრთა წარმომადგენელთა ცხოვრება, რომელნიც ახალი ეპოქის პირველი დღეებიდანვე შეებნენ საკეთილო სამსახურის ფიცრში. და რომანიც არსებითად სწორედ ამ თეთრთა შრომის, მოსაკმეობისა და ახლის დასამკვიდრებლად თავდადებული მოღვაწეობის მხატვრულ მატიანედაა აქცეული.

მაგრამ მოკვეთილების განვითარების პროცესში მწერალი თანდათანობით რთავს მომდევნო თეთრთა წარმომადგენლებსაც. ახალგაზრდებს, რომელნიც აგრძელებენ მათი მამებისა და დედების მიერ დაწყებულ საქეიფო საქმეებს. თანმიმავ ეს უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირი რომანში ნაჩვენებია ორიგინალურად დახატული მრავალფეროვანი ტიპიური სახეების მეშვეობით.

„ნატვრის თვალი“ იმითაცაა საინტერესო, რომ იგი ნათლად აკვლევს კ. ლორთქიფანიძისათვის, როგორც ჩვენი ეპოქის მხატვარ-მემატიანისათვის, დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი ევოლუციის თავისებურ გზასაც. დროთა მსვლელობამ ბევრი რამ შეცვალა და დაანუსტა ადამიანია შეგნებაში. გარკვეულწილად მოხდა შეზედულებათა გადაფასებაც. ერთ დროს ფაროთად გავრცელებული შაშვები პათეტიკური განწყობილებანი და მკვეთრი კლასობრივი წინააღმდეგობებით გამჰაფრებული ურთიერთობანი დაცხრა და ეროვნის სასწორზე მეტი ხიფრთხილით აიწონ-დაიწონა.

ყოველივე ამან თავისებური გამოვლენა ჰპოვა კ. ლორთქიფანიძის ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას ეპოუოლობი „ნატვრის თვალში“. ახეთი შთაბეჭდილება გვრჩება, მაგალითად, როცა მოსე ელანიძის ტრაგიკულ თავგადასავალს ვეცნობთ.

რა თქმა უნდა, ნათელი კლასობრივი პოზიცია კვლავინდებურად მტკიცე და უცვლელი ცნებაა კ. ლორთქიფანიძისათვის, მაგრამ ახალი ყოფის დამკვიდრების პროცესში წარმოქმნილი რთული კლასობრივი წინააღმდეგობანი გაცილებით უფრო ღრმად და მწვავედ წარმოჩინდა აღნიშნულ რომანში. სწორედ ამგვარი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ფონზე გვინიშნა მწერალმა ომამდელი ჩვენი ცხოვრების თვისობრივი განსაზღვრების პროცესი. ავტორი ხატავს არა მარტო ნათელი ცხოვრებისეული იდეალებისათვის თავდადებით მებრძოლ ადამიანთა სახეებს, არამედ მაღალსოციალურად გვიჩვენებს წინააღმდეგობათა დახლართულ გარემოს, რეგოლუციური პრინციპებით სპეკულაციის მაგალითებს და „. . . ეს ყველაფერი, ეს ყოველ-

ალექსანდრე ნიკოლეიშვილი
ხიბლი რომანისა

დღიური ორომტრიალი, ეს დაძაბული პიროვნული ურთიერთობანი, ერთმანეთში ჩაწნული ჩასვლრთული და დაბურული მოვლენების წყება აღიქმება როგორც მართალი ეპიკური ტალო ოციანი და ოცდაათიანი წლების ჩვენი ცხოვრებისა.

უბრალო მშრომელი ადამიანის მართალი ცხოვრებით ცხოვრობდა საშუალო გლეხი მიწე ელანძიე. მაგრამ პირადი შურისძიების ვნებით აღტაცებულმა წითელმა დათამ იგი თვითნებურად „შავ სიაში“ შეიყვანა და თებერვლის ერთ თოვლქუყანიან დღეს მის გასაკულაკებლად თავისი თანამშრახველი მერან ზარიძე, გაიოზ უანჩაშვილი და კომკავშირის უკრედის მდივანი ჯუღა ბერიშვილი გააგზავნა.

უსამართლო განაჩენით სასოწარკვეთილმა მოსემ პროტესტის ნიშნად თავი ჩამოიხრჩო. ახე დგებიან ერთმანეთის პირისპირ, ერთის მხრივ, წითელი დათა და მერან ზარიძე — პარტიისა და სახელმწიფოს პრინციპებს ამოფარებული თალლითები და კაცისკვლელები, ხოლო, მეორეს მხრივ, მოსე ელანძიე, როგორც უმწეო და უსუსური მსხვერპლი ქვეყნად წუთიერად გალალებული ბოროტების.

მწერალი ახერხებს მაღალოსტატურად გვიჩვენოს არა მარტო ცალკეულ პიროვნებათა სულიერი გაწანდვები და მისწრაფებანი, არამედ შეგვაგრძნობინებს ეპოქის რომანტიკულ განწყობილებას, მთელი ხაზოადღების გულისთქმას. ამ მიზანს ემსახურება ნაწარმოებში გამოყენებული მრავალი ეპიზოდური პერსონაჟი, რომელთა გამოლაინებული აღქმა და რომანში აღწერილი მოვლენების გაცნობიერება მკითხველის წარმოსახვაში ამკვიდრებს ობმიდელი ჭარიული სოფლის განზოგადებულ სახეს.

რომანის ერთ-ერთი ღირსება ისიც არის, რომ მწერალი თანმიმდევრულად გვიჩვენებს იმ რთულ ფსიქოლოგიურ გზას, როგორ ჰქცია გარჭასა და თავდადებულ შრომაში გატარებულმა დრომ შორაკის უკიდეგანო ველ-მინდორი მანუჩარისთვისაც ისეთივე შობლიურად, როგორიც იგი ზაკარიასთვისაა ქცეული.

„ნატერის თვალში“, როგორც ითქვა, ფაროთოდაა ახახული ის სიძნელენი და წინააღმდეგობანი, რომელნიც ახალი ეპოქის დამკვიდრების პროცესს ახლდა თან. მწერალი არა მარტო აღწერს ამ სირთულეებს, არამედ ხსნის და ღრმად წარმოაჩენს მათს განმაპირობებელ მიზეზებს, მართალია, ნაწარმოებში ამდაგვარი შეცადინეობანია და ბოროტების მთესველთა წრე საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ წინააღმდეგობათა ცენტრში, პირველ რიგში, მაინც წითელი დათა დგას, — თავის მზაკვრობით, ცხეირებით და უწმინდურობის ფართოდ დახლართული ქსელით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მყოფმა წითელმა დათამ უკუღმა წაიყვანა სოფლის ხაჭმე. სანაკრელი გაზდა ლუკმა-პური. გაწბილებულ გლეხებაც სხვადან გახაკეცვად [illegible] ... ეს ... ამ მძიმე სიტუაციას მწერალი გვიჩვენებს მანუჩარის უგრძნელოვნის მაგალითზე. უკიდურესი გაგირვებით შევიწროებულმა მანუჩარამ მისი კარ-მიდამოს მშვენება, მეფიდღრად მბრძანებელი ცაცხვი მოკრა და ეზოში დაიწყო მიწის ჩიჩქნა ხიმინდის მოსაკვანად. გავიხსენოთ, როგორ აღწერს კ. ლორთქიფანიძე ამ ეპიზოდს: თუ ერთ დროს ამ ვეებერთელა ხის კუზიანი ფესვიდან ქვეყანა უფრო ლამაზი და მკკიდრად ნაგები სჩანდა, სოფელში გაბატონებულმა სიღარიბემ და სარჩოს შოვნის წადილმა მანუჩარის უფიქრებელი ფიქრებისა და ცაცხვი საკუთარი ხელით ამოძირკვინა, „წითელი დათას ხელში მე არც მაიხსნა მჭრეა და აღარც გაიხსნა. სანამ იგი ჩვენი თავმჯდომარე იქნება, ნაზუკის სუნი არც მე დამაბრრჩობს და არც ჩემს მეზობელს“, ამბობს მანუჩარი ერთგან. ახე შეურყია მართალ და მოყვნი კაცს რწმენა ხიკეთისა და ხალხის მსაბურის ნიდბით მოვლენილმა ბოროტებამ.

ცაცხვის ზოგრის ფაქტს კიდევ ერთი შემფასებელია მკაფეს რომანში: რაიკომის მდივანი სიმონ ჩოხელი, რომელიც მის მეგობარის — თადია რანიაულს ეუბნება: „ჩემი მუშაობის ნამდვილი შემფასებელი აი ეს არის, კოლმეურნე მანუჩარ უგრძნელიქე. მე რომ კარგად ვმუშაობდე, ეს ამ მიწის ჩიჩქნას არ დაწუეებდა“. მაგრამ, სამწუხაროდ, ახეთი გონივრული და თვითრიტიკული ალღოს მიმპინწველი ფხიზელი გონითობა მეტად დუნედ და შებოჭილად ვლინდება ჩოხელის პიროვნებაში.

მიუხედავად იმისა, რომ რომანში აღწერილი ამბები ომამდელ და ომისფრონდელ პერიოდს შეეხება, ნაწარმოება ჩვენი დღეკანდელობის მრავალ საკრიბროტა პრობლემასაც ხვამს ყურადღების ცენტრში. „ნატერის თვალის“ ღირსება სწორედ ისაა, რომ მწერალი კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების ფართო განზოგადებას ახდენს და რომანის მოკალეკეობრივ პათოსს მახვილი აჭტალური ფღერადობით მუტავს.

თანამედროვეობით ნაკარნახევი ახეთი აქტუალობა, მრუდისა და მართლის გარჩევის მტკივნეული პრობლემა მწვავედ ვვიჩვენ მწერალმა ნაწარმოების იმ ეპიზოდში, სადაც აღწერილია წითელი დათას ნათესავის — რაიკავშირის თანამშრომელ ხერგა ჯალიაშვილის ამბავი. ერთ დღეს ეს ჯალიაშვილი რაიკავშირის კომუჭრედის მდივანმა დაიბარა და ახსნა-განმარტება მოთხოვა, საიდან შეიძინე ჭერფასი ავეკრი. ჯალიაშვილის კითხვაზე — „მამოწმეს, ამბისგაგო ოთარ! კომფინსტის სიტყვას არ ენდობი?!“ — მდივანმა უპასუხა: „ფდობა და შემოწმება ერთიმეორეს ხელს არ უშლის,

ამხანაგო ხერგო. ისინი ერთი ულლისანი არიანნ".

ამ ეპიზოდს ორი ფუნქცია აკისრია ნაწარმოებში: პირველი, განმეორებადობისა და შემოწმების საიმედო იარაღი, რომელიც ახე მოხერხებულად მოუმარჯვებია კომუჯრედის მდგომარეობის, ანუ ბევრ ხასიათეო საკმეს გავუკეთებთ ქვეყანასო, იგულისხმება შემოთაკეცნტრებულ სიტყვათა ქვეტექსტში.

მეორეც ის, რაც ჩვენ გამოგვრჩენია მხედველობიდან, ძალლის ნაკბენივით დაუმახსოვრია და ჩაკუხისახწავალ მაგალითად გაუზღია წოეილ დათას: „გაზაფხულის" თავმჯდომარეს ფული უკეე თავზესაკერელად ჰქონდა, მაგრამ არც მისი სახლი და ცოლ-შვილის ჩაცმა-დახურვა, არც მისი ქორწილი და ქელეხი, — არაფერი მ ი ს ი ა რ ა ამბობდა. „გაზაფხულის" თავმჯდომარე უსაბოლოსოდ ცხოვრობსო". ესენაშვილი ოჭროს თუმნიანებზე ნადირობდა და მათ აგროვებდა.

ახე ხამიდელდ ნიღბავს წოეილი დათა თავის მზაკვრობასა და ბოროტებას და, როგორც რომანიდან ჩანს, თავისუფლად ახერხებს კიდეც ცხოვრების ლელოს გატანას, მაგრამ მოკმედების განვითარება მაინც დათას კატასტროფას ახლოვებს. ეს დღეც დადგა. წოეილი დათას სულიერი მდგომარეობის უკანასკნელი წუთები, მისი დაღუპვის ამბავი რომანში შეამბეჭდავი პროფესიონალიზმითაა აღწერილი.

ბოროტების თესლიდან ამოზრდილმა ნერგმაც ბოროტება ნაყოფი მოიხსა, ო

ნი წასულმა და ტკეედ ჩავარდილმა წოეილი დათას ბიჭმა ხამზლოს მოღალატემ, ეერმანელთა ნდობა მოიპოვა და კაეკასიონზე მომდგარ მტერს შშობლიური მიწის ახალებად წინ გამოუძღვა. ამ ამბის შეტყობით დამფრთხალი მამა ყოველნარაგ შეეცალა შვილის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ. უბედურ დღეზე გაჩენილ ბიკს მამის თვალწინ გაუგმირეს გული.

ამით წოეილი დათას ბოროტ სულს ხამიგალო ტოტი შეახხიპეს. მანაც ერთბაშად იგრძნო მთელი მისი ცხოვრების არარაობა და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლეი.

ბოროტების ულელში შემბოელი კიდეე ერთი საინტერესო ტიპი დახატა კ. ლორთქიფანიძემ მერან ზარიძის სახით. მოხვეეეულობის ცხოველური გრძნობით გონებაამღვრეული მერანი ყოველდღეურ სისაძაგლეს ჩადის. მაგრამ ეს ხასე, უპარეველს ყოველისა, იმითაა საინტერესო, რომ მწერალი მისი დახასიათების დროს იმ შინაგანი ბიდღეის გამოვლენასაც გვიჩვენებს, რომელიც ამ ეიდეიებს მის წაწყმედილ სულში შვილის გაჩენის შემდეგ.

უწმინდურების მორეეეზი სასიკედილოდ შეცურებული ზარიძე უკან დასაბრუნებელ გზებს ეძებს. მაგრამ მისი ამდაგვარი მოსწრაფეები შედეგია არა გულში გაღვიძებული სინდისის ეენჯნისა, არამედ სულიერი სიმხდალისა, რომელსაც მეორე ნაწილის ბოლო ეპიზოდებში ზარიძე ერთ-ნდათანობით ჩამოაყალიბდა, როგორც გაურეული პიროვნება, რომელიც ცდილობს თავის გამოხსნას წითელი დათას ბრეკალეტისაგან. გაკიხეენთან მისი საუბარი დათასთან.

ქართული პროზა არცთუ ისე მდიდარია პარტიულ მუშაკთა მხატვრული ახსენებით. ჩვენმა მწერალობამ თავის ფურცლებზე ჯერ კიდევ ვერ მიუნია კუთვნილი ადგილი ამ პიროვნებას, რომელიც აქტიური თაობანი და წინამძღოლია ეპოქის მიღწევებისა. იშვიათი როდია ისეთი მაგალითები, როცა ამგვარი ვმრიები სქემატური და უსიცოცხლონი არიან, გამოცლილი აქვთ პიროვნულ-ადამიანური საფუძვლები და ოდეის, მსოფლმხედველობის შაშველ დეკლარაციას, მშრალ პრაბაგანდისტულ სქემებს წარმოადგენენ.

ბუნებრივია, ამგვარი ტიპები მოკლებული არიან სიცოცხლისუნარიანობას, და ემოციური შეამზეკდაობის ძალას, ახეთ შემოხვევებში ხშირადაა ხოლმე გამორჩენილი მხედველობიდან, რომ, ეოქვათ, ივიეე რაიკომის მდივანსე ჩვეულებრივი ადამიანი, ვისთვისაც „არაფერი ადამიანური" უცხო არ უნდა იყოს.

„ნატერის ოვალი" ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. მწერალმა წოელისწყაროს რაიკომის პირველი მდივნის — სიმონ ჩოხელის სახით შექმნა ტიპი შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე პარტიული მუშაკისა, რომელიც თავისი სიმპოლოეობაც, პაპიროსნებითაც და თავდადებითაც ეჯაევეს უურადღებას და პატივმოყვარეობისა და ფორმალიზმის ამბიციათაცაა შეპყრობილი. მისთვის დამახასიათებელი ეს უარყოფითი თვისებები თანდათანობით გამოიკვეთა რომანის მეორე ნაწილში. სიმონ ჩოხელის, როგორც მერეკეეი და წინააღმდეგობრივი ბუნების ადამიანის, დასახასიათებლად განსაკუთრებით საინტერესოა თადი რაინაუოლთან მისი ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდების გახსენება.

თადი ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც მიუკერძოებელი გულმართლობით აფასებს ჩოხელის მიერ გაწეულ მუშაობას. ამ შეფასების შედეგად გამოკანონი დასკვნა კი ახეთია: „ძალიან გიუბრდა საწყალს". ეს თანაგრძნობით, მეგობრული მხრდაეერი წარმოთქმული სიტყვებია, რომელსაც რაინაუოლ გულში ბადეს ჩოხელის თვალებში ამოკითხული უზომო დაღლილობა და ხასოწარკვეთილებამდე მისული ნაღვლი.

მინდოდალი საკმისაგმი პასუხისმგებლობის

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ხიდელი რომანისა

მაღალი შეგნების გვერდით ჩოხელის არსებაში თანდათანობით ბატონდება თავის გამოჩენის პატივმოყვარული გრძნობა, რომელმაც არა ერთხელ გადაადგმევინა რაიკომის მდივანს მოუზომავი ნაბიჯი, რაც სანანებლად და „მოუტეხელ ტკვრთად“ ქცეულა მერე მისთვისაც და მთელი რაიონისთვისაც. საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობის გადაჭარბებულმა თვითრწმენამ დაუშვა ერი, ჩოხელს გაუმართლებელი წარმოდგენა იმაზე, რომ „რახან პირველი მდივანია, პირველი ჭკუის პატრონია და ყველაფერში მართალია“.

სწორედ ამ რთულ სიტუაციაში ესაპეიროგიოდა გონიერი მრჩეველი და თანამდგომი სიმონ ჩოხელს, მაგრამ მისმა აპპარატენულმა ბუნებამ თანდათანობით დაირგუნა მის გულში მოვლენათა მართებული შეფასების კრიტიკული უნარი, რომელიც თან ჩამოჰყვა მას წიფლისწყაროში ჩამოსვლისას. გავიხსენოთ, მაგალითად, რაიონის გასაცნობად ჩოხელის მიერ ჩატარებული პირველი კრება. კულტურის სახლში ბერიდან ჩამოსულმა წვიმამ ერთბაშად შეუქმნა მას ნათელი წარმოდგენა რაიონის თავკაცთა მუშაობის შეფეგებზე.

ეს გრძნობა ერთხელ კიდევ ძალუმად გაიხმაურებს ჩოხელის გულში მაშინ, როცა იგი მანუჩარ ოყარეულიძის გადაწყვეტ ეზოს გაპატურებს. მაგრამ ამ ორ შემთხვევას შორის დაუძლეველი ბარიერიცაა აღმართული. თუ პირველი მთავანი იმ რწმენითა და ძალით ფეთქავს, რომელიც ჩოხელის, როგორც რაიონის თავკაცის, სახელოო ხამოკმეცილი გზეებს სახავს, მეორე მთავანს უკვე ხელმოცარული კაცის სინანულნარევი ტკივილი და იმედგაცრუება ახლავს თან.

ამ წინააღმდეგობათა მძაფრ შინაგან ჭიდილში ჩოხელისაკენ მისასვლელი გზები ეხსნებათ ყანჩაშვილებს. საკუთარი უძლურების უჩინარმა, მაგრამ ძლიერმა გრძნობამ თანდათან გადაჰვიანა ჩოხელი სამართლის ლაპარაკს და გულნამეცეცა ხელმძღვანელად აქცია. მართალია, საკუთარ თავთან დარჩენილი სიმონი გაცილებით თვითკრიტიკული და სინდისის ფარული ქენჯნის ელდითაცაა შეპყრობილი, მაგრამ მას, როგორც პიროვნებას და ხელმძღვანელს, არ შეწევს ძალა მის მიერ დაშვებულ ნაკლოვანებათა საჯარო მხილებისა და მათი გამოსახსწორებელი გზების ძიებაზე მეტად ამ შეცდომათა შენიღბვაზე ფიქრობს. „ჩოხელი უაღრესად პატიოსანი, უანგარო და პარტიის ერთგული კაცი იყო. სწორედ ეს ის ადამიანური მაღალი მალავდა ჩოხელის მთავარ ნაკლს, რომ იგი არ იყო გამოქეელი ხალხის მეთაურად, არ შეიძლო ერთ უღელში გამოეკნა სხვადასხვა ზნისა და ხასიათების ადამიანები“.

მოლიპულ გზაზე დამდგარი ჩოხელი ცდილობს თავი დაანებოს ამ დავიდარაბას, პარტიული ხელმძღვანელის ძმის უღელი კისრიდან გადაიგდოს და უდრტვინველ ცხოვრებას დაუბრუნდეს. მაგრამ ეხეკი შეუძლებელი გამხდარა მისთვის. როცა გამოვიხსენებენ ერთ-ერთ თბილისში მის უფროსებს სიტყვა [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მარკვეულით საზოგადოების წინაშე თავეანთი ადამიანური მოვალეობის შესაფასებლად.

მაგრამ კ. ლორთქიფანიძე მარტივად არ სვამს საკითხს. იგი ახერხებს მკითხველს დაანახვოს არა მარტო ჩოხელის სიმართლე, არამედ ის ზნეობრივ-მოოფლმხედველობრივი პრინციპებიც, რომელთა ხელადგილი უარყოფა იოლად არ შეიძლება. კაცი სულ სხვადასხვა ხერხ და ალაგებს მოვალეობებს. და თუ ამ მოვალეებისადმი ჩოხელისეულ დამოკიდებულებაში პირიფეხი მხარე შეიარებით უკანა პლანზეა გადანაცვლებული და წინა რიგში საკვეყნო თავდადება წამოწეული, ელისო ყველაფერს, პირველ ყოვლისა, პირადი ბედნიერების ადლით ზომავს.

მისი იდეალია არა საზოგადოებისათვის თავდადებული ქმარი, არამედ ცოლ-შვილზე მზრუნველი მეუღლე. და როცა ქმრმა მისი ქალური ოცნებანი გააზარალა, მანაც არ დააყოვნა, ულმობელი განაჩენი გამოეტანა მეუღლისათვის: „ეს ეზლო კაცი ხარ, ბედშეკრულო! შენგან არც პარტიული მუშაკი დადგება და არც მეცნიერი! შენ სადმე სოფლის კლუბში უნდა დაგეწყო მუშაობა! მერე ეთხოვა ერთი დანდრაზა ქალი, ბოსტანს დაგითესავდა, საზაბორიდ ღორს გაგისუქებდა, ბედნერად იცხოვრებდით...“

რომანის მეორე ნაწილში კ. ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი ფუნქციები დააკისრა ზაქარია ნადიბაიძეს, როგორც კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს. ნაწარმოების დასაწყისში ზაქარია მწერალმა მკითხველს წარუდგინა როგორც რიგითი შრომისმოყვარე გლეხკაცი. შემდეგ კი მისი სამოქმედო წრე თანდათან ფართოვდება. ნადიბაიძის ხასიათი რომანში ზშირად ვითარდება ჩოხელთან დაპირისპირებულად.

ზაქარია გაცილებით ადრე უცქერის და ეფასებს მოვალეებს, ვიდრე ჩოხელი. ერთადერთი კაცი, ვისთანაც რაიკომის მდივანი ყოველთვის ერიდებოდა ჭიქურ ლაპარაკს და ფრთხილობდა, ოფლს და გარკვნი გაქედილი ზაქარია იყო. ეს სიფრთხილე ნადიბაიძის სიკერპის ნაყოფი როდია, ნაჩქარევი და დაუკვირვებელი მოქმედების გამო ზოგჯერ ჩიხში მოიწყვდეუული ჩოხელი ფარად სადარეკტივო დადგენილებას მოიშველიებდა და მას ამოეფარებოდა ხოლმე. მაგრამ გონებაგამჭრიახი და პირდაპირი მოხუცისათვის არ არსებობს უფრო დიდი ავტორიტეტი, ვიდრე სიმართლის რწმენა. გაეგიხსენით ასეთი ფრაგმენტი:

„— მაშ რა ვქნათ, ზაქრო, რა ეუთხრა ცენტრალურ კომიტეტს, შენი სიტყვა და დადგენილება ჩვენთან ალარ სჭრის-მეთქი?! — სთქვა ჩოხელმა.

— თუ ის დადგენილება შორაკის საქმეს ეკ. ახდენს, რაღად უნდა დაუშალო! ისა, ეს ... ის ნათქვამი არ არის, ნუროფერს ... — შვიდდად მიუკო ნადიბაძემ“.

ასეთად გამოხმაურდეა შრომაშ და გარკვა ზაქარია ნადიბაიძე და ამ მართალი პრინციპულობისათვის მას არასოდეს არ ულალატია. ზაქარიას მხაკვრული სახის სრულსაყოფად რომანში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მისი, როგორც მზრუნველი მამისა და მეუღლის, პიროვნულ თვისებათა დახასიათებას.

იმ მნიშვნელოვანი მაღალმხატვრული ეპიზოდებიდან, რომელთა მეშვეობითაც კ. ლორთქიფანიძე ჩვენს წარმოსახვაში აღაცდერებს ზაქარიას პიროვნებას, განსაკუთრებით სანიტერესოა რომანის ბოლო ფურცლები, სადაც აღწერილია ის ამბავი, თუ როგორ იმოქმედა ომში შვილის დაღუპვის ცნობამ ზაქარიაზე. გავიხსენოთ ეს ფრაგმენტი:

„— წადი, სოსანა, ახლა აღარაკინ ალარ მეარეფეს! — ისეე ის შორიდან მოსული ხმით უთხრა ზაქარიამ, თავი დალუნა და ჯუნის პირას გამმელ ეკალნარდებს გაპყეა. ცოტა რომ გაიარა, უკანიდან ფეხის ხმა მოესმა.

სოსანა ეგონა.

მოიხედა.

ცხენი მოპყვებოდა კვალდაკვალ.

ეტყობა, იუცხოვა, რომ პატრონი ასე უბრალად გაეცალა და წავიდა: ჩუმად დაიფრუტუნა და ორგზის ეცოდა, პატარა ლამაზი ლრუნი მკერდზე მიაბჯინა ზაქარიას.

— ახლა შენც გამანებე თავი, ჩემო ქორისა, გამიშვი მარტო! — უთხრა კაცმა.

დიდი დარდის ენა ყველა სულიერმა იცის. ცხენი იქვე დარჩა, სადაც იდგა. ზაქარიამ კი გზიდან გადაუხვია, ძეძვიანს დაღმართზე დაეშვა და მიწაზე დაემხო. აქედან, ამ დაკარგული ხრამიდან, მგლის ყმუილიც კი ვერ აღწევდა სოფლამდე...“

კ. ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალში“ კიდევ ბევრი რამ ხდება ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა კვლავაც გაგრძელებულიყო საუბარი, მაგრამ, ვფიქრობთ, დროა, დავსვეთ წერტილი. მართალია, ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებს მწერალი გზადაგზა ბეჭდავდა ხოლმე და აცნობდა მკითხველს, მაგრამ მოლიანობაშია, ასე ასხმულად და ერთად თავმოყრილი ფორმით, რომანი პირველად ქვეყნდება.

და ჩვენც მეტი შესაძლებლობა გვექლევა, უფრო ფართოდ, ღრმად და განზოგადებულად დავინახოთ კ. ლორთქიფანიძის მიერ ქართულ მწერლობაში მოტანილი და დამკვიდრებული ის თვისობრივი სიახლენი, რომელნიც მწერლის ამ ახალ რომანთანაა დაკავშირებული.

თამაზ ვასაძე

ლირიკული გმირი და ურბანისტული მსოფლგანცდა

არსებითად ყველა ლიტერატორი, ვისაც ოთარ ჭილაძის პოეზიის შესახებ აზრი გამოუთქვამს, აღნიშნავს ამ პოეზიის ისეთ თვისებას, როგორიც არის ურბანიზმი, ქალაქური ეერი.

მართლაც, ეს თვისება ერთბაშად თვალშისაცემი და შესამჩნევია. ჭილაძის ლექსებსა თუ ლირიკულ პოემებში მკაფიოდ მოჩანს ქალაქის ხედები, ქალაქური დეტალები, რეალიები. ქალაქი ჭილაძის პოეზიის მყარი ფუძეა, ის წ�, საიდანაც ეს პოეზია ორგანულად არის აღმოცენებული, ურომლისოდაც მისი წარმოდგენა უბრალოდ შეუძლებელია.

მაგრამ ყოველივე ეს უთუოდ საყურადღებო, ოღონდ მაინც გარეგან ნოვაციად დარჩებოდა და ოთარ ჭილაძის შემოქმედებითი ძალისხმევაც პოეზიის ფაქტორის გადახალისებას შეეწირებოდა, თვით მისი ლირიკული გმირის ფსიქოლოგია და მსოფლგანცდა რომ არ იყოს ურბანისტული.

მთავარი ის არის, რომ ჭილაძის ლირიკაში გამეფდენებული პიროვნება, ჭილაძის ლირიკული გმირი თანამედროვე ქალაქის მკვიდრის ფსიქოლოგიას ავლენს.

ჩვენი აზრით, ურბანისტული მსოფლგანცდის ერთ-ერთი უველაზე საგულისხმო ნიშანი არის ლირიკულ გმირსა და მთელ გარეგნობაროს შორის ურთიერთობათა პრინციპული სირთულე, სიძნელე, „შეფერხება".

აქ ამ პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს შეეხებით და ლირიკული გმირის ურბანისტულ ფსიქოლოგიისაც მხოლოდ ერთი გარკვეული კუთხით დავაკვირდებით.

გარეგნო და პიროვნება ჭილაძის პოეტურ სამყაროში მკვეთრად არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული, დაპირისპირებულ საწყისებს წარმოადგენენ და მათი აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობა, ბიდილი ქმნის, უპირატესად, იმ შეუნელებელ შინაგან ძაბვას, იმ უცვლელი სერიოზულობითა და ფორიაკით გამსჭვალულ ატმოსფეროს, რომელიც ისოფენ ნიშნეულია ჭილაძის ლირიკული შემოქმედებისათვის.

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მტანჯავს, თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას, მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

ეს „თვალის მტკივნეული ახელა" ძალზე ნაშანდობლივია ჭილაძის ლირიკული გმირის ფსიქოლოგიისათვის. ამ ფსიქოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ურბანისტული სინამდვილის სიუცხოვე პიროვნებისათვის, პიროვნებასთან მისი დაპირისპირება, როგორც მისგან სრულიად განსხვავებული, „არაბუნებრივი" სამყაროსი. ამიტომაც გარეგნო რაღაცნაირად მდორედ, ძმიმედ, ნელ-ნელა შედის ოთარ ჭილაძის პოეტურ ცნობიერებაში, ცნობიერებას თითქოს უვარს მისი მიღება, ითვისება. ჭილაძის პოეზიას მთლიანად გასდევს აღქმათა ასეთი სიმძიმე, მტკივნეულობა, იგი ვლინდება იქაც, სადაც, ერთი შეხედვით, არაფერია ურბანისტული, ვლინდება, რადგან ლირიკული გმირის სულიერი წყობის, ფსიქოლოგიის უმთავრეს ნიშან-თვისებათაგანია, ურბანისტული მსოფლშეგრძნების სიღრმისეულ ფენას შეადგენს.

დიხტანცია ლირიკულ გმირსა და გარეგნობაროს შორის, ამ დიხტანციის გადალახვის სიძნელე ცხადად საგრძნობია თუნდაც ასეთ, თემატური თვალსაზრისით „გაღვრეულ" სტრიქონებში:

გამორნდა მიწა, ჩუმი და სველი,
ფოთოლზე ფოთლის დაცურდა ლანდი
და გამახსენდა, რომ მთელი წელი,
აღარც ისმოდი და აღარც ჩანდი.

ასე იწყება პოემა „ნინათლის წელიწადი", ამავე პოემიდან მოვიტანთ ერთ ნაწყვეტს, რომელიც ნათლად ეკიჩვენებს, თუ რას ნიშნავს კონკრეტულად „თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ: „მე კიდევ დიდხანს ვიწექი ბნელში, სანამ დაგრწმუნდი, რომ გამეღვიძა. მერე კი თვალი ბნელს შეეჩვია და გაიელვეს კედლებმა თეთრად. თითქოს გაცოცხლდნენ და წუკდიადიდან თითო ნაბიჯი გადმოდგეს ჩემკენ.

მე კედლებს შორის აღმოვჩნდი ისევ და დაბრუნნა სხეულმა წონა და უგრძნობლობაც დროის და სივრცის გაკრა ტკვალოდ. მე ვენდე სხეულს და წამოვდექი და გამოვაღე კარები

ფრთხილად და აჩერჩულდა ათასნაირად დერეფნის ხვრელი.

მე კი გავიცინე ხელის ფათურით უჩინარ კედელს, რადგან მახსოვდა, რომ დერეფანში იდგა მაგიდა“.

სამყაროში ადამიანის თუ ადამიანში სამყაროს შეცნობის ასეთი აუჩქარებელი თანდათანობა, სიმძიმე, დაძაბულობა ძალზე დამახასიათებელი მომენტია ოთარ ჭილაძის პოეზიისათვის. ეს მომენტი ურბანისტული სინამდვილის ზეგავლენით ყალიბდება, როგორც ლირიკული გმირის შინაგანი ბუნების განუყოფელი თვისება. „ტატკენელი თვალის ახელი“ ლირიკული გმირისათვის, უწინარესად, ურბანისტული გარემოს ხილვის მომამზადებელია, გარემოსი, რომელიც თავისი ხილეცნოვით, ლირიკული გმირისადმი წინაადგომით ტკივილს ბადებს, ჯიუტად და გარდულად ალმასრეთის პოეტური პიროვნების წინაშე და თავისებურ ორთაბრძოლას უმართავს მას. ამ სინამდვილისთან შეხვედრა, მასში „აკლიმატიზაცია“ საკმაოდ რთული პროსესია ლირიკული გმირისათვის, მოითხოვს მისი ძალების დაძაბვას, შინაგან მობილიზებას, ასე იქმნება ერთგვარი „დრამატული ველი“ იმ პრეალნი, რომელიც ლირიკულ სუბიექტსა და გარესამყაროს ერთმანეთისაგან ყოფს.

აქედან მომდინარეობს, ჩვენი აზრით, გამამკვიდრებელი, შეიძლება ითქვას, ჩაცეიებული უურადღება, რომელსაც ოთარ ჭილაძე საგანთა სამყაროს მიმართ იჩენს. საგნები ჭილაძის პოეზიაში განსაკუთრებულ, ავტონომიურ სფერის ქმნიან. ოღონდ ეს თუმა საგანგებო ანალიზს საჭიროებს, აშკარად კი ლირიკული გმირის ფსიქოლოგიის თავისებურებათა გარშემო განვაგრძოთ მსჯელობა.

ლირიკული გმირის მსოფლშეგრძნების ურბანისტული ხასიათის წარმოსაჩენად მივმართოთ პოეტის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსს, რომელიც 1956 წლით ათის დათარიღებული.

წვიმს, მოწყენილი და სველი კვამლი
ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის,
ეს შემოდგომის დღეებიც წყვლენ,
ხსოვნას შერჩება ათასში ერთი.
აი, გაიელის სულ ცოტა ხანი,
მეც მოგონებად ვიქცევი შენთვის.
წვიმს. მოწყენილი და სველი კვამლი
ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის.

გარეგანი ურბანისტული ლანდშაფტი, რომელიც ძუნწად, მეტყველი შტრიხით არის მინიშნებული და, ასე ვთქვათ, „შინაგანი ლანდშაფტი“ აქ განუყოფელნი არიან. ურბანისტული პეიზაჟი თითქოს ჩარჩოა, ლირიკული გმირის ფიქრთა მდინარეზას რომ გარემოიცავს, სპეციფიკურ ელფერს ანიჭებს მას და გარკვეულ მიმართულებას აძლევს. ამ ლექსში გამოხატული განწყობილება გარკვეულ გარემოში, კონკრეტულ ვითარებაში აღძრული განწყობილებაა. გარემო უბრალო ფონი ანდა განწყობილების პოეტური ობიექტივაციის საშუალება კი არ არის, ვინაიდან იგი აქტიურად მონაწილეობს ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობის ფორმირებაში. ლექსის აზრი ურბანისტული სინამდვილის „მონაცემს“ ეურჩნება, მისით განისაზღვრება — საყვარელი ადამიანის შეგრძნები ლირიკული გმირი ისევე გაუფერულდება, ისევე იქცევა მკრთალ მოგონებად, როგორც ყველი უჩინარდება ცაში.

ნათლად ვხედავთ, რომ ლირიკული გმირის მგრძნობელობა, საყვარელ ადამიანთან მისი მიმართებაც კი ქალაქური ატმოსფეროსგან განუთვნელია, ურბანისტული სამყაროს სპეციფიკურ კანონებს ემორჩილება.

სწორედ სახიერებული ლირიკა, სიყვარულის თემისადმი პოეტის დამოკიდებულება აშდღვნების მოელი სისავსით ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის ფსიქოლოგიის ურბანისტულ წყობას.

სიყვარული ოთარ ჭილაძის პოეზიაში იმდენად გრძნობა, განცდა არ არის, რამდენადაც ურთერთობაა ორი ადამიანისა. ეს რიდი ნიშნავს, რომ ოთარ ჭილაძე-პოეტს ენები აკლია; პირიქით, სახიერებული ენებს მის ლირიკაში უკადურესად მძაფრია, მბურველია, ჭნნებისა და ემოციათა შინაგანი აწეული „ტემპერატურით“ ოთარ ჭილაძე ქართული კლასიკური პოეზიის მემკვიდრეა. ლაპარაკია იმაზე, რომ ოთარ ჭილაძის პოეზიაში სიყვარული, უმეტესწილად, წარმოდგენილია, როგორც პიროვნების რთული, ძნელი, დრამატული მიმართება მეორე პიროვნებასთან, როგორც პიროვნებათა დაძაბული, პრობლემური ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში ჭილაძის ლირიკული გმირი მხოლოდ გრძნობებით კი არ მონაწილეობს, არამედ ფიქრითაც, განსჯითაც — იგი ცდილობს ბოერკეტს თავის განცდებში, საყვარელ არსებაში, მასთან მიმართების არსში.

განსჯის გარდუვალობას აპირობებს თვით ლირიკული გმირისა და მისთვის საყვარელი არსების ურთიერთობათა ხასიათი. ეს ურთიერთობა კი პრინციპულად გაძნელებულია, გართულებული, ლირიკულ გმირში ეჭვსა და შიშს ბადებს. ეჭვის საფუძველს ქმნის მეორე ადამიანის სულიერ სამყაროში ბოლომდე წვდომის, მისი არსის გამოცნობის შეუძლებლობა, ლირიკული გმირის სურვილი კი სწორედ ესაა — „იხილოს“ ძვირფასი ადამიანი ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია, ანუ თავისი თავის წინაშე, თავის მარტოობაში, „უნიღბოდ“, ეშმაკრიტა სახით — ასეთია ეზოთრივ-ემოციური სტრუქტურა ლექსისა „ხეხურავეზზე, საფეხურებზე, ქვაფენილებზე...“

ადამიანურ ურთიერთობათა გაძნელებულ სიტუაციას ჭილაძის ლირიკული გმირი ასუ-

ზობს სულის მოუდუნებელი სიფხიზლით, სულს მუდმივი მღვიძარებით, სხვა „იარალი" მას არც შეიძლება ჰქონდეს: ისევ დარჩენია, იყოს ფიქრის მარადიული ტკვი, ეშმაკრიტი და ყალბი, ნამდვილი და მოჩვენებითი უნდა გაირჩეს — ასეთია მისი მამოძრავებელი იმპულსი.

ადამიანურ ურთიერთობათა პრობლემურობა და ლირიკული გმირის ფსიქიკის სპეციფიკა გამოირიცხავენ თვით მხატვრული დამუშავების მოსალოდნელ, ტრადიციით ნაკურთხ წესს, რომელიც გზას გაუხსნიდა იდეალიზაციას, მორთოლვარე ხილვებს, ნახევრად გაუცნობიერებელ ზმანებებს, — ყველაფერს, რაც ეშმაკრიტებას დანახლავდა.

მე მინდა: "შენი ფეხის ხმა კარებს
მთვარეში, თოვლში არ მოეჩვენოს...
სხვათა შორის, ეს ლექსი, გარკვეული თვალსაზრისით, მსგავსია გალაკტიონის ლექსისა „ალაზანთან", შეადართო: „მთვარეში შავი შრიალებს ჩალა" და „მთვარეში, თოვლში შრიალებს მტკვარი". ჭილაძის ლექსში იგრძნობა გალაკტიონისაგან მომავალი იმპულსი, მაგრამ ასეთი სიასოლივე კიდევ უფრო მკვეთრად გაბაზავს გაბსხვავებასაც, რომელსაც ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის ფსიქოლოგია, მსოფლშეგრძნება ქმნის.

სასიყვარულო ურთიერთობის სიძნელე ვლინდება როგორც ურთიერთგაგებინების სიძნელე. პოეტის ლირიკული აღსარება ძვირფასი ადამიანის წინაშე არის არა უბრალოდ სიყვარულის გაბედა, გრძნობის გადმოშლა, არამედ ცდა არსებითი ხთქვეთ მისთვის გაგებინებისა, რაც სულაც არ არის იოლი საქმე.

მარინა! მაგრამ როგორ გიგიებ;
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.

ო. ჭილაძის სასიყვარულო ლექსი თითქმის ყოველთვის არის უკვე წარსული განხეთქილებით, განშორებით დასრულებული სიყვარულის მძაფრად ემოციური გახსენება. განხეთქილება, დაცილება არ არის შემთხვევითი სახიათისა, ოთარ ჭილაძის პოეზიაში მას ხიდრმისეული, კონცეპტუალური არსი აქვს, ურბანისტული სამყაროსა და ამ სამყაროს მკვიდრი ადამიანის ზუნების თავისებურებებით არის პირობადებული.

ორივე ეგრძნობდით, რომ შიგნით, სულში
ორთოდა სრულიად ახალი სიმი
და არიგებდა ცრემლსა და ღიმილს
უბრალოდ, როგორც ყვავდა ნუში.
მაგრამ შენ სადღაც ქრებოდი უცებ
და ჩაღდებია ირგვლივ კოცონი
და ბიუბეიენთ წამომხტარ ქუჩებს
ზედიზედ ნთქავდა მკაცრი კოცონი.
და ფერშეცვლილი ფერფლით და ბოლით,
გაწამებული და გარეჯული,
ეით უნებურად შემედარა ცოლი,
შენ სატიეებას მთხოვდი ჩურჩულით,

ქალაქის თავში, ქალაქის ბოლოს
მაღალი წვეთის დგას და ზრიალებს.
ისიც იმიტომ მოვიდა მხოლოდ,
რომ მოგვეხმაროს დამშიანებს.
და, რა თქმა უნდა, არ არის ღმერთი,
არ არის, ანდა არ იყო მაშინ,
როცა პირველი კოცონი ენთო
შენს დიდ თვალებში, თმებში და ხმაში...
და, ალბათ, დიდხანს იქნება გარეთ
ფერმკრთალი ქალიც და მხდალი ბორიც...
საბურავებზე გადარბის ქარი
და თან გადაკქეს ქარხნების ბოლი.

თუ ლირიკული გმირის სულიერ წყობას არ გავითვალისწინებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ლექსის მეორე და მესამე სტროფები ვერ ერწყმიან ნაწარმოების კომპოზიციას, არ ეთანხმებიან მის პოეტურ ლოგიკას, მოკლებულნი არიან შინაგან გამართულებას და გაუგებარნი რჩებიან. მაგრამ ყველაფერი ნათელი გახდება, როცა გავიაზრებთ, რომ ეს არის ლირიკული გმირის შინაგანი ხილვა, იქნებ მისი შფოთიანი სიზმრის ნაფფეთიც, მისი ცნობიერებისა თუ ქვეცნობიერების ღრმა შრეების ანაზდეული, უცაბედი გამოშუნურება. პოეტური სუბიექტის შეგნებაში ხალმოჩაული ქალაქია შეგრილი, რომელიც ხაფრთხეს უქმნის სიყვარულს, ეშვს, შეშფოთებას თესავს. აი, რატომ ასოციერებენ ერთმანეთთან და რატომ ჩნდებიან ახე მოულოდნელად „ქუჩები" და „ბიეენი". სიყვარული მყიფეა, იოლად მსხვრევადი, ვინაიდან მას დიდი ქალაქი ერკალება გარშემო, ქალაქს თავის სალტეში ჰკავს მოშშყვდეული იგი. სიყვარულის დრამატიზმს, სიძნელეს ლირიკული გმირის ცნობიერებაში ურბანისტული გარემოს მიერ შეტანილი დაძაბულობა, ეტვ�ბიფეთის მოლოდინი აპირობებს.

ლექსის დასაბამული , მრავალმნიშვნელოვან ურბანისტულ სურათს წარმოადგენს. ეს სურათი ნათლად მეტყველებს სასიყვარულო ურთიერთობის ხასიათის განუყოფლობაზე ქალაქური ინსამდვილისაგან. ქარხნების ბოლი თავისი სიმძიმით კოსტრასტირებს სიყვარულის ნაოუფ გრძნობასთან, რომელიც ქალაქს „მხდალი ბორის" ნადავლი ხდება. უნდა შეენიშნოთ ოღონდ, რომ ინდუსტრიულ რეალიას, თავისთავად, ოთარ ჭილაძე სიყვარულის შემშურავ ძალას არ მიაწერს. ეს რეალია სულიერი განწყობის ნიშანია, იგი ლირიკული გმირის გრძნობათა ელფერის წარმომავლობაზე მიუთითებს.

როდესაც ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის ფსიქიკის ურბანისტულ ბუნებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ მხედველობაში, უწინარესად, ის გარემოება გვაქვს, რომ ფსიქიკის თავისებური წყობის უმთავრესი და უზოგადესი მსაზღვრელი თანამედროვე ქალაქის სამყაროა, რომ ლირიკული სუბიექტის სულიერი ალნაგობა ამ სამყაროს ზეგავლენით ყალიბდება, და

არა ის, რომ პოეტური აზრისა თუ განცდის ყოველი „ნაწილაკი“ საკუთრივ ურბანისტული იყოს, ურბანისტულ სინამდვილეთან პირდაპირ, უშუალოდ იყოს დაკავშირებული. შეიძლება ლექსში ქალაქი საერთოდ არ იხსენიებოდეს და ურბანისტულ დეტალებსაც სულ არ შეიკავდეს, მაგრამ ინტუიტიად მაინც ეგრძნონ მისი ქალაქური იერი. ასე ამბობთ ხდება, რომ ლექსში აღბეჭდილი ცნობიერება თავგანი თვალებრივობით ქალაქის მკვდრის ცნობიერებაა, ქალაქშია აღმოცენებული და თუმცა ამას ზოგჯერ აშკარად არ გვიმეღავნებს, ვერც ფარავს, რადგან ათასი უზარავი კავშირით არის შეერთიერთული მკვეთვა ორტერიასთან. აი, მაგალითად, ერთი ასეთი ლექსი — „თეთრი მინდორი“.

მე ჩამქინინა და ძილმიც ეგრძნობდა,
როგორ ფეთქავდა სარკმელში ტოტი
და როგორც ტოტის ცახცახა ჩრდილი,
ხელს მეფარებდა თვალებზე ძილი
და ალარ ჩანდი,
მე კი ეწვალობდი,
მაგრამ შენს სახეს ვერ ვიხსენებდი.
გულს იხეთქავდა ჩიტი გალობით
და თეთრ მინდორზე იდგნენ ცხენები:
არწევდნენ მინდორს დაბმული ბუშტის
და წყალმეცნარის მოძრაობებით.
ცა ივსებოდა ღრუბლის კოპებით.
ნელი ქრებოდა სინათლე სუსტი.
მე კი ვერაფრით ვერ ვახერხებდი
შენს წარმოდგენას: შენი ფეხებით
სხვა დადიოდა, შენი სახელიც
სხვას ეკუთვნოდა, შენი სახელი!
ვიჯექი უცხო სახლის კიბეზე
და მაწამებდა ჩემი სიბეცე,
ჩემი სისუსტე და სიღატაკე
და ჩემი სულის ქვის იატაკზე
შენი არსება, ჩრდილად ქცეული,
როგორც სულისთვის უცხო სხეული
უძრავად იდგა.

ამ ლექსში თითქოს, გარეგნული თვალსაზრისით, ორაფერია ურბანისტული, ქალაქისმიერი, საგნობრივ-ნივთიერი, ობიექტური პლანი, დამოუკიდებელი ღირებულების მქონე, აქ ფეკტიურად არც არის, ყოველ შემთხვევაში, იგი სუბიექტურ საწყისს ემორჩილება, მის ნაწილად გვევლინება, მის მიერ არის შთანთქმული. ლირიკული გმირის შინასამყაროო გარე სინამდვილესთან კონტაქტის გარეშე მეღვნდება, თავისი, ასე თქვათ, წმინდა, შეფრეველი რაობით. მით უფრო ცხადად იკვეთება ლექსში აღბეჭდილი ცნობიერების სპეციფიკური წყობა.

ლირიკული გმირი იტანჯება სიზმრით ამის გამო, რომ საყვარელი არსების სახეს ვერ იხსენებს. შეედომა იქნებოდა, ეს მიგვეენია საყვარელის გრძნობის გამაფერებელი გამოცდებათაგან მომარჯვებულ თავისებურ „ხერხად“. ლექსის ახეთ გაგებას ეწინააღმდეგება ოვთ მისი ტონი — ტკბილეული, შეკავებულად დრამატული და შეშფოთებული, მნიშვნელოვანი გამსჭვალული.

ლირიკული გმირის სიზმარში ერთგვარად კონდენსირებულია ქალაქის მკვდარ ადამიანთა სახიყვარულო ურთიერთობის არი — მოსლოდნელი და შესაძლებელი გაუცხოების შიში, სიყვარულის დაკარგვის შიში, ძნელად მოპოვებული შინაგანი სიახლოვის, ურთიერთგაგების გაკრობის შიში. თუ სიზმრის საუღლოს დავტოვებთ და რეალობას დავუბრუნდებით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამდენად რთული, სტანილურობას მოკლებული და არამყარი ეს ურთიერთობა. იგი დიდი ქალაქის სინამდვილეზეა პროეცირებული. ლირიკული გმირისთვის ძვირფასი ადამიანის სახე თითქოს ამ უთვალავ ეცხო და უცნობ სახეში ითქვიფება, რომელთაც თანამედროვე ქალაქის მცხოვრები ყოველდღიურად ხედავს. სიყვარული არსებითად სწორედ ამ სიუცხოვის გადალახვა, დაძლევა, თავისებური „ოაზისია“, მაგრამ მაინც დაუველია, სუსტია სიუცხოვის წინაშე, შეიძლება უცვე თვითონაც სიუცხოვად იქცეს.

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ ლექსი „სახურავებზე...“, სადაც ლირიკული გმირის სურვილი იყო, ეხილა საყვარელი ადამიანი მისი ნამდვილი სახით, „უნიღბოდ“; ეს ლექსი პოეტურად გვამცნევდა აზრს, რომ თვით უყვარულესი ადამიანის სულში ჩაწვდომა ძალზე ძნელია, თუ შეუძლებელი არაა. „თეთრ მინდორში“ თუმცა ამაზე აშკარა მინიშნება არ არის, მაგრამ ნაწარმოებში გამოხატული ლირიკული სიტუაციის ფსიქოლოგიურ საფუძველს ეს მომენტიც შეადგენს. ის, რაც ლექსში „სახურავებზე...“ გაფრქვეული ეკვიპი და ზიზის საგანს წარმოდგენდა, „თეთრ მინდორში“ თითქოს ამდენნაირი, ოღონდ არასასურველად — საყვარელი არსება სახეს კარგავს, უფრო ზუსტად, სხვის სახეს იღებს, სხვა, უცხო ალმოჩნდება.

აი, ახე — „ნარიოთულად“, გაშუალებულად აირეკლება ამ, ურბანიზმის გარეგანი ნიშნების არმქონე, ლექსში ქალაქური სინამდვილის მიერ ფორმირებული ფსიქოლოგიისა და გაძნელებული ადამიანური ურთიერთობების ბუნება.

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას ლექსზე „ღუნე და ღობე“. საგანგებოდ, სპეციფიკურად ურბანისტული გარეშოს ნიშნები არც ამ ნაწარმოებშია აღბეჭდილი, მაგრამ უკიდურესობამდე დრამატიზებული, გამწვავებული, გართულებული სასიყვარულო ურთიერთობის გამოხატვა მას განუფორიტებელ ურბანისტულ ელფერს აძლევს. ლექსი მაკარად წარმოგვისახავს ორი

თაბაზ ვასაძე
ლირიკული გმირი და ურბანისტული მსოფლგანცდა

ადამიანის შინაგანი კომუნიკაციის რღვევას, კომუნიკაციის კრიზისს, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ და მის თანამდევ უღმერთულ რეფლექსიას, ლირიკული გმირის მკაცრ თვითგანსჯას.

არ გიდმობივიდე! წყდი! იარე!
ჩემს თავშესაფარს რქმევეთ სორო,
შიში რქმევეთ ჩემს სიკვეთანეს,
ცა ტერფის ჩრდილი ყოფილა მხოლოდ.
წადი! მხდალია ჩემი სურვილი
ყალში ღიმილი ალუბა პირზე
და ასახჩრებს ბლაგვი ცულივით
შენს განათებულ მხრებსა და კისერს.
ქუჩის გადაღმა ჩრდილიანთ მდგარი
ისევ ამოდ აღვიძებ გრძნობებს,
რადგან ჩემს შორის ღმერთი წევს მკვდარი
და არა მხოლოდ გუბე და ღობე.

ადამიანთა სულიერი დაშორება, ურთიერთგაუცხოება აქ სივრცის სიმბოლოზაციითაც არის გადმოცემული — ლირიკული გმირსა და მისთვის ძვირფას ადამიანს შორის გაოთხრილ უფსკრულს მეტაფორულად გამოხატავს ფიზიკურად მათი დამაშორებელი გუბე და ღობე, მეტაფორას თვით პოეტი შეიჭრაკს, სივრცული სიშორე გარეგანი გამოხატულებაა სულიერი სიშორისა. ასე რომ, გაინცელებულ ადამიანურ ურთიერთობათა ჭილაძისეული თემა თუ კონცეფცია მხატვრული სივრცის თავისებურ ორგანიზებაშიც წარმოჩნდება.

შეუყვარებულთა გათიშვა, სიყვარულის, სულიერი სიახლოვის დრამატული დასასრული ასევე განაპირობებს სივრცის პოეტურ სიმბოლიზაციას ლექსში „ცა“:

მან აიფარა პირზე ხელები, შემკრთალი სულის
შესაჩერებლად...
ჩვენ გავფრინდებით სხვადასხვა მხარეს და
ერთდროულად ვიქნებით ცაში.
ცაც გაიყოფა: ღრუბლებით სავსე და
შეფერილი
მზის თბილი სისხლით.
ჩვენ ერთდროულად ვიქნებით ცაში და
გავფრინდებით სხვადასხვა მხარეს, ჩვენი
სისუსტის და ცის სიდიდის დასამტკიცებლად.

პოეზიის ტრადიციული და უძველესი სახე ოთარ ჭილაძის ლექსში სრულიად ორიგინალურად არის გაჯაზრებული. ცა აქ ადამიანთა დაშორების პოეტური განსახეა და მას სხვადასხვა მხარეს მიმავალი თვითმფრინავები თითქოს ერთმანეთში ინაწილებენ. განშორების მოტივის ტექნიკურ-ინდუსტრიული რეალობის მოგიჯთან დაკავშირება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, მათ შორის ღრმად კანონზომიერი მიმართებაა, ისინი აუცილებლობით „მოთხოვენ“ ერთიმეორეს. ერთიანი სინამდვილის სხვადასხვა ნაწილებად, მხარეებად წარმოდგენიან.

ამ სინამდვილის საბოლოოდ ამოლაჯნის და ასრულების — როგორც მისი აუცილებელი განზომილება — ურბანისტული ლანდშაფტი: ქალაქს ჯერ ძინავს. ჯერ ყოფილ ძინავს და შემზარავად ცარიელია,
წყვდიადიც, როგორც სასაფლაოს ლუბირი,
ფეხს ითრევს ცაზე.
და აი, უკვე მიქრის მანქანა, თითქოს გაურბის
უკაცურ ქალაქს.
ჩვენ კი ჯიუტად მივჩერებივართ ნაცრისფერ სივრცეს.
ხოლო სახლები, გაოცებულნი ჩვენი ღიმილით
და მოთმინებით, ებჯინებიან ერთმანეთს
მხრებზე, რომ დაგვინახონ...
უკანასკნელად.

ინდუსტრიული რეალია, ქალაქური პეიზაჟი და ადამიანთა ძნელი ურთიერთობა ამ ლექსში მოლიანი პოეტური სამყაროს ურთიერთგანმაპირობებელ ასპექტებად ჩვენელნენიან. მათი შეკავშირება მკვიდრ კონცეფციურ საუფლელზე ხდება. ოთარ ჭილაძის ეს ლირიკული ნაწარმოები განსაკუთრებული სიცხადით მოწმობს პოეტის ურბანისტული მსოფლხედვის სულიერფსიქოლოგიურ და ხაგნობიერ ელემენტთა განუყოფელ მთლიანობას, რაც ყოველთვის ასე მკვეთრად არ ელინდება, მაგრამ ყოველთვის კი იგულისხმება, „ქვეტექსტურად“ მაინც.

ლირიკული გმირისა და მისთვის საყვარელი ადამიანის რიგული, გათიშვის საფრთხის შემცველი, გაუცხოების ზღვარზე მიმდინარე შინაგანი კომუნიკაციის ხასიათი ფაქიზად არის ნიუანსირებული ლექსში „უძილობა“. აქ ლირიკული გმირისადმი მკვეთრად და დრამატულად დაპირისპირებული გარეშის ხატება, მისი „გაუცხოებული“ ხედვები პიროვნებათა შესაძლო შინაგანი გაუცხოების მომასწავებელია.

საერთოდ კი, გამაუკუნებელ ძალთა პირისპირ დგომა ჭილაძის ლირიკულ გმირში საკუთარი ინდივიდუალობის შეგრძნების უალრესად ამახვილებს, საკუთარი „მე“-ს განუმეორებლობის, ერთადერთობის, უნიკალობის განცდას უწევულოდ აძლიერებს. ლირიკული გმირის ფსიქოლოგიის ურბანიტული არსი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვლინდება „მე“-ს და „არამე“-ს სხვადასხვაობის მეტად ინტენსიურ, მკაფიო შეგრძნებასა და ინდივიდუალურობის მკვეთრ ზრდაში. პიროვნულ-ინდივიდუალურის აქცენტრატა და წინ წამოწევა ერთგვარი თავდაცვითი რეაქციაც არის ინდივიდუალობის დაკარგვის, თვითგაუცხოების საფრთხის მიმართ. ესე იგი, ის პოეტური სუბიექტზე ურბანისტული სინამდვილის ზემოქმედების არა მარტო პირდაპირი, არამედ „მეორადი“, გაშუალებული შედეგიცაა.

ამიტომ არის, რომ ოთარ ჭილაძის ლექსებსა და პოემებში ხშირად საგანგებოდაა გაბაზული ლირიკული გმირის სიყვარულის გრძნობის, მისი სასიყვარული ურთიერთობის უნიკალობა, განუმეორებლობა, „არაგანმეორობა“.

ხიყვარული, ხალრთოდაც, ისეთი გრძნობაა, რომ მას ყოველთვის განუმეორებელი პიროვნულ-ინდივიდუალური ხასიათი და ელფერი აქვს, მისი წვდომა გარეშე ადამიანისათვის, ამდენად, ოფლი არაა. მაგრამ ურბანისტული ხასიათდადილისათვის ნიშნეული სულიერი კომუნიკაციების შესუსტება, პიროვნების განნელებული, გართულებული ურთიერთობა გარემოსთან და ადამიანებთან კიდევ უფრო ნაკლებ შესაძლებლობა და მიმართვდამს ხდის ამ პიროვნების გრძნობათა სამყაროს, კიდევ უფრო მკაფიო და გალრმავებული ინდივიდუალობით აღბეჭდავს მას. აქ იღებს ხათავეს ჭილაძის პოეზიის ერთი მოტივი, რომელსაც, პირობითად, „ხმვების მოტივს“ ვუწოდებთ.

ოთარ ჭილაძის ლირიკული გმირის მსოფლშეგრძნების ურბანისტული წყობა გამოსახატულია პოეტის ინაზრეა, რომ იგი თვალსაჩინო სიზლვირით აცალკევებს ერთმანეთისაგან თავის თავს და სხვა ადამიანებს, რომლებისთვისაც მისი არსების გულისგული, ყველაზე მნიშვნელოვანი და სანუკვარი ფენები დაფარული და გაუგებარი რჩება, კერძოდ, გაუგებარი რჩება ლირიკული გმირის სიყვარული, მისი დამოკიდებულება და ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. სიყვარული ჭილაძის პოეზიაში, უპირველესად, წარმოდგება როგორც „ორის მარტოობა“.

მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს:

ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები
ჩვენს ერთად ყოფნას — ძალით თუ ნებით,
ჩვენს განშორებებს — ხანგრძლივს თუ
მოკლეს,
ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები.

(„მატარებლებით სავსეა ღამე“).

კაცი კი ყვება და რასაც ყვება
სხვა ვერ გაიგებს იმ ორის გარდა

(„შეხვედრა“).

...ხოლო წვრილი: ცრემლით მდიდარი
და მგრძნობიარე, როგორც კიდური, —
ეჩვენებოდა სხვის მაგიდაზე
სხვისი სათვალის ქვეშ გარინდული.

რადგან იცოდა, რომ ერთნაირად
ვერ გაიგებდნენ შენს ნათქვამს სხვები
და სიმარტოვის ცხელი ჰაერი
ეტმასნებოდა მოირსა ენებით.

(„სიყვარულის პოემა“).

მერე რა მოხდა, თუ ეცხო თვალი,
ჩვენი ფენაურ სეირით მთვრალი,
ბაგეს გადასცემს დამცინავ ღიმილს
და იმ ღიმილის უხვნი ქმი
გაგვიელის გულში...

(„გამოთხოვება“).

აი, მცირე ნაწყვეტი პოემიდან „სინათლის წელოწადი“, სადაც „ორის მარტოობა“ პირდაპირ და აშკარად აკვლენს თავის ურბანისტულ გენეზისს:

„მხლოდ მე და შენ ვიყავით მაშინ
სებობდა სხვა არაფერი, დაკარიელდა თითქოს
ქალაქი, ან თითქოს უცეტ გაქვავდა შერეთი“.

ამ ლირიკული ასპექტებიდანაც ჩანს: „ხმვების მოტივში“ მთავარია არა მარტო ის, რომ პოეტური სუბიექტის ხასიყვარულო განცდებისა და ურთიერთობების არსი გაუგებარია, ჩაუწვდომელია სხვათათვის, არამედ, „ხმვების“ დაკვირვებული მზერის დამბადეველი შეგრძნებაც. ამ ეურადღებიანი და მოუცილებელი მზერის წინაშე საკუთარი გამხსნილობის, ღიობის, დაუცველობის მტკივნეული შეგნებაც. ეს განსაკუთრებულ ელფერს მატებს ჭილაძის პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელ დრამატიზმს.

ამავე დროს „ხმვების მოტივი“ ამაღლებს სიყვარულის განცდას, კონტრასტულად წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ, გამორჩეულ რაობას, რაც თავისებურ სიმამაცესაც ადგენს:

და სასამ გვაცლის
ღმერთი თუ ბედი, გვჯეროდეს ისევ,
რომ ჩვენს ნაფიქრალ ქვეყანაზ ისმენს,
ჩვენი თავები მკერდზე უწყვია
და ცდილობს, მაგრამ არ შეეძლია,
რომ გარდაიქმნას.

(„განშორებამდე“).

როგორც ვხედავთ, ოთარ ჭილაძის პოეტური აზროვნებისა და მგრძნობელობის ურბანისტული ხასიათი არეკლილია ერთი შეხედვით ისეთი „ნეიტრალური“ თემის შემოქმედებით დაფლეთაში, როგორიც სიყვარულია. შეიძლება გადაუკარებელად ითქვას, რომ ამ მხრივ მან შესამჩნევი ცვლილებები განახორციელა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ჭილაძის ლირიკული კონაცეფციით, სიყვარული უალრესად წინააღმდეგობრივი, ზღვრულად დაძაბული, რთული ადამიანური ურთიერთობაა, რომელიც მწვავე კონფლიქტურობით, დრამატულობით არის ალსავსე, ზოგჯერ კი გაფთრებული „ბტრობის“ ხასიათსაც იღებს (მაგალითად „გამოთხოვება“). სირთულე სიყვარულისა სრულყოფილი სულიერი კონტაკტის დამყარების სირთულეა, აუცილებელი შინაგანი ურთიერთგაგებისა და თანხმობის მიღწევის სირთულეა, ეს კი წარმოშობს ფიქრის, რეფლექსიის, სიყვარულის განცდისა და სასიყვარულო ურთიერთობის დაკნინებული, დაუცხრომელი რკვევის პათოსს (მთლიანად ამ პათოსითაა გამსჭვალული, ვთქვათ, პოემა „ცირკი“). ურბანისტული სამყაროს მკვდრის დისტანცირებული, დაბრკოლებული მიმართება გარესინამდვილესთან და მისგან მომდინარე მოქმედებენ დრამატიზმშიც მკვეთრად მეღაენდეს.

აკაკი ხინთიბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ შემოქმედელი

XVII ს. პოეტი და სასულიერო მოღვაწე

„მეცნიერი და მესტიხე პირველი“

ერთი იმათგანი, ვისაც ძველ საქართველოში განსაკუთრებული პატივით იხსენიებდნენ, იაკობ დუმბაძე-შემოქმედელი იყო.

არჩილ მეფის თანამედროვე პოეტი და მოღვაწე, უწინარეს ყოვლისა, თვით არჩილმა შეაქო „რუსთველისა და თეიმურაზის გამახვილებაში“. ძველთა და ახალთ მეელეკსეთა დასახასიათებისას, რუსთველისა და თეიმურაზ პირველის შემდეგ არჩილი ყველაზე მეტ პატივს იაკობ დუმბაძეს მიაგებს:

აწ სამგზელი იაკობ ეახსენო ბრძანდ მოუბარი,
ამ ქამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს
უბარი.
ხუცურის ენით მეტყველებს, არის
საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ვიქმ, რომ იყო
ჩემი მკობარი.

იაკობის უფროსი თანამოკალმე, „დიდმოუოვანის“ ავტორი, თბილისის მიტროპოლიტი იოსებ თბილელი იაკობ შემოქმედელს ბრძენსა და „მცნებულ“ კაცს უწოდებს.

დავით გურამიშვილმა იაკობი ქართველ მწერალთა პირველ ხუთეულში ჩართო:

შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ
მოსქანის ძმერება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს
მიეტკბერება.

ანტონ ბაგრატიონი „წყობილსიტყვაობაში“ იაკობ შემოქმედელს ქებით აღსავსე იამბიკოს უძღვნის:

იაკობ — კაცი სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
კეთილ-გამომთქმელ, მეშირე შუენიერ,
მაღალ-გონება, საუნჯე მრავალთ ცნობათა,
ღმრთივ-მომგე მაღლთა, კეთილ მკმეველი
მათი,
ყოველად საქებელ მაშინდელ-აწინდელთად.
და ა. შ.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ცალცალკეა დახასიათებული იაკობ შემოქმედელი, როგორც მღვდელმთავარი, რომელიც „მწუხიდა სამწყსოსა თვისსა კეთილად“ და როგორც მწერალი ფილოსოფოსი — „კაცი მეცნიერი და მესტიხე პირველი“.

იხეკლება შემოკლებით.

იაკობ შემოქმედელის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევენ ქართული ლიტერატურის ადრინდელი მკვლევარნი.

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში „ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“ (1888 წ.), სადაც 40-მდე მწერალია დახასიათებული, თეიმურაზ პირველისა და არჩილის შემდეგ ყველაზე ვრცლად იაკობ დუმბაძის შესახებ არის საუბარი.

„შორსმჭვრეტელი ბრძენი მამამთავარი“ უწოდა მოსე ჯანაშვილმა იაკობ დუმბაძეს მის შესახებ დაწერილ სავანგებო წერილში („სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 572, 573).

დღეს იაკობ შემოქმედელის სახელი მივიწყებულია, მისი ნაწერები გამოუქვეყნებელია და მკითხველი „საზოგადოებისთვის აუხსნელი რჩება მწერლის ესოდენ დიდი პოპულარობის მიზეზი.

ინტერესი იაკობ შემოქმედელისადმი აღგვიძრა მისმა გაბაასებამ იოსებ თბილელთან, რომელიც დიდი ხელოვნებით არის შესრულებული, აგრეთვე, პოეტის ექსპერიმენტებმა ფორმის სფეროში. შემდეგ ეს ინტერესი საზოგადოდ მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი ინტერესში გადაიზარდა. (გამოკვლევის ისტორიულ-ფილოლოგიური ნაწილისათვის საჭირო ზოგიერთი მასალა მოგვაწოდა ბ. დარჩიამ).

„იერუსალიმს დაჰკდა“

იმ ძველი ცნობების მიხედვით, რომლებიც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს, იაკობ შემოქმედელი (დუმბაძე) დაბადებულია გურიაში. შესაძლოა, შემოქმედში — დუმბაძეების საგვარეულო სოფელში. დაბადების სავარაუდო თარიღი 1647 წელია. პირველდაწყებითი განათლება ბიზანტიაში მიუღია, ტრაპეზონის სემინარიაში, სადაც, ბუნებრივია, ბერძნულ ენას შეისწავლიდა და ქრისტიანული ძოძღვრების საფუძვლებს დაეუფლებოდა. დუმბაძეები სასულიერო წოდებას ეკუთვნოდნენ და იაკობმაც თავისი ცხოვრება ეკლესიის სამსახურს დაუკავშირა. შედგა ბერად, ერთხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამების ეკლესიის წინამძღვარი იყო, სადაც მიიღო ზედნოდება „სამებელი“, ბოლო 1682 წელს ეკურთხა შემოქმედის მიტროპოლიტად, „დადგენილ იქნა შემოქმედელად“ (კ. კეკელიძე). 1687 წელს მეფეთან კათალიკოსის დავალებით იაკობი იტალიაში გაეშგზავრა, სადაც დიდის პატივი თ მიიღო რომის პაპა ინოკენტი XI. ისიც ცნობილია, რომ 1696 წელს ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი იაკობის მეთაურობით დონის მონასტერის სწავეთა. იაკობს მონასტრისათვის შავი ცხენი შეუწირავს და იქ სულის მოსახსენებელი გაუჩენია. მონასტრის „სულთა მატიანეში“ შემოქმედელ-მიტროპოლიტის გვარიცაა ჩაწერილი.

სიცოცხლის ბოლო ხანებში იაკობმა წმინდა ადგილები მოინახულა. წავიდა ათონის მთაზე, ივერიის მონასტერში, შემდეგ იერუსალიმს, ჯვრის მონასტერში, სადაც 1718 წელს აღესრულა კიდეც. „იერუსალიმს დაჰკდა, დაშრიტა სხივნი“ (ანტონ ბაგრატონი).

როგორც მიუთითებენ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში დაცულია იაკობისეული მინაწერები.

„ზოგი ფიქრობს, — წერს მ. ჯანაშვილი, — რომ იერუსალიმის შემდეგ იაკობ სამშობლოში დაბრუნდა და იქ აღესრულა მამიის გურიელობაშიო (1714 წ.). ზოგსაც იაკობის გარდაცვალების თარიღი საუკუნის მიწურულს გადაჰკვს (ზ. ჭიპინაძე). საცილობელი უნდა იყოს თვალ ფორდანის ცნობა, თითქოს, იაკობს მიტროპოლობა მიეღოს 1647, ე. ი. არჩილ მეფის დაბადების წელს. თუ ამ თარიღს ვერწმუნებით, მაშინ, ჯერ ერთი, ანაკრონიზმად ისმის იაკობის მიმართვა არჩილისადმი „ეამენელი მოამწონს — მ ი ს ნ ა ვ ზ რ დ ი ლ ს ა...“ მეორეც, სადავო ხდება იაკობის მოიგონაციის სხვა თარიღები, რადგან მაინ ნი ფი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს 1612 წლისა (35 წლის ასაკამდე მიტროპოლიტად არ აკურთხებდნენ), ბოლო 84 წლის მოხუცს გაუპირველებოდა მოსკოოს გამგზავრება, მით უფრო — ამის შემდეგ ათონსა და იერუსალიმში წასვლა.

„სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი, როცა იაკობ შემოქმედელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საქართველოს ისტორიაში მაჰმადიანური სამყაროს ძალური შემოტევის ხანა იყო. ცალკეულ სამეფოებად, სამთავროებად, საერისთოებად დაჭიმულებული საქართველო ვეღარ უმკლავდებოდა მტერს. ქვეყნის მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ, რომ ეროვნული ბანაგების და სარწმუნოებრივი გადაგვარების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ფარი და მახვილი საკმარისი აღარ იყო. ქართველ მეფე გიორგი XI ავალებს, ალბათ, ეპ[illegible] უკვე სახელმოხვეული მწერალის იაკობ ღუმბაძეს, გალექსოს შე-16 საუკუნის მოღვაწეს ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ანტიმაჰმადიანური თხზულება „მოთხრობა სჯულთა უღმერთოთა ისმაილელთა“ (ნ. მარი). იმ მოტივით, რომ „ლექსს უფრო ეუარსებენ, ამბის წიგნები ძვლ ავად“ (სულხან თანიშველი), იაკობი იღებს დავალებას და ქმნის ვრცელ, 289 ტაროიან პოემას — „ურჯულოს მოაბედის და ქრისტიანეთა გამაასებას“ (S 842), რომელსაც რამდენიმე ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს — „სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“ (პოემა გამოუქვეყნებელია).

იაკობი თავად გვამცნობს, რომ ამ ამბის გალექსვა მას ხალხებიდან ჰქონდა ნაბრძანები:

აწ ღვთით იქმნა ეს ამბავი, ლექსად ჩემით
განთავდ,
მაქ�ცხებულთ ნაბრძანები, ეიმეშველ
განა თავდ,
სცანო, იხილეთ, გონიერნო, სიგრძით იყოს,
განა თავდ,
ეიყავ მეფეთ საკაბაყმო, თქვენ გმონებდი
განთავდ.

იაკობ შემოქმედელი ძირითადად მიმართავს ბაგრატ ბატონიშვილის მიერ მოთხრობილ (ავტორის სიტყვით, „გამოგრეულ“) ისტორიას. მაგრამ დრო და დრო აფართოებს, ავსებს მას. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ბაგრატთან შედარებით, იაკობი მეტ ორიგინალობას იჩენს ამოლოგეტიკურ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების, ბატთა თაყვანისცემის, ეუქარისტიისა და ოცხო ქრისტესა და მაჰმადის ურთიერთობის შესახებ“.

ამასთან ერთად, ბაგრატ ბატონიშვილის „მოთხრობიდან“ იაკობი მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის, რაც მოითხოვს მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას, დეტალების მხატვრულ დამუშავებას. მთელი რიგი ადგილები პოემის ძირითადი ნაწილადან ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. ხოლო პროლოგსა და ეპილოგს 20 სტროფის რაოდენობით არაფერი აქვს საერთო ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებასთან.

„სიტყვის გება მაჰმადიანთა მიმართ“ ქრისტიანობის ამოლოგიაა:

ერთ არს ღმერთი შემოქმედი, ხილულთ
მპყრობი უხილთაეის,
ტანი საყდრად, ზღვა და ხმელი ქვე
ავარცხლებეად უპყრია ვის.

აპაკის ხინთიბიძე
იაკობ შემოქმედელი

ფილს, არ შეიძლებოდა გულზე მალამოდ არ მოსცხებოდა პოემის ცხარე პოლემიკური ტონი:

თუ არა გრწამს შენ მოსესი, ვის მოწმობენ ყოველნი სულნი,
მე ვით მრწმენეს, უთავბოლოს ზღაპრის წიგნი შენგან თქმულნი,
თორემ იტყვის: მრწამს მოსესი, არს საქმენი მისნი სრულ —
კეთილი გველად, გველი კეთილად — სასწაულნი მისგან თქმულნი.

„ბრძნად მოუბარი“ მოძღვარი, რომელიც ახალ-ახალი სიბოროტით არღვევს უურანგს დებულებებს, დროდადრო ხალხს ყოფიდან წამოღებული გამოთქმებით აცოცხლებს მეტყველებას:

როგორც არ თქმულა ჰაერში ნავარდი ქათმის უფრთოსა,
ეგრეთ სიყრმითგან მართალი არ უთქვამს მაჰმადს ეფთოსა:
მიენდო, მიჰყვა საწყალი ავამლ-აჩრდილ-ნისლ საწუთოსა...

„სიტყვის გება“ „ურაღლებას ბეცევს იმ-დროინდელი მოშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების მკაცრი მხილებით:

ოგბილის უყვარს უსწავლელი, ცრუს მტეუვანი, მრუდად მთქმელი,
ეღთოს კაცსა ღვთის მოძღელე, მაბიზღარი, სისხლის მსმელი,
ქვეყნის ცოდვით დაეკარგის ობოლ-ქვრივთა გამკითხველი,
მსგავსი მსგავსთა ტრფიალობენ, ნათელს ფარავს ქვეყნის მთხრელი.

ამგვარი ხადა, ჩვეულებრივი თხრობა, რომელიც ნათელი და გასაგები იქნებოდა უსწავლელ მთელი მრეველისათვის, ზოგჯერ თხზულებაში საგანგებოდ ირთმევა ბარელეული გუშიფრავი მაკამებით, უსემანტიკო სტრიქონებით, რასაც ერთგვარად მსგენელთა ყურადღების გამამაფრებლის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

„სიტყვის გება“ არ წარმოადგენს მაჰმადიანობის კრიტიკას მხოლოდ და მხოლოდ ზოგადქრისტიანული პოზიციებიდან. აქ ყურადღება გამახვილებულია ქართულ ქრისტიანობაზე, აღწერილია მოღვაწეობა ქართველ სასულიერო შამათა (ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი), რომელთაც „ხთარგმნეს ყოველი წიგნები“ და „გამართეს ცრუ მწერალთაგან რაც სადმე იყვნეს გარყვნ

„არა — განლათინებულისა“

სარწმუნოებისათვის, ეროვნული ინტერესებისათვის თავგამოდებული ბრძოლის მაგალითს იაკობი პირადი ცხოვრებითაც იძლევდა. ლათინთა ქვეყანაში ჩასვლისას პაპმა და კარდინალებმა წინადადება მისცეს, კათოლიკობა მიეღო და ხელი შეეწყო ამ სარწმუნოების საქართველოში გავრცელებისათვის. მიტროპოლიტი, თითქოსდა, დათანხმდა, წამოიყვანა რომიდან შვიდი კათოლიკე ბერი და წამოიღო დიდძალი საჩუქრები იმერეთის მეფისა და კათალიკოსისათვის. მაგრამ იაკობის გადაბირება შეუძლებელი იყო. იგი „კლდესავით იდგა თავის მამა-პაპათა სარწმუნოებაზე“ (მ. ჯანშვილი). ნამშობლიში დაბრუნებულმა თავიდან მოიშორა კათოლიკე ბერები, ხოლო როცა მათ შემდეგ ქართველ მამამავლებში დაიწყეს კათოლიკობის ქადაგება, განდევნა ისინი იმერეთ-გურიიდან და სტამბოლის გზას გაუყენა.

ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გაუოქვა სახელი იაკობს. ანტონ მაგრატიონი თავის იამბიკოს ასეთ სათაურს აძლევს: „თუს მამისა იაკობ პირელისა, შემოქმედელისა, გურიელისა, არა — განლათინებულისა“.

„ჩემი მკუბარი“

იაკობ შემოქმედელი არჩილ მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. ეს დასტურდება ერთი მცირე ფორმის ნაწარმოებით, რომელშიაც იაკობს მეფე-პოეტი არჩილი ჰყავს შექებული:

მზნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარ
ღესელ ძლიერისა,
ხმელ სამყაროს ეთერი ბურკი, ბრძენ
სფაადის შარვანდისა.
ირიოკოს, ღრამატიკოს, რიტორ,
ვარსკვლაეთ მრიცხველისა,
თქმული მომწონს — მისგან ზრდილსა —
არჩილ ცნობა-უფსკრულისა.

ავტობიოგრაფიული დეტალი იქცევს ყურადღებას ბოლო სტრიქონის — „მისგან ზრდილსა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთში ან იმერეთში მეფობის დროს არჩილს ხშირად ახლდა გვერდით თავისი თანაკაცი, ბიზანტიაში განსწავლული ახალგაზრდა. ალბათ ამ სიახლოვემ შთააგონა იაკობი, რომ, გარდა თავისი ორიგინალური ქებისა, მეფისთვის ქება მიეძღვნა კლასიკური ტიპის სახოტბო თხზულების მიხედვით. ამ მიზნით მან შავთელის „ადდულმესიანის“ ტექსტში თამარისა და დავითის ნაცვლად არჩილი ჩასვა, „ხმელ სამყაროს ეთერი ბურკი“ თამარსა და დავითის გაუტოლა და თამარისა და დავითის ქება არჩილის ქების სახით მიართვა თავის **მფარველ მეფეს.**

იაკობის ერთსტროფიანმა ქებამ და, შესაძლოა, მასთან ერთად, „არჩილ მეფის ქებამ“ გადაკეთებულმა „ადდულმესიანმა“ ... ერჩილს იაკობის მისამართით: „სრულად ამისთვის არ ვაქებ, რომ იყო ჩემი მკუბარი“.

„ამისი ახსნა თქვენგან მწადს“

ხაკელესო წრეებში, მეფეთა და დიდებულთა კარზე ამოთავთავე ცნობილი გახდებოდა ორი მიტროპოლიტის კითხვა-მიგება. თბილისის მიტროპოლიტი იოსეფ თბილელი შემოქმედის მიტროპოლიტს ხაკელესო თემაზე რამდენიმე შეკითხვას აძლევს ლექსად, რაზეც იაკობი ლექსითვე პასუხობს.

კითხვა:

სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი ოშენა
გებული,
მუნ შვიდნი სვეტნი შეუდგნა, შვიდნივე
წმიდად გებული,
სიკვდილით მოკლა სიკვდილი, დაიხსნა
ცოდვილთ კრებული,
ამისი ახსნა თქვენგან მწადს, ვიცი კაცი
ხარ მცნებული.

პასუხი:

სიბრძნე ქრისტე არს და სახლი, უბიწო
მისი მშობელი,
მუნ შვიდნი სიდღუმენი ჰყო მტერთა
დამამბობელი,
სიკვდილი — ჯვარცმა ქრისტესი,
ლახვართა დასასობელი,
თვით მცნობო, ცნობა გებრძანა,
რას გკადრებ მე უცნობელი.

კითხვა-მიგების ყველა პუნქტში, პასუხის სიზუსტეით და გამოთქმის სიმარჯვით, მოპასუხე გვერდი-გვერდ მიჰყვება შემკითხველს. ბოლო სტრიქონნი კი — „თვით მცნობო, ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი“ — „ცნობ“ ფუძის თამაშით უალრესად დახვეწილია, ხოლო მოკრძალებული პასუხით — უჩვეულოდ კეთილშობილური.

მეორე კითხვა-ამოცანა ასე იწყება: „ასახსნელსა მოგახსენებ, ვიცი კი გაქვს სიბრძნე მრთელად“ (ასახსნელი შეეხება „დაუფლელ“ მკვდარს, რომელიც 70 წლის შემდეგ გაცოცხლებულა).

იაკობის პასუხი (რომელიც გამოუქვეყნებელია) აქაც გამოირჩევა დიდი სინათლითა და სისადავით:

ეერემიამ გაგზავნა შვილი მოტანად ხილისა,
მამისთვის ლეღეი მოჰქონდა, ეამი მოუხდა
ძილისა.
ოწვა სამოცდა ათს წლამდის,
განუფრთხობელად ძილისა.

აკაკი ხინთიბიძე
იაკობ შემოქმედელი

(მეოთხე სტროფონი ხელნაწერს (A 1272) აღარ შემოუნახავს).

თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოდ კითხვის მიმეცემი უფრო თავისუფალია, ხოლო მოპასუხე — უფრო შეზღუდული, გადაუჭარბებლად შეიძლება თქვას, რომ ამ კითხვაზიგებაში იაკობ შემოქმედელი გამოჩნდა, როგორც წყობილი სატყვნის ჭეშმარიტი ხელოვანი, რომელიც ოთხს არ უდებს თავის უფროს თანამოკალმეს, ცნობილ მწერალს, „დიდმოურავაინის" ავტორს.

იაკობ შემოქმედელის, როგორც ნიჭიერი პოეტის სახელს („ეშეარე შუენიერ") ოსეან თბილელთან გამაასუბაც ნათელს გამდიდ.

„ᲓᲔᲛᲘᲠᲝᲛ ᲘᲮᲡᲜᲔ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲚᲘ-ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲐᲙᲝᲑ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ"

უკანასკნელი წერილი, რომელშიაც ლირსებისმებერი იყო შეფასებული „სახელოვანი მამამთავრის" ლვაწლი, 1912 წელს დაიბეჭდა. ამის შემდეგ თანდათან მიწყდა მისი სახელის ხსენება. ჩვენი საუკუნის 40-იანი წლებიდან კი იაკობ შემოქმედელს სხვა თვალით დაუწყეს ცქერა. „აბდულმესიანის" „არჩილ მეფის ქნბად" გადაკეთების გამო იგი გამოცხადებულ იქნა ალაგიატად, სხვისი შრომის მითვისებლად.

ეს აზრი დღეს დამკვიდრებულია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. „აბდულმესიანის" ავტორობის საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე მკვლევარნი დადასტურებულად მიიჩნევენ, თითქოს იაკობ დუმბაძეს მისაკუთრების მიზნით გადაკეთებინოს შავთელის პოემა და თხზულება თავისი სახელით გაეკრცელებინოს. შესაძლებლად არის მიჩნეული ისიც, რომ იაკობს მოესწრო პოემის ძველი რედაქცია.

ბრალდების წყაროა „აბდულმესიანის" სამი ხელნაწერი (H 2069, A 656 და S 395), რომლებშიაც თხზულების ავტორად გამოცხადებულია იაკობ შემოქმედელი.

ფაქტი თამარისა და დავითის ქების არჩილ მეფის ქებად გადაკეთებისა, ცხადია, უცილობელია. ცნობილმა მწიგნობარმა დავით რეტარმა XIX ს.-ის დასაწყისში გაარკვია, რომ „არჩილ მეფის ქების" სახელით ცნობილი თხზულება არის „თამარისა და დავითის ქება" (შავთელის „აბდულმესიანი"). არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ „აბდულმესიანის" „არჩილ მეფის ქებად" გადამკეთებელი იაკობ შემოქმედელია. მცირეფორმებანი ლექსის „არჩილის ქების" ავტორმა მეფე-პოეტი შავთელის განმადიდებელი სტროფონებითაც შეამკო და, ალბათ, კალიგრაფიულად გადაწერილი „ქება მეფისა არჩილისა" მიართვა თავის მეცენატს მაშინ, როდესაც არჩილი იმერთა მეფედ იყო (ი. ლოლაშვილი).

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲝᲛᲔᲡᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲑᲚᲘᲡ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲗ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲓ" ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲘᲗ „ᲐᲑᲓᲣᲚᲛᲔᲡᲘᲐᲜᲘ" ᲐᲠᲩᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲗᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲭᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ.

„არჩილ მეფის ქების" იაკობისეული ნუსხა არ არსებობს. ხელთ არა გვაქვს ავტოგრაფი. ის გარეგნობა, რომ შემოხსენებულ სამ ხელნაწერს იაკობის გვარი აწერია, არ გვაძლევს უფლებას კალიგრაფიული განსაზღვრებისათვის, რომ ეს გვარი თვით იაკობს მიერაა დაწერილი, ანდა იმ ხელნაწერისეულია, რომელიც თვით იაკობმა კალიგრაფიულად გადაანუსხვინა, რათა მეფისათვის მიერთმია. ზემოხსენებული სამი ხელნაწერის დასათაურება („სამეფოდ-შემოქმედფლმიტროპოლიტანია იაკობისაგან" თქმული ქება მეფისა არჩილისა" და „თქმული გურიულის დუმბაძის იაკობ შემოქმედელისაგან") არ მომდინარეობს თავდაპირველი დედნიდან. როგორც მიუთითებენ, არჩილის სტტყვები: „სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი", „თითქოს „აბდულმესიანის" უნდა გულისხმობდეს, სწორედ ამ ტექსტის დუმბაძისეული რედაქციაში არჩილი შეეტყობოდა განსაკუთრებული ზვიადობით" (ალ. ბარამიძე). თუ ეს ასეა, მაშინ არჩილს აღნიშნული ქება იაკობისგან უნდა მიეღო 1683 წლამდე (ამ წელს დაიწერა ასტტრახანში არჩილის „გაბასება"). ამავე დროს, ცნობილია, რომ იაკობ შემოქმედელად დადგენილ 1682 წელს. გამორიცხულია, რომ ამ პერიოდში გადაეკეთებინა ეს ქება იაკობს და არჩილისთვის, რომელიც მაშინ იმერეთის ტახტიდან ჩამოგდებული, ჯერ ჩრდილო კავკასიაში, შემდეგ კი ასტრახანში იმყოფებოდა. ამრიგად, იაკობს „აბდულმესიანი" „არჩილ მეფის ქებად" მაინდამ უნდა გადაეკეთებინა და არჩილისათვის მიერთმია, ვიდრე თავად შემოქმედის მიტროპოლიტი გახდებოდა, ხოლო იმ დროისათვის იაკობი თხზულებას ამგვარ სათაურს ვერ მისცემდა. მაშასადამე, ხელნაწერების ზედწარწერა — „შემოქმედელ-მიტროპოლიტი" და „შემოქმედელი" გვიანდელია, არაიაკობისმიერი. იგი „არჩილ მეფის ქების" გადამწერია ნახელავია.

„რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების" მიხედვით ისიც ნათელი ხდება, რომ არჩილს იაკობი არ მიჩნია „არჩილ მეფის ქებად" გადაკეთებული „აბდულმესიანის" ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. ამის დამადასტურებელია სტროფონი — „ᲗᲣᲪᲣᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ ᲛᲔᲪᲘᲡᲯᲔᲚᲘᲡ, ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲧᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲗᲐᲠᲘ". „აბდულმესიანი" (ოგივე „არჩილ მეფის ქება") საერო ლიტერატურის ძეგლია, მას ვ-

ტორზე არჩილი არ ფიქრობდა — „ორის ხაერის მგმობარეო“.

შეიძლება ვიფიქროთო, რომ იაკობმა „არჩილ მეფის ქება“ ადრესატ მიართვა „გბაღასების“ დაწერის შემდეგ, ო

, ბ. ქიქოძის სიტყვით, „შიგ თავისი, ცოტა კი იყოს, გადაკარბებული ქება აშოიკიბა“. (ქიქბინი — „გადაკარბებულნო“; თვით არჩილს კი ეს ქება არაბრუოლად მიაჩნდა — „სრულად... არ ეაკეეო“. ვანა ჩვენთვის ცნობილია ყველა ის დამსახურება, რის გამოც არჩილი იაკობ დუმბაძეს აქებდა?).

„აბდულმესიანის“ გადაკეთების თარიღის გაფმოკანა მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს, რადგან არჩილი იაკობს სამეფოლად იხსენიებს და არა შემოკმეფილად. მაშინ გამართლება ეძლევა ხელნაწერთა ზედწარწერებს. მაგრამ რა გამართლებას ვუპოვით იმ ფაქტს, რომ „არჩილ მეფის ქების“ 11 ხელნაწერიდან, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, მხოლოდ 8 ხელნაწერშია ავტორი მოხსენიებული. 8 ხელნაწერი უაბტორია, ანონიმური (ი. ლოლაშვილი). გიუგებარია, თუ კი თავდაპირველ დედანს ეწერა, რატომ გამოტოვებდა გადამწერი ავტორის გვარს. ალბათ, არ ეწერა. ამავე დროს, სავსებით გასაგებია, თუ საიდან გაჩნდა ანონიმურ ხელნაწერზე იაკობის გვარი. არჩილისათვის ქების მირთმევის გახმაურებული ფაქტი და არჩილის მიერ იაკობის მისამართით თქმული „ხელი ჩამობარო“ სრულიად საკმარისი გახდებოდა იმ შეხედულების გავრცელებისათვის, რომ იაკობ შემოკმეფილმა არჩილ მეფის საკუთარი ქება მიუძღვნა, რომ „არჩილ მეფის ქების“ ავტორი იაკობ დუმბაძე-შემოკმეფილელია.

უნდა ვიფიქროთო, რომ „არჩილ მეფის ქებას“, რომელიც იაკობმა არჩილს მიართვა, ავტორის გვარი საერთოდ არ ეწერა.

საკმის ითქმა ალბათ ასეთი იქნებოდა: არჩილ მეფესთან დაახლოებულმა მოძღვარმა მეფის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით (რასაც არჩილი თავისი მეფობის ყოველ პერიოდში სჭირიო�და), განაზრახა მისი შემკობა-გაგნდიდება რომელიმე ადრინდელი ხოტბის მიხედვით. მეფეთა კარზე ამგვარი ტრადიცია არსებობდა. ამბის გასაგებად სხვა ქეყნებში წასვლა არ მოგვიხდება. მე-18 საუკუნის საქართველოში მსგავს ხოზულებებს წერენ მამუკა ბარათაშვილი და ამბროსი ნეკრესელი. მამუკა ბარათაშვილის „ბაკარ მეფის ქება“ მეტწილად შეთხზულია „არჩილ მეფის ქების“ („აბდულმესიანის“) მიხედვით. ავტორი „აბდულმესიანის“ სახეებით ამკობს ბაკარს (ს. მიქაძე). „ბაკარის ქების“ ზოგიერთი სტროფი, მაგალითად — „მეფეკ ძლიერო, მტერთა მხეიერო, შესაწერო, ძალთა მეციერო“ და ა. შ. „აბდულმესიანიდან“ არის პირდაპირ გადმოტანილი-გადმოკეთებული: „შენ, ჯინიერო, გულისსმიერო, თვით მეცნიერო, მეფეკ ძლიერო“ და ა. შ.

ამბროსი ნეკრესელის „ვახტანგ ბაგრატიონლის ქება“ „თითქმის მთლიანად“ „აბდულმესიანის“ „ქებიდან“ არის წამოღებული; აქ „ოდნავ რედაქციაკმენილია“ თამარისა და დავითის ქების სტროფებები (ს. ყუბანეიშვილი).

არ არსებობს რაიმე საბუთი ვიფიქროთო, რომ მამუკა ბარათაშვილმა და ამბროსი ნეკრესელმა იცოდნ იაკობ დუმბაძის „ბაკარ მეფესლმესიანის“ („მიბაძვისა“ თუ „მითვისების“ ფაქტი და ამის კვალობაზე თავთავიანთი ქების ობიექტებმა ამავე ძველის მზაზარეული სახეებით ამკობენ. უნდა ვიფიქროსმსოთ, რომ ეს ძველთაქვეული ტრადიციით ნაკარნახევი მოკმედება იყო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძველქართულ ლიტერატურულ ეთიკაში მიბაძვა სათაკილოდ არ ითვლებოდა. არჩილი თავის ტრაქტატში „ძველთა და ახალთ საქართველოს მელეკსეთა-ფუის“ საყველურობს კიდეც ცალკეულ მწერლებს — „შოთას რად ვერ წაბაძესო“, „ვინ ვერ მიჰყეს რუსთველს თქმულსა... მელეკსოთა არ შეშენესსო“. როგორც ჩანს, სიტყვა მიბაძვა (ბაძვა) ძველ საქართველოში იხმარებოდა არისტოტელესეული დადებითი აზრით (ხელოვნება არის სინამდვილის მიბაძვა). ტრადიცია არ კრძალავდა ერთი ნაწარმოების მიხედვით, მის კვალობაზე მეორის შექმნას.

ამ ტრადიციას გამეკვა იაკობიც. რადგან „აბდულმესიანი“ თავისი ზოგადი ხასიათის გამო საშოალებას იძლეოდა პერსონალური სახელების შეცვლისა, მან თხზულებაში თამარისა და დავითის ნაცვლად პირდაპირ ჩასვა არჩილი და ამ სახით მიართვა მეფეს. არჩილის პირადოვნებას უკეთ როგორ შეამკობდა იაკობი თუ არა შავთელის ზეადი სტროფებით. (შესაძლოა, „აბდულმესიანის“ „არჩილ მეფის ქებაკ“ გადაკეთებამ ხელი შეუწყო კიდეც ამ ქეელის შენახვას და გადარჩენას. თუ იაკობ შემოკმეფილის დროს „აბდულმესიანნი“ თითო-ოროლა ხელნაწერის სახით იყო შემორჩენილი, ავტორის დაუსახელებლად (ი. ლოლაშვილი), ბუნებრივია, იმ მშფოთვარე ხანაში დაკარგვის საფრთხის წინაშე იქნებოდა. არჩილის მრავალგზისი მეფობის დროს „არჩილ მეფის ქების“ სახით გავრცელებული „აბდულმესიანი“, მონარქის შიშით თუ პატივისცემით, თხზულებისადმი ინტერესს გაიცხოველებდა და მის ხელნაწერთა რაოდენობასაც გაზრდიდა).

წარმოუდგენელია, რომ იაკობმა „აბდულმესიანი“ „არჩილ მეფის ქებად“ გადაკეთა შავთელის პოემის მისაკუთრების მიზნით და თხზულებას მიაწერა — „თქმულნ, იაკობ შე-

ალალა ციხისთარიძე
ია კობ ზედმოკოდილი

შემოქმედელისაგან". „ამდელმესიანის" მისაკუთრება რომ სდომოდა, იაკობი ამგვარი მინაწერით არ დაკმაყოფილდებოდა. იგი, უფნაურეს ყოველისა, თხზულების ტექსტში ჩართავდა თავის სახელს, როგორც ბამუკა ბარათაშვილმა ჩართო „ბაკურ მეფის ქებაში": „მეფეს ბაკურსა, სიტკბოდ შაკრსა აქებს ბამუკა ბარათაშვილი"; როგორც თვით იაკობი წერს „სიტყვის გების" შესავალში: „ვრეტორის სიბრძნისს ებგური შემოქმედელი იაკობ" — და როგორც ეს საერთოდ მიღებული იყო იმ დროს.

ამასთან ერთად, „ამდელმესიანის" „მიმთვისებელი", ალბათ, შავთელის ვერსიფიკაციითაც ისარგებლებდა. მავანთა და მავანთა თვალის ასახვევად ერთ სტროფს მაინც გამართავდა 20-მარცვლიანი საზომით, მაგრამ იაკობს არც ერთხელ არ გადაუხვევია რუსთველური შაირის ფორმიდან.

განსაკუთრებით დაუჯერებელია იაკობ შემოქმედელისაგან „ამდელმესიანის" მითვისების მიზნით პოემის ძველი რედაქციების მოსპობა. ამა, როგორ იფიქრებდა „ზორსგამჭვრეტი ბრძენი მამამთავარი", რომ მაშინდელ საქართველოში — სამი მეფის, ხუთი მთავრისა და სამი ერისთავის კარზე, რომ არაფერი ვთქვათ ეკლესია-მონასტრების მრავალრიცხოვან ზენაკანონებზე, „ამდელმესიანის" მხოლოდ ის ორიოდე ხელნაწერი არსებობდა, რომლებიც მის ხელთ იყო და თუ მათ მოსპობდა, პოემის არსებობის კვალსაც გაკრობდა.

არც ის არის სარწმუნო, რომ იაკობი დიდად განსწავლული მეფე-პოეტის მოტკუოლებას განიზრახავდა.

„ამდელმესიანის" მითვისების ფაქტს, — აღნიშნავს ა. ბარამიძე, — იმ დროს „არც ლიტერატურული საზოგადო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

ღირსება და ნაკლი

1983 წლის „ცისკრის" პირველ-მეხუთე ნომრებში გამოქვეყნდა წერილები ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებაზე. შარშანდ მე-12 ნომერში დაისტამბა ამ საუბრის გაგრძელება.

მკითხველს ეპირდებოდით, რომ უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებდით დისკუსიის შემაჯამებელ წერილს. მაგრამ შემდეგ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დაგვესტამბა ცნობილი ქართველი მწერლების შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მიხეილ ქვლივიძის, რევაზ მიშველაძის და ახალგაზრდა ავტორების, აკაკი მინდიაშვილის და ბაოუ დანელიას მოსაზრებები კრებულ „ახალგაზრდობაზე". კრებულში შეტანილი ლექსებიც ორგანული ნაწილია ახალგაზრდული პოეზიისა. ამის გამო გადაიდო შემაჯამებელი წერილის გამოქვეყნება.

ვინც თვალს ადევნებდა დისკუსიას და ყურადღებით ჩაიკითხა ყველი სტატია, დამემოწმება, რაოდენ რთულია ამ ზღვა მასალის, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ხშირად ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებების შეფასება. ასე რომ შეუმცდარი დასკვნების გამოტანის პრეტენზია არც ამ წერილს შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ დისკუსიის შეჯამება აუცილებელია და ჩვენც უნდა ვცადოთ უმთავრესი მოსაზოვარის დანახვა.

ქართული ერონალ-გაზეთების ფურცლებზე უამრავი ახალი სახელი გამოჩნდა, წლების შემდეგ ისინი წიგნების ავტორებად მოგვეცნობენ. ღღეს ბევრი მათგანი ორი, სამი წიგნის ავტორია. ახალგაზრდები იბეჭდებოდნენ პრესაში სისტემატურად, ცემდნენ წიგნებს, მათ შესახებ კი იშვიათი გამონაკლისის გარდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში სიტყვა არ ისმოდა. ფიქრობრივი, დადგა აუცილებლობა იმისა, რომ შეგვესწავლა ახალი სახელები, მათი შემოქმედებითი სამყარო, დაგვენახა, ვინ მოდის ყველაზე ყველა, რა ინტერესები აშოძრავებთ ახალგაზრდა მწერლებს, რა მოიტანეს და რას გვპირდებიან.

ერონალი „ცისკარი" პირველი მოვალეა ახალგაზრდა მწერლების ინტერესებით ეოცესლობდეს, ბეჭდავდეს და იკვლევდეს, კამათობდეს და სწორედ ამრთა შეჯერების გზით წარმოაჩენდეს ახალგაზრდა მწერლების სწორ მიმართულებას.

ვინ მიიღო მონაწილეობა ახალგაზრდული პოეზიის შეფასებაში? აი, ისინი: თეიმურაზ დოლიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ვახტანგ ხარჩილავა, თენგიზ წოწორნავა, ჯარჯი ფხოველი, დავით მკედლური, ემენ დავითაძე, რენე კალანდია, ვეკა ხორნაული, ლევან ბრეგაძე.

მიუხედავად რედაქციის ყოველდღიური თხოვნისა, ახალგაზრდა კრიტიკოსებმა ვერ შეძლეს ტრადიციული პასიურობის დარღვევა და საუბარში მონაწილეობის მიღება. ტრადიციულს იმიტომ ვამბობ, რომ ქართული ლიტერატურული ერონალ-გაზეთების რედაქციები დიდი ხანია ამ გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე დგანან. პრინციპულ პაექრობაში ჩაბმა თითქმის არავის არ სურს!

შორს წავალ ეროვნული მიზეზების კვლევა. ახლა სურათი და ამჯერად ეს არის მთავარი.

მთავარია კიდევ ერთი საკითხი: პაექრობაში მონაწილეობა არ მიიღეს უფროსი და საშუალო თაობის მწერლებმა. ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე ფიქრი ქართული მწერლობის ხვალინდელ დღეზე ფიქრია, ამ ბეშმარიტების შეხსენება არავის არ მერიდება, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდულ პოეზიაზე ხანგრძლივი საუბრისას არავინ გამოჩენილა მხურვალე, თავისი დიდი გამოცდილება გაეზიარებინა ახალგაზრდობისათვის მიეთითებინა, დაეწუნებინა, მოეწონებინა, გაემხნევებინა. კარგია პირველი წიგნებისათვის კანტიკუნტად ცნობილი მწერლების წინასიტყვაობის წამძღვარება, მაგრამ არ ეშარა! ხერეოროულ, ღრმა საუბარს ითხოვს თაობათა შორის უწესვტი კავშირის დიდი ლოგიკა და ქართული ლიტერატურის სწორი მიმართულების განსაზღვრის ასევე დიდი ამოცანა. და როდესაც ასეთი საუბარი იმართება, თხოვნა არც უნდა გვპირდებო-

დეს. ეურანულ „ციცერონ" რედაქცია მოვალეა არ დამალოს მხოლოდ ამ თვალსაზრისით გაჩენილი საეჭვედრის გრძნობა ჩვენი ალიარებული სიტყვის ოსტატების მიმართ. ცხადია, პირველ ყოველისა, უფროსი და საშუალო თაობის პროფესიონალი კრიტიკოსები იგულისხმებიან.

აქვე მინდა მადლიერების გრძნობით ალვნიშნო ცენიალი ქართველი მწერლების შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, მიხეილ ქვლეივიძისა და რევაზ მიშველაძის მხარდაჭერის შესახებ. მათ მიერ ახალგაზრდობის მისამართით თქმული შენიშვნები უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდებს. გაიზიარებენ თუ არა ისინი უფროსი თაობის წარმომადგენელთა ყოველ შენიშვნას, ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, წარმოდგენილია ღრმად არ დაუფესვრია ყოველი მათგანი ცნობილი წერილების აზრმა, იმ დამაჯერებელმა საუბარმა, რაც კრებულ „ახალგაზრდობის" გარშემო გაიმართა. მართლაც ბევრი რამ არის დამაფიქრებელი, მართლაც დიდი სიმართლე იკითხება მათ სიტყვებში, არის დიდი რწმენა იმავე ახალგაზრდობისა და ამ საუბრის წყალობით ისიც გარკვევით დაინახება, რამდენი საერთო საფიქრალი ჰქონიათ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს! როგორ უმალ აღსდგება ასეთი გულახდილი საუბრის წყალობით სულიერი კონტაქტი, იმ ტრადიციული პასიურობის მიზეზით საერთოდ გაწყვეტილი რომ ჩანს, როგორ ახლოს დგება ჩვენი ინტერესები ერთმანეთთან, რამდენი რამ ირკვევა და დაგვიდასტურდება!

დისკუსიის მონაწილეთაგან, პირველ ყოველისა, თეიმურაზ დოიაშვილის მეთაური წერილი უნდა გამოიყოს. სწორად შენიშნა კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა „ლიტერატურული საკრთველოს" ფურცლებზე, რომ თ. დოიაშვილის წერილმა მისცა ტონი დისკუსიის საერთო მიმართულებას.

რედაქციის თხოვნით თ. დოიაშვილი დიდხანს მუშაობდა წერილზე. გასაკვირია იყო ზღვა მასალა. ეს ითქოდა დიდ დროს და დიდ შრომასაც. ვინც კი სერიოზულად აფიქრებს თვალს თანამედროვე ქართულ პოეზიას, აღვილად წარმოიდგენს, რას ნიშნავს ახალგაზრდული პოეზიის შესწავლა, რამდენი სახელი ტრიალებს ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რამდენი პირველი წიგნი გამოიდგა ბოლო წლების მანძილზე. განსაკუთრებით სწრაფცვალებადია ახალგაზრდული პოეზიის სურათი. ისინი ახლა აყალიბებენ თავიანთ სტილს, თავიანთ პოეტურ სამყაროს, წარმოაჩენენ თავიან მხატვრულ ფორმას, ლიტერატურულ პოზიციებს. აზრი მათ შესახებ არ შეიძლება იმოკვეთეს მყარი და განსაზღვრული იყოს, როგორც არის განსაზღვრული ჩვენი შეხედულებანი და წარმოდგენები ამა თუ იმ ცნობილი, აღიარებული პოეტის მიმართ. ეს არის ლიტერატურაში დამკვიდრების თუ დაფასების ერთ-ერთი ლარი ლაკის ემსგავსება. სპეციალიზაციაც ეს ასევე ნათელი სურათის დახატვა აქ შეუძლებელიც არის და არც უნდა მოვითხოვოთ იგი. უმთავრესია ტენდენციებისა და ნიჭიერებით გამორჩეული ავტორების გამოკვეთა, ეი, რასა მოლოდინი უნდა გვქონდეს მუდამ ახალგაზრდულ მწერლობაზე გამართული დისკუსიებისაგან. ეს არის ის მთავარი სინათლე, რის მიღწევასაც ვეცდრაფვით.

თეიმურაზ დოიაშვილმა რამდენიმე საგულისხმო ტენდენცია დაინახა და გამოიტანა დღის სინათლეზე, გააანალიზა ახალგაზრდული პოეზიის თვალშეხაცემი და ღრმად დაფესვილი ნაკლიც. პირველყოვლისა ეს ღირსებები უნდა ალვნიშნო, და კიდეც ის სერიოზული, პროფესიული შრომა, რომელიც მან გასწია ახალგაზრდების შემოქმედების შესწავლის გზაზე. ეს არის მისთვის ჩვეული შრომის გამოსატყლება, დადასტურება ჭეშმარიტი მწერლის ბუნებისა, რაც ვერ ითმენს უმოქმედოდ ყოფნას, ვისთვისაც ლიტერატურით ცხოვრება უმთავრესი და უპირველესია.

ახალგაზრდა მწერლების ლიტერატურაში დადგენებისა და დამკვიდრების უფროფესი პროცესი ძნელია ისე შეუსაფდეს, პრინციპიულად დავა არ გამოიწვიოს, იმავე პროცესის შინაარსზე შესაძლოა მკვეთრად განსხვავებული შეხედულება აღმოაჩენეს სხვას. და ასეც მოხდა. პოეტმა ვახტანგ ხარჩილავამ არ გაიზარა ბევრი ძირითადი მოსაზრება კრიტიკოსისა და წამოაყენა საკუთარი მოსაზრებების გამამტკიცებელი არგუმენტები. არის ძალიან ბევრი საყურადღებო მოსაზრება თეიმურაზ დოიაშვილის წერილში, რომელიც უსათუოდ უნდა გავიზიაროთ, ასევე ძალიან ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა ვახტანგ ხარჩილავას წერილებში, რომელიც უნდა ვეღიარით.

მე ეურადღებას ვამახვილებ იმ ნათელ, სწორ, საგულისხმო შეხედულებებზე, რაც უკვე ამ ხანგრძლივი დისკუსიის მონაპოვარია.

დისკუსიაში მონაწილე ყველა ავტორის მისამართით დიდი მადლიერების გრძნობა უნდა გამოვხატო, მაგრამ თ. დოიაშვილთან ერთად არ შეიძლება ცალკე არ ალინიშნოს გურამ პეტრიაშვილის ორი ვრცელი წერილი სათაურით „მშვიდობა თქვენს მოსაკლასა". როგორც თეიმურაზ დოიაშვილის, ასევე გურამ პეტრიაშვილის წერილებმა დაკვა გამოიწვია. ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი, მაგრამ უნდა ითქვას იმ განსაკუთრებულ ნიშანზე, რაც გურამ პეტრიაშვილის დასახელებულ წერილებს ახასიათებს. გურამ პეტრიაშვილის გულწრფელ საუბრელზე მოგახსენებთ. ორი კრებული წერილი მოიწყობა მან ახალგაზრდული პოეზიის დაბა.

სიათებას. ამოძრავებდა ერთად-ერთი მიზანი კეთილი გულით და მზრუნველი რჩევა-დარიგებით შეხვედროდა ეწერელობაში ახლად მოსსულ ავტორებს, იმათ, ვინც ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაკკეთეს განაცხადი და ერთი ორი წიგნიც გამოსცეს, მაგრამ ვისზეც თითქმის არავინ ამბობდა კომპეტენტურ სიტყვასა — არც ავს, არც კარგს. სათაურშიც გამოიხატა ეს კეთილმოსურნეობის განწყობილება.

ახალგაზრდობის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ისინიც მოვალენი არიან ყველა ქებას თუ მწვავე შენიშვნას ასევე მოყვრული განწყობილებით შეხედონ. ერთი ან ორი ლექსის დაწერებ, თუნდაც პირველი წიგნის დაწერება ტკბილ განწყობილებას არ მიაწერონ და ცხოვრების გზა გადაკეტილად არ წარმოიდგინონ! მინდა ახალგაზრდებს კიდეც ერთხელ მოვაგონო სარდაკეცია წერილში გამოთქმული მოსაზრება, რადგან მან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით მაშინაც, და დადასტურდა, რომ ეხლაც აჭეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალი ცელის შემოქმედებითი ზრდისა და დოსტატების საჭმეში: „ეურნალ „ცისკრის“ ამოცანაა ახალგაზრდობაშივე, პირველი ნაბიჯებიდანვე შეაჩვიოს ავტორები მოყვრული პოზიციებიდან თქმულ კრიტიკას, ამ გზით გადაჰკეთის დითირამბებს და საერთოდ დითირამბების მოთხოვნილებას. ნაწარმოების ეეშმარტი ლიტერატურული ანალიზი, რომელიც უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ არსებით ღირსებას და არც ერთ არსებით ნაკლს, მწერალს ეხმარება თავისი შემოქმედებითი გზის დანახვისა და განვითარებაში, ეხმარება დროზე უკუთვალთმაქცობისა, დროზე მიხედოს თავისი ნიჭის უმოყვრეს ნაშნებს. ნიჭის მიმართულების განსაზღვრა მხოლოდ ამგვარი ანალიზის წყალობით თუ მოხერხდება“.

მოყვრული პოზიციებიდან თქმული შენიშვნები გურამ პეტრიაშვილის წერილების უპირველესი ღირსებაა. ჩვითხეთი შემამჩნევდა, როგორ დაწერილებიდან, როგორ კონკრეტულად განიხილავდა იგი ცალკეულ წიგნს, ცალკეულ ლექსს, სტრიქონს თუ პოეტურ სახეს, ამა თუ იმ ტენდენციას და საერთო ნიშანს. ის ზღვა მასალა, რასაც გურამ პეტრიაშვილი ფ. დოიაშვილს მსგავსად განიხილავს, დაგვანახებს მხოლოდ ლიტერატურული ინტერესებით აღძრული დავას. მე არ მინდა ვინმეს ზედაპირულ მოწოდებად მოეჩვენოს აქ თქმული: მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა ახალგაზრდა ავტორები დ. დოიაშვილისა და გ. პეტრიაშვილის წერილებში გამოთქმულ შენიშვნებს, მათ უნდა წამიდეთ, რომ მხოლოდ მათი წარჩატების, მათი შემოქმედებითი აღმავლობის მიზნით დაწერა ფ. დოიაშვილისა და გ. პეტრიაშვილის წერილები. ამიტომ ყველა ჩვენი ფიქრი ნაადგი, ლიტერატურული ურთიერთობისაკენ უნდა მიიმართოს.

აი, ფეჭქიერად ჩამთავრდა პაეკრობა, ჯერ-ჯერობით გაზრდულ პოეზიაზე. დამთავრდა პირველი საუბარი, თორემ მსჯელობა მომავალშიც უნდა გაიმართოს, სისტემატურად უნდა ვაადგენებდეთ თვალს ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, მათი ზრდა-დაოსტატების დახლართულ გზას.

რა გაირკვა ამ საუბარში? გარეშე თვალისა-თვის, ზერელედ მოყურეადე კაკაცისთვის ალბათ არაფერი, ახალგაზრდობის შემოქმედებით ეეშმარტეად დაინტერესებულთათვის კი ბევრი რამ გაირკვა. მიუხედავად აზრთა სხვაობისა, რიგ შემთხვევაში პრინციპული წინააღმდეგობისა, ბევრი რამ გაანათდა და დაზუსტდა. დასაზუსტებელი კიდევ ბევრი რამ დარჩა, მაგრამ საუბარმა გაკკეთა მაკსიმუმი იმისა, რაც შეიძლებოდა გაკკეთებულიყო პირველი ცდისას.

რამდენი ათეული ახალგაზრდა პოეტის სახელი და გვარი გვხვდებოდა ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რა ვიცოდით მათ შესახებ? ან თუ ვიცოდით, ჩვენთვის ვიცოდით, ლიტერატურულ კრიტიკას არაფერი არ ჰქონდა მოსაზრებული არც მედარჯი, არც ზუსტად. კრიტიკას არაფერი ჰქონდა თქმული ამ ზღვა მასალის არსებით და არარსებით ღირებულებაზე, მის ძირითად და არა ძირითად ნაკლზე? ჩვენი ფიქრი კი უთუოდ დასტრიალებდა თავს ახალგაზრდაული პოეზიის რაობას, რადგან წარმოიფდგენეთია გულგრილნი ვიყოთ ქართული პოეზიის ხვალინდელი დღის მიმართ. ამ ფიქრს კულიგენდან გამოყვანა და ლიტერატურის ტრიბუნაზე შედგომა სჭირდებოდა, რათა ყველას გაეგონა იგი. თავად ახალგაზრდა პოეტებისათვის იყო აუცილებელი გულახდილი საუბარი, — რას ფფიქრობთ მათ შესახებ, რა პრეტენზიები გვაქვს, რა მოგვწონს, რა არ მოგვწონს.

აგერ ერთ წელზე მეტია ახალგაზრდა პოეტების სახელი ისმის „ცისკრის“ ფურცლებზე, მათი შემოქმედება იქცა სერიოზულ მსჯელობის საგნად. ეს უკვე მოსწავებს იმას, რომ ლიტერატურული ფაქტია მათი მოსკვლა, ახალგაზრდებიც მხოლოდ ასე უნდა უყურებდნენ ამ პაეკრობას, მიუხედავად იმისა, რომელიმე მათგანს დამსახურებისამებრ მიეზღო თუ არა ამ პირველ შეფასებაში. მიუხედავად იმისა, ბოლომდე ჩაწვდნენ თუ არა მის ინდივიდუალურ პოეტურ ბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნა ყოველთვის სამართლიანი არ იყოს! არაერთი უმართებელი შენიშვნა და კრიტიკა თვით ამბავე საუბარში იქნა უკუგდებული და გამაბილებული, მომავალში სხვებზეც ითქმება. ერთ წელს არ შექმნილა ახალგაზრდული პოეზია, ამიტომ ამოდენა მასალის ერთი საუბარი უშეცდომოდ ვერ შეფასებდა. გზადაგზა ყველაფერი უნდა დაზუსტდეს და გაირკვეს, კრი-

ტიკული აზრის მოძრაობა სწორედ ამას გულისხმობს!

ახალგაზრდა პოეტებს მართები სერიოზული დაფიქრება, — როგორც ზუსტ, ასევე მოუღებელ შენიშვნებზე, იქნებ შეუმჩნეველად, მაგრამ უსათუოდ მოიტანს ეს დაფიქრება სერიოზულ შედეგს. თ. დოლიაშვილის, გურამ პეტრიაშვილის, გივი ალხაზიშვილის და მათთან მიმაკვლევრთა მოსაზრებებში არიერთი საგულისხმო დასკვნა ამოიკითხება. რამდენიმე საგულისხმო დაკვირვება გამოაქვო კრიტიკოსმა გურამ გვერდწინელმა თეიმურაზ დოლაშვილის წერილებიდან „ლიტერატურულ საკრთველოში“.

ცხადია, ამით არ ამოიწურება თ. დოლიაშვილის წერილების საგულისხმო დაკვირვებები, ან მწვავე შენიშვნები. მკითხველმა უკვე დაინახა, რომ მათ ავტორი უშფოთველად ფდგება ახალგაზრდულთა პოეზიის რაობის გარკვევის საქმეს. გვაწვდის ცალკეული პოეტების შემოქმედებითი თავისებურების ანალიზს, გამოაოფს რამდენიმე ავტორს და ახასიათებს მათ ინდივიდუალურ ნიშნებს, იწონებს და იწუნებს, ანალიზებს ცალკეულ სტეროტიპულ პოეტურ კონსტრუქციებს.

გურამ პეტრიაშვილმა პირველ წერილში დაახასიათა რამდენიმე მისთვის მოსაწონი პოეტის თავისთავადი სტილი, უზვად მოიტანა ნაწყვეტები ზოგიერთი მთავარის საინტერესო ლექსიდან. ამასთან ეუარადღება გამამახვილა ერთ ზოგადი ხასიათის საგულისხმო ნაკლზე — მისი აზრით ახალგაზრდა პოეტთა ლექსების უმრავლესობა ორგანულო მოლიანობა არ არის. შემდეგ გამოაქვო ახალგაზრდულ პოეზიაში გაბატონებული ოთხი დამაფიქრებელი ტენდენცია — ეს არის მისწრაფება „იდეალების“, „პოეტურობის“, „სიტყვათა თამაშისა“ და „ფილოსოფოსობის“ პოზისაკენ! მოიტანა ოთხივეს დამადასტურებელი მაგალითები და სცადა დაესაბუთებინა თავისი მოსაზრებანი.

პროფესიონალი ოსტატებთა და გულისხმიერებით გვაწვდის რამდენიმე ავტორის შემოქმედების ანალიზს გივი ალხაზიშვილი. მას არ ჰქონია პრეტენზია განეხილა ყველა საინტერესო ახალგაზრდა პოეტის ლექსები, ამის შესახებ აღნიშნა კიდევ და შემოიფარგლა ვ. ხორნაულის, თ. ბაძაღუას, გ. სულიკაურის, ვ. ხარჩილავას და დ. ბედიანიძის კრებულებით. წერილის დასასრულს იკამთა გ. პეტრიაშვილის რამდენიმე ზოგად მოსაზრებაზე.

ცხადია, შეუძლებელია ყველა საგულისხმო მოსაზრებისა და შენიშვნის გადმოწერა, რაც საუბარში მოსაწილეთა წერილებსა განხეული, იმედი მაქვს მკითხველიც და ახალგაზრდა პოეტებიც, ვისაც ეს საუბარი ინტერესებს, სწორად შეიფასებს ყოველ მნიშვნელოვან დაკვირვებას.

უნდა მოპაუოლოდ თუ არა თ. დოლიაშვილისა და ვ. პეტრიაშვილის წერილებს მწვავე საუბარი? უნდა მოპაუოლოდ. როგორ გულდასმით, გამოწვლილვითაც არ უნდა ეანალიზებდეთ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, ... შეუძლებელია მაქსიმალური ... ვა, სამართლიანობის ბოლომდე შენარჩუნებაც, ბეშმარიტად ღირსეული ლექსების ულიმდამო ლექსებიდან დამაჯერებელი გამორჩევა. ახალგაზრდული შემოქმედების მდფალე პროცესი თითქოს ვერც ითმენს ასეთ „დალაგებას“, სურათის დახატვას, წინაალმდეგობას უწევს, ეურჩება მნიშნელოვან ადგილს. გამორჩეული ხალხელი ჯერ კიდევ გამოუკვეთილ სახელთა გვერდით დგომას თაკლობენ, ეს უკანასკნელნი თავის მხრივ სხვებს „მეფნინავეობას“ ვერ ითმენენ, დიდ პერსპექტივას ჭვრეტენ თავის შესაძლებლობებში! არადა, ტენდენციების გამოკვეთა აუცილებელია. გამორჩეულ ხალხელბზე მნიშნებაც საჭიროა — მკითხველს, ლიტერატურას ჭირდება ეს გარკვეულობა...

ჩვენი დაკვირვებანი, ჩვენს მიერ დახატული სურათი ამიტომ ოზმიება თვითონ თაობის წარმომადგენელთა კრიტიკული თვალით. თ. დოლიაშვილის მიერ დახატული სურათი გაკაჩატკა ვ. ხარჩილავამ. იგი სხვა შეხედულებისაა თაობის სახეზე (თუმცა თ. დოლიაშვილი და ვ. ხარჩილავა თვლიან, რომ არავითარ ლიტერატურულ თაობაზე საუბარი ჯერჯერობით არ შეიძლება).

ვ. ხარჩილავას აზრით ახალგაზრდა პოეტების შესაძლებლობანი არ არის სწორად წარმოდგენილი თ. დოლიაშვილის წერილებში, ერთმანეთის ვვერდით დგანან ნიჭიერი და სათუო შესაძლებლობების ავტორები, რამდენიმე ხელოვაცარული ავტორის ნაკლი მოელ თაობაზეა გავრცელებული... არ ეთანხმება იგი თ. დოლიაშვილის მიერ მოწვედილ ამა თუ იმ კონკრეტულ ლექსთა და სტრიქონთა შეფასებას. ვ. ხარჩილავას ღრმად აქვს განცდილი თავები თანატოლების შემოქმედება. მისი სურვილია ახალგაზრდული პოეზიის ღირსება მთელი სისრულით იყოს წარმოჩენილი. პრინციპული და უშფოფავთოა მისი მტკიცება, ეს ყველაფერი ნაკარნახევია ისევ ახალი თაობის სასიცოცხლო ინტერესებთან. მაგრამ განსხვავდებიან თუ არა ერთმანეთისაგან მკეეიარად თ. დოლიაშვილისა და ვ. ხარჩილავას დასკვნები, ისანი მაინც სიცხადესა და გარკვეულობას ეს ნარჩენეთან და ხარაგებლო საქმეს აკეთებენ.

ასევე მწვავედ დაუპირისპირდა ვ. პეტრიაშვილის მოსაზრებებს ო. კალანდია. ვ. პეტრიაშვილი საუბრობს იმდენ ავტორზე, იმდენ ლექსსა და პოეტურ სახეზე კონკრეტულად, რომ წარმოუდგენელია კი იყო იმდენ შენიშვნაში, რომელთა დიდი უსრავლესობა მარიგებულია და სასარგებლო ახალგაზრდა ავტორთათვის, არ გაპარულიყო თავისთავად საგულისხმო, მაგრამ სხვისთვის მიუღებელი შენიშვნები. მიუღებლად მიიჩნია ო. კალანდიამ ვ. პეტრიაშვილის არაერთი შენიშვნა და ასევე უშედეგოოდ

ეკამათება მას. ხასურველი იყო, ცალმხრივად არ წარეკმართა რ. კალანდიას თავისი მსჯელობა, წარმოჩინა გ. პეტრიაშვილის მიერ გამოთქმული მრავალი შენიშვნის სამართლიანობაც. ეს უფრო სრულ სურათს დაგვიბაკავდა. მაგრამ ისიც უნდა თქვას, რომ რ. კალანდიას წერილში არაერთი ზუსტი შენიშვნაა გამოთქმული, არაერთი საყურადღებო დაკვირვებაა მოწყვილი. არც გ. პეტრიაშვილის, არც რ. კალანდიას, არც თ. დოლიაშვილის და არც ვ. ხარჩილავას, არც სხვა მოკამათეების ერთმანეთის პატიოსნებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ აქვთ, თუმცა ყველასთან არ იგრძნობა გაცნობრება. „ცისკრის“ მე-12 ნომერში გამოქვეყნებული მასალები (ვგულისხმობ რამდენიმე მათგანს) სიმწყვანით იქცევს ყურადღებას!

იქნება აჯობებს საერთოდ არ დაიბეჭდოს ასეთი „ცხრე“ კამათი? ან, კითხვა, რაც არ ისენებედა და მაინც გადაწყდა მათი დასტამბვა, რაგდან ამ სერიოზული ნაკლს იქით, რაც კამათის არასასურველ ტონში იგულისხმება, დასტამბულ წერილებს მრავალი ისეთი ღირსება აქვთ, რომ ძნელია იგი ერთმა თუნდაც ნნიშვნელოვანმა ნაკლმა გადაფაროს. წერილებში ჩანს ავტორების განათლება, ლიტერატურული მსჯელობის უნარი, მათი პრინციპები, პოზიცია, ინტერესთა სამყარო, ჩანს, რომ სისხლხორცეულად ეკუთვნიან ლიტერატურას და შეუძლიათ ღრმა ცოდნაზე დაყრდნობით იდავონ. ამიტომ რედაქციამ სერიოზული დახვეწის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალა მათი დასტამბვა. ვ. ხარჩილავას წერილი შემოკლებით დაიბეჭდა, საგრძნობლად შემცირება სხვა წერილებისა.

მაინც დარჩა უსიამოვნო კამათის ტონი. ცხადია, ხასურველი იყო კამათის კულტურაზე მეტი გვეფიქრა, მაგრამ დისკუსიისთვის ამის გამო წუნის დადება არ იქნებოდა სწორი.

აუცილებელია აქვე აღინიშნოს კიდევ ერთხელ კამათის კულტურის საერთო დონეზე ჩვენში, აღინიშნოს ამ დისკუსიასთან დაკავშირებით, თორემ იგი ცალკე და სერიოზული საუბრის თემაა.

პაეკრობის, კამათის როგორ ლიტერატურულ ატმოსფეროში აღზარდნენ ახალგაზრდები? ქართული ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე, დაფსაოლედან ქვეყნდება ცნობილი მეცნიერებისა და მწერლების წერილები, სადაც ერთმანეთის განქიქების სურვილი მართავს მთელ კამათს. ვიღას ახსოვს ასეთ პაეკრობებში ბეშმარიტების დადგენა! ეჭ კონკრეტული მაგალითების მოტანა ზედმეტი მეჩვენება, ისედაც ყველამ იცის ამის შესახებ. ახეი კამათი ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული სამწუხაროდ, ახეი კამათის მაგალითებზე აღზარდა ის განქიქების ენება, რომელმაც ახალგაზრდა მოპაეკრეთა წერილებშიც იჩინა აჯა-იქ თავი.

დისკუსიამ ეხეც დაგვანახვა და ახლა ეს გამოცდილება დასკვნების გამოტანას გვავალებს: სარედაქციო წერილში მითითებული იყო:

„პოლემიკის კულტურის ამაღლება ჩვენი კრიტიკული აზროვნების ერთი არსებითი საზრდელია. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კრიტიკულ წერილებში პოლემიკის კულტურა სასუბნით გაჭრა. ეს კი თავისთავად ნიშნავს კრიტიკული აზროვნების დონის დაცემას. თუ მოპაეკრენი ერთმანეთის პატიოსნებემთ არ იქნებიან გამბეგალულნი, ძალას კარგავს ყოველი არგუმენტი, დამაჯერებლობას კარგავს ყოველგვარი ლოგიკა“.

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, საერთო სენმა მაინც ჩამოპყო თავი.

ეხეც გაკვეთილია! ფაქტია, რომ ახე კამათის გაგრძელება არ შეიძლება და მომავლეში ყველამ და მათ შორის ახალგაზრდობამ უნდა სერიოზულად ფიფქრის ამის თაობაზე.

ახალგაზრდა პოეტებისთვის ალბათ სარგებლობის მომტანი იქნება ჯ. ფხოველის, დ. ჭეკელურის, ვ. ბორნაულის, ე. დავითაძის წერილებში გამოთქმული დაკვირვებები. არც ე. დავითაძის სამართლიანი შენიშვნა უნდა იქნას დავიწყებული — ქართული ლიტერატურის ახალი ნაკადის განხილვისას მარტო თბილისით არ უნდა შემოვისაზღვროთ! „ჩვენც თქვენთანა ვართ“ — ახე დაასთანაო თავისი წერილი ე. დავითაძემ. ბევრის მეტყველია ბათუმში მცხოვრები პოეტის ეს საყვედური. „ცისკრის“ სისტემატურად ბეჭდავს ხაქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს (დ. თედორაძე, ლ. თოთაძე, ე. დავითაძე, გ. ოღიშარია, გ. ბენინეა...) ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედების შესახებ ესოდენ ხანგრძლივ საუბარში ისინი არ უნდა გამოგვრჩეს (გამონაკლისია გ. ოღიშარია), პერიფერიაში მცხოვრებმა მწერალმა არ უნდა შეგვახსენოს ამის შესახებ.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე გამართული საუბრის ორგანული გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ შოთა ნიშნიანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, მიხეილ ქვლოვიძის, რეზო მაშველაძის, აკაკი მინდიაშვილის და ბათუ დანელიას წერილები კრებულ „ახალგაზრდობაზე“ („ცისკრი“ № 2 1984 წ.).

რამდენი დამაფიქრებელი სიტყვა თქვეს უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან. თითქოს დისკუსიაში გამოთქმულ შენიშვნებს აჯამებსო, ისეთი შაობეგ ლილება გვრჩება, შოთა ნიშნიანიძის წერილის რიცა ეკოთხულობთ.

„ჟველი თაობის მწერლობისათვის ძვირფასი იყო რეკოლუციური რომანტიკა, შრომითი ბერიოკა, ალმშენებლობის თემები. ჩემი თაობაც ადრიდანვე ეწაირა საპატიო თემების დამუშავების ტრადიციას. ახლა ასეთი თემები, საზოგადოებრივი პრობლემატიკა და საერთოდ სამოქალაქო მოტივები ახალგაზრდობას ნაკლებ

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ალელვებს. ალბათ ზოგიერთის აზრით მთლად სწორი არა ვარ, საკმაოდ ბევრი იწერება აქტუალური თემებზე ახალგაზრდობის მიერო. გიპასუხებთ: დიახ, იწერება, მაგრამ მაინც გაგიმეორებ: ეს თემები ახალგაზრდობას ნაკლებად ალელვებს. დამამტკიცებელი საბუთი მათივე ლექსებია — მხატვრულად მდარე, განუცდელი, გულის გარეშე დაწერილი".

თ. დოიაშვილის, გ. პეტრიაშვილის, ვ. ხარჩილავას, ჯ. ფხოველის, ფ. მჭელელურის და სხვათა წერილებში საგანგებოდ იყო ამაზე უურადღება გამახვილებული. საერთოდ შესასწავლი ლიტერატურული პრობლემაა ახალგაზრდა მწერალი-მოქალაქის პრობლემა, იგი ეროვნულ მწერლურ ტრადიციებთან არის განუყრელად დაკავშირებული და სადღესაო ორიენტაციის გარკვევას ნიშნავს ამავე დროს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მივუთითოთ ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების მისამართით გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელიც გგვეზიარა კრიტიკოსმა რევაზ თვარაძემ „ცისკრის" 1984 წლის პირველ ნომერში.

●

დიახ, ბევრი შენიშვნა გამოითქვა ახალგაზრდა პოეტების მისამართით, სამართლიანი და გამოცდილების გამამდიდრებელი შენიშვნა. პირდაპირი და პირფთვნელი იყო საუბარი. უშეფეგვიდან ისაუბრეს თავად ახალგაზრდებმაც და უფროსი თაობის ფართოდ აღიარებულმა მწერლებმაც.

ბევრი ღირსებაც იქნა შენიშნული ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებისა. დარჩა შეუმჩნეველი ღირსებები, მაგრამ ჯობს არსებობდეს ღირსებები და ერთიანად ვერ შევამჩნიოთ, ვიდრე არ არსებობდეს და მივაწეროთ ხელოვნურად.

თითქმის ყველამ აღიარა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა მოვიდა. ამდენს რომ ვდავობთ, თუნდაც ეს მეტყველებს, რომ ანგარიშგასაწევი ცვლა მოდის.

თ. დოიაშვილის წერილის სათაურიდან მოყოლებით თითქმის ყველა მოსაკენრის სტატიის დასათაურებაც კი იმედს გულისხმობს („მშვიდობა თქვენსა მოსცეს ასა" — გ. პეტრიაშვილი, „სამედო ხმები" — გ. ალბაზიშვილი, „ნინასელი მზის ამოსვლის წინ" — თ. ნოზაძეანა, „მთლად მე მეკუთვნის კეკეცარ... ჯ. მჭელელური... ხოლო დანარჩენთან ერთად ოცარნობა ახალგაზრდა პოეტების ნიჭიერებისადმი რწმენა.

გამოიკვეთა არაერთი პოეტური სახელი, ვის შემოქმედებაშიც პაექრობის მონაწილეები ხედავენ ნამდვილ ლლიტერატურულ, ედავენიან, მაგრამ აღიარებენ ანგარიშგასაწევ მწერლურ შესაძლებლობებს. დეტალური ანალიზის დროს ყველა მათგანის შესაძლებლობის ზუსტად განსაზღვრა, ცხადია, ძნელი იყო. შენიშნულ იქნა კიდეც, რომ ძალზე გაფერმკრთალებული გამოჩნდა ზოგიერთი პოეტის შემოქმედება. მაგრამ მომავალში კიდევ უფრო ნათელი სურათი დაიხატება, უფრო გამოიკვეთება ახალი წერილების წყალობით თითოეული ახალგაზრდა შემოქმედის სახე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთ გარემოებაზე. უდავოდ სასარგებლო შენიშვნები გამოითქვა და უთუოდ უნდა გამოთქმულიყო ეს შენიშვნები. მაგრამ მაინც გადაჭარბებული სიმკაცრით შეფასდა ახალგაზრდა პოეტთა შემაძლებლობანი!

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში იმაზე მეტი მადლია, ვიდრე დავინახეთ და წარმოვაჩინეთ! უაღრესად საინტერესო და თავისთავადი რამდენიმე პოეტის შემოქმედება. ამას ახალგაზრდების გულის მოსაგებად არ ვამბობ, მათი საგანგებო გამორჩევა და ქკარცხლბეკზე შეყენება არც იქნებოდა სწორი; მაგრამ ხომ ფაქტია იმ ერთეულების არსებობა, ხომ ფაქტია, რომ მათი წიგნები ნამდვილი ლიტერატურის ღირსებით გამოირჩევიან. სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა ვიწამოთ ჩვენს ზურგს უკან მომავალთა ღირსეული ნაბიჯების არსებობა. არც ერთ ე. წ. ლიტერატურულ თაობას არ ჰყოლია მასხიერად საკუთარი ხმის პოეტები, უველგან ედ ყოველთვის რამდენიმე გამორჩეულა და ეს რამდენიმე ამ ვრცელ ზღვაში ჩანს უკვე. ხვალ უფრო თამამად ვიტყვით მათზე.

დღევანდელი დისკუსიაც „ცისკრის" ფურცლებზე თავისი ღირსებითა და ნაკლით იმ ხვალინდელი საუბრის დასაწყისად თუ ჩაითვლება.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-83-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-83, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრაზის — 72-26-30, „ცისკრის" დამტები — 72-17-01, საკორესპონდენტო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 6.02.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.03.84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 313. უე 07893 ტირაჟი 58.500

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲞ.

ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ 76284
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ